

სტალინისტური ლიტერატურა პოსტსაბჭოთა  
საქართველოში: კოლექტიური ტრავმის კონსტრუირება

კონსტანტინე ლადარია

*სადისერტაციო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე სოციოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად.*

სოციოლოგიის  
სადოქტორო პროგრამა

*სამეცნიერო ხელმძღვანელები:*  
პროფ. ოლივერ რაისნერი,  
პროფ. ემზარ ჯგერენაია.



ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი

2022

როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

კონსტანტინე ლადარია

22 ივლისი, 2022



## აბსტრაქტი

სადისერტაციო ნაშრომში განხილულია ქართულ პოსტსაბჭოთა საზოგადოებაში არსებული სტალინისტური განწყობების გამოვლინება ლიტერატურული ტექსტების მაგალითზე. გააზრებულია სტალინის პოზიტიური შეფასების, მისი თაყვანისცემის ფენომენის ისტორიული საფუძვლები, ისევე როგორც მისი მიმართება თანამედროვე სოციო-კულტურულ პროცესებთან.

კვლევაში მულტიდისციპლინური თეორიული პერსპექტივიდან და სხვადასხვა მეთოდოლოგიური მიდგომით სტალინისადმი პოზიტიური დამოკიდებულების მიზეზების ინტერპრეტაციული ახსნაა შემუშავებული. სტალინისადმი დადებითი დამოკიდებულება ახსნილია კოლექტიური ტრავმის ცნების მეშვეობით, სტალინისადმი აპოლოგეტური დამოკიდებულების შემცველი მხატვრული და, უმეტეს შემთხვევაში, ბიოგრაფიული ტექსტები კი ამ ტრავმის სიმპტომადაა განხილული. სტალინური ტექსტების ანალიზისას ყურადღება გამახვილებულია სტალინური ლიტერატურული დისკურსის ნაციონალისტურ სიმბოლიკასა და მის უპირატესად მითოლოგიურ ფორმაზე. სტალინის პოზიტიური კუთხიდან წარმოჩენისთვის მოწოდებული არგუმენტაციის ფორმები წარმოჩენილია დესტალინიზაციის ტრავმასთან ბმაში. ამასთან ერთად, ტრავმის ნიშნები გამოვლენილია 1921-2021 წლებს შორის წარმოებული სტალინური ლიტერატურის სტატისტიკური სურათის შექმნის საშუალებითაც, რომელშიც ვლინდება აღზევების, განდევნისა და დაბრუნების პატერნები.

პოსტსაბჭოთა საქართველოში სტალინისტური ლიტერატურის დაბრუნება, მისი რენიმაცია, ისეთი მითოლოგიური ფორმების საშუალებითაა გაანალიზებული, როგორცაა დიდი ქართველების ისტორიულ-საცნობარო ქვეყანრი, სტალინის პოეზია და სტალინური აპოკრიფები. სამივე ჟანრში ფაბრიკაცია-ფალსიფიკაციის აქტიური გამოყენება ვლინდება.

**საკვანძო სიტყვები:** სტალინიზმი, პოსტსაბჭოთა საქართველო, კოლექტიური ტრავმა, ნაციონალური მითი, კრიტიკული დისკურსული ანალიზი, ბიბლიოგრაფიული კვლევა.

## **Abstract**

The thesis explores the manifestation of Stalinist attitudes in post-Soviet Georgian society on the example of literary discourse. The historical origins of this phenomenon, as well as its connection with contemporary socio-cultural processes, are discussed.

The reasons for positive attitudes toward Stalin are interpretatively explained through interdisciplinary theoretical perspectives and methodological approaches. In particular, positive attitudes toward Stalin are explained on the basis of the concept of collective trauma, while literary texts, which for the most part have claim to be biographical and are apologetic in nature, are treated as symptoms of this trauma.

In analyzing Stalinist texts, attention is drawn to their nationalistic symbolism and predominantly mythological form. The mode of argument through which Stalin is presented in a positive light is related to the trauma of de-Stalinization. Along with this, signs of trauma are identified by reconstructing a statistical picture of Stalinist literature accumulated between 1921 and 2021, which reveals patterns of rise, repression, and return.

The return of Stalinist literature in post-Soviet Georgia, its reanimation, is analyzed through mythological forms such as the historical subgenre of great Georgians, Stalinist poems, and Stalinist apocrypha, where the active use of fiction and falsification is revealed.

**Key words:** Stalinism, post-Soviet Georgia, collective trauma, national myth, critical discourse analysis, bibliographic research.

## მადლობა

მადლობა ნაშრომის ხელმძღვანელებს და ჩემს მასწავლებლებს, პროფესორებს ემზარ ჯგერენაიასა და ოლივერ რაისნერს — ნაშრომის დასრულებისათვის ერთობლივად გაწეული ძალისხმევით.

მადლობა პროფესორ ზაალ ანდრონიკაშვილსა და ლიტერატურისა და კულტურის კვლევების ცენტრის (ბერლინი) პროფესორებს ზიგრიდ ვაიგელსა და ფრანცისკა ტუნ-ჰოჰენშტაინს, ბერლინში მათთან ერთად მუშაობის შესაძლებლობისათვის.

მადლობას ვუხდით თოდუას კლინიკისა და სარაჯიშვილის სახ. ნევროლოგიის ინსტიტუტის ექიმებსა და თანამშრომლებს — პროფ. მარინა კიზირიას, ნინო შენგელიას, თინათინ ცინცაძესა და თამრიკო სეფიაშვილს — ყურადღებისა და ზრუნვისათვის.

მადლობას ვუხდით ჩემს მეგობრებსა და კოლეგებს, პროფესორ მალხაზ თორიასა და დოქტორ ელენე კეკელიას ნდობისა და თანამშრომლობისათვის.

მადლობა ოჯახს — ელენე და ნოდარ ლადარიებსა და გეოლინა ბიჭაშვილს. მადლობა ჩემს ოჯახს — ალექსანდრას, ნოდარსა და ნინოს — მოთმინების, სიყვარულისა და ერთგულებისათვის.

ეძვნება დედაჩემს,  
რუსუდან ლადარიას

## სარჩევი

<b>შესავალი</b>	<b>1</b>
<b>1. კვლევის საგანი</b>	<b>1</b>
<b>2. კვლევის ჰიპოთეზა: დესტალინიზაციის ტრავმა</b>	<b>5</b>
მიტის თეორია	7
ნაციონალიზმის თეორია	10
კოლექტიური ტრავმა	12
<b>3. მეთოდოლოგია</b>	<b>15</b>
კონტექსტუალიზაცია	15
დესკრიფციული სტატისტიკა	17
შემთხვევის ანალიზი	18
ტექსტის ანალიზი	19
რიტორიკული კრიტიკა	21
ბიბლიოგრაფიული კვლევა	24
კვლევის შეზღუდვები	26
<b>4. ნაშრომის სტრუქტურა</b>	<b>27</b>
<b>I. ლიტერატურის მიმოხილვა</b>	<b>29</b>
1. სტალინიზმის მემკვიდრეობის კვლევა	31
2. სტალინიზმის კვლევა	53
შეჯამება	65
<b>II. სტალინი როგორც კვლევის საგანი</b>	<b>67</b>
1. სუბიექტი და სიმბოლო	68
2. სუბიექტი და ობიექტი	70
3. ავტორი და რედაქტორი	71
4. ადამიანი და ღვთაება	73
5. არავინ და ყველაფერი	74
6. ლოკალური და გლობალური	77
7. პატარა სამშობლო და დიდი ამბიციები	78
8. ლოცვა და არა კრულვა	81
9. სტალინის ორი სიკვდილი	83
დასკვნა	85

<b>III. თეორიული ჩარჩო</b>	<b>88</b>
1. კოლექტიური ტრავმა: თეორია და გამოყენება	92
ტრავმის კვლევა სიმპტომების მიხედვით	96
ტრავმის გარემო	101
კოლექტიური ტრავმის კვლევა საქართველოში	103
2. ნაციონალიზმი როგორც კონტექსტი და კვლევის საგანი	106
ნაციონალიზმის თეორიები	109
რენესანსი ნაციონალიზმის კვლევებში	110
3. მითის შესწავლის საკითხისათვის	111
მითი და იდეოლოგია	113
მითის ანალიზი	114
4. ნაციონალური მითის კონცეპტი	117
<b>IV. საბჭოთა მემკვიდრეობის გადაფასება</b>	<b>121</b>
1. წინასწარი შენიშვნები	122
2. ლუსტრაციის თეორიული მხარე	124
3. ლუსტრაციის მედია-დისკურსი საქართველოში	127
<b>V. პოსტსაბჭოთა ქართული ტექსტური სტალინიზადა</b>	<b>138</b>
1. სტალინიზადის ცნება	138
2. სტალინისტური ლიტერატურა: 1990-2021	142
<b>VI. ეროვნულ-პატრიოტული ლიტერატურული ჟანრი</b>	<b>149</b>
1. მეთოდოლოგიური შენიშვნა	150
2. პოლიტიკური ემიგრაციის ნოსტალგია	153
3. ტელეპროექტი „საქართველოს დიდი ათეული“	156
4. სტალინი “დიდი ქართველების” ლიტ. ჟანრში	163
შეჯამება	178
<b>VII. პოეტი სტალინი</b>	<b>183</b>
1. პატრიოტული მოტივები სტალინის ლექსებში	188
2. სტალინის პოეზია პოსტსაბჭოთა ქართულ ბეჭდვით მედიაში	191
სტალინის ლექსების კრებულები	193
„რეპრესირებული ლექსი“	197
3. პოეტი სტალინის ადრეული პოპულარიზაცია	203
4. სტალინი და პოეზია პოსტსაბჭოთა სტალინიზადაში	207
<b>VIII. ტრავმა სტალინისტურ ლიტერატურაში</b>	<b>215</b>



1. სტალინის წარმომავლობა: უხერხული საკითხი	215
2. სტალინი და საქართველო	220
3. მარტის სისხლიანი მოვლენები (1956): ამნეზია და ჰიპერმნეზია	223
<b>IX. აპოკრიფები: სტალინისა და სტალინზე</b>	<b>227</b>
1. სტალინის აპოკრიფები	227
2. სტალინის აპოკრიფული ლექსი	232
3. აპოკრიფები სტალინზე	236
<b>დასკვნა</b>	<b>241</b>
<b>ბიბლიოგრაფია</b>	<b>245</b>
ჟურნალ-გაზეთების ბიბლიოგრაფია	261
ლუსტრაციის დისკურსი	261
ტელეპროექტ დიდი ათეულის მედია-დისკურსი	264
სტალინის ლექსები ბეჭდვით მედიაში	266
<b>სტალინური პუბლიკაციები (1990-2021)</b>	<b>266</b>
<b>ანტი-სტალინური პუბლიკაციები (1996-2021)</b>	<b>272</b>
<b>სტალინური ლიტერატურა: 1921-1956</b>	<b>273</b>

**თვალსაჩინოებათა ჩამონათვალი:**

**სურათი 1.** პარტია "ერთიანი საქართველოს" წინასაარჩევნო პლაკატი, 1995 წლის 5 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნები.

გვ. 38.

**დიაგრამა 1.** სტალინურ პუბლიკაციათა დინამიკა 1921-2021 წ.

გვ. 89.

**დიაგრამა 2.** ლუსტრაციის საკითხზე დაბეჭდილ სტატიათა სტატისტიკა 1997-2019 წ.

გვ. 129.

**დიაგრამა 3.** სტალინური პუბლიკაციები 1990-2021 წ.

გვ. 146.

**სურათი 2.** ტელეპროექტ „საქართველოს დიდი ათეულის“ ხატულა. მარჯვნიდან მარცხნივ: დავით ყიფიანი, იოსებ სტალინი, ჰამლეტ გონაშვილი, დავით აღმაშენებელი და ილია ჭავჭავაძე.

გვ. 157.

**სურათი 3.** წიგნის ყდა: ტარიელ ზოზრაშვილი. დიდი ქართველები. 2012.

გვ. 180.

**დიაგრამა 4.** "დიდი ქართველების" ისტორიულ-საცნობარო ჟანრის პუბლიკაციები 2005-2021.

გვ. 181.

## შესავალი

### 1. კვლევის საგანი

საბჭოთა კავშირის დაშლა სხვადასხვა სოციო-კულტურულ და იდეოლოგიურ საკითხთა გარშემო არსებულ დისკურსთა რადიკალური ცვლილებით ხასიათდება. სოციო-კულტურული თუ პოლიტიკურ-ეკონომიკური ფენომენები, რომელთა მიმართ საბჭოთა სისტემა მტრულად ან უნდობლად იყო განწყობილი, — მაგალითად, რელიგიური ორგანიზაციები, თავისუფალ ბაზარზე დაფუძნებული ეკონომიკური მოდელები და ნაციონალური იდენტობა — რეჟიმის დაშლისთანავე რეაბილიტირებულ იქნენ და მყარი ადგილი დაიკავეს პოლიტიკურ რიტორიკასა თუ მედია დისკურსში. პოსტკომუნისტური პერიოდის პირველი ათწლეულის დასრულებისათვის უკვე კლიშედ გადაიქცა იმის ხსენება, რომ 1989 წლიდან „სამყარო რადიკალურად შეიცვალა. ავტორიტარულიდან დემოკრატიულ სისტემაზე გადასვლა ორი ძირითადი დევიზის ქვეშ მიმდინარეობდა: გეგმიდან ბაზრისაკენ და დიქტატურიდან დემოკრატიისაკენ“ (Kennedy 2002, 1). თუმცა პოსტსაბჭოთა სივრცის გარკვეულ რეგიონებში ათწლეულების მანძილზე ჩაკეტილი ინფორმაციული სისტემის მზის შუქზე გამოსვლა მტკივნეული და ხანგრძლივი პროცესი აღმოჩნდა, რომლის ტრავმათა და წინააღმდეგობათა შესწავლა და მოშუშება დღემდე არ დასრულებულა.

ერთ-ერთი ამგვარი ნიშანდობლივი ფენომენი იოსებ სტალინის ფიგურაა, რომლის პოსტსაბჭოთა პოპულარობა წარსული წინააღმდეგობების გამოძახილად გვევლინება და რომლის ტრავმული ხასიათიც მხოლოდ დღეს ხდება არსებითი კვლევის საგანი. სტალინის პიროვნება წინააღმდეგობრივი თავად საბჭოთა პერიოდში გახდა. მისი იმიჯი ათწლეულების მანძილზე გმირი რევოლუციონერიდან ხალხთა ბელადამდე, გენერალისიმუსამდე, დაბოლოს, არც მეტი, არც ნაკლები, ნახევარ-ღმერთამდე ტრანსფორმირდა.

გარდაცვალებიდან სამი წლის თავზე კი პიროვნების კულტი სტალინისავე მემკვიდრეების მიერ იქნა მხილებული და იგი ტირანად და კრიმინალად გამოცხადდა.

ამგვარი "მკრეხელობით" აღშფოთებული ქართული საზოგადოება ბელადის დამცირებას სპონტანური პროტესტით გამოეხმაურა, რასაც 1956 წლის 9-10 მარტის სისხლიანი მოვლენები მოჰყვა. შემდგომი გართულებების თავიდან ასაცილებლად აიკრძალა საჯარო სივრცეში სტალინის როგორც კრიტიკა ასევე მისი განდიდებაც. პიროვნების კულტის დანგრევა დაუსრულებელ პროექტად გადაიქცა. როგორც კი 80-იანების მეორე ნახევრიდან „გარდაქმნისა“ და „ხმეერების“ პოლიტიკის ქვეშ რეჟიმის სტალინური სტრუქტურა რეფორმებს დაექვემდებარა და თავად სტალინის პიროვნებაც საჯარო დისკუსიის საგანი გახდა, საბჭოთა კავშირი დაიშალა, სტალინის პიროვნების კულტი კი აღორძინდა.

წინამდებარე ნაშრომი სწორედ სტალინის მიმართ შექმნილ პოზიტიურ დამოკიდებულებას იკვლევს საქართველოს პოსტსაბჭოთა სოციო-კულტურულ კონტექსტში. როგორც ბიბლიოგრაფიული კვლევა გვაჩვენებს ლიტერატურული დისკურსი პოსტსაბჭოთა საქართველოში ის სივრცეა, სადაც საკმაოდ ფართოდ გაიშალა სტალინისტური განწყობების, დამოკიდებულებების და არგუმენტების მოგროვებისა და (გა)დამუშავების სამუშაოები. სწორედ ამ ლიტერატურული არგუმენტების მოგროვება და კონტექსტუალიზაცია მოგვცემს მასალას პოსტსაბჭოთა საქართველოში სტალინის პოპულარობის მიზეზების გაგებისათვის.

როგორც ლიტერატურის მიმოხილვაში ვაჩვენებ სტალინისტური განწყობების მიზეზები მრავალი მკვლევრის ძიების საგანი გახდა ბოლო წლების განმავლობაში. რა თქმა უნდა, არსებულ აკადემიურ ლიტერატურას წინამდებარე კვლევის ფარგლებშიც დავეყრდნობი მასალის ანალიზისას, თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ლიტერატურაში წარმოქმნილი სტალინისტური დისკურსი, რასაც ასევე *პოსტსაბჭოთა სტალინიად* შეგვიძლია ვუწოდოთ, ქართველ თუ უცხოელ მკვლევართა ყურადღების საგანი ჯერ არ გამხდარა, მიუხედავად იმისა,

რომ იგი სტალინისტური განწყობების ერთ-ერთი ყველაზე უფრო დიდი და სრული საცავია.

აკადემიური ლიტერატურის მიმოხილვის ნაწილში თავი მოვუყარე ნაშრომებს, რომლებიც სტალინისადმი პოზიტიურ განწყობას რაოდენობრივი და თვისებრივი მონაცემების მეშვეობით იკვლევს და ამ ფენომენს ასაკით, ტერიტორიული ფაქტორით, განათლების დონით, ნოსტალგიითა და ნაციონალური სიამაყით ხსნის. წინამდებარე ნაშრომი კი ამ საკითხში ორ სიახლეს შეიტანს: (1) ჯერ-ჯერობით არ მომხდარა იმის შესწავლა, თუ როგორი ფორმით გამოიხატება სტალინისადმი აღფრთოვანება ლიტერატურაში. წინამდებარე ნაშრომი სრულ ბიბლიოგრაფიულ კვლევას განახორციელებს 1988-2021 წლების სტალინისტური ლიტერატურისა. გარდა ამისა, (2) სტალინით აღფრთოვანების ფენომენს ეს ნაშრომი კულტურული (კოლექტიური) ტრავმის თეორიულ ჩარჩოში მოათავსებს. რისთვისაც ორი საფუძველი არსებობს, - ერთი მხრივ, 1921-2021 წლების სტალინისტურ პუბლიკაციათა ბიბლიოგრაფიული (სტატისტიკური) სურათი სტალინის სიმბოლოს აღზევების, განდევნისა და დაბრუნების ეპიზოდებად შეიძლება დაიყოს<sup>1</sup>, მეორე მხრივ კი, — პოსტსაბჭოთა პერიოდის პუბლიკაციებში მოცემული რეფლექსიები, სიკვდილის შემდგომ სტალინის სახელის შერყვნას მის ქართულ წარმომავლობას უკავშირებს.

აქ სტალინი განხილული იქნება როგორც ნაციონალური სიმბოლო, რომელიც ამბივალენტურობით ხასიათდება. ამ ტერმინის ღრმა განმარტებას ქვემოთ შევეცდები, აქ კი აღვნიშნავ, რომ სტალინი სადავო (contested) ნაციონალური სიმბოლოს ამკარა მაგალითს წარმოადგენს, რადგან ყოველ დადებით გამოვლინებას თან ახლავს მისი ნეგატიური კუთხით რეპრეზენტირება. მაგალითად, გორში არსებული სტალინის სახლ-მუზეუმი უკვე ათწლეულებია რაც სტალინისტების თავშეყრისა და მათი სიამაყის გამოხატვის მნიშვნელოვან ადგილს წარმოადგენს. მის საპირწონედ კი 2009 წელს თბილისში „ოკუპაციის მუზეუმი“ დაარსდა, რომელშიც სტალინი —

---

<sup>1</sup> განდევნილის დაბრუნება ფსიქოანალიზური თეორიული ჩარჩოს ტრავმის ძირითადი მექანიზმია, რომელიც ფროიდის მიერ თავის უკანასკნელ ნაშრომ „მოსე და მონოთეიზმში“ კულტურული ტრავმისა და ებრაელი ერის ჩამოყალიბების კონცეფციად იქნა გადამუშავებული (Freud 1964).

ორჯონიკიძესა და ბოლშევიკური პარტიის სხვა მოღვაწეებთან ერთად — ექსპოზიციის ძირითადი ანტი-გმირია. ასევე დიდი საზოგადოებრივი გამოხმაურება მოჰყვა სტალინის ხატს, რომელიც მეუფე ილარიონთან და დედანინოსთან ერთად პოპულარული თოქშოუს მონაწილეები გახდნენ (სამხარაძე 2016). სტალინის ხატის საპასუხოდ კი ინტერნეტსაიტებსა და სოციალურ ქსელებში გამოქვეყნდა ინფოგრაფიკა, რომელზეც ქართული ნაციონალური თავისებურებების მაგალითებზეა განმარტებული სტალინური რეპრესიებისა და წმენდების მასშტაბები (Kapanadze and Macharashvili 2013).

სტალინის წინააღმდეგობრიობა სხვადასხვა ფორმით ვლინდება. მუზეუმებისა და ხატების პარალელურად დიდ ყურადღებას იქცევდა სტალინის ძეგლები და მონუმენტები. 2010 წლის ივნისში სტალინის გორის ცენტრალურ მოედანზე აღმართული ძეგლი აღებულ იქნა, რომელიც 1952 წლიდან მოყოლებული იდგა სტალინის მშობლიურ ქალაქში. სტალინის ძეგლის გარშემო შექმნილ დისკუსიებს აქ დეტალურად არ შევხები, მაგრამ აღვნიშნავ, რომ 2012 წლიდან მოყოლებული, ხელისუფლების არჩევნებით შეცვლის შემდეგ დაიდგა სტალინის რამდენიმე ახალი ბიუსტი და ძეგლი ჩოხატაურსა და თელავში. ამის საწინააღმდეგოდ გარკვეულ ჯგუფებმა სტალინის ძეგლებისა და ბიუსტების ვარდისფრად შეღებვა დაიწყეს, რასაც ფართო მხარდამჭერი გამოხმაურება მოჰყვა ინტერნეტ სივრცეში გამოქვეყნებული ვიდეოების სერიის სახით სახელწოდებით “მე შევღებე სტალინის ძეგლი”. ვიდეოებზე ასახული ადამიანები საკუთარ თავზე იღებდნენ ამ ვანდალური აქტის განხორციელებას და ამას საამაყო საქმედ მიიჩნევდნენ<sup>2</sup>. ზემოხსენებული მაგალითები ადასტურებს, რომ სტალინი დღემდე წინააღმდეგობრივი, სადავო სიმბოლოა, რომლის გამოვლინებებიც, სტალინისტებთან თუ ანტი-სტალინისტებთან, ბოლო წლებში ინტენსიური აკადემიური კვლევის საგანი გახდა.

რაც შეეხება აქამდე კვლევის მიღმა დარჩენილ ლიტერატურული დისკურსის სფეროს, მასში მიმდინარე დებატები სტალინისტებსა და ანტი-

---

<sup>2</sup> აღნიშნული საკითხი მრავალი აკადემიური პუბლიკაციის კვლევის საგანია, ერთ-ერთი ბოლო ნაშრომისათვის იხ. Kekelia and Reisner 2021.

სტალინისტებს შორის არანაკლებ მძაფრი და ინტენსიურია. კერძოდ კი, საუბარია პუბლიკაციებზე, სხვადასხვა ჟანრის წიგნებზე, რომლებიც დაიწერა სტალინის შესახებ და გამოქვეყნდა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ. დროითი ჩარჩოების ამგვარი განსაზღვრა შეიძლება ერთი შეხედვით შემთხვევითი და არასპეციფიკური ჩანდეს, თუმცა სტალინის შესახებ გამოქვეყნებული პუბლიკაციები, რომელთაც დეტალურად მიმოვიხილავ კვლევის მეთოდოლოგიის აღწერის ნაწილში, მკვეთრ წყვეტას განიცდის 1956 წელს, 1989 წლიდან მოყოლებული კი ვაკვირდებით მათ აღორძინებას, დაბრუნებას და რეანიმაციას. სწორედ სტალინისადმი ამ ახლად აღორძინებული ტრფიალის ანალიზი და მისი მიზეზების კვლევა იქნება წინამდებარე ნაშრომის ამოცანა. ამისთვის კი ნაჩვენები იქნება, თუ როგორ გამოხატულებას პოეზებს პოსტსაბჭოთა ქართული სტალინისტური განწყობები ლიტერატურულ დისკურსში.

## 2. კვლევის ჰიპოთეზა: დესტალინიზაციის ტრავმა

სტალინისტური ლიტერატურის ფენომენი, რომლის დასაწყისსაც 1989 წლით განვსაზღვრავთ, კულტურული ტრავმის *სიმპტომად* იქნება განხილული. ბიბლიოგრაფიული კვლევა სტალინის პერიოდში დაგროვებულ უზარმაზარ ლიტერატურას ავლენს, რომელიც პიროვნების კულტის იდეოლოგიურ-პროპაგანდისტულ საფუძველს ქმნიდა, ხოლო აკადემიურ ლიტერატურაში, რომელსაც ქვემოთ მიმოვიხილავთ, სიღრმისეულადაა შესწავლილი ის თუ როგორ ხდებოდა ამ პერიოდის ქართველ ავტორთა მიერ სტალინის სიმბოლოს ქართული ნაციონალური ელემენტებით შემკობა. შესაბამისად, არსებობის უფლება აქვს მოსაზრებას, რომ პოსტსაბჭოთა საქართველოში სტალინის განდიდება ახალი ფენომენი არ არის. თუმცა ის ისტორიული გარემოებები რომლებიც წინ უძღოდა თანამედროვე საქართველოში სტალინისტური ლიტერატურის რეანიმაციას, — კერძოდ კი, ერთი მხრივ, ხრუმჩოვის დესტალინიზაციის შოკური გამოცდილება და თბილისის 1956 წლის მარტის სისხლიანი მოვლენები, მეორე მხრივ კი, სტალინის ფიგურის საზოგადოებრივი

დისკურსიდან ოცდაათწლიანი განდევნა, — საჭიროს ხდის თანამედროვე სტალინიადის ახალი ტრავმული გარემოს პირობებში ანალიზს.

სტალინისტურ ტექსტებში, რომლებიც “საჯაროობისა” და შემდგომ დამოუკიდებლობის აღდგენის პირობებში იქმნება, ავტორები ცდილობენ არა უბრალოდ სტალინის ფიგურის განდიდებას, როგორც ეს სტალინიზმის პერიოდში ხდებოდა, არამედ ამასთან ერთად, მისი სახელის რეაბილიტაციას, წაყენებული ბრალდებებისაგან განთავისუფლებას. ამ მცდელობის წინააღმდეგობრიობა, ნოვატორობა მიდგომებისა და მეთოდების თვალსაზრისით და ინტენსივობა რომლითაც იგი ხორციელდება სწორედ *კულტურული ტრავმის* კონცეფციით შეიძლება იქნეს ახსნილი.

დასმულ საკითხებზე პასუხების ძიება შეზღუდული ქრონოლოგიით, ანუ სიმპტომიდან პრობლემის პირველწყაროს განსაზღვრისკენ წარიმართება. კვლევა იწყება სტალინისტური მითების მოგროვებით, რომლებიც სტალინის ქართულ ნაციონალურ გმირთა პანთეონში მოთავსებას ცდილობს. ხოლო სტალინის ქართველობა საბჭოთა კონტექსტში ინტერპრეტირებულია, როგორც სტალინის სახელის შებღალვის მთავარი მიზეზი. შესავალში მოკლედ აღვწერთ სტალინის ტრავმის ჰიპოთეზას და კვლევის თანმიმდევრულ ეტაპებს, რომელთა საშუალებითაც აღნიშნული ჰიპოთეზა პოულობს დადასტურებას.

ამასთან ერთად, თეორიული ჩარჩოს განხილვაში ერთმანეთთან შეპირისპირებული იქნება კულტურული ტრავმის ესენციალისტური და კონსტრუქტივისტული მიდგომები, რომელთაგანაც პირველი მიიჩნევს, რომ გარკვეული შოკური მოვლენები თავისთავად ტრავმული პოტენციალის მატარებელია (Eyerman 2013), ხოლო მეორე მიდგომა თვლის, რომ კოლექტიური ტრავმა საჭიროებს დისკურსულ კონსტრუირებას, რათა ტრავმული გამოცდილება გადაეცეს საზოგადოების იმ წევრებს ვისაც იგი უშუალოდ არ განუცდია (Alexander 2012, Smelser 2004, Sztompka 2004). თუმცა შემოთავაზებული ორი პერსპექტივა შევსებული იქნება თეორიული მიდგომით, რომელიც კულტურული ტრავმის დაფიქსირებას ირიბი ნიშნების, ე. წ. სიმპტომების მოძიებისა და ანალიზის გზით ახორციელებს (Etkind 2013, Эппле 2020).



სტალინისტური ტექსტები განხილული იქნება ნაციონალისტური რიტორიკის ნაწარმოებებად, სადაც ავტორები ცდილობენ სტალინს ქართული ეროვნული ღირებულებების კოორდინატთა სისტემაში მოუძებნონ ადგილი. ამგვარი მიზნის განხორციელებისათვის კი სტალინისტ ავტორთა უპირატესი მეთოდი მისი მითოლოგიური რეპრეზენტირებაა. შესაბამისად, სტალინისტურ პუბლიკაციათა და, ზოგადად, სტალინის ფენომენის ანალიზისათვის გამოყენებული იქნება ნაციონალური იდეოლოგიის კვლევის მიმართულეებით შექმნილი კონცეპტუალური საშუალებები, რომლებიც იმ ფართო კულტურული კონტექსტის განსაზღვრაში დაგვეხმარება, რომელშიც სტალინისტური ტექსტები იქმნება 1989 წლიდან მოყოლებული.

სტალინისტური ტექსტების ზედაპირულ წაკითხვამ ნაციონალური სიამაყის ბანალური გამოვლინების შთაბეჭდილება შეიძლება დატოვოს. ვერ გავუქცევით იმ ფაქტს, რომ სტალინი ერთადერთი ეთნიკური ქართველია, რომლის სახელიც მსოფლიოს მასშტაბითაა ცნობილი. არ არის გასაკვირი, რომ ეს ცნობადობა სიამაყის განცდას იწვევს და მრავალ ქართველს ცნობიერად თუ არაცნობიერად მის მიერ ჩადენილ დანაშაულთა უგულებელყოფის ან გამართლებისაკენ უბიძგებს. ზემოთქმულიდან გამომდინარე, კითხვაზე თუ რა იკითხება სტალინისტურ ლიტერატურაში წარსულსა და აწმყოს მიმართ გამოვლენილ შეფასებებსა და დამოკიდებულებებში, ამ კვლევაში პასუხად შემოთავაზებული იქნება *კულტურული ტრავმის* ცნება, რომლის დასაბუთებასაც შევეცდებით არა მხოლოდ იმით რაც სტალინისტურ ლიტერატურაში შეიძლება იქნეს მოძიებული, არამედ იმითიც რაზე საუბარსაც სტალინისტური ლიტერატურა თავს არიდებს.

### *მითის თეორია*

სტალინის პოზიტიური ხატის შესწავლისას მრავლად მოგვიწევს ისეთი მეთოდების გამოვლენა, რომელიც ფაბრიკაციას, მანიპულაციასა და უბრალოდ ისტორიულ უზუსტობას გულისხმობს. ამგვარი მეთოდებით შექმნილი ნარატივები შესაძლოა ზღაპრებად, ლეგენდებად და მითებად იქნეს

სახელდებული. წინამდებარე კვლევაში რამდენიმე მიზეზის გამო ყურადღებას მითის ცნებაზე შევაჩერებ. ზოგჯერ ტექსტში გამოყენებულია ტერმინი “ლეგენდა”, თუმცა ისიც მითის მნიშვნელობას ატარებს.

პირველი მიზეზი ის არის, რომ სტალინისტური ნარატივების შესწავლისას ტერმინი მითი უკვე გამოყენებული აქვთ რიგ ქართველ ავტორებს. პიონერი ამ თვალსაზრისით იყო ხელოვნებათმცოდნე აკაკი ბაქრაძე, რომელიც სტალინის პოეზიაში განდიდებას, რაც 1930-იან წლებიდან იწყება მოიხსენიებს არა უბრალოდ სახოტბო ჟანრად, ანუ ჟანრად რომელსაც ისტორიულად თავისი ფუნქცია ენიჭებოდა პოლიტიკურ სფეროში, არამედ სტალინის პიროვნების მითოლოგიზაციად (არილი 2000, #18, გვ. 36). ამ ფენომენის ანალიზისთვის შესაფერის თეორიულ ჩარჩოდ ბაქრაძეს მონიშნული აქვს ორტეგა-ი-გასეტის „ადამიანი-მასისა“ და ნიცშეს „ზეკაცის“ იდეები (იხ. იქვე).

სტალინით აღფრთოვანებას მითების შექმნის მიზეზად მოიხსენიებს ასევე ისტორიკოსი გურამ ყორანაშვილი, რომელსაც მისი პიროვნებისადმი მიძღვნილი აქვს მონოგრაფია (სტალინის ფენომენი: შტრიხები პორტრეტისათვის 2006) და ასევე გამოკვლეული აქვს სტალინისა და ილიას ურთიერთობის მითოლოგიური ეპიზოდის წარმომავლობა (ილიას ფენომენი 2007). მართალია ყორანაშვილი უშუალოდ მითის თეორიას არ ეყრდნობა და არც კერძოდ სტალინისტური მითის თეორიას ავითარებს სიღრმისეულად, თუმცა მისი ნაშრომი (2006), სადაც გაკრიტიკებულია ქართველ ისტორიკოსთა მონოგრაფიები სტალინის შესახებ, მნიშვნელოვან მიგნებებს შეიცავს იმ მეთოდოლოგიურ ნაკლოვანებათა გამოვლენაში, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან სტალინის მიკერძოებული, პოზიტიური სურათის შექმნაში.

გვიანდელი პუბლიკაციებიდან კი უნდა აღინიშნოს „13 მითი სტალინის შესახებ“ (კუპატაძე და ცუცქირიძე 2016) და ორტომეული „სტალინის იდეოლოგემა და მითოლოგემა ქართულ საბჭოთა და ემიგრანტულ ლიტერატურაში“ (ბრეგაძე და ლომიძე (რედ.) 2019). აღნიშნული პუბლიკაციები სტალინისტური ნარატივების დემითოლოგიზაციას ისახავს მიზნად. მათ ქვემოთ განვიხილავთ დეტალურად.

შესაბამისად, ტერმინ „მითის“ გამოყენება სტალინისტური ნარატივების შესწავლისას სიახლეს არ წარმოადგენს, თუმცა როგორც ლიტერატურის მიმოხილვა გვიჩვენებს, არ არის შესწავლილი, ერთი მხრივ, უშუალოდ პოსტსაბჭოთა პერიოდის სტალინისტ ავტორთა ნაშრომები და მათი რიტორიკული მეთოდები სტალინისტური ნარატივების გადმოცემისა და მითოლოგიური გადამუშავების თვალსაზრისით, მეორე მხრივ კი, არ მოიპოვება უშუალოდ მითის ცნების თეორიული დამუშავება. ის გამოყენებულია თავისი ყოველდღიური მნიშვნელობით, ანუ ტყუილის, გამონაგონის, ზღაპრის გამომხატველ სიტყვად. ამგვარი მიდგომა კი სტალინით აღფრთოვანების ღრმა სოციალურ-კულტუროლოგიური მიზეზების კვლევას ხელს არ უწყობს. ამ ხარვეზის ამოსავსებად წინამდებარე ნაშრომში სტალინისტური ნარატივები მითის ანთროპოლოგიის დარგში შემუშავებული კლასიკური სტრუქტურალისტური თეორიით იქნება განხილული, რომელიც საშუალებას მოგვცემს სტალინისტური ნარატივების ფორმირების მრავალი სტრატეგიის გაერთიანებას ერთი თეორიული ჩარჩოს ქვეშ.

განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა სტრუქტურალისტ როლანდ ბარტის თეორიას (Barthes, *Mythologies* 1991). მითის მისი კონცეფცია და მასთან მიმართული ცნებები, რომლებიც მითის არსსა და წარმოქმნის მექანიზმებს განმარტავს, სტალინისტ ავტორთა სტრატეგიებსაც შეიძლება მოვარგოთ. ბარტის განმარტებით, მითოლოგია კოლექტიური რწმენების ერთობლიობაა, რომლებიც მიიჩნევა, რომ ბუნებრივი და უნივერსალურია (Barthes, *Image, Music, Text: Essays* 1977, 165). სტალინის ქართულ ნაციონალურ მითოლოგიაში მოთავსება კი სწორედ რომ გარკვეული ნარატივების ინტენსიური გამეორებით ხორციელდება. ანალიზი აჩვენებს, რომ მათში მოვლენებისა და ფასეულობების შემოთავაზებული ინტერპრეტაცია ისტორიული კონტექსტის უგულებელყოფითაა განხორციელებული. მაგალითად, სტალინის ლექსების საკითხს რომ შევხვით, ვნახავთ, რომ, ერთი მხრივ, მოზარდის პოეზიით გატაცებაში შეიძლება არაფერი განსაკუთრებული არ იყოს, მაგრამ სტალინის შემთხვევაში მისი მოღვაწეობის ეს ეპიზოდი ისეა მოწოდებული სტალინისტების

მიერ, თითქოს ის შეუძლებელია განსაკუთრებული არ იყოს. ამავე რიგის მოვლენაა 1937-38 წლების მასობრივი წმენდების ნორმალიზაცია, ან, — 1990-იანების მძიმე გამოცდილების გათვალისწინებით, — დემოკრატიის გამოცხადება სტალინურ ტერორზე უფრო სისხლიან რეჟიმად. თუმცა, აქვე უნდა ითქვას, რომ მითის ფუნქციის კუთხით კავშირი ბარტის ინტერპრეტაციასა და წინამდებარე კვლევის საგანს შორის პრობლემურია. გამომდინარე აქედან, სტალინისტური მითების ფუნქციის ანალიზისას ყურადღება არა ძალაუფლების ურთიერთობებზე, არამედ კულტურული ტრავმის ცნებაზე გაკეთდება.

ბოლოს უნდა აღინიშნოს, რომ სტალინისტური მითოლოგია მითის ისეთ უნივერსალურ ხასიათსაც ატარებს, როგორც ნარატიული ბირთვის, ანუ *მითოლოგიის* მუდმივი გადამუშავებაა (Blumenberg 1985), რაც ნარატივის შევსება-დამატებას, ახალ აღმოჩენებსა და მისი მუდმივი აქტუალობის შენარჩუნებას გულისხმობს. გამომდინარე აქედან, შესაბამის თავში მიმოხილული იქნება მითის კლასიკურ კულტურულ-ანთროპოლოგიური ჟანრის კვლევებში შექმნილი თეორიები, რომლებიც სოციალური, რელიგიური და იდეოლოგიური (პოლიტიკური) პერსპექტივებიდან მსჯელობენ მითის კრიტიკის შესაძლებლობებზე.

### **ნაციონალიზმის თეორია**

სტალინის "გაქართველება" ერთ-ერთი ძირითადი სტრატეგიაა, რომელსაც პოსტსაბჭოთა სტალინისტურ პუბლიკაციებში მიმართავენ. შესაბამისად, ქართული ნაციონალური სიმბოლიკის ანალიზი, რომელიც ამ ტექსტებში გვხვდება, კვლევის ერთ-ერთი ძირითადი ამოცანა იქნება. გარდა ამისა, ისტორიული პერსპექტივიდან სტალინის, საბჭოთა კავშირისა და ამ უკანასკნელის დაშლის ფენომენები, ბუნებრივია, ერთმანეთთან იკვეთება. დაშლის შემდგომ კი, ისტორიკოს და სოვეტოლოგ გრიგორ სიუნის დაკვირვებით, ნაციონალიზმი არა უბრალოდ დომინანტური იდეოლოგია გახდა, არამედ თავად შეასრულა მთავარი როლი საბჭოთა კავშირის დაშლაში (Suny 1993).

ქვემოთ შემოთავაზებული იქნება ნაციონალიზმის თეორიული ლიტერატურის მცირე მიმოხილვა, რომელიც, ერთი მხრივ, აღწერს ქართული ნაციონალური სურათის შესწავლის ბოლო წლების ტენდენციებს, სადაც იკვეთება ინტერესი დიქტომიური მოდელის მიმართ (დასავლური/აღმოსავლური და სამოქალაქო/ეთნიკური ნაციონალიზმები). ასეთი მოდელის თავიდან არიდების მიზნით კი გამოყენებული იქნება *ნაციონალური მითის* კონცეფცია, რომლის გარშემო შემუშავებული მიდგომებით (Schopflin and Hosking 1997, G. Bouchard 2013) მითი უნივერსალური კატეგორიაა, რომელიც ნებისმიერი ნაციონალიზმს ახასიათებს, თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ ყველა მითს თანაბარი პოზიტიური ღირებულება აქვს თანასწორობის ერთიანობისა და სხვა სოციალური თვისებებისა და ფუნქციების კუთხით.

სწორედ ნაციონალიზმის კვლევები და მითის სტრუქტურალისტური თეორია ქმნის ნაშრომის ცნებით-ინსტრუმენტულ აპარატს, რომელიც სტალინისტური პუბლიკაციების ღრმა ანალიზს გახდის შესაძლებელს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ, ბოლო ათწლეულების აკადემიური ტენდენციების მიხედვით, ნაციონალიზმის მკვლევრები სულ უფრო მეტ ინტერესს იჩენენ მითის ცნების მიმართ. იგულისხმება კვლევათა მიმართულება რომელშიც ხორციელდება იმ ნარატივთა ძიება-ანალიზი რომლებიც, ერთი მხრივ, ერი-სახელმწიფოს პოლიტიკური თუ კულტურული იდენტობის საფუძვლებს ქმნის, ხოლო, მეორე მხრივ, ერთობისათვის საჭირო ემოციურ განწყობებს უზრუნველყოფს. ამგვარი სოციალური ფუნქციების შესრულება ნაციონალურ იდეოლოგიებში აკისრია ნარატივებს, რომლებსაც მკვლევრები მითოლოგიურ კონსტრუქტებად განიხილავენ.

ამასთან ერთად, სტალინისტურ ტექსტებში ხშირად ვაწყდებით ქართული ეროვნული სიმბოლოებით მანიპულაციას არგუმენტაციული (ექსპლიციტური) და სტრუქტურული (იმპლიციტური) ფორმებით. ასე, მაგალითად, ნაშრომში ცალკე თავი დაეთმობა სტალინის პოეზიას, რომელიც მას ქართული ეროვნული იდეოლოგიის ისეთ სიმბოლოებთან აკავშირებს, როგორებიც არიან ილია

ჭავჭავაძე და იაკობ გოგებაშვილი, რაც სტალინისტთა ერთ-ერთ ძირითად საარგუმენტაციო იარაღს წარმოადგენს მისი პოზიტიური კუთხით წარმოჩენის საქმეში. ლექსებით გატაცება ჩემ მიერ განმარტებული იქნება, როგორც სტალინის რეიდოლოგიზაციის მცდელობა, რაც გულისხმობს, ერთი მხრივ, მისი ბოლშევიკური იდეოლოგიისგან დისოციაციას (დეარტიკულაციას) და, ამავე დროს, მის ქართულ ნაციონალურ იდენტობასთან დაკავშირებას (არტიკულაციას).

მანიპულაციას კი სტალინის პოეტური გატაცების ნარატივში შემდეგი ფორმა ეძლევა: (1) რახან ილიამ მოიწონა მოზარდი იოსებ ჯუღაშვილის ლექსები და დაბეჭდა ისინი „ივერიაში“, ხოლო იაკობ გოგებაშვილმა ლექსი „დილა“ შეიტანა „დედაენაში“, შესაბამისად, სტალინის ლექსები ნამდვილ პოეტურ ნიჭზე და ეროვნულ განწყობებზე მიუთითებს (ექსპლიციტური არგუმენტი); (2) სტალინის „დილა“ იბეჭდება ქართველ პოეტთა რჩეული ლექსების სხვადასხვა კრებულში (იმპლიციტური, სტრუქტურული არგუმენტი). ბეჭდვით მედიაში განვითარებული ამგვარი პროცესები გაანალიზებული იქნება ერიკ ჰობსბაუმის *გამოგონებული ტრადიციის* ცნების გამოყენებით (Hobsbawm and Terrance 1993 [1983]). ასევე თეორიულ საკითხს წარმოადგენს ბეჭდვითი სიტყვის გავლენა ნაციონალური იდეოლოგიის ფორმირება-გავრცელებაზე, რაც ბენედიქტ ანდერსონის *წარმოსახვითი საზოგადოების* თეორიის მეშვეობით იქნება განხილული (Anderson 1991 [1983]).

### ***კოლექტიური ტრავმა***

სტალინისტური ლიტერატურის გაცნობისას, რაც საერთო ჯამში 1989 წლიდან 2021 წლის ჩათვლით გამოცემული 60-მდე წიგნის დეტალურ შესწავლას გულისხმობდა (რომ არ ვახსენოთ სტატიები და ინტერნეტ-ბლოგები), შეუძლებელი იყო ყურადღება არ მიმეცია იმისათვის, რომ სტალინისტი ავტორები, გამონაკლისის გარდა<sup>3</sup>, თავის ნაწერებში არ ახსენებენ 1956 წლის

---

<sup>3</sup> ერთადერთი ასეთი გამონაკლისია სტალინისტი გრიგოლ ონიანი (იხ. 2016, 229-236).

მარტის სისხლიან მოვლენებს, მიუხედავად იმისა, რომ ეს მოვლენა ქართული საზოგადოების მიერ სტალინის ღირსების დაცვისა და მისი ქართული ეროვნული თვითმყოფადობის სიმბოლოდ ტრანსფორმირებად შეიძლება იქნეს მოწოდებული. ამასთან ერთად, სტალინის ავტორთა ნაწერებში სტალინის მემკვიდრეების, განსაკუთრებით კი ნიკიტა ხრუშჩოვის კრიტიკა საკმაოდ ხშირად გვხვდება. ჩნდება შეკითხვა, თუ რატომ არ არის გამოყენებული 56-ის მარტის მოვლენები თუნდაც ხრუშჩოვის პოლიტიკის კიდევ ერთხელ დასაგმობად?

შემდგომ თავებში მიმოხილული იქნება 1956 წლის თბილისის 9 მარტის სისხლიანი მოვლენების გარშემო არსებული ლიტერატურა, რომელიც ქართულ პრესაში 1988 წელს, ანუ მხოლოდ 32 წლის გასვლის შემდეგ ჩნდება “საჯაროობის” პოლიტიკის პირობებში. პუბლიკაციებში ავტორები დავიწყებული მოვლენების რეკონსტრუირებასა და ინტერპრეტაციას ცდილობენ. მომდევნო წლებში კი აღნიშნული მოვლენები ერთ-ერთ ფუძემდებლურ სიმბოლოდ იქნა გამოცხადებული როგორც პუბლიცისტურ სტატიებში, ისე აკადემიურ პუბლიკაციებში, რომელთა რიცხვი წლიდან წლამდე მნიშვნელოვნად იზრდება. 9 მარტის სისხლიან მოვლენებს საბჭოთა იდეოლოგიისაგან განჯადოებისა და, ასევე, ეროვნული თვითმყოფადობის ერთგვარი რენესანსის მნიშვნელობები მიენიჭა, რის კონტექსტშიც მუდმივად მზარდი პუბლიკაციები, კოლექტიური ტრავმის (Sztompka 2004) კონსტრუირების მცდელობად შეიძლება იქნეს აღქმული.

დესტალინიზაციის პროცესს განვიხილავ როგორც საბჭოთა რეჟიმის განგრძობადი მეხსიერების პოლიტიკას. ამისთვის დავეყრდნობი სტალინის პიროვნების კულტის *რეპრესიული წაშლის* ტაქტიკას<sup>4</sup>. თავდაპირველი ჩანაფიქრის მიხედვით პიროვნების კულტის წაშლას ძალადობრივი ფორმა არ უნდა ჰქონოდა, რაზეც, პირველ რიგში, ის მოწმობს, რომ პიროვნების კულტის

---

<sup>4</sup> პოლ კონერტონი დავიწყების შვიდ ტიპს გამოყოფს. რომელთაგანაც *რეპრესიული ამოშლა* (repressive erasure) დავიწყების ყველაზე ძალადობრივ ფორმად შეიძლება იქნეს მიჩნეული, რომლის მაგალითებიც განსაკუთრებით მდიდარია თანამედროვეობის ტოტალიტარულ-ავტორიტარულ რეჟიმთა ისტორიები (Connerton 2008). ძალადობრივი წაშლის ტაქტიკა შეიძლება გამოყენებულ იქნეს ისტორიული წყვეტის უარყოფის, ან პირიქით წყვეტის გამოწვევის მიზნით (იხ. იქვე, 60).

შესახებ მოხსენება XXI ყრილობაზე საიდუმლოდ იქნა წაკითხული. თუმცა რამდენიმე დღეში თბილისში დაწყებული საპროტესტო მოვლენების ძალადობრივად ჩახშობის შემდეგ სტალინის, ისევე როგორც 9 მარტის სისხლიანი მოვლენების მეხსიერება რეპრესიულ დავიწყებას მიეცა. ორივე მათგანი 80-იანი წლების ბოლოდან ბრუნდება ქართული საზოგადოების მეხსიერებაში ჰიპერბოლიზებული რეკონსტრუირების გზით. თუმცა როგორც ვნახავთ, მეხსიერების აღდგენასთან ერთად ამ პროცესებში ასევე ადგილი აქვს ამნეზიასაც — 9 მარტის ხოცვა-ჟლეტის კონსტრუირებაში ჩართული ავტორები სტალინის პიროვნების კულტის დაკნინებას ცდილობენ, მაშინ როდესაც სტალინისტები ამ მოვლენებზე მსჯელობას საერთოდ გაურბიან.

რატომ გამოაკლდნენ სტალინისტები მარტის ხოცვა-ჟლეტის ნარატივს? რატომ არ სცადეს მათ ამ მოვლენის საკუთარ, სტალინისტურ თარგზე რეინტერპრეტირება? ამგვარი განდევნის, ან ამნეზიის ახსნას ნაშრომის ბოლოს შევეცდები წინააღმდეგობრივ სოციალურ გარემოსთან და ტრავმასთან გამკლავების ისეთი ფსიქოლოგიური მექანიზმების მეშვეობით, როგორცაა *კოგნიტიური დისონანსი* (Festinger 1968) და *განდევნილის დაბრუნება* (Freud 1964).

ამასთან ერთად, კვლევაში დამუშავდება შოკური გამოცდილების შინაარსი სტალინის ორი სიკვდილის თეზისზე დაყრდნობით, რომელთაგანაც პირველი ფიზიკური სიკვდილი იყო (1853 წლის 5 მარტი), ხოლო მეორე — პოლიტიკური (1956 წლის 9 მარტი). მეორე სიკვდილის თარიღად თბილისში განვითარებული 9 მარტის მოვლენათა თარიღი იქნა შერჩეული, რადგან საბჭოთა მასშტაბით დესტალინიზაციის დასაწყისს ყველაზე დიდი და, ამავე დროს, სისხლიანი პროტესტი სწორედ თბილისში მოჰყვა. შესაბამისად, სამართლიანი იქნება თუ დავასკვნით, რომ დესტალინიზაციაზე ყველაზე უფრო მძიმე, შოკური რეაქცია საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკაში დაფიქსირდა.



### 3. მეთოდოლოგია

წინამდებარე ნაშრომის კვლევის დიზაინი საკითხის კომპლექსურობიდან გამომდინარე რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევების შერეულ მეთოდოლოგიას ეფუძნება. მასალის თავისებურების გათვალისწინებით შემოთავაზებული იქნება კვლევის კომპლექსური, ინტერდისციპლინარული დიზაინი, რომელშიც გამოყენებული იქნება სოციალურ და ჰუმანიტარულ დარგთა თეორიულ-მეთოდოლოგიური მიდგომები. პრიორიტეტი, რა თქმა უნდა, თვისებრივ მეთოდებს ენიჭება, ხოლო რაოდენობრივ მეთოდოლოგიას მხოლოდ დამატებითი არგუმენტისა და დემონსტრირების ფუნქცია მიეცემა.

#### *კონტექსტუალიზაცია*

მეთოდოლოგიის კუთხით, რა თქმა უნდა, ყველაზე მეტი ყურადღება ტექსტის ანალიზს დაეთმობა. შესაბამისად მასალის სოციოკულტურულ კონტექსტში მოქცევა აუცილებელი მეთოდოლოგიური ნაბიჯი იქნება კრიტიკული დისკურსული ანალიზის განსახორციელებლად. შემდგომ თავებში დეტალურად იქნება განხილული *კონტექსტუალიზაციის* საკითხთან დაკავშირებული თეორიული გარემოებები. ამასთან ერთად, სტალინის ფიგურის მრავალწახნაგოვანი მნიშვნელობები — სადაც იკვეთება, ერთი მხრივ, ისტორიული და მითოლოგიური, პოზიტიური და ნეგატიური შეფასებები, მეორე მხრივ კი მისგან ემანსიპაციის, ან მისი მემკვიდრეობის უკვდავყოფის სურვილი — საჭიროს ხდის კონტექსტის ფართო განსაზღვრას. თუმცა, მიმდინარე კვლევის მასშტაბებიდან გამომდინარე, ყურადღებას პოსტსაბჭოთა საქართველოსათვის დამახასიათებელ მხოლოდ ორ გარემოებაზე გავამახვილებ: (1) ნაციონალური იდეოლოგია, რომლის აღზევებაც მთლიანად პოსტსაბჭოთა სივრცისთვისაა დამახასიათებელი და სოციოკულტურულ და პოლიტიკურ პროცესთა ძირითად საკომუნიკაციო ენად წარმოგვიდგება, და (2) ავტორიტარულიდან ლიბერალური პოლიტიკური სისტემისაკენ ტრანზიციის პროცესში წარმოქმნილი საბჭოთა წარსულის გააზრების ამოცანა.

ორივე დასახელებული გარემოება მრავალი პერსპექტივიდან შეიძლება იქნეს განხილული. რა თქმა უნდა, ჩემი კვლევის ინტერესს ნაციონალური იდეოლოგიისა და ტრანზიციული პროცესის დისკურსთა ის სეგმენტები წარმოადგენს, სადაც სტალინის სიმბოლოს, ან სტალინიზმის მემკვიდრეობის მნიშვნელობა ყველაზე აშკარაა. მაგალითად, ნაციონალური იდეოლოგიის კონტექსტი, ერთი მხრივ, გამოყენებული იქნება იმის საჩვენებლად, თუ როგორ ხდება სტალინისაგან თანამედროვე, პოსტსაბჭოთა ქართული ეროვნული გმირის ფორმირება, მეორე მხრივ კი, გამოვლენილი იქნება სტალინის რეპრეზენტაციის წინააღმდეგობრიობა სტალინიზმის პერიოდის ნაციონალური პოლიტიკის კონტექსტში, რომლის მემკვიდრეობაც ტერიტორიული კონფლიქტების სახით გამოვლინდა პოსტსაბჭოთა პერიოდში (Chorbajian 1995).

ხოლო რაც შეეხება იდეოლოგიური ტრანზიციისა და საბჭოთა წარსულის გადააზრების პროცესებს, აღნიშნულ საკითხთა პრობლემურობა განხილული იქნება ლუსტრაციის პროექტის კონტექსტში, რომლის საკანონმდებლო ინიცირებაც დროში გაიწელა. ინიცირების (2012) შემდგომ კი ნაწილობრივ შეიზღუდა საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით (2015). ლუსტრაციისა და ნაციონალური იდეოლოგიის კონტექსტები ნათლად წარმოაჩენს ლიტერატურული დისკურსის კავშირს სხვა სოციოკულტურულ სივრცეებში მიმდინარე პროცესებთან და ლეგიტიმაციას აძლევს ამგვარ ფართო ინტერპრეტაციას.

საზოგადოებებში ნაპოვნ ნაციონალურ მითებს ინკლუზიურობისა და ემანსიპატორული თვალსაზრისით შეიძლება ნეგატიური, ან პოზიტიური შეფასება მიეცეს. თუმცა კვლევის მეთოდოლოგია ნებისმიერ შემთხვევაში მითის კრიტიკულ ანალიზს, ანუ დემითოლოგიზაციას გულისხმობს. სტალინის ქართულ ეროვნულ მითოლოგიაში განთავსება კი ის შემთხვევაა, როდესაც ნეგატიური შეფასება, სტალინიზმის რეჟიმთან ასოცირებულ დანაშაულთა გამო, წინ უსწრებს კრიტიკას. მიუხედავად ამისა, სტალინის პოზიტიურად რეპრეზენტირების მცდელობათა კრიტიკა, ბუნებრივია, არ იქნება წარმოჩენილი თავისთავად ცხად პოზიციად, საღ აზრად, რომელსაც ახსნა-განმარტება არ

სჭირდება.

### **დესკრიფციული სტატისტიკა**

საკვლევი მასალიდან გამომდინარე ნაშრომის ძირითადი აქცენტი, ბუნებრივია, კვლევის თვისებრივ მეთოდებზე გაკეთდება, რაც ტექსტური, დისკურსული მასალის ინტერპრეტაციის საშუალებას მოგვცემს. თუმცა, ამავედროულად, საკვლევი მასალის ლეგიტიმურობის, ანუ რეპრეზენტატულობის წარმოსაჩენად ნაშრომის გარკვეული ნაწილი სტალინისტური პუბლიკაციების სიხშირის სტატისტიკური სურათის გამოთვლასა და განხილვას დაეთმობა.

აღნიშნული ამოცანის შესრულება ბიბლიოგრაფიული კვლევით განხორციელდება და გამოავლენს, თუ რა სიხშირით ჩნდება სტალინის სახელი „ეროვნული ბიბლიოთეკის“ პუბლიკაციების (წიგნების) კატალოგში 1920-იანი წლებიდან დღემდე. ნაჩვენები იქნება სტალინის თემატიკის სტაბილური აქტუალურობა 1921-დან 1956 წლამდე (დროის ამ მონაკვეთისთვის მოძიებულ იქნა 400-მდე პუბლიკაცია, უმეტესობა თავად სტალინის ავტორობით), შემდგომ მისი თითქმის გაქრობა ბეჭდური სივრციდან 1956-დან 1989 წლამდე, დაბოლოს სტალინის სიმბოლოს დაბრუნება 90-იანებიდან მოყოლებული დღემდე (მოძიებულ იქნა 150-მდე პუბლიკაცია, რომელთა შორისაც უმრავლესობა პრო-სტალინურია). აღნიშნული მეთოდი ნათელს გახდის მკითხველისთვის, რომ რომელიმე ცალკე აღებული სტალინისტის ნაშრომის განხილვისას საქმე გვაქვს არა იზოლირებულ შემთხვევასთან, რომელიც ქართულ ლიტერატურულ სივრცეში იშვიათი გამონაკლისის სახით არსებობს, არამედ საკმაოდ მძლავრ, მრავალრიცხოვან და მრავალფეროვან ლიტერატურულ პროცესთან.

შესაბამისად, ზემოთ მოხაზულ კვლევის დიზაინში რაოდენობრივი მეთოდის ფუნქცია თვისებრივი კვლევის შედეგების დემონსტრირება და გადამოწმებაა, რის საშუალებასაც თავად თვისებრივი კვლევისათვის დამახასიათებელი მოქნილობა იძლევა (წულაძე 2020, 10, 26). ამასთან ერთად, თითქმის საუკუნის პერიოდის სტალინური პუბლიკაციების (სტალინიადის)

ერთობლიობა სტალინის წინააღმდეგობრივი სიმბოლოს საერთო სურათს ქმნის და კვლევას ისტორიულ განზომილებას აძლევს, რომლის გარეშეც ამგვარი სირთულის სიმბოლოს შესწავლა ზედაპირული და აზრსმოკლებული იქნებოდა (იხ. Pickering 2009, 193-4).

დესკრიფციული სტატისტიკა ასევე გამოყენებული იქნება საქართველოში ლუსტრაციის დისკურსის შესწავლისას. აღნიშნული დისკურსი 90-იანების ბოლოს ჩნდება საგაზეთო სტატიებში. სწორედ ლუსტრაციის თემისადმი მიძღვნილი სხვადასხვა ტიპის პუბლიკაციების მოგროვება მოგვცემს საფუძველს დისკურსის სურათის შექმნისა და მისი შინაარსის ანალიზისათვის (content analysis). ლუსტრაციის დისკურსის სურათსა და დინამიკას რაც შეეხება, ამ თემაზე ჩემ მიერ 1997 წლიდან 2019 წლის ჩათვლით მოძიებულ იქნა 50-ზე მეტი პუბლიცისტური სტატია, რომელთა გამოქვეყნების თარიღთა სტატისტიკა და შინაარსი საკითხის აქტუალობის პიკს 2007-9 წლებში აღწევს, ხოლო 2010-იანების ბოლოს მის მიმართ ინტერესი მკვეთრად კლებულობს. ლუსტრაციის დისკურსის შინაარსობრივ მხარეს რაც შეეხება, რა თქმა უნდა, ჩემ ინტერესს წარმოადგენს, ერთი მხრივ, საზოგადოებაში საბჭოთა წარსულის გადაფასების საკითხის აქტუალობის კვლევა, რაც ისეთი საკითხების გარშემო მსჯელობებში ვლინდება როგორცაა ინტროსპექტული სამართლის განხორციელების მეთოდები და ის, თუ რა როლს თამაშობს სტალინის ფიგურა ლუსტრაციის პოლემიკის ჩარჩოში.

### ***შემთხვევის ანალიზი***

გარკვეულ პუბლიკაციათა გამოქვეყნების კონტექსტი არანაკლებ საინტერესო ინფორმაციას იძლევა იმ დებატების შესახებ, რომლებიც განხილულია თავად ამ პუბლიკაციებში, რის შესასწავლადაც გამოყენებული იქნება შემთხვევის ანალიზის (case study) მეთოდოლოგია. შესწავლილი იქნება 2000-იანების შუა ხანებში წარმოშობილი ლიტერატურული ქვეყანრი, რომელსაც სახელად „დიდი ქართველები“ შეიძლება ვუწოდოთ. სხვადასხვა მასალაზე დაყრდნობით ნაჩვენები იქნება დამსახურებულ, გამორჩეულ ქართველთა სიების სახით წარმოჩენის ლიტერატურული ჟანრი, რომელიც თავდაპირველად 1920-

იანი წლების ქართული პოლიტიკური ემიგრაციის წარმომადგენლების სახელებისა და დაკრძალვის ადგილთა შეგროვებით იწყება და სადაც მათი ემიგრაციაში ცხოვრება პატრიოტული და ნოსტალგიური მოტივებით არის რომანტიზებული. პოლიტიკური ემიგრაციის ლიტერატურის პოპულარიზება 1990-იანებიდან იწყება და „დიდი ქართველების“ ჟანრის წინამორბედად შეგვიძლია განვიხილოთ. ამ ქვეჟანრის განვითარების მომდევნო ეტაპია ტელეშოუ „საქართველოს დიდი ათეულის“ ისტორია, რომლის მიზანიც ინტერაქციული მეთოდების გამოყენებით სახალხო მხარდაჭერის გზით გამორჩეულ ქართველთა რეიტინგის შედგენა იყო. ტელეშოუ ნაადრევად შეჩერდა 2009 წლის იანვარში. შემთხვევის ანალიზის მეთოდით რეკონსტრუირებული იქნება მის გარშემო არსებული პოლემიკური დისკურსი და ის თუ რა როლი ეკავა ამ დებატებში სტალინის წინააღმდეგობრივ ფიგურას, და რა მიზეზების გამო დაიხურა გადაცემა.

ბოლო ეტაპი კი „დიდი ქართველთა“ ლიტერატურული ქვეჟანრის ფართო განვითარებაა, რაც 2008 წლიდან, მრავალფეროვანი თემატური გაფორმებებით მოგვეცა. ერთი მხრივ, ის საწყისებთან, ანუ პოლიტიკური ემიგრაციის ლიტერატურასთან დაბრუნების ტენდენციებს ავლენს, მეორე მხრივ კი, სტალინს სხვა ქართველ მოღვაწეთა რიგში ათავსებს.

„დიდი ქართველების“ ჟანრის პუბლიკაციები იმითაა საინტერესო, რომ ის არ არის სტალინური თემატიკის, თუმცა ამ ჟანრში მოღვაწე ავტორები აშკარად სტალინურ, ან ანტი-სტალინურ დამოკიდებულებებს ავლენენ. გარდა ამისა, ამ ჟანრის პუბლიკაციებში 2012 წელი გარდამტეხი თარიღის როლს ასრულებს, რადგან თუ მანამდე ავტორები თავს არიდებდნენ სტალინის სხვა გამორჩეულ ქართველთა გვერდზე მოთავსებას, 2012 წლიდან სტალინი ამ ჟანრის ნაწარმოებთა განუყოფელ პერსონაჟად გვევლინება.

### ***ტექსტის ანალიზი***

ტექსტები წინამდებარე ნაშრომის ძირითად საკვლევ მასალას წარმოადგენს. სტალინისტური პუბლიკაციების შესწავლა სტალინისტთა

პოზიციის, მათი არგუმენტებისა და მსოფლხედვის ღრმა ანალიზის საშუალებას იძლევა. ამ ტექსტებში იკვეთება ავტორთა სპეციფიკური სტრატეგიები და ტაქტიკები, რომლებიც მკითხველის ნდობის მოპოვებაზეა მიმართული. არგუმენტაციის სხვადასხვა სტრატეგიები და მეთოდები რიტორიკის ფართო სფეროს ელემენტად შეიძლება იქნეს განხილული, რომელიც მსმენელის, მკითხველის, ან ზოგადად აუდიტორიის დარწმუნებაზეა ორიენტირებული (Boréus 2017).

სტალინისტთა მიერ ისტორიის რეინტერპრეტაციის მეშვეობით ახალი სოციალური რეალობის შექმნის მცდელობათა ერთობლიობას "სტალინისტურ დისკურსად" მოვიხსენიებ. დისკურსის ცნების ამგვარ გამოყენებას ორმაგი დანიშნულება აქვს, — ერთი მხრივ, საშუალება მეძლევა კონცენტრაცია მოვახდინო იმაზე, თუ როგორ ხდება სტალინისტ ავტორთა მიერ ენის გამოყენება, აზრის შექმნა და აუდიტორიასთან კომუნიკაცია (დისკურსის კრიტიკული ანალიზი (Fairclough 1992)), მეორე მხრივ კი, ანალიზის ველში მოვაქციო ბეჭდვითი მედია როგორც სტალინისტური დისკურსის განმტკიცებაში აქტიურად მონაწილე ინსტიტუტი (დისკურსის თეორია (Foucault 1972)). გარდა ამისა, დისკურსის თანამედროვე კვლევებში ფართო ანალიტიკურ და თეორიულ მიდგომებს მიმართავენ ლინგვისტიკისა და სოციალურ მეცნიერებათა ურთიერთგადაკვეთაზე (Angermuller 2015, 510), რაც შესაბამისობაშია ჩემს ინტერდისციპლინარულ კვლევასთან.

დისკურსის კვლევებში შემუშავებული მეთოდოლოგიური მიდგომები ასევე შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს სტალინისტთა ტექსტების არა უბრალოდ აღწერის, არამედ კრიტიკისათვისაც. მათი მეშვეობით ანალიზს შეიძლება დაექვემდებაროს აზრის შექმნის (ფალსიფიკაცია/ფაბრიკაცია), სოციალური რელევანტობის (მორალურ-პოლიტიკური განზომილება), იდენტობის ფორმირებისა (ქართველი სტალინი) და ფართო სოციალური გავლენის წარმოქმნის მექანიზმები.

სტალინისტურ პუბლიკაციებში ფართოდაა გაშლილი არგუმენტები, რომლებიც სტალინს პოზიტიური კუთხით დაგვანახებს. ეს არგუმენტები

თავმოყრილია ისტორიულ, კულტურულ-ტრადიციულ და იდეოლოგიურ ნარატივთა გარშემო და მთლიანობაში სტალინისტური მითოლოგიის ლიტერატურულ სხეულს ქმნის.

წინამდებარე ნაშრომში მათი შესწავლა ბიბლიოგრაფიული და დისკურსული ანალიზის საშუალებით განხორციელდება. პირველი გულისხმობს ტექსტის *გარედან კრიტიკას*, რომლის ამოცანაც მასალის პირველწყაროების ავთენტურობის ძიებაა (იხ. Lune and Berg 2017, 163-4); ხოლო დისკურსული ანალიზის მეთოდები, ძირითადად კი რიტორიკული კრიტიკა, გამოყენებული იქნება ტექსტების *შიდა კრიტიკისათვის* (იხ. იქვე, 164-5) იმის დასადგენად თუ რის თქმას ცდილობს ავტორი.

### *რიტორიკული კრიტიკა*

რიტორიკული ანალიზის მეთოდის ქვეშ შემუშავებული მიდგომების, თეორიებისა და ანალიზის მეშვეობით შესაძლებელი ხდება 1) ტექსტთა ჟანრის დადგენა (ჟანრობრივი კრიტიკა (generic criticism), 2) სიმბოლოთა ავტორისეული კოორდინატების განსაზღვრა (კლასტერული ანალიზი (cluster analysis), და 3) ავტორთა მიერ პოსტსაბჭოთა მდგომარეობის ინტერპრეტირების ჩარჩოს დადგენა (იდეოლოგიური კრიტიკა (ideological criticism)).

რიტორიკული კრიტიკა დაგვეხმარება არა უბრალოდ ავტორთა სტრატეგიებისა და მეთოდების დადგენაში, რომელთა წყალობითაც მკითხველის ნდობის მოპოვება და საკუთარი შეხედულებების წარმატებული გავრცელება ხორციელდება, არამედ, ამასთან ერთად, სტალინური მსოფლხედვის არსებითი ანალიზის და იმ სოციალური თუ კულტურული ფაქტორების გამოვლენის შესაძლებლობას მოგვცემს, რომლებიც განაპირობებენ სტალინის პიროვნებით აღფრთოვანებას თანამედროვე საქართველოში.

რიტორიკული კრიტიკის მოყვანილი მეთოდები, რა თქმა უნდა, შემთხვევით არ არის არჩეული. სტალინისტური პუბლიკაციების ჟანრის განსაზღვრა, მაგალითად, აუცილებელი ხდება იმდენად, რამდენადაც ეს ტექსტები ეკლექტურ, ჰეტეროგენულ სხეულს ქმნის. თუმცა ყველა მათგანი

გაერთიანებულია ერთი მიზნის — სტალინის პოზიტიური კუთხით წარმოჩენის — გარშემო და ხშირია საერთო არგუმენტების გამოყენება სხვადასხვა ვარიაციებით. აღნიშნული ტექსტები ჟანრობრივად განსხვავებულია, თუმცა ანალიზი აჩვენებს, რომ ის ჟანრები, რომლებსაც თავად ავტორები მიუთითებენ, უმეტეს შემთხვევა არ ემთხვევა ამ ჟანრის რეალურ ფორმას. მაგალითად, მრავლად მოიპოვება „ბიოგრაფიული“ პუბლიკაციები, რომლებიც რეალურად არა ბიოგრაფიულს (ისტორიულს), არამედ ეპიდეიქტურ ჟანრს განეკუთვნება, რომლის მიზანიც სტალინისათვის ხოტბის შესხმა და მისი განდიდებაა. გარდა ამისა, ყურადღება უნდა მიექცეს არა უბრალოდ ღია, ექსპლიციტურ არგუმენტაციას, სადაც შემუშავებული, ვერბალიზებული პათოსით, ან ეთოსით გადმოცემულია აზრი სტალინის პოზიტიური მნიშვნელობის შესახებ, არამედ ასევე იმას, თუ როგორ ხდება სტალინის მოთავსება სხვა ეროვნულ სიმბოლოებთან მიმართებაში, რის შედეგადაც ის ჭავჭავაძის, რუსთაველისა და თავისივე რეჟიმის მიერ დევნილ ეროვნულ გმირებს შორის იკავებს ადგილს.

სტალინის სხვა ეროვნულ გმირებთან მოთავსების ფენომენი გამოკვლეული იქნება „დიდი ქართველების“ ლიტერატურული ქვეჟანრისა და სტალინის ლექსების მაგალითებზე. სტალინის ლექსები, განსაკუთრებით კი მისი პირველი ლექსი სახელწოდებით „დილა“, ერთი მხრივ, ავტორის „ჭეშმარიტი ქართველობის“ არგუმენტად იქცევა, მეორე მხრივ კი, ყველანაირი არგუმენტაციის გარეშეა მოთავსებულია რამდენიმე კრებულში რეპრესირებულ ავტორთა (პაოლო იაშვილი, ტიციან ტაბიძე და ნიკოლო მიწიშვილი) ლექსების გვერდზე. მოზარდი სტალინის პოეზიით გატაცება სტალინისტების ყურადღების განსაკუთრებულ საგანს წარმოადგენს და მის ანალიზს წინამდებარე ნაშრომში ცალკე თავი დაეთმობა. კლასტერული ანალიზის საშუალებით გამოაშკარავდება იმ სიმბოლოთა კრებულები, რომლებთანაც სტალინის ასოცირება ხდება. ამგვარი სიმბოლო შეიძლება იყოს პიროვნება, მაგალითად ილია ჭავჭავაძე, რომელთან დაკავშირებითაც სტალინისტები ხაზს უსვამენ ახალგაზრდა სტალინის ურთიერთობას ილია. გარდა ამისა მსგავსი როლი შეიძლება შეასრულოს სტალინის ისეთმა ჩვევებმა, როგორცაა ქართული ღვინის სმა და ქართული



ფოლკლორული სიმღერების შესრულება და პატრიოტული მოტივები მის ლექსებში.

სტალინისტ ავტორთა ერთ-ერთი სტრატეგია ეჭვის ქვეშ აყენებს სტალინის შეფასების შესაძლებლობას. რა თქმა უნდა, ერთი შეხედვით, ამგვარი პოზიციის დაკავება აბსურდული ჩანს, რადგან ამ ავტორთა მთავარი ამოცანა სწორედ სტალინის პოზიტიური შეფასება და მისი განდიდებაა. თუმცა შეფასების შეუძლებლობა საბუთდება იმით, რომ სტალინი შეფასების მიღმაა, რომ ჩვეულებრივ მოკვდავთა შეფასების კრიტერიუმები სტალინს არ მიეყენება. მეორე არგუმენტი, რომელიც ამავე სტრატეგიის შემადგენელია, ამტკიცებს, რომ პიროვნება მის ისტორიულ ეპოქაში უნდა შეფასდეს, რომ მისი გადაწყვეტილებები და ქმედებები მხოლოდ მისსავე სოციო-კულტურულ და ისტორიულ კონტექსტში შეიძლება იქნეს გაგებული. ის ისტორიული მანძილი კი, რომელიც სტალინის პერიოდსა და დღევანდელობას შორისაა, შეუძლებელს ხდის წარსული გამოცდილების სრულად აღქმას.

განხილული იქნება მიდგომები, რომლებსაც სტალინისტები იყენებენ საკუთარი არგუმენტების ჩარჩოდ. ცხადია, ეს მიდგომები გამოვლენილი იქნება რეკონსტრუქციის გზით, რადგან თავიანთ ტექსტებში სტალინისტები იშვიათად უთმობენ სივრცეს თეორიათა ექსპლიციტურ გადმოცემას, ხოლო სტალინისტურ ტექსტთა ზოგიერთი ჟანრი ამგვარ გადმოცემას საერთოდ არ ითვალისწინებს. ამ პუბლიკაციათა ნაწილი რევიზიონისტულად შეიძლება შეფასდეს, რადგან აქ სტალინის ერთპიროვნული ძალაუფლებიდან ყურადღების გადატანა ხდება ტოტალიტარული სისტემის სტრუქტურულ მახასიათებლებზე. თუმცა ძირითადი ფორმა, რომლითაც სტალინისტურ ტექსტებში არგუმენტთა თავმოყრა ხორციელდება, შესაძლებელია შეფასდეს როგორც ფაბრიკაცია, რაც გარკვეულ ფაქტებზე ყურადღების გამახვილებასა და სხვათა იგნორირებას გულისხმობს. შესაბამისად, სტალინური პუბლიკაციების მეცნიერულობა და ისტორიულობა გამოირიცხება და ისინი ანალიზს დაექვემდებარებიან როგორც მითოლოგიური ტექსტები.

მითოლოგიური ტექსტის შესწავლა და ანალიზი კი თავად ტექსტების

ლოგიკაზე დაფუძნებით მოხდება და არა უბრალოდ მოყვანილი ფაქტების მცდარობა/სიზუსტის განსაზღვრით. შესაბამისად, გამოკვლევულ იქნება სტალინის ბიოგრაფიის გარშემო არსებული ის ეპიზოდები, რომლებზეც თავად სტალინისტები ამახვილებენ ყურადღებას და გაანალიზებული იქნება მათი გადმოცემის რიტორიკული ფორმები.

### **ბიბლიოგრაფიული კვლევა**

აღწერილი მეთოდები და კვლევის მასალა, რა თქმა უნდა, ბიბლიოგრაფიულ კვლევას მოითხოვს. გამოყენებულ იქნა სხვადასხვა საბიბლიოთეკო კატალოგის საძიებო ინსტრუმენტები სტალინისა და მის გარშემო არსებული ლიტერატურის ნუსხის შესაქმნელად. გარდა ამისა, სტალინისტური ლიტერატურის სპეციფიკა საჭიროებს არა უბრალოდ ტექსტებში არსებული ნარატივებისა და მათი გადმოცემის რიტორიკული მეთოდების შესწავლასა და ანალიზს, არამედ მოყვანილ არგუმენტთა პირველწყაროების გადამოწმებასაც.

მომდევნო თავებში გაანალიზებული იქნება სტალინისტური ლიტერატურის ისეთი აპოკრიფები, როგორცაა სტალინის წინასწარმეტყველება: „...ისტორიის ქარი გაფანტავს ჩემს საფლავზე დაყრილ ნაგავს“; ასევე უინსტონ ჩერჩილის მიერ 1959 წელს გაერთიანებული სამეფოს პარლამენტში სტალინის პატივსაცემად წარმოთქმული სიტყვა; მათ მედუნის მიერ ამერიკელ ჟურნალისტთან ინტერვიუში დესტალინიზაციის სტალინის ეთნიკური წარმომავლობისათვის დაბრალება; სტალინის ბოლო, 1940-იანებში დაწერილი ლექსი და ილია ჭავჭავაძის მიერ მოზარდ სტალინზე ნათქვამი ფრაზა: „ეგ ისეთი მამაძალი ჩანს, რომ უთუოდ დიდი კაცი დადგება და ღმერთმა ჰქნას“. ბიბლიოგრაფიული კვლევა ყველა ამ შემთხვევაში მიუთითებს, რომ მოცემული ნარატივების უკან სარწმუნო, ისტორიულობის დამადასტურებელი წყაროები არ დგას. შესაბამისად, მოყვანილი ფრაზები ლეგენდის, ან აპოკრიფის კატეგორიაში უნდა იქნეს შეტანილი. ერთი შეხედვით, ამგვარი ბიბლიოგრაფიული კვლევის მეშვეობით სტალინური ლეგენდების წყაროთა გამოვლენა ახალს არაფერს

აძლევს სტალინის შესწავლის დღევანდელ მდგომარეობას, რადგან ზედმეტი კვლევა-ძიების გარეშეც ნათელია რომ მათ ისტორიული საფუძველი არ გააჩნია. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ამგვარ ბიბლიოგრაფიულ კვლევას თეორიული მნიშვნელობა მაინც აქვს, რადგან ის ნათლად გვიჩვენებს *მითზე მუშაობის* პროცესსა (Blumenberg, Arbeit am Mythos 1979) და *პოლიტიკური მითის* სტრუქტურას (Bottici 2007). კვლევის პროცესში გამოვლინდება, თუ როგორ ჩნდება ნარატიული ვარიაციები სხვადასხვა წყაროში, როგორ გადადის ნარატივი მხატვრულიდან ბიოგრაფიულ (დოკუმენტურ) ჟანრში, და როგორ იმოწმებენ წყაროები ერთმანეთს. აღნიშნული პროცესი და მითის შექმნის მექანიზმი არ არის მხოლოდ სტალინისტების შემთხვევით შემოფარგლული ფენომენი, არამედ მითის ჩამოყალიბების ზოგადი სქემის ილუსტრაციაა.

გარდა ამისა, სტალინური ლეგენდების ბიბლიოგრაფიული კვლევები, გარკვეულ შემთხვევებში, რუსულ წყაროებამდეც მიგვიყვანს, რაც ხილულს გახდის სტალინის მითის საბჭოთა და არა მხოლოდ ქართულ განზომილებას. ამავე დროს, სტალინის „ბოლო ლექსის“ ლეგენდა ერთგვარ დამაბულობას ან წინააღმდეგობას წარმოაჩენს სტალინის ქართულ და რუსულ იდენტობებს შორის, რის სავარაუდო მიზეზიც ისაა, რომ ეს ლექსი მხოლოდ რუსული თარგმანითაა მოცემული, რაც ეწინააღმდეგება სტალინის ექსკლუზიურად ქართველ პოეტად წარმოჩენის მცდელობას. ეს გარემოება კი ავლენს დაპირისპირებას სტალინის საბჭოთა და ქართულ სიმბოლოებს შორის.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ „სადი აზრის“ არგუმენტად მოყვანა ორი ათწლეულის მანძილზე ქართულ საზოგადოებაში სტალინის ფენომენისა და პრობლემის სერიოზულად შესწავლის ერთგვარ მუხრუჭად გადაიქცა. ლიტერატურის მიმოხილვა გვაჩვენებს, თუ როგორ ხდებოდა პრობლემის სერიოზულობისგან თავის არიდება იმ არგუმენტით, რომ სტალინისადმი თაყვანისცემა „გასაგები, ბანალური მოვლენაა“. ასეთ ინდიფერენტულ განწყობას წერტილი დაუსვა ამერიკული ორგანიზაცია „კარნეგის ცენტრის“ მიერ დაკვეთილმა რაოდენობრივმა კვლევამ (CRRC 2012), რომელმაც ნათელი გახადა, რომ ეს ფენომენი არა ლოკალური, სტალინის მშობლიური ქალაქით - გორით -

შემოფარგლული მოვლენა, არამედ ზოგადად ქართული და რეგიონალური ფენომენია.

### *კვლევის შეზღუდვები*

კვლევის მიმდინარეობისას გამოიკვეთა და მასზე გავლენა იქონია როგორც პრაქტიკულ-ტექნიკური, ისე მეთოდოლოგიური რიგის სირთულეებმა. პირველ რიგში აღვნიშნავ აქ განხილულ სტალინისტ ავტორთა შესახებ ბიოგრაფიული ინფორმაციის მოძიების სირთულეს. ჩემთვის ეს ინფორმაცია (პირველ რიგში დაბადების თარიღი და ადგილი) მნიშვნელოვანი იყო კვლევაში წამოყენებული ერთ-ერთი ჰიპოთეზის გადასამოწმებლად საჭირო დემოგრაფიული კომპონენტის აღსადგენად, კერძოდ, ვიმედოვნებდი სტალინისტ ავტორთა სრული დემოგრაფიული სურათის შექმნას, რადგან საინტერესო იქნებოდა იმის შემოწმება, ემთხვევა თუ არა სტალინისტ ავტორთა დემოგრაფიული, სოციალური და სხვა მახასიათებლები საშუალო სტატისტიკური სტალინისტის მახასიათებლებს, რომელთა შესახებ ქვემოთ ვისაუბრებ CRRC-სა და სხვა კვლევითი ორგანიზაციების მიერ მიღებულ რაოდენობრივ მონაცემთა განხილვისას.

სტალინისტურ პუბლიკაციათაგან ზოგი თავად შეიცავს ცნობებს ავტორის შესახებ (ძირითადად უკანა ყდაზე). გარდა ამისა, არიან სტალინისტი ავტორები (მაგ. რევაზ მიშველაძე, თამაზ ნატროშვილი, ვახტანგ გოგუაძე), რომელთა შესახებ საკმარის ბიოგრაფიულ ცნობათა მოძიება ინტერნეტის საშუალებითაცაა შესაძლებელი<sup>5</sup>. თუმცა სტალინისტ ავტორთა თითქმის ნახევრის შესახებ ინფორმაციის მოძიება შეუძლებელი აღმოჩნდა. საქმე ისაა, რომ აღნიშნული გზებით მონაცემთა მიუწვდომლობის შემთხვევაში მეილის საშუალებით მივმართავდი საგამომცემლო სახლებს მათ ხელთ არსებული ინფორმაციის მოწოდების თხოვნით. სამწუხაროდ არცერთ ასეთ ელექტრონულ წერილზე პასუხი არ მიმიღია.

---

<sup>5</sup> ავტორთა ბიოგრაფიული ცნობების კუთხით კვლევა ძირითადად ეყრდნობა „საქართველოს ბიოგრაფიულ ლექსიკონის“ ინტერნეტ პლატფორმას: <http://www.nplg.gov.ge/bios/ka/>.

არსებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით კი შემიძლია ვთქვა, რომ სტალინისტი ავტორები 1930-იან და 40-იან წლებში დაბადებულთა თაობას წარმოადგენენ, ფლობენ უმაღლეს განათლებას და, უმნიშვნელო გამონაკლისების გარდა, მათი დიდი ურავლესობა მამაკაცია. თუმცა სრული სურათის შექმნის შეუძლებლობის გამო კვლევის ეს მიმართულება ბოლომდე ვერ იქნა მიყვანილი.

#### 4. ნაშრომის სტრუქტურა

ნაშრომის სტრუქტურა კვლევის მიერ დასმული ამოცანების სრული და თანმიმდევრული გაშლის მიზნითაა შემუშავებული. პირველ თავში შემოთავაზებულია რელევანტური ლიტერატურის მიმოხილვა, რომელიც, გარდა იმისა, რომ თემატური და შემდგომი კვლევისთვის თეორიული ინტერესის შემცველია, მიმართულია სტალინის ფიგურის აკადემიური შესწავლის ევოლუციის წარმოსაჩენადაც. მეორე თავში განხილულია სტალინის მრავალწახნაგოვანი სიმბოლოს რამდენიმე განზომილება და ყურადღება გამახვილებულია მისი ტრავმატოგენულობის პოტენციაზე. მომდევნო თავში განხილულია მითის, ნაციონალიზმისა და კოლექტიური ტრავმის თეორიები და მათზე დაყრდნობით შემუშავებულია ნაშრომის ერთიანი თეორიული ჩარჩო.

მეოთხე თავში სათაურით „საბჭოთა მემკვიდრეობის გადაფასება“ ლუსტრაციის მედიადისკურსზე დაყრდნობით აღდგენილია 1990-იანების მეორე ნახევრიდან 2020 წლამდე პრესაში მიმდინარე დისკუსია საბჭოთა დანაშაულებრივი სისტემის მონაწილე პირთა პასუხისმგებლობის შესახებ. ნაჩვენებია რაოდენ უშედეგო გამოდგა ეს დისკუსია სამართლებრივი თვალსაზრისით, რაც კოლექტიური ტრავმის ერთ-ერთ სინდრომად შეიძლება იქნეს მიჩნეული. მეხუთე თავში მოცემულია ქართული სტალინისტური ლიტერატურის სტატისტიკური სურათი, რომელიც ნათლად აჩვენებს სტალინიზმის ფენომენის მნიშვნელობას როგორც ისტორიული, ისე თანამედროვე პერსპექტივიდან. მეექვსე თავი იკვლევს ე. წ. „დიდ ქართველთა“ ლიტერატურული ქვეყანრის გენეზისს და აჩვენებს, რომ მეხსიერების

შენარჩუნებაზე ორიენტირებული მისი ფორმა და პატრიოტული შინაარსი პოლიტიკური ემიგრაციის ლიტერატურიდან მომდინარეობს, ვითარდება 2000-იანი წლების შუა პერიოდში ტელეგადაცემა „საქართველოს დიდი ათეულის“ სახით (რომლის წარუმატებლობაც ერთგვარი მითითებაა საზოგადოებაში არსებულ ტრავმაზე), და მოგვიანებით გადაიზრდება ისტორიულ-საცნობარო ჟანრში, რომელშიც სტალინი ადგილს იმკვიდრებს.

მეშვიდე თავი ეთმობა ერთ-ერთ ყველაზე უფრო სიღრმისეულად და ინტენსიურად შემუშავებული სტალინისტური მითის განხილვას, კერძოდ მითს მისი პოეზიის შესახებ. გამოვლენილია სტალინის მოზარდობის პერიოდის ლექსების ქართული პოეზიის ველში ჩასმის, მათი ნორმალიზების ხერხები, რომლებიც გულისხმობს, ერთი მხრივ, სტალინის პოეტური “ნიჭისა” და პატრიოტული განწყობების წარმოჩენას, მეორე მხრივ კი უშუალოდ სტალინის “განსაკუთრებული” დამოკიდებულების ხაზგასმას პოეზიის სფეროს წარმომადგენლებისადმი.

მერვე თავი ანალიზებს სტალინის ქართველობის ტრავმას, რომელიც სტალინისტური ლიტერატურის რეანიმაციის საწყის ეტაპზე (1980-იანების ბოლო წლები) იკვეთება და რომლითაც სტალინის ქართველობა მისი სახელის შერყვნის ძირითად მიზეზად ცხადდება. დაბოლოს, მეცხრე თავში განხილულია სტალინისტური მითშემოქმედების რამდენიმე მაგალითი, სადაც ყურადღება გამახვილდება ისტორიის ფალსიფიკაციაზე. გამოვლენილია ფაბრიკაციის მეთოდები, რომლებიც აჩვენებს თუ როგორ ხდება ნარატივთა ამოგლეჯა და გადანაცვლება მხატვრულიდან ისტორიული ჟანრის ტექსტებში.

## I. ლიტერატურის მიმოხილვა

წინამდებარე თავში მიმოხილული იქნება მხოლოდ ის აკადემიური პუბლიკაციები, რომლებიც ვიწრო კავშირშია უშუალოდ ჩემ კვლევაში დასმულ საკითხებთან. საუბარია აკადემიურ პუბლიკაციებზე, რომლებიც იკვლევენ სტალინის ფიგურის პოპულარობის საკითხს საქართველოში. ნაჩვენები იქნება მეთოდოლოგიური და თეორიული მრავალფეროვნება, რომლითაც ბოლო ათწლეულის მანძილზე ფენომენის შესწავლის, ანალიზისა და ღრმა გაგების საფუძვლები შეიქმნა. ამასთან ერთად, ხაზგასმული იქნება სტალინის განდიდების გამოვლინებათა ისეთი განზომილებები, რომლებიც წინა კვლევებში მნიშვნელოვანწილად უგულებელყოფილია და რომელთა შეგროვებითა და ანალიზით წინამდებარე კვლევა შეეცდება არსებული სიცარიელის შევსებას.

ლიტერატურის წინამდებარე მიმოხილვის მიზანი იქნება, ერთი მხრივ, საკითხის კვლევაში ამჟამად არსებული სურათის შექმნა და წინამდებარე ნაშრომის ფართო აკადემიურ დისკურსში მოქცევა (Marshal and Rossman 2016, Boote and Beile 2005), მეორე მხრივ კი კვლევის სფეროს განვითარების ისტორიის წარმოჩენა, რომელიც გარკვეული წინააღმდეგობებისა და სირთულეების გადალახვის ფონზე მიმდინარეობდა. კვლევათა ისტორიული, ქრონოლოგიური პერსპექტივიდან განხილვა ნათელს ხდის სტალინის ფიგურის აქტუალობას, რომელიც, ერთი მხრივ, საბჭოთა კავშირის დაშლიდან სამი ათწლეულის მანძილზე არ შემცირებულა, მეორე მხრივ კი, ორი ათწლეულის მანძილზე ვერ გახდა აკადემიური კვლევის საგანი.

ლიტერატურის მიმოხილვა ორ ნაწილადაა გაყოფილი. პირველ ნაწილში საუბარი იქნება პუბლიკაციებზე, რომლებიც საბჭოთა საქართველოში 30-იან და 40-იან წლებში სტალინიზმის ჩამოყალიბებისა და განმტკიცების კულტურულ-პოლიტიკურ მექანიზმებს შეისწავლიან. ხოლო მეორე ნაწილში განხილული იქნება ნაშრომები, რომლებიც სტალინიზმის პოსტსაბჭოთა მემკვიდრეობას

იკვლევს და სტალინისა და საბჭოთა წარსულის საზოგადოებრივი აღქმის სურათს იძლევა რაოდენობრივ და თვისებრივ მონაცემთა დამუშავების საშუალებით. აღნიშნულ ლიტერატურაში გამოვლენილია ძირითადი სტალინური არგუმენტები და ნარატივები. ასევე რეკონსტრუირებულია სტალინისტურ განწყობათა დინამიკა ბოლო წლების განმავლობაში და სამომავლო პროგნოზებია გაკეთებული.

ცალკე შევსებები პუბლიკაციას, რომლის საგანიც სტალინიზმის პერიოდის რეპრესიების (1937-38) შესწავლაა. მართალია მას ჩემი კვლევის საგანთან პირდაპირი კავშირი არ აქვს, მაგრამ საინტერესოა ის დაპირისპირება, რომელიც წარმოიშვა ქართველ და უცხოელ მკვლევართა შორის ეთნიკურ ერთეულთა და ნაციონალური პოლიტიკის ტერმინოლოგიის განსაზღვრის გამო. საუბარია ორტომეულზე „ბოლშევიკური წესრიგი საქართველოში“ (იუნგე, თუშურაშვილი და ბონვეჩი 2015) რომლის გარშემო წარმოქმნილი ზღვარგადასული დისკუსია პოსტსაბჭოთა პერიოდში განვითარებული ტერიტორიული (აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის კონფლიქტები) დაპირისპირებების პოლიტიკური აქტუალობით უნდა აიხსნას. ამ დისკუსიის ფონზე ნათელი ხდება, რომ სტალინის შესწავლა დღემდე რჩება სტალინიზმის მემკვიდრეობის გავლენის ქვეშ, რომლის არსებობაც არა მხოლოდ პოლიტიკურ, რელიგიურ და აკადემიური დისკურსში, არამედ, როგორც რაოდენობრივი კვლევებით დასტურდება (CRRC 2012), ფართო კულტურულ-ღირებულებით სივრცეშიც აშკარაა.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პოსტ საბჭოთა სივრცეში სტალინიზმის გავლენის, საბჭოთა პერიოდის საზოგადოებრივი აღქმისა და სტალინის ფიგურისადმი დამოკიდებულების შესწავლის საკმაოდ დიდი ლიტერატურაა აკუმულირებული 1990-იანი წლებიდან მოყოლებული<sup>6</sup>. და, მართალია, ჩემი კვლევისათვის მეთოდოლოგიური და თეორიული თვალსაზრისით საინტერესოა ამ ლიტერატურის განხილვაც, მით უმეტეს, რომ შემდგომ თავებში პოსტსაბჭოთა რუსეთში სტალინიზმის დანაშაულთა აღქმის ანალიზის

---

<sup>6</sup> მოცემული პერსპექტივიდან რუსული საზოგადოების კვლევების ჩამონათვალისათვის იხ. Kabachnik, Kirvalidze and Gugushvili, *Stalin Today: Contending with the Soviet Past in Georgia* 2016, 7.



გარკვეულ პერსპექტივებს საქართველოზე გამოვიყენებ<sup>7</sup>, მაგრამ სივრცის შეზღუდვებიდან გამომდინარე ამ ლიტერატურის სრულ მიმოხილვას მკითხველს ვერ შევთავაზებ. წინამდებარე მიმოხილვაში მხოლოდ საქართველოს შესახებ ჩატარებული კვლევებით შემოვიფარგლები, რომელიც, როგორც შემდგომ გამოჩნდება, რამდენიმე თვალსაზრისით გამოირჩევა დანარჩენი პოსტსაბჭოთა სივრცისაგან.

თავის ბოლოს შეჯამებული იქნება საკითხის კვლევის ამჟამინდელი მდგომარეობა, გამოვლენილი იქნება ყურადღების მიღმა დარჩენილი სფეროები. კვლევის მასალებისა და მეთოდების გათვალისწინებით განვსაზღვრავ იმასაც, თუ რა წვლილის შეტანა შეუძლია წინამდებარე ნაშრომს ფენომენის აკადემიურ განხილვაში (Creswell and Creswell 2018, Ch. 2).

## 1. სტალინიზმის მემკვიდრეობის კვლევა

სტალინის განდიდების ფენომენის სისტემატური აკადემიური შესწავლა საქართველოში 2011 წელს, ანუ საბჭოთა კავშირის დაშლიდან 20 წლის შემდეგ იწყება. გორის ცენტრალური მოედნიდან სტალინის ძეგლის აღება იქცა იმ საზოგადოებრივ მოვლენად, რომლის კონტექსტში სტალინის მნიშვნელობა პირველად იქნა განხილული ნაციონალური იდენტობის პერსპექტივიდან. თუმცა აღნიშნული პერიოდიდან შექმნილი ნაშრომების ანალიზამდე უნდა ვახსენოთ ფილოსოფოს გურამ ყორანაშვილის 2007 წელს გამოცემული წიგნი „ილიას ფენომენი“, რომელშიც ერთი თავი ილიასა და იოსებ ჯუღაშვილის ურთიერთობას ეხება (გვ. 439-473). ეს ტექსტი მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც ილიასა და მოზარდ ჯუღაშვილს შორის შეხების წერტილები სტალინისტების მხრიდან გამოყენებულია მითოლოგიზაციის მასალად. კერძოდ

---

<sup>7</sup> მაგალითად გამოყენებული იქნება ეტკინდის სტალინიზმის მეხსიერების ფსიქოანალიზური მიდგომა, რომელიც თანამედროვე რუსეთის მაგალითზეა შემუშავებული ფროიდის *მელანქოლიისა და რეპრესირებულის დაბრუნების* კონცეფციების გამოყენებით (Etkind 2013). აქვე საგულისხმოა ნიკოლაი ეპლეს რუსული პოსტსაბჭოთა საზოგადოების მეხსიერების კვლევის პერსპექტივა, რომელიც სამართლებრივ და კულტურულ სფეროები მიმდინარე გარკვეულ მოვლენებს კულტურული ტრავმის სიმპტომებად განიხილავს (Эпле 2020).

კი მათ ტექსტებში, ისტორიული საფუძვლების მქონე ნარატივის გვერდით, — რომელიც იმას მოგვითხრობს, თუ როგორ გამოაქვეყნა ჯულაშვილმა ლექსები „ივერიაში“, რომლის რედაქტორად მყოფ ილიასაც საკმაოდ მკაცრი მოთხოვნები ჰქონდა ავტორების მიმართ. ასევე გვხვდება ნარატივები, რომლებსაც გამონაგონის ელფერი დაჰკრავს, თითქოს ილიასა და ჯულაშვილს შორის მნიშვნელოვანი საუბრები გამართულა, რომელთაგანაც ერთ-ერთმა მთელი ღამეც კი გასტანა და რომლის შედეგად ილიას ახალგაზრდისთვის დიდი მომავალიც უწინასწარმეტყველებია. ყორანაშვილი პირველია, ვინც სტალინის ფიგურის განსადიდებლად ილიას ეროვნული ავტორიტეტის გამოყენების ამგვარ შემთხვევას ისტორიული ანალიზის საგნად აქცევს და მითების შექმნის ინსტრუმენტებს ავლენს.

ყორანაშვილი სტალინის საკითხს ყურადსაღებად მიიჩნევს იმდენად, რამდენადაც ბევრის აზრით სწორედ ის „შევიდა ყველაზე თვალსაჩინოდ მსოფლიო ისტორიაში“ (იქვე, 439). აქვე ვაწყდებით ზოგადად მსოფლიო და კერძოდ საქართველოს ისტორიაში სტალინის რეალური როლის იგნორირებას, რაც ავტორის შეხედულებით მყარი სოციალურ-ეროვნული სტერეოტიპის მაგალითია, „რომლის მოშლა-დამსხვრევა ლოგიკის, არგუმენტაციის გზით ფრიად ძნელი გახლავთ“ (იქვე, 441).

ილიასა და ჯულაშვილის ურთიერთობის სურათის შესაქმნელად ყორანაშვილი განიხილავს ამ უკანასკნელის ადრეულ სტატიებს ნაციონალური (1904 და 1913) და აგრარული (1906) საკითხების შესახებ. ამ სტატიებში ყორანაშვილის შეფასებით სოციო-პოლიტიკურ მოვლენათა ავტორისეული ანალიზი „უაზრო“ (იქვე, 447), ან „ძალზედ არარეალურია“ (იქვე, 445), ხოლო რიტორიკა — დემაგოგიური (იხ. იქვე, 451). ამ სტატიებში სტალინი ილია ჭავჭავაძეს სახელით არ მოიხსენიებს, მაგრამ შეფარვით აკრიტიკებს — „გლეხების მოღალატეს“ და დამცინავად „ვაჟბატონს“ უწოდებს მას. ასევე, უარყოფს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მნიშვნელობას.

ილიასა და ჯულაშვილის ურთიერთობების ნარატივს ყორანაშვილი ლექსების გამოქვეყნების ეპიზოდის მიღმაც, ანუ 1895 წლის შემდგომ პერიოდშიც

განიხილავს. მოყვანილია ილიას მზარეულის მოყოლილი და 1955 წელს „ილია ჭავჭავაძის საგურამოს სახლმუზეუმის“ თანამშრომლის მიერ ჩაწერილი ისტორია იმის შესახებ, თუ როგორ შეხვდნენ ილია და უცხო ახალგაზრდა ერთმანეთს 1905 ან 1906 წელს საგურამოში. მათ შორის პირისპირ გამართული საუბრის შემდგომ ილიამ გლეხებს უთხრა: „ხომ შეხედეთ იმ ყმაწვილს, სახით არაფერია, მაგრამ ისეთი მოაზროვნეა, რომ თუ დასცალდა, მსოფლიოში სახელს გაითქვამსო. მერე დაუმატა: ეგ ისეთი მამაძაღლი ჩანს, რომ უთუოდ დიდი კაცი დადგება და ღმერთმა ჰქნასო“ (იქვე, 454). წლების შემდგომ მზარეული ამ ახალგაზრდაში სტალინს ამოიცნობს. ყორანაშვილი იგივე ისტორიის მეორე ვერსიასაც ჰყვება და მცირე ლიტერატურული კვლევის საშუალებით ამ ისტორიის საფუძვლებს 1950-იანი წლების სტალინიადაში პოულობს (იხ. იქვე, 471).

ილიასადმი ბოლშევიკებისა და კერძოდ სტალინის მხრიდან არაკრიტიკული, შემწყნარებლური დამოკიდებულების გაჩენას ყორანაშვილი 1936-7 წლებსა და შემდგომ პერიოდს უკავშირებს და განმარტავს, რომ „...ასეთი წარმოდგენა, დიდად სამარცხვინოდ, ქართველ ისტორიკოსებსა და მისთ., გადააქვთ წარსულში“ (იქვე, 449). ილიასა და ჯულაშვილის ურთიერთობა სტალინისტური მითოლოგიის ერთ-ერთი იმ საკითხთაგანია, რომელიც პოსტსაბჭოთა პერიოდში ხელახლა გაიფურჩქნა და რომელსაც ვერც მე ავარიდებ თავს. შესაბამისად, ყორანაშვილის ამ ნაშრომს შემდგომ მსჯელობებში კიდევ დავუბრუნდები.

აქ კი საჭიროა იმის აღნიშვნა, რომ ყორანაშვილის მიერ საკითხის ასეთი ფორმით დაყენება რამდენიმე წლით წინ უსწრებდა აკადემიურ ტენდენციას, რომელიც 2011 წლიდან დღემდე ინტერდისციპლინურ ნაშრომთა და, მათ შორის, წინამდებარე ნაშრომის კვლევის საგანია. თუმცა პრობლემის მასშტაბების გააზრება მხოლოდ მოგვიანებით გახდა შესაძლებელი, რასაც ხელი პოსტსაბჭოთა საქართველოს ფუნდამენტურმა მოვლენებმა შეუწყო. პირველი მათგანი 2008 წლის რუსეთ-საქართველოს „აგვისტოს ომი“ იყო, რომლის შემდგომაც დადგა გორის ცენტრალური მოედნიდან სტალინის ძეგლის აღების საკითხი, ხოლო

მეორე — 2012 წლის საპარლამენტო არჩევნები და ძალაუფლების მშვიდობიანი გადაბარებაა, რასაც სტალინისტური განწყობების უეცარი გაძლიერება მოჰყვა, რაც გარკვეული სახით ლიტერატურულ დისკურსშიც აისახა.

გიგა ზედანიას სტატიაში "სოციალური ღირებულებები საქართველოში: ოცი წლის შემდეგ" (Zedania 2011) სოციალური პროცესებისა და ღირებულებით-იდეოლოგიური მახასიათებლების დიქტომიური მოდელების თეორიული ჩარჩოა შემუშავებული. ავტორი განიხილავს ნაციონალურ იდეოლოგიას (სამოქალაქო/ეთნიკური), ღირებულებათა ცვლილებას (გადარჩენა/თვით-გამოხატვა) და რელიგიურ დინამიკას (სეკულარიზაცია/ნეო-ტრადიციონალიზმი). სტატიაში ქართული ეთნიკური ნაციონალიზმის გამომხატველ სიმბოლოდ სტალინია განხილული, რომლის პოპულარობაც, ავტორის აზრით, რუსეთისაგან განსხვავებით, არა იდეოლოგიური, არამედ ეთნიკური ნაციონალიზმით გამოწვეული სიამაყით უნდა იქნეს ახსნილი (იხ. იქვე, 254). მისი მნიშვნელობის დემონსტრირებას ზედანია 2010 წლის 25 ივნისს გორის ცენტრალური მოედნიდან სტალინის ძეგლის აღებით ახდენს, რაც, შეიძლება ითქვას, ისტორიული მოვლენა იყო, თუ გავითვალისწინებთ მანამდე განხორციელებულ მცდელობათა წარუმატებლობას (იხ. იქვე, 253).

უნდა აღინიშნოს, რომ სტალინის ძეგლის გარშემო მიმდინარე დებატები არა იმდენად საბჭოთა მემკვიდრეობის გადაფასების ჩარჩოში მიმდინარეობდა, რამდენადაც ყურადღება უშუალოდ სტალინის ფიგურაზე იყო გამახვილებული. პუბლიცისტურ, ისევე როგორც აკადემიურ სივრცეში მიმდინარე დებატებსა და განხილვებში სტალინის ქართული წარმომავლობა და წარსულის ნოსტალგია ერთგვარ ტოპოსად გადაიქცა, რომლითაც მისი პოპულარობა განიმარტებოდა. თუმცა გარკვეული პერიოდის მანძილზე სტალინის საკითხის განხილვაში აშკარად იგრძნობა ფენომენის მასშტაბების აღქმის პრობლემა.

საბჭოთა წარსულის გადააზრების პრობლემებისათვის მიძღვნილ დისკუსიათა კრებულში ერთი თავი სტალინს, მის ქართველობას და ქართულ ნაციონალურ იდეოლოგიაზე მის გავლენას ეთმობა (ანდრონიკაშვილი და ქარუმბე 2012). დისკუსიის მომხსენებელი ლიტერატურათმცოდნე ზაალ

ანდრონიკაშვილი სტალინს კულტურის პერსპექტივიდან განიხილავს, რამდენადაც ის ცხოვრების ნებისმიერ სფეროს წარმართავდა — "პოლიტიკასაც და ხელოვნებასაც" (იქვე, 48). მომხსენებელი სტალინს უდგება როგორც ნაციონალისტს, რაკი ის სახელმწიფოს "ნაციის პრიზმაში განიხილავდა" (იქვე, 56). ეს აისახა საბჭოთა კავშირის სტრუქტურულ მოწყობაზე — 1936 წლის "სტალინური კონსტიტუციის" მიღების შედეგად გაუქმდა ამიერკავკასიის ფედერაცია და მასში შემავალი სამი ეროვნება შესაბამის სახელმწიფოთა სატიტულო ერად იქნა წარმოჩენილი.

მოყვანილი დისკუსიის ფარგლებში, კერძოდ დიალოგის ნაწილში, ასევე დაისვა კითხვები სტალინის დამოკიდებულების შესახებ ისეთი ქართული ეროვნული სიმბოლოების მიმართ, როგორცაა დავით აღმაშენებელი, ილია ჭავჭავაძე და საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია. მომხსენებელი სამივე საკითხის ცალ-ცალკე შესწავლის აუცილებლობაზე მიუთითებს, თუმცა, ამავე დროს, ადასტურებს სტალინის გავლენას მათი თანამედროვე შინაარსების ფორმირებაზე.

საჭიროდ მიმაჩნია, ორიოდე სიტყვით შევუხებო ერთ-ერთ კრებულს სტალინის შესახებ, რომელიც, მართალია აკადემიური ხასიათის არ არის, თუმცა პრობლემის აღქმის არასაკმარისი სერიოზულობის დემონსტრირებას ახდენს და ერთგვარ გასაღებს შეიცავს იმის გამოსარკვევად, თუ რატომ იყო სტალინის განდიდების საკითხი უგულებელყოფილი ორი ათწლეულის მანძილზე. ლაპარაკია პუბლიცისტურ სტატიათა და ფოტომასალის კრებულზე „მეგლებით თამაში: სტალინი აქ და ამჟამად“ (წიგნაკრები 2012). კრებულში თავმოყრილია სტალინის საჯარო და კერძო სივრცეებში მრავალფეროვან გამოსახულებათა ფოტო-კოლაჟი, რომელსაც წინ უსწრებს შესავალი და 2009 წელს გამოცემული სამი სადისკუსიო ჟურნალისტური სტატია სტალინით აღტაცებისა და მის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ. კრებულში თავმოყრილი პოლემიკური სტატიების დაწერის საბაზი გორის ცენტრალური მოედნიდან სტალინის ძეგლის აღების იდეა გახდა, რაც ერთი წლის შემდგომ განხორციელდა კიდევ.

პოლემიკის ტონი კრებულის პირველი ორი სტატიით არის

განსაზღვრული, რომელთაგანაც პირველ — მწერალ არჩილ ქიქოძის — სტატიაში სახელწოდებით „ძეგლებით თამაში“ (იქვე, 11-16) სტალინით აღტაცების არათანმიმდევრული და, შეიძლება ითქვას, კონტრ-პროდუქტიული კრიტიკაა მოცემული. საჭიროდ ვთვლი საკითხისადმი ქიქოძისეული მიდგომის ზოგადი აღწერის მოცემას, რადგან, როგორც შემდგომ ვნახავთ, აქ გამოვლენილი ელემენტები სტალინისტთა რიტორიკული არსენალის ჩვეული შემადგენელია. ქიქოძე კრიტიკულ ტონს სტალინიზმის მხოლოდ ზოგადი დახასიათებისას იყენებს, მაშინ როდესაც სტალინით აღტაცების კონკრეტული შემთხვევების აღწერისას *რომანტიზების* (სადღეგრძელოები სტალინზე), *მისტიფიკაციისა* (სტალინისადმი “სიყვარული დიდი შიშინანობიდან და მსოფლიოს ისტორიაში უდიდესი, მომწუსხველი ჰიპნოზიდან მოდის” (იქვე, გვ. 14)) და *უნივერსალიზაციის* (პოლონელი ტურისტებისგან ავტორის მიერ მოსმენილი ვერსია, რომ სტალინი პოლონელი მოგზაურის პრჟევალსკის უკანონო შვილი იყო) მეთოდებს მიმართავს.

გია ნოდისა მიერ საპასუხოდ დაწერილ სტატიაში „რა გაიტანს თავებიდან სტალინს?“ (იქვე, 23-32) სტალინით აღტაცებულ ადამიანთა კოლორიტებად წარმოჩენა, ანუ თავის მხრივ აღტაცების ობიექტად გადაქცევა და კამათისა და დაპირისპირების მიღმა დაყენება ინდივიდისადმი არალიბერალურ და არადემოკრატიულ დამოკიდებულებად არის შეფასებული. ხოლო რაც შეეხება ძეგლის აღებას, ავტორის მიერ ამგვარი შესაძლებლობა საბოლოო მიზნის — დესტალინიზაციის, ანუ „სტალინის თავებიდან გატანის“ ლეგიტიმურ ინსტრუმენტადაა მიჩნეული.

ამავე კრებულში ნინო ლეჟავას ავტორობით დაწერილ შესავალ სტატიაში, რომელიც მეხსიერების პოლიტიკის გარშემო ზოგადი კომენტარებითაა აგებული ასევე მოცემულია სტალინით აღტაცების ვერსია:

...ეთნიკური წარმომავლობის მიუხედავად, საქართველოში მცხოვრები ყველა მეწაღისთვის სტალინი შეიძლება იყოს ქართული "ამერიკული ოცნების" განხორციელება. გორელი მეწაღის შვილმა გენერალისიმუსობას მიაღწია. (იქვე, 6).

მსგავსი ვერსიას გამოთქმული ქიქოძის სტატიაშიც სადღეგრძელოს სახით, რომელიც, როგორც ავტორი მოგვითხრობს, თავისი კარსნელი მეზობლის ვასილიჩისგან ჰქონდა მოსმენილი:

— იმ უღვაშა ბიჭს გაუმარჯოსო, — ასე იტყოდა, — ლიახვში რო ბანაობდა და კრემლში დაიმარხაო. (იქვე, 11).

შემდგომ განხილვებში ვნახავთ, რომ ამგვარი უპრეცედენტო ბიოგრაფიული ნახტომის გამო მრავალი ავტორისათვის სტალინი თავისთავად აღფრთოვანების ობიექტი ხდება. თუმცა, გარდა ამისა, ლიტერატურის მიმოხილვაში კონკრეტულად ამ კრებულზე ყურადღების გამახვილებას სხვა დატვირთვაც აქვს. კერძოდ კი ის, რომ აქ აშკარად ჩანს, თუ რაოდენ შეზღუდულია კრებულის ავტორთა მიერ საქართველოში სტალინით აღფრთოვანების რეალური მასშტაბების ხედვა, რადგან თავიანთ მსჯელობას ისეთ ანეკდოტურ მაგალითებზე აგებენ, როგორცაა მეწაღის ჯიხურში გამოკრული სტალინის სურათი და „ვასილიჩის სადღეგრძელო.“

ამასთან ერთად, პრობლემის რეალური მასშტაბების თაობაზე არაინფორმირებულობა კრებულის სტრუქტურაშიც თავს იჩენს, რადგან ტექსტური ნაწილის შეზღუდულობა კონტრასტში მოდის ფოტომასალის მრავალფეროვნებასთან. ეს უკანასკნელი ნათლად წარმოაჩენს სტალინის სიმბოლოს ფართო არეალს საჯარო და პირად სივრცეებში, მათ შორის კოლაჟის ცალკე თავი კოალიცია „ქართულ ოცნებას“ ეძღვნება (იქვე, 76-81) და აჩვენებს, თუ როგორ ხდებოდა სტალინის სიმბოლოს გამოყენება 2012 წლის წინასაარჩევნო კამპანიაში.

აქვე უნდა ითქვას, რომ სტალინის გამოყენება წინასაარჩევნო კამპანიებში — როგორც პოლიტიკური გაერთიანების სარეკლამო სიმბოლოსი — არ არის ახალი მოვლენა, არამედ 1990-იანების დასაწყისიდან იღებს საფუძველს. 2012 წელს გამოცემულ ფოტოალბომში „ქართული საარჩევნო პოლიტიკური პლაკატი“ (გორდელაძე, კოჭლაშვილი და ქვათაძე (რედ.)) თავმოყრილია 1990-იდან 2010 წლამდე ჩატარებული საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნებისთვის

## I. ლიტერატურის მიმოხილვა

გამოყენებული პარტიის თუ საარჩევნო კანდიდატის მხარდასაჭერი 90-მდე პლაკატი. მათ უმეტესობაზე გამოსახულია საარჩევნო კანდიდატი (27%) ან გუნდი (14%). ასევე მრავლადაა პლაკატები, რომელთა კომპოზიციაც რაიმე სიმბოლოზეა (დროშა, ჯვარი, საქართველოს რუკა, ისტორიული პიროვნება) აგებული (16%), სოციალური შინაარსის პლაკატები კი 7%-ს იკავებს. სიმბოლოთა შორის ისტორიული პიროვნებებისათვის დათმობილი სივრცე შემდეგნაირად ნაწილდება: ვახტანგ გორგასალი — 1 პლაკატი, ერეკლე მეფე — 1, ილია ჭავჭავაძე — 2, იოსებ სტალინი — 2, მერაბ კოსტავა — 2. ნიშანდობლივია პლაკატი, რომელიც კომბინირებულად წარმოაჩენს ერეკლე მეფეს, ილია ჭავჭავაძესა და იოსებ სტალინს (იქვე, 29) (იხ. სურათი #1). ქვემოთ კიდევ განვიხილავ მსგავსი ტიპის ვიზუალურ მასალას, სადაც სტალინი ქართველ ეროვნულ გმირთა შორისაა მოთავსებული.



სურათი 1. დღეს საქართველოს სჭირდება: ერეკლეს ხედვა, ილიას სიბრძნე, სტალინის სიმბიჭი. პარტია "ერთიანი საქართველო". 1995 წლის 5 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნები.

ავტორიტარულიდან დემოკრატიულ სისტემაზე ტრანზიციის გვერდითი მოვლენებია აღწერილი ქეთრინ გოთფრედსენის პუბლიკაციაში (Gotfredsen 2014), რომელიც 2010-11 წლებში მის მიერ გორში ჩატარებულ ეთნოგრაფიულ კვლევას ეფუძნება. 50-75 წლის ასაკის რესპონდენტებისაგან შეგროვილ ინტერვიუებსა და პოსტსაბჭოთა, განსაკუთრებით კი ვარდების რევოლუციის შემდგომი, სოციო-



ეკონომიკური პროცესების ანალიზზე დაყრდნობით ავტორი შუა ასაკისა და მოხუცებულთა მზარდ მარგინალიზაციაზე საუბრობს, რაც საბჭოთა წარსულისადმი მოზღვავებულ *ნოსტალგიას* და სტალინის თაყვანისცემაში ვლინდება. ერთი მხრივ, სტატიის თეორიული ჩარჩო სვეტლანა ბოიმის ნოსტალგიის თეორიას ეყრდნობა, რომელიც ნოსტალგიის ფენომენის უგულებელყოფის წინააღმდეგ აფრთხილებს მკითხველს (Boym 2001), მეორე მხრივ კი, თავად გოთფერდსენიც გორში ასაკოვანთა შორის დანახულ ნოსტალგიას „სათუთ პოლიტიკურ პრაქტიკად“ (იქვე, 263) მოიხსენიებს.

თუმცა, უნდა ითქვას, რომ გოთფერდსენის მიერ შემოთავაზებული სტალინითა და საბჭოთა წარსულით აღფრთოვანების ინტერპრეტაცია ამ დროისათვის ჩამოყალიბებულ ლოკუსებს — მარგინალური ჯგუფები, ნოსტალგია და გორი როგორც სტალინის მშობლიური ქალაქი — ვერ სცილდება. სტატია შთაბეჭდილებას ქმნის, რომ კვლევის მეთოდები იქნა მორგებული მოსალოდნელ შედეგებზე, იმის ნაცვლად რომ მონაცემებით ჰიპოთეზის გადამოწმება მომხდარიყო. კვლევის ასეთ ჩარჩოებში მოქცევას ისევ განსახილველი ფენომენის მასშტაბების დანახვის საჭიროებამდე მივყავართ.

საბედნიეროდ, მასშტაბების აღქმა მალევე გახდა შესაძლებელი 2012 წელს „კარნეგის ფონდის“ მიერ რუსეთში, საქართველოში, სომხეთსა და აზერბაიჯანში დაკვეთილი კვლევის წყალობით, რომლის რაოდენობრივმა მონაცემებმაც გამოაგნებელი სურათი გამოამჟღავნა: „როგორც ჩანს, იოსებ სტალინი არ მომკვდარა“ (დე ვაალი 2013, 11). შვიდი კითხვა, რომელიც სტალინისადმი დამოკიდებულების გამორკვევას ისახავდა მიზნად ინტეგრირებულ იქნა "კავკასიის ბარომეტრის" ყოველწლიური კვლევების კითხვარში (ტარდება 2006 წლიდან). 2012 წელს საქართველოდან 2502 რესპონდენტმა მიიღო მონაწილეობა კვლევაში, რაც ქვეყნის სრულწლოვანი (18+) მოსახლეობის რეპრეზენტატულ სურათს იძლევა (CRRC 2012). დადებით შეფასებას სტალინს საქართველოში გამოკითხულთა 45% აძლევს, სომხეთში — 25%, ხოლო აზერბაიჯანში — 21% (იხ. დე ვაალი 2013, 6).

სტალინის პოზიტიური შეფასება წინააღმდეგობაში მოდის ამავე კვლევაში

გამოვლენილ დამოკიდებულებებთან დემოკრატია, თავისუფალ ბაზარსა და ლიბერალურ ღირებულებებთან. გარდა ამისა, წინააღმდეგობრივია თავად სტალინის მიმართ დამოკიდებულება, რადგან „გამოკითხულები აღნიშნავენ, რომ სტალინი იყო ორივე — „სასტიკი ტირანი“ და „ბრძენი ლიდერი“ (იქვე, 12), რასაც ავტორები „ორმაგი აზროვნების“ სიმპტომად მოიხსენიებენ (იქვე). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ კვლევაში საქართველოს განსაკუთრებული ადგილი უკავია, რადგან სტალინმა ყველაზე მეტი პოზიტიური შეფასება სწორედ აქ მიიღო.

ამგვარი ემპირიული მონაცემები რადიკალურად აყენებს სტალინისა და სტალინიზმის კვლევის აკადემიურ გამოწვევას. ნათელი ხდება, რომ საკითხი სერიოზულ მიდგომას მოითხოვს<sup>8</sup>. CRRC-ს კვლევის მონაცემთა ინტერპრეტირების პირველივე მცდელობებში, აშკარად გამოიკვეთა ტონის ცვლილება სტალინის მნიშვნელობის შეფასებაში. „ქართული ამერიკული ოცნებისა“ და „მეწაღეთა საყვარელი სურათის“ ნაცვლად სტალინური განწყობების ინტერპრეტაციისას ამიერიდან ისეთი ეპითეტები ჩნდება, როგორცაა „ეროვნული ხატი“ (ლეჟავა 2013, 7), ან „ეროვნული გმირი“ თუ „პატრიოტიზმისა და ხალხური თაყვანისცემის საგანი“ (ლ. ბაქრაძე 2013, 70).

საზოგადოებრივი აზრის კვლევის აღნიშნულმა პროექტმა საქართველოში საფუძველი ჩაუყარა აკადემიური კვლევების მიმართულებას, რომელიც სტალინიზმს არა მხოლოდ საბჭოთა წარსულის შესწავლის, გააზრებისა და გადაფასების პერსპექტივებიდან უდგება, არამედ თანამედროვე, პოსტსაბჭოთა სოციოკულტურული სივრცის საყურადღებო ელემენტად განიხილავს. აშკარა გახდა სტალინის ფაქტორის აქტუალურობა, რომლის მიზეზების კვლევისათვის საჭირო იყო დამატებითი რაოდენობრივი და თვისებრივი მასალის შეგროვება, რადგან „კარნეგის ფონდის“ მიერ დაკვეთილი კვლევის ნედლი რაოდენობრივი

---

<sup>8</sup> აქვე აღნიშნავ, რომ წინამდებარე სადოქტორო დისერტაციის იდეა სწორედ სტალინის კვლევების გარდამავალ პერიოდში ჩამომიყალიბდა, როდესაც პროსპექტუსის დაცვისას (2011) კომისიის ერთ-ერთი წევრის მიერ გამოთქმული იქნა ეჭვი იმის თაობაზე, შესაძლებელია თუ არა საქართველოში სტალინის, — თუნდაც საკამათო და სადავო — ნაციონალურ გმირად განხილვა. სწორედ ამ ტიპის სკეპტიციზმს გამოეცალა საფუძველი მას შემდეგ, რაც „კარნეგის ფონდის“ მიერ დაკვეთილი საზოგადოებრივი აზრის კვლევის შედეგები გასაჯაროვდა.

მასალა, მართალია, ქვეყანაში სტალინის მიმართ არსებული ზოგადი განწყობის სურათს იძლეოდა, მაგრამ მასზე დაყრდნობით შეუძლებელი იყო ფენომენის დემოგრაფიული, ან სოციალური მახასიათებლების გამოკვეთა (იხ. იქვე. 73-4).

სანამ იმ კვლევების მიმოხილვას შევუდგებოდეთ, რომელთათვისაც ბიძგის მიმცემი „კავკასიის ბარომეტრის“ რაოდენობრივი მონაცემები გახდა, სამართლიანობა მოითხოვს, ექვსი წლით ადრე, 2007 წელს ჩატარებული რაოდენობრივი კვლევა ვახსენოთ, რომელშიც, ერთი მხრივ, ასევე მაღალი პოზიტიური დამოკიდებულება გამოვლინდა სტალინის მიმართ ქართულ საზოგადოებაში, მაგრამ, მეორე მხრივ, ვერ გახდა საკითხის აკადემიური კვლევის წამახალისებელი. საუბარია არასამთავრობო ორგანიზაცია „საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტის“ (IRI) მიერ ჩატარებულ „ქართველ ამომრჩეველთა კვლევაზე“ (Georgian National Voter Study 2007), რომელშიც ქვეყნის რეპრეზენტატულ მონაცემებზე დაყრდნობით<sup>9</sup> გამოვლინდა ამომრჩევლის განწყობები სოციო-პოლიტიკურ პროცესებთან დაკავშირებით. მათ შორის რამდენიმე კითხვა საბჭოთა წარსულისა და იოსებ სტალინის შეფასებასაც ეხება. გამოკითხულთა 60% მიიჩნევს, რომ საბჭოთა პერიოდში ცხოვრება უკეთესი იყო (იქვე, 39); 58% მიიჩნევს, რომ სტალინი ძლიერი ლიდერი იყო და ამიტომ მისი ძეგლი არ უნდა იქნეს აღებული გორის ცენტრალური მოედნიდან (იქვე, 40), და 69% ეთანხმება მოსაზრებას, რომ „სტალინი კარგი ლიდერი იყო, რომელმაც განავითარა და გააძლიერა საბჭოთა კავშირი“ (იქვე, 41).

გარკვეული მიზეზებით, რომელთა საფუძვლიანი კვლევის ადგილი აქ არ გვაქვს, IRI-ს რაოდენობრივი კვლევის სტალინზე დასმულ კითხვათა მონაცემები საბჭოთა წარსულითა და მემკვიდრეობით დაინტერესებულ მკვლევართათვის ცხრა წლის მანძილზე დაიკარგა. აღნიშნული კვლევის მონაცემების პირველი ხსენება მხოლოდ 2016 წელს გამოქვეყნებულ კვლევაში გვხვდება (Kabachnik, Kirvalidze and Gugushvili). IRI-ს მონაცემები მნიშვნელოვან სიცარიელეს ავსებს საქართველოში სტალინის პოპულარობის დინამიკის კვლევასთან დაკავშირებით,

---

<sup>9</sup> გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო საქართველოს 1,500 ზრდასრულმა მოქალაქემ, ქვეყნის ყველა ოფიციალურ ადმინისტრაციულ რეგიონში. მეტი დეტალისათვის იხ. (IRI 2007, Georgian National Voter Study, 2).

რადგან ქმნის გარკვეულ წარმოდგენას 2008 წლის აგვისტოს ომამდე არსებულ ვითარებაზე, თუმცა მონაცემების ამდენი ხნის მანძილზე უგულებელყოფა დაკარგული შესაძლებლობაა საკითხის სიღრმისეული კვლევისათვის.

„კავკასიის ბარომეტრის“ კვლევის შედეგები და კრებული „სტალინის თავსატეხი“ (დე ვაალი 2013) საქართველოში პოლიტიკური განახლებისა და მაღალი მოლოდინების პერიოდში ქვეყნდება. კერძოდ, 2013 წელს ხელისუფლების მშვიდობიანი ცვლილება, ერთი მხრივ, ქართული დემოკრატიის განვითარების მიმართ პოზიტიურ მოლოდინებს აჩენს, მეორე მხრივ კი, სტალინური სენტიმენტების მომძლავრების პლატფორმად იქცევა. კახეთის რამდენიმე სოფელში სტალინის ძეგლები იდგმება და გორში მოხსნილი ძეგლის დაბრუნების იდეაც უფრო ხშირად ჟღერდება. ამ კონტექსტში ბუნებრივად ჩნდება კითხვები საბჭოთა წარსულის გადაფასება/გააზრების შესაძლებლობებსა და მიმართულებებზე, რის დიაგნოზისთვისაც ძირითად გამოსაკვლევ ობიექტად ისევ სტალინის ფიგურა და მის მიმართ არსებული დამოკიდებულებები გვევლინება.

კავკასიის რესურს ცენტრის მიერ მოპოვებულ მონაცემებზე დაყრდნობით მალევე გადამოწმებულ იქნა სტალინისადმი პოზიტიური განწყობის ასაკობრივი, სოციალურ-სტრუქტურული (დასაქმება, განათლება, შემოსავალი), გენდერული და ნაციონალური ჰიპოთეზები (Gugushvili and Kabachnik 2015). სტატიის ავტორები არ მალავენ, რომ მათ მიერ შემოწმებული ჰიპოთეზები სტალინით აღფრთოვანების ლოკუსებს — თავად ავტორთა ტერმინოლოგიით „conventional wisdom“ (იქვე, 4) — წარმოადგენენ, რომელთაგანაც რამდენიმე მოსაზრება — რომ სტალინს პოზიტიური შეფასება ძირითადად მოხუც თაობასა და ღარიბებშია გავრცელებული, ხოლო ნეგატიური მათ შორის, ვინც რუსეთს ყველაზე დიდ საფრთხედ აღიქვამს და/ან კერძო საკუთრების მომხრეა — სტატისტიკურად დადასტურდა; მაგრამ სხვა ღრმად გამჯდარმა ლოკუსებმა — რომ განათლების დონე და რელიგიურობა უკუპროპორციულ კავშირში უნდა იყოს სტალინის პოზიტიურ აღქმასთან — მცირე ან არანაირი დასტური არ მიიღო (იხ. იქვე, 27). რაც შეეხება ნაციონალიზმის ჰიპოთეზას, რომლის მიხედვითაც საქართველოში

სტალინის განდიდების ძირითადი მიზეზი მისი ქართული წარმომავლობა უნდა იყოს, მასთან დაკავშირებით ავტორები ხმამაღალი დასკვნებისაგან თავს იკავებენ გამომდინარე იქიდან, რომ „კავკასიური ბარომეტრის“ მონაცემები ეთნიკური მრავალფეროვნების რეპრეზენტატული არ არის, თუმცა აღნიშნავენ, რომ არსებულ მონაცემებზე დაყრდნობით საქართველოს ეთნიკურად არაქართულ მოსახლეობაში სტალინის პოზიტიური შეფასება კიდევ უფრო მაღალია (იხ. იქვე).

იგივე ავტორები, იმავე სტატისტიკურ მონაცემებზე დაყრდნობით<sup>10</sup>, იმავე წელს გამოცემულ სტატიაში აანალიზებენ თუ როგორ მოქმედებს "დაბადების ადგილის ეფექტი" სტალინით აღტაცების გეოგრაფიულ განაწილებაში (Kabachnik and Gugushvili 2015). გორი, სტალინის მშობლიური ქალაქი, ათწლეულების მანძილზე განსაკუთრებული სიმტკიცით ინახავს სტალინის ხსოვნას, რასაც მისი სახელობის მთავარი გამზირის, ცენტრალურ მოედანზე ძეგლისა და სახლმუზეუმის დაცვაში გამოიხატა დესტალინიზაციის ათწლეულების მანძილზე. გამომდინარე აქედან, გორში სტალინით განსაკუთრებული აღფრთოვანება, ყოველგვარი აკადემიური კვლევის გარეშე, ფაქტად იყო მიღებული. ამ გარემოების გადმოსაცემად ავტორები წინა სტატიის მსგავსად ტერმინ "საყოველთაო ჭეშმარიტებას" იყენებენ (იქვე, 102), თუმცა არსებული მონაცემების სტატისტიკური დამუშავებით ცდილობენ გორში სტალინისადმი დამოკიდებულების "განსაკუთრებულობის" ლოკუსის გადასინჯვას.

ავტორები ამ სტატიაშიც ხაზს უსვამენ, რომ სტალინისადმი დამოკიდებულების კვლევა შემოიფარგლება არა უბრალოდ საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფისთვის დამახასიათებელი ისტორიული მოვლენების აღქმის გამოვლენით, არამედ რელევანტურია ამჟამინდელი სოციო-კულტურული და პოლიტიკური პროცესების აღქმის თვალსაზრისითაც (იხ. იქვე, 103). მონაცემების სტატისტიკური დამუშავება აჩვენებს, რომ გორის *განსაკუთრებულობა*, ერთი

<sup>10</sup> აღნიშნული სტატია, ისევე როგორც წინა სტატია ეფუძნება „კავკასიის ბარომეტრის“ 2012 წლის კვლევის მონაცემებს, რომლის 2502 რესპონდენტიდან 96 გორის რაიონის მაცხოვრებელია (50 ქალაქ გორის მაცხოვრებელი და 46 მიმდებარე სოფლების— მეჯვრისხევისა და ფლავისმანის— მაცხოვრებელი) (Kabachnik and Gugushvili, Unconditional Love? Exploring Hometown Effect in Stalin's Birthplace 2015, 107).

მხრივ, არ არის მხოლოდ მითი, არამედ სტალინისადმი გამორჩეულად პოზიტიური დამოკიდებულება ემპირიულად შეიძლება იქნეს დადასტურებული, თუმცა, მეორე მხრივ, ქვეყნის სხვა რეგიონებზე (თბილისი, კახეთი) არსებული მონაცემები აჩვენებს, რომ სტალინისადმი პოზიტიური დამოკიდებულება არა უბრალოდ ლოკალური, გორითა და მისი შემოგარენით შემოფარგლული მოვლენა, არამედ საყოველთაო, ნაციონალური ფენომენია. (იხ. იქვე, 114-15).

კვლევის შედეგების მიხედვით საქართველოში სტალინის პოზიტიური შეფასება რურალურ სივრცეში უფრო მაღალია, თუმცა გამონაკლისი გორის რაიონია, სადაც ეს წესი ამოტრიალებულია და ურბანულ სივრცეში, ანუ თავად ქალაქ გორში სტალინი უფრო პოზიტიურად ფასდება, ვიდრე მის გარშემომყოფ რურალურ დასახლებებში. ემპირიული კუთხით სწორედ ეს გარემოება ხდის გორს გამორჩეულს. თუმცა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ზოგადად სტალინის პოზიტიური შეფასება საქართველოში ერთი ქალაქით ვერ შემოიფარგლება. ამავე პერიოდის ერთ-ერთი კვლევა, კავკასიის ბარომეტრის მონაცემების სტატისტიკური დამუშავებისა და სოციო-ეკონომიკური და პოლიტიკური მახასიათებლებით სივრცის კონტექსტუალიზაციის საშუალებით ადგენს, რომ გორიდან ყოველი 50 კილომეტრის მოშორებით სტალინის პოზიტიური აღქმა 2,5%-ით მცირდება (Gugushvili, Kabachnik and Gilbreath 2016, 364). თუმცა ქვეყნის მცირე ზომისა და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით ეს მონაცემი სტატისტიკურად უმნიშვნელოა (იქვე).

2016 წელს მკვლევართა და ასისტენტთა საერთაშორისო ჯგუფის ავტორობით ქვეყნდება მონოგრაფია „სტალინი დღეს: ჭიდილი საბჭოთა წარსულთან საქართველოში“ (Kabachnik, Kirvalidze and Gugushvili), რომელშიც არსებული ცოდნა ქართულ საზოგადოებაში საბჭოთა წარსულისა და, კერძოდ, სტალინის შეფასების ირგვლივ ემპირიულად შევსებული და გაღრმავებულია. კვლევა ეფუძნება არსებულ და უშუალოდ კვლევის ფარგლებში მოძიებულ რაოდენობრივ და თვისებრივ მასალასა (გამოკითხვა, სიღრმისეული ინტერვიუები, ფოკუს-ჯგუფები, მედიამასალა) და ინტერდისციპლინარულ

თეორიულ ჩარჩოს (ისტორია, კოლექტიური მეხსიერება). ავტორები კვლევის მთავარ ღირსებად ჩვეულებრივი ადამიანების ხმის გაჟღერებას მიიჩნევენ და მასალის არაერთგვაროვნებისა და კვლევის სუბიექტთა მოსაზრებებში გამოვლენილი წინააღმდეგობების გამო თავს იკავებენ დასკვნებისაგან და აღწერითი მიზნებით ზღუდავენ კვლევას (იხ. იქვე, 19).

საბჭოთა მეხსიერებისა და სტალინის აღქმის კვლევები თანდათანობით სოციალური მნიშვნელობით იტვირთება. 2016 წელს გამოიცემა მცირე ტანის პუბლიკაცია „13 მითი სტალინის შესახებ“ (კუპატაძე და ცუცქირიძე) რომელშიც ისტორიული პერსპექტივიდან, ანუ საარქივო მასალებზე დაყრდნობით გაკრიტიკებულია ქართულ საზოგადოებაში ყველაზე უფრო ფართოდ ტირაჟირებული ცამეტი მითი სტალინის შესახებ. პუბლიკაციის წინასიტყვაობაში ერთ-ერთი ავტორი - ლევან ცუცქირიძე - საუბრობს თანამედროვე საქართველოში ორი — ერთი მხრივ, დემოკრატიული, ევროპული და, მეორე მხრივ, ტოტალიტარული, პოსტკომუნისტური — ტრადიციის თანაარსებობაზე, და მიზნად ისახავს, გააქარწყლოს ამ უკანასკნელის მემკვიდრეობა, ანუ სტალინზე შექმნილი მითები, რომელიც „ხელს უშლის საქართველოს დემოკრატიულ კონსოლიდაციას, აძლიერებს ანტიდემოკრატიულ პოლიტიკურ მოძრაობებს და შეურაცხყოფს იმ ასეულობით ქართველის ხსოვნას რომლებიც სტალინის დიქტატურამ შეიწირა“ (იქვე, 6). პუბლიკაციის შესავალში კი (ბონდო კუპატაძე) საუბარია მითის იდეოლოგიურ ფუნქციებზე.

ამ პუბლიკაციაში პირველად გამოიყენება მითის ტერმინი იმ სტალინური ანეკდოტების მიმართ, რომლებიც ზემოთ განხილულ პუბლიკაციებში *ნარატივებად* და *ტროპებადაა* მოხსენიებული. სამწუხაროდ პუბლიკაციაში პრაქტიკულად ადგილი არ ეთმობა მითის ცნების განმარტებას (წინასიტყვაობა და შესავალი ჯამში ორგვერდნახევარია) და მხოლოდ მისი პოპულარული მნიშვნელობით გამოიყენება, რომელიც ფაბრიკაციას და ტყუილს აღნიშნავს. ამგვარი მიდგომით პუბლიკაცია სტალინისტური მითების ზედაპირული და ცალმხრივად ნეგატიური კუთხიდან განხილვის გამო დასახული მიზნის საპირისპირო შედეგამდე მიდის და სტალინისტური მითების გაქარწყლებისა და

ისტორიული კვლევის საგნად გადაქცევის ნაცვლად მის *რემითოლოგიზაციას* ახდენს.

ერთ-ერთი მითი, რომელიც განსაკუთრებულ ინტერესს იმსახურებს ბოლო ორი მიმოხილული პუბლიკაციიდან, „ქრისტიანი სტალინის“ ხატია. ის საინტერესოა, ერთი მხრივ მისი გავრცელების მასშტაბის გამო ქართულ კოლექტიურ მეხსიერებასა და რელიგიურ (საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის) დისკურსში და, მეორე მხრივ, ისტორიული კუთხიდან ამგვარი წარმოდგენის აბსურდულობის გამო. აღნიშნული მითი ეთნო ნაციონალური და რელიგიური დისკურსების პერსპექტივიდან განხილულია შოთა კაკაბაძის სტატიაში (Kakabadze 2017), რომელშიც ავტორი იყენებს რაოდენობრივ მონაცემებს (მაგ. CRRC 2012), ისტორიულ ეპიზოდებსა (მაგ. 1956 წლის მარტის მოვლენები) და მედიამასალას (მაგ. ილია მეორის 2013 წელს მიცემული ინტერვიუ), და ავითარებს არგუმენტს, რომ სტალინი „ცარიელი აღმნიშვნელია“ რომელსაც არ აქვს საკუთარი მნიშვნელობა და მხოლოდ ნაციონალიზმის ეთნიკურ და სამოქალაქო დისკურსებს შორის დაპირისპირების საგანია, რომელთაგანაც ორივე თავის, ურთიერთგამომრიცხავ მნიშვნელობებს ანიჭებს სტალინის სიმბოლოს“ (იხ. იქვე, 14).

სტატიაში ყურადღება ქართული ეთნიკური ნაციონალიზმის რელიგიურ შინაარსს ეთმობა, რომელიც პოსტსაბჭოთა პერიოდში წარმოიქმნება და ქართულ ეროვნულ იდენტობას მართლმადიდებლობას უკავშირებს და პირიქით. შესაბამისად, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ წარმოებულ დისკურსში სტალინი სარწმუნოებრივი ელემენტებით იმოსება, და იქმნება მითები და ლეგენდები იმაზე, თუ როგორი დიდი წვლილი შეიტანა სტალინის პიროვნულმა რწმენამ და/ან მისმა რელიგიურმა პოლიტიკამ მეორე მსოფლიო ომში მოპოვებულ გამარჯვებაში.

პიტერ კაბაჩნიკის 2018 წელს გამოქვეყნებულ სტატიაში სიღრმისეულ ინტერვიუებზე დაყრდნობით გაანალიზებულია ქართულ საზოგადოებაში მეხსიერების ადგილების აღქმა პოსტსაბჭოთა ტრანზიციის კონტექსტში (Kabachnik 2018). მეხსიერების ადგილებად ძირითადად საბჭოთა პერიოდის



დღემდე შემორჩენილი მონუმენტები, სიმბოლიკა და ქუჩის სახელებია არჩეული. სტატია მიმოიხილავს მეხსიერების პოლიტიკას, რომელიც მეხსიერების ზემოთ მოყვანილ ობიექტთა მანიპულაციით ისტორიის გარკვეული ინტერპრეტაციის გამყარებას ცდილობს, მიუხედავად იმისა, რომ შესაბამის მოვლენათა მომსწრე ადამიანების მიერ მათი აღქმა სულაც არ არის ერთგვაროვანი. სტატიაში საბჭოთა წარსულის გადააზრების მიზნით გატარებული მეხსიერების პოლიტიკისა და მისი შედეგების კვლევისას განსაკუთრებულ ყურადღებას, რა თქმა უნდა, სტალინი იპყრობს. სტალინის ძეგლებთან და სახლმუზეუმთან დაკავშირებით განხორციელებულ პოლიტიკასა და საზოგადოების მიერ მისი ფიგურის აღქმის დასახასიათებლად ავტორი "ჰიბრიდულობის" ცნებას იყენებს, ეყრდნობა რა კატარზინა მარცინაკის "პოსტსოციალისტური ჰიბრიდულობის" მეტაფორას, რომელიც გამოსადეგია "სოციალისტურ სახელმწიფოთა კოლაფსის შემდეგ წარმოქმნილ წინააღმდეგობათა, ამბივალენტურობათა და თვალშისაცემი კონტრასტების დასახაზად" (იქვე, 268). ეს ჰიბრიდულობა საქართველოში ყველაზე აშკარად სტალინთან მიმართებაში ვლინდება.

კაბაჩნიკის მიერ 2012-13 წლებში ჩატარებულ 62 სიღრმისეულ ინტერვიუში რესპონდენტთა პასუხებიდან გამომდინარე მეხსიერებაზე ყველაზე უფრო დიდი გავლენის მქონედ მიჩნეულია ძეგლები. თუ გამოკითხულთა სრული უმრავლესობა ემხრობა ლენინის ძეგლის აღებას (რომელიც თბილისში ახლანდელ თავისუფლების მოედანზე იდგა), მათი დიდი უმრავლესობა გორის ცენტრალური მოედნიდან სტალინის ძეგლის აღებასაც იზიარებს, თუმცა ამავედროულად გამოთქვამს სურვილს, რომ ეს უკანასკნელი, ნაცვლად იმისა, რომ შეინახონ, დაიდგას რომელიმე სხვა ადგილას, რადგან სტალინი ქართველი იყო (იხ. იქვე, 279-9).

გარდა სტალინის მაგალითისა, რომელსაც ავტორი "გამონაკლისად" ახასიათებს, რადგან ის, ერთი მხრივ, საბჭოთა, თუმცა უფრო მეტად "ქართული" სიმბოლოა, კვლევამ სხვა სიმბოლოებთან მიმართებაშიც წინააღმდეგობრივი დამოკიდებულებების გამოავლინა, რის გამოც ავტორი მიიჩნევს, რომ "ჰიბრიდულობა საქართველოში ყველაზე უფრო აშკარა მახასიათებელია

საბჭოთა სიმბოლოების მიმართ არსებული დამოკიდებულებებისა" (იქვე, 281).

სიმბოლურ ველში სტალინის ადგილის გამოსაკვლევად, რა თქმა უნდა, საჭიროა მისი არა იზოლირებულად შესწავლა, არამედ სხვა ფიგურებთან, ეროვნული იდენტობის გმირებთან და ანტი-გმირებთან მიმართებაში განხილვა. სწორედ ამას ისახავს მიზნად გუგუშვილის, კაბაჩნიკისა და კირვალიძის მიერ 2017 წელს გამოცემული სტატია (Gugushvili, Kabachik and Kirvalidze 2017), რომელშიც ნაციონალური იდენტობის კვლევების დიქტომიური (ეთნიკური/სამოქალაქო) მოდელისა და რეპუტაციული პოლიტიკის თეორიული ჩარჩოს გამოყენებით განხილულია XX-XIX საუკუნეების რამდენიმე ფიგურა და მათი როლის აღქმა ქართულ საზოგადოებაში. სტატიის ემპირიულ მასალას CRRC-ს ზემოთ უკვე ნახსენები რაოდენობრივი მონაცემები შეადგენს (Gugushvili, Babunashvili, et al. 2015), რომელიც იოსებ სტალინსა და საქართველოს მესამე პრეზიდენტს მიხეილ სააკაშვილს საკამათო ნაციონალურ ფიგურებად ავლენს, რომელთა მიმართაც ერთდროულად თანაბარი პოზიტიური და ნეგატიური განწყობებია საქართველოში. მონაცემების სტატისტიკური დამუშავებით კიდევ ერთხელ დადასტურდა სტალინისადმი მხარდაჭერის ასაკობრივი არგუმენტი: 1928-1947 წლებში დაბადებულებს შორის ყველაზე უფრო მაღალია სტალინის გმირად მოხსენიების მოლოდინი (Gugushvili, Kabachik and Kirvalidze 2017, 476); ხოლო რაც შეეხება საპირისპირო განწყობებს, — 1948-57 და 1958-67 წლებში დაბადებულთა შორის უფრო მაღალია სტალინის ანტი-გმირად მოხსენიების მოლოდინი. ასევე ნაკლებ პოზიტიური დამოკიდებულებას ავლენენ სტალინის მიმართ თბილისში მცხოვრები და უმაღლესი განათლების მქონე რესპონდენტებს; თუმცა ნაციონალიზმის უპირატესად სამოქალაქო გაგების მქონე ინდივიდებს შორის სტალინის ანტი-გმირად შერაცხვა ნაკლებადაა მოსალოდნელი (იქვე, 477).

სტატიის ავტორთა მტკიცებით, საქართველოში საზოგადოებრივი აზრის კვლევები აჩვენებს, რომ გარკვეული პოლიტიკური ფიგურების მიმართ გამოხატული მხარდაჭერა ან ანტიპათია კორელაციაშია განსხვავებულ მსოფლალქმასა და პერსპექტივებთან. შესაბამისად, ისტორიულ ფიგურათა

გმირებად ან ანტი-გმირებად შერაცხვა განსხვავებულ, საკამათო ნაციონალურ ნარატივთა არსებობის ილუსტრირებას ახდენს (იქვე, 465). ნაციონალური გმირები (და ანტი-გმირები) ერთგვარ ღერძს წარმოადგენს, რომელზეც ერის იდენტობის აგება და ლეგიტიმაცია ხორციელდება (იქვე, 468). სწორედ ამგვარ თეორიულ ჩარჩოში მოხდა პირველად სტალინის ფიგურის გამოკვლევა ისე, რომ ის სხვა ქართულ ეროვნულ გმირებთან და ანტი-გმირებთან იქნა შედარებული.

კაბაჩნიკისა და გუგუშვილის მიერ 2019 წელს გამოქვეყნებულ სტატიაში მოცემულია რუსეთსა და საქართველოში სტალინისადმი დამოკიდებულების რაოდენობრივი მონაცემების შედარებითი ანალიზი (Gugushvili and Kabachnik). ნაციონალური მასშტაბებით ჩატარებულ გამოკითხვათა შედეგების სტატისტიკური დამუშავების საფუძველზე ავტორები ამტკიცებენ, რომ სტალინის გამოკვეთილად პოზიტიური შეფასება რუსეთსა (28%) და საქართველოში (48%), ერთი მხრივ, "არ შეიძლება უგულებელყოფილი იყოს როგორც მარგინალური და რეაქციონერული" (იქვე, 318), მეორე მხრივ კი მრავალგვარი ფაქტორითაა განპირობებული (იხ. იქვე). კერძოდ, რუსეთში სტალინისადმი დამოკიდებულებას იდეოლოგიური და პოლიტიკური განწყობები განაპირობებს, დემოკრატიისა და თავისუფალი ბაზრის მომხრე რესპონდენტების შეფასება სტალინის მიმართ უფრო ნეგატიურია და პირიქით. ამასთან ერთად, რუსულ ახალგაზრდობაში სტალინისადმი პოზიტიური დამოკიდებულება მატულობს ბოლო ათწლეულის მანძილზე, რასაც ავტორები პუტინის ადმინისტრაციის მიერ წარმოებულ მეხსიერების პოლიტიკას უკავშირებენ (იხ. იქვე, 333-4). რაც შეეხება საქართველოს, აქ სტალინისადმი დამოკიდებულება სოციო-დემოგრაფიული და სივრცული ფაქტორებით განისაზღვრება (იქვე, 333). საინტერესო მიგნებას წარმოადგენს ისიც, რომ ქართველ რესპონდენტებს შორის პუტინისადმი ნეიტრალური ან პოზიტიური დამოკიდებულება, ასევე სტალინის რელიგიურობისა და ეთნიკურ-ნაციონალური იდეების რწმენა პირდაპირ-პროპორციულია სტალინის დადებითი შეფასებისა (იხ. იქვე, 334). ამასთან ერთად, რუსეთშიც და საქართველოშიც დედაქალაქებში სტალინისადმი დამოკიდებულება

ძირითადად ნეგატიურია, თუმცა პოზიტიურისკენ იცვლება, რაც უფრო ვმორღებით დედაქალაქებს და ვინაცვლებთ რურალურ სივრცეებში (იქვე).

ავტორები კიდევ ერთხელ უსვამენ ხაზს, რომ გაანალიზებული ქვეყნებიდან, ერთი მხრივ, არცერთში განხორციელებულა საფუძვლიანი დესტალინიზაციის პროცესი, მეორე მხრივ კი, ეპიზოდური რე-სტალინიზაციის შემთხვევები გვაქვს მოცემული, რომელთა შორის თვალშისაცემია ისტორიის სასკოლო სახელმძღვანელოები და სტალინის მონუმენტების აღმართვა (იქვე, 334). ამასთან ერთად, ავტორები ეხებიან ორი ქვეყნის პოლიტიკურ მდგომარეობას, კერძოდ კი რუსეთის პოზიციებს მსოფლიო პოლიტიკის რუკაზე, რომლის კონტექსტშიც სტალინი „ეფექტურ მენეჯერს“ წარმოადგენდა, რომელმაც საბჭოთა კავშირი (რუსეთი) მსოფლიო სუპერ-ძალად აქცია და გამარჯვება მოუტანა მეორე მსოფლიო ომში. ხოლო რაც შეეხება საქართველოს, მისი საზოგადოების სტალინისტურად განწყობილ ნაწილს 2008 წლის აგვისტოს ომის კონტექსტში სტალინი სიამაყით ახსენებს ეპიზოდს, როდესაც რუსეთს (საბჭოთა კავშირს) ქართველი მართავდა (იქვე).

ზემოთ განხილულ ნაშრომთა ავტორების ეს ტრიო — გუგუშვილი, კაბაჩნიკი და კირვალიძე — კიდევ ერთხელ უბრუნდება 2010 წელს გორში აღებული სტალინის ძეგლის საკითხს და რვა წლის შემდგომ არსებულ დამოკიდებულებებს ანალიზებს რაოდენობრივი და თვისებრივი მასალის საფუძვლებზე (Kabachnik, Alexi and Kirvalidze 2020). სტატიაში რაოდენობრივი მონაცემების ანალიზის საფუძველზე გამოვლენილია ის, თუ რა სოციო-დემოგრაფიული, სოციო-ეკონომიკური, სივრცული და პოლიტიკური ცვლადები კორელირებს ხალხის დამოკიდებულებებთან. კვლევის შედეგები შევსებულია ინდივიდთა პირადი ნარატივებითა და პერსპექტივებით, რომლებიც სიღრმისეულ ინტერვიუთა საშუალებით იქნა მოპოვებული. კვლევის თეორიული ჩარჩო პოსტსოციალისტურ სამყაროში მიმდინარე პროცესების ფართო სოციო-პოლიტიკური კონტექსტიდანაა აღებული, მიმოხილულია საბჭოთა პერიოდის ძეგლებთან დაკავშირებული მეხსიერების პოლიტიკა რუსეთის, ესტონეთის, რუმინეთის, ყირგიზეთისა და ყაზახეთის მაგალითებზე,

და გამოვლენილია, ერთი მხრივ, მსგავსებები და განსხვავებები გორის სტალინის ძეგლის შემთხვევასთან და, მეორე მხრივ, ახალი თეორიული და მეთოდოლოგიური პერსპექტივები, რომლებიც საკითხის შესწავლის გაღრმავებას გახდის შესაძლებელს (იხ. იქვე, 265-66).

გამოტანილი დასკვნების მიხედვით სტალინის ძეგლის დაბრუნების მომხრეთა (ჯამში გამოკითხულთა 45.7%, იხ. იქვე, 268) ძირითადი საერთო მახასიათებელი შემდეგნაირად გამოიყურება: სამცხე-ჯავახეთის ან იმერეთის მაცხოვრებელი, ხნიერი მამაკაცი, რომელსაც პოზიტიური სოციალიზაცია აქვს მიღებული სტალინთან დაკავშირებით და პოზიტიურადაა განწყობილი პუტინის მიმართ (იხ. იქვე, 274). ხოლო ძეგლის სტალინის სახლ-მუზეუმის ტერიტორიაზე გადატანის მომხრე (რომლებიც გამოკითხულთა 26,7%-ს წარმოადგენს, იხ. იქვე, 268) არის თბილისში მცხოვრები უმაღლესი განათლების მქონე ქალი, სტალინისადმი პოზიტიური სოციალიზაციის გამოცდილების გარეშე და პუტინისადმი ნეგატიური დამოკიდებულებით (იხ. იქვე).

რაც შეეხება სტატიის თვისებრივ მასალას (32 სიღრმისეული ინტერვიუ და 17 ფოტუს-ჯგუფი (იხ. იქვე, 271), სამი ძირითადი ნარატივი იქნა გამოვლენილი რომელიც სტალინის ძეგლის აღებისა და მისი მომავალი ბედის შესახებ მსჯელობას ახლდა თან: 1) გორში, როგორც სტალინის ქალაქში, საჭირო იყო მისი ძეგლი ხელუხლებლად დარჩენილიყო (იხ. იქვე, 272); 2) ძეგლებთან ბრძოლა ამაოა, რადგან სტალინი მხოლოდ ისტორიაა, მისი ძეგლი კი მხოლოდ ქვა (იხ. იქვე); და 3) ძეგლის ბედი ხალხის მიერ უნდა ყოფილიყო გადაწყვეტილი დემოკრატიული პრინციპების თანახმად (იხ. იქვე).

ბოლო პუბლიკაცია, რომელსაც აქ შევეხები ელენე კეკელიასა და ოლივერ რაისნერის 2021 წელს გამოქვეყნებული სტატიაა, რომელშიც ავტორები სტალინისტთა და ანტი-სტალინისტთა შორის ბოლო წლების მანძილზე გამოვლენილი დაპირისპირების კონტექსტში საკამათო კოლექტიურ მეხსიერებებს და მათგან გამომდინარე ეთნოგრაფიულ და პოლიტიკურ, აქტივისტურ პრაქტიკებს აანალიზებენ (Kekelia and Reisner 2021). ისტორიულ მასალაზე დაყრდნობით ავტორები სტალინის ორი — პოზიტიური და

ნეგატიური — ხატის წარმოშობის პროცესთა რეკონსტრუირებას ახდენენ. „ოქროს სტალინის“ ანუ პოზიტიური სტალინის შექმნა 1930-იან წლებში პიროვნების კულტის ჩამოყალიბებით იწყება, რაშიც საქართველოს შემთხვევაში განსაკუთრებული დამსახურება ლავრენტი ბერიას პოლიტიკას მიუძღვის, ხოლო საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ, 1990-იანი წლების ტრავმული გამოცდილების ფონზე სტალინისადმი პოზიტიური დამოკიდებულება ახალ ბიძგს იღებს. რაც შეეხება „ვარდისფერ სტალინს“, ნეგატიური იმიჯის ჩამოყალიბება ხრუმჩოვის საიდუმლო მოხსენებიდან იწყება 1956 წლის თებერვალში და 1980-იანების მეორე ნახევრიდან მოყოლებული გორბაჩოვის „საჯაროობის“ პოლიტიკით გრძელდება, პოსტსაბჭოთა საქართველოში კი 2003 წლიდან დესტალინიზაცია სააკაშვილისა და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მიერ გრძელდება. ამ უკანასკნელთა ხელისუფლებიდან წასვლის შემდგომ კი, 2012 წლიდან მოყოლებული რესტალინიზაციის ტენდენციები ისევ აშკარა გახდა.

სტატიაში შემოთავაზებული ძირითადი სიახლე სტალინისტ და ანტი-სტალინისტ აქტივისტთა შეხედულებების შეპირისპირებაა, რაც მათ შორის აშკარას ხდის დიალოგის შეუძლებლობას (იხ. იქვე, 260). დიალოგის არარსებობა კი არა უბრალოდ ტექნიკური საკითხია, არამედ შეხედულებათა რადიკალურობის გამოვლინება. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ რადიკალურობა ორივე მხარეს თანაბარი დოზითაა მოცემული. ანტი-სტალინისტები მიიჩნევენ, რომ სტალინს უზომოდ დიდი ნეგატიური სიმბოლური დატვირთვა აქვს, როგორც რუს უცხო, საქართველოს თავისუფლებისა და სუვერენულობის შემზღვეველს, ბოროტ იმპერიალისტსა და ხალხთა შემავიწროებელს, ხოლო მისი თაყვანისცემა კულტურული პროვინციალიზმის ნიშანი და პრორუსული აგრესიის მხარდაჭერაა (იხ. იქვე, 262-3). ხოლო სტალინისტები ანტი-სტალინისტთა ქმედებებს შეთქმულების თეორიებით ხსნიან და ეჭვი შეაქვთ მათ გულწრფელობაში, უარყოფენ რომ სტალინის მხარდაჭერა რუსული პოლიტიკის მხარდაჭერას უტოლდება და მიიჩნევენ, რომ მკვდარი ადამიანის წინააღმდეგ ბრძოლა ღირსეული ქმედება არ არის (იხ. იქვე).

სტატიაში გაკეთებული საგულისხმო მიგნებები, რომელიც საქართველოში სტალინიზმის კვლევების აქტუალობისა და მიმართულების განსაზღვრისათვის მნიშვნელოვან გარემოებებს ჰყენს ნათელს, ახალგაზრდა თაობის პოზიტიურ სტალინურ სოციალიზაციასა და ანტი-სტალინისტა უმცირესობაში ყოფნაზე ხაზგასმასში მდგომარეობს. კვლევის ანტი-სტალინისტ რესპონდენტთა დაკვირვებით, ბოლო წლებში გორში, 9 მაისის ტრადიციულ ზეიმსა და სტალინისადმი მიძღვნილ მსვლელობებში მონაწილეობას იღებენ არა მხოლოდ ხნიერი მოქალაქეები, არამედ მათი შვილები და შვილიშვილებიც (იხ. იქვე, 263). და მართალია, ანტი-სტალინისტურ ჯგუფთა წარმომადგენლები 20-30 წლის ახალგაზრდები არიან, მათივე აღქმით, ანტი-სტალინური აქციები, რომელთა გარკვეული ნაწილის ჩატარებაც ფარული გზებით განხორციელდა, ნონ-კონფორმისტულ ქმედებად უნდა შეფასდეს გაბატონებულ სტალინურ გარემოსთან მიმართებაში (იხ. იქვე).

## 2. სტალინიზმის კვლევა

ლიტერატურის მიმოხილვის წინამდებარე ნაწილში შევხები ნაშრომებს, რომლებიც სტალინიზმის ჩამოყალიბების ისტორიას იკვლევენ საქართველოს პერსპექტივიდან. ძირითადი თემები და საკითხები, რომლებსაც ერთგვარ ფილტრად გამოვიყენებ სტალინიზმის შესწავლის უზარმაზარი ლიტერატურიდან, იქნება სტალინიზმის პერიოდის ეროვნული პოლიტიკის შინაარსი საქართველოში და სტალინის მიერ მისი ქართული წარმომავლობის ინსტრუმენტალიზება საქართველოსა და მის გარეთ მხარდაჭერის მოპოვების მიზნით. გარდა ამისა, ყურადღება მიექცევა პუბლიკაციებს, რომლებიც, მართალია, უშუალო კავშირში არ არიან დისერტაციის თემატიკასთან, — მაგალითად, 1937-8 წლების რეპრესიები საქართველოს სსრ-ში — თუმცა მათ გარშემო შექმნილი უთანხმოებები და დებატები სტალინიზმის გავლენის დემონსტრირებას ახდენს და საკითხის აქტუალობის ფართო სოციალურ-პოლიტიკურ სურათს გვიჩვენებს.

ამასთან ერთად, საქართველოს სსრ-ს კონტექსტში არსებული სტალინის

## I. ლიტერატურის მიმოხილვა

პიროვნების კულტის საწყისი სურათის რეკონსტრუირება, რომლის გარშემოც საკმაოდ დიდი შრომაა გაწეული ქართველი და უცხოელი მკვლევრების მიერ, საშუალებას მოგვცემს გამოვარკვიოთ, თუ რა ტრანსფორმაციებსა და, შეიძლება ითქვას, მეტამორფოზებს დაექვემდებარა სტალინის ხატი პოსტსაბჭოთა ქართულ ლიტერატურულ დისკურსში.

პირველი პუბლიკაცია, რომლის მოკლე აღწერითაც მსურს დავიწყო სტალინის პიროვნების კულტის ქართული ნაირსახეობის შემსწავლელი აკადემიური ლიტერატურის მიმოხილვა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩატარებულ საერთაშორისო კონფერენციაზე წაკითხულ მოხსენებათა კრებულია სახელწოდებით „ტოტალიტარიზმი და ლიტერატურული დისკურსი: მე-20 საუკუნის გამოცდილება“ (რატინი 2010). კონფერენციაზე დასმულ საკითხთა ძირითადი პათოსი კრებულის შესავალში მოთავსებული დიალოგითაა გადმოცემული, სადაც დასმულია შემდეგი კითხვები:

„რა მარწუხებში ექცევა ლიტერატურა ტოტალიტარული რეჟიმის პირობებში და ამ ხნის მანძილზე რა გამოცდილება დაგროვდა ამ მიმართულებით?“ (იქვე, 13).

„რაში გამოიხატება ის გავლენა ლიტერატურაზე რასაც ტოტალიტარული სახელმწიფოები ახდენენ ამ სფეროში მოღვაწე პიროვნებებზე?“ (იქვე, 14).

„ბრძოლის რა მექანიზმები არსებობს ტოტალიტარული რეჟიმების წინააღმდეგ ლიტერატურაში — „ირიბად ნასროლი ქვების“ სტრატეგიას რამდენად სცნობს ამ პერიოდის ლიტერატურა?“ (იქვე, 16).

კრებულში შესულ ქართველ და უცხოელ მომხსენებელთა ტექსტებიდან ჩემი კვლევისათვის ყველაზე საინტერესოა დოდონა კიზირიას მოხსენება სათაურით „ტირანი როგორც მესია: გრიგოლ ლეონიძის პოემა „სტალინის ბავშვობა და ყრმობა“ (იქვე, 377-383), რომელშიც ავტორი მსჯელობს წმინდანთა ცხოვრების აღმწერი ჰაგიოგრაფიული ჟანრის ელემენტების გადანაცვლებაზე



რუსულ მხატვრულ, შემდგომში კი საბჭოთა ლიტერატურაში. ამ უკანასკნელში ჰაგიოგრაფიისათვის დამახასიათებელი ელემენტების კომბინაციებით ხდება რევოლუციისა და კლასობრივი ჩაგვრის წინააღმდეგ მებრძოლთა ახალი საგმირო სახეების შექმნა, რაც ყველაზე აქტიურად პოეზიის ჟანრში მუშავდებოდა, რადგან „პოეტური ჟანრი უფრო აადვილებდა მათ [ლენინისა და სტალინის — კ. ლ.] თითქმის მითიური სახეების წარმოდგენას“ (იქვე, 378). გიორგი ლეონიძის 1939 წელს გამოქვეყნებულ პოემას სათაურით „სტალინის ბავშვობა და ყრმობა“ კიზირია განიხილავს როგორც ბელადისადმი მიძღვნილი საბჭოთა რიტუალისტურ-ჰაგიოგრაფიული ჟანრის პარადოქსულ და, ამავდროულად, უკიდურესი გამოვლინების ნაწარმოებად, რადგან პოემაში არა მხოლოდ მთავარი გმირი, არამედ თითქმის ყველა სხვა მოქმედი პირი და მოვლენაც სრულად მითოლოგიურ სიბრტყეშია მოქცეული, სტალინის ცხოვრების გარკვეული ბიოგრაფიული ეპიზოდები კი „ბიბლიურ თარგზეა „გამოჭრილი“ (იქვე, 379): გორის აღწერა ბიბლიის დაბადების წიგნის მოტივებითაა გაჯერებული, ხოლო სტალინის შობა შეუფარავადაა წარმოჩენილი ქრისტეს შობის ანალოგიად.

2014 წელს გამოიცემა ფილოლოგიისა და ლიტერატურათმცოდნის საბა-ფირუზ მეტრეველის მონოგრაფია „კომუნისტური აგიოგაფია“, სადაც საბჭოთა პროპაგანდისტული ლიტერატურის მიერ ჰაგიოგრაფიის რელიგიური ჟანრის ელემენტების გამოყენებით ახალ გმირთა შექმნის პროცესია აღწერილი და გაანალიზებული. საბჭოთა სადიდებელი ლიტერატურის ჰაგიოგრაფიად, და არა, მაგალითად, ჰიმნოგრაფიად, მოხსენიებას ავტორი იმ არგუმენტით ხსნის, რომ ეს ჟანრი, ერთი მხრივ, ახალ, საბჭოთა გმირთა ცხოვრებისეული ეპიზოდების (დაბადება, აღზრდა, რევოლუციური საქმიანობა, ზოგიერთ შემთხვევაში — მოწამებრივი სიკვდილი) მითოლოგიზაციისა და, მეორე მხრივ, იდეოლოგიურ დებულებათა გამოხატვის საშუალებას იძლევა. გარდა ამისა, ჰაგიოგრაფიის ჟანრი, ჰიმნოგრაფიისაგან განსხვავებით, არ გულისხმობს მკითხველის მხრიდან სინანულის განცდას, კომუნიზმში ხომ „სინანულისათვის არავის ეცალა,... სევდის ადგილი არ იყო...“ (მეტრეველი 2014, 11). ამასთან ერთად, ავტორი ამ პერიოდის პოლიტიკურ მხატვრულ ლიტერატურას ბახტინისეულ

*კარნავალურობას* მიაწერს, რადგან მასში იკვეთება „კოლექტიურობის პათოსი და საკრალურის პაროდირება“ (იქვე, 120), რაც საბჭოთა ხელოვნებისათვის დამახასიათებელი ესთეტიკა იყო (იხ. იქვე).

მეტრეველის მონოგრაფიის პირველ ნაწილში პროპაგანდისტულ და საკანონმდებლო მასალებზე დაყრდნობით აღწერილია მარქსისტული (ბოლშევიკური და მენშევიკური) ანტი-რელიგიური სოციალური დისკურსი. ყურადღება გამახვილებულია ისეთ რელიგიურ-კულტურულ პრაქტიკათა წინააღმდეგ მიმართულ კამპანიებზე, როგორც იყო „კომუნისტური დაკრძალვა“ და „ნათლობა“, „წითელი ქორწინება“ და „კომკავშირული შობა“; ასევე „ანტისაადღვომო კამპანია“ და „მებრძოლი უღმერთოების“ ჯგუფები, რომელთა მიზანი ქრისტიანული დღესასწაულებისა და საიდუმლოებების სამოქალაქო-პარტიული რიტუალებით ჩანაცვლება იყო (იხ. იქვე, 100-1). მეორე ნაწილში კი ავტორი ეხება მარქსიზმის ბოლშევიკურ პროპაგანდას, რომელშიც ანტირელიგიურ გზავნილსაც მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა, და აფასებს მას ახალი რელიგიის დაფუძნებად, რომელიც ქრისტიანობის სწავლებისა და ღვთისმსახურების ანალოგიურ იდეოლოგიურ მოძღვრებასა (დოგმატური მარქსიზმი) და რიტუალურ სტრუქტურას ქმნიდა (იხ. იქვე, 148-9).

მონოგრაფიის ამ ნაწილში აღწერილი და გაანალიზებულია საბჭოთა ლიტერატურის მიერ შექმნილი ჟანრები, რომლებიც ხშირ შემთხვევაში ქრისტიანულ ჰაგიოგრაფიულ მოდელს იმეორებს და ცოცხალ და მკვდარ გმირთა მითოლოგიურ პანთეონს ქმნის. გარდა ამისა აქ ხალხურ და საავტორო პოეზიაზე, მხატვრულ თუ ბიოგრაფიულ ტექსტებზე დაყრდნობით რეკონსტრუირებულია 1933 წლიდან შექმნილი ბელადის კონცეპტები პოლიტიკურ ლირიკაში (იხ. იქვე, მე-10 თავი). გამოყოფილია შემდეგი ხატები: ბელადი როგორც „მზე“, „მამა“, „მხსნელი“, „გზის მაჩვენებელი“, სამშობლოს სინონიმი, „მოწყალე“ და „ყოვლისშემძლე“; ასევე — ბელადი, რომელიც უკვდავია, და რომლისგანაც წყალობას ითხოვენ. ცალკეა განხილული გიორგი ლეონიძის რომანი „ბავშვობა და ყრმობა“, რომელიც სტალინს მითოლოგიურ გმირად წარმოაჩენს.

2015 წელს ქვეყნდება ბერლინის ლაიბნიცის სახელობის კულტურისა და

ლიტერატურის კვლევების ინსტიტუტის მკვლევართა ინტერნაციონალური დუეტის მონოგრაფია „მზიური საქართველო: ეროვნულის ფიგურაციები საბჭოთა იმპერიაში“ (Maisuraze und Thun-Hohenstein 2015). პუბლიკაციაში ფილოსოფოსი გიორგი მაისურაძე და ლიტერატურათმცოდნე ფრანცისკა თუნ-ჰოჰენშტაინი 1920-30-იანი წლების საქართველოს მაგალითზე დაყრდნობით საბჭოთა ნაციონალური პოლიტიკის წინააღმდეგობრივ პროცესს აანალიზებენ. ავტორთა შეფასებით საქართველო განსაკუთრებულ მაგალითს წარმოადგენს იმის გამოსაკვლევად, თუ რომელი ძველი ნაციონალური სიმბოლოების მორგება მოხდა ახალი სოციალისტური იდეოლოგიისათვის; რა სტრატეგიები გამოიყენებოდა ახალი ნაციონალური სიმბოლოების შესაქმნელად, რომლებიც ნაციონალურის გარდა, საბჭოთა-იმპერიულ იდენტობასთანაც ახდენდნენ იდენტიფიცირებას; რიტორიკის რა პრაქტიკები და სემანტიკური კოდები გამოიყენებოდა ნაციონალური პრინციპის ჩამოსაყალიბებლად; და როგორ ხდებოდა ნაციონალურ ნარატივთა გადატანა ისტორიოგრაფიაში, ლიტერატურაში, კინემატოგრაფიასა და სახვით ხელოვნებაში (იხ. იქვე, 12-13).

ავტორთა მტკიცებით საქართველო ამ თვალსაზრისით განსაკუთრებულ შემთხვევას წარმოადგენს სხვა მოკავშირე რესპუბლიკათა შორის სამი მიზეზის გამო: 1) ქართული კულტურა ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე დასავლეთისა და აღმოსავლეთის გადაკვეთაზე წარმოქმნილ სიმბოლოთა და მეტაფორათა მდიდარი მარაგით გამოირჩევა; 2) ქართული კულტურის საბჭოთა ტრანსფორმირება დაფუძნებული იყო რომანტიკულ რუსულ ტექსტზე „ცოტა რამ ქართულ ხელოვნებაზე“ (ოსიპ მანდელშტამი), რომელმაც ქართული კულტურული თვითაღქმა განაპირობა; და 3) იოსებ სტალინის ფაქტორის გამო, რომლის ძალისხმევითაც 1930-იანი წლებიდან მოყოლებული ნაციონალიზმი საბჭოთა კულტურული წესრიგის განმსაზღვრელ პრინციპად იქცა, და რომელიც წარმომავლობით თავად იყო ქართველი (იხ. იქვე, 13). იმპერიულ ცენტრთან ამგვარი ექსკლუზიური სიმბოლური კავშირების წყალობით საქართველოს სსრ-ში მიმდინარე კულტურული პროცესები განსაკუთრებულ ნაციონალურ მნიშვნელობას იძენს და სწორედ ისინი უნდა დაედოს საფუძვლად

კულტურული ფენომენების თანდათანობითი ტრანსფორმაციის ანალიზს (იხ. იქვე, 17).<sup>11</sup>

ეს ტრანსფორმაცია იოსებ სტალინის ეროვნული პრინციპის კონტექსტში უნდა იქნეს განხილული, რომელიც განისაზღვრებოდა საბჭოთა ნაციონალურ პოლიტიკის ცნობილი ფორმულით „ფორმით ნაციონალური, შინაარსით სოციალისტური“.<sup>12</sup> ქართული კულტურის მაგალითზე კვლევა აჩვენებს, რომ საბჭოთა ხელისუფლება ტრადიციულ ნაციონალურ სიმბოლოებსა და რიტორიკულ ელემენტებს განზრახ იყენებდა კულტურულ-პოლიტიკურ იარაღად სტალინური ფორმულის განსახორციელებლად. თუმცა მას მაინც არ შესწევდა უნარი სრულად აღეკვეთა ნაციონალური ელემენტების სემანტიკისა და აფექტების ავტონომიურობა, რაც სტალინური ფორმულის ამოტრიალებაში, ანუ ნაციონალური ფორმის შინაარსში გადასვლითა და სოციალისტური შინაარსის ნაჭუჭში გამომწვევდევით დასრულდა (იხ. იქვე, 20-1).

ამავე პუბლიკაციაში ფილოსოფოსი გიორგი მაისურაძე კულტურულ, პოლიტიკურ და იდეოლოგიურ იდეათა მოკლე მიმოხილვას იძლევა მე-19 საუკუნის 60-იანი წლებიდან 1921 წლამდე და აღწერს, თუ რა ნაციონალური იდეით შეხვდა საბჭოთა რეჟიმის ჩამოყალიბებას ქართული საზოგადოება და როგორ შეიცვალა პირველი რესპუბლიკის ოპტიმიზმი, მომავლისაკენ მიმართული ხედვა, რაც გამოხატულია გერონტი ქიქოძის წიგნში „ეროვნული ენერგია“ (1919), ისევე როგორც ნიკოლო მიწიშვილის ნიჰილიზმითა და ქართული ეროვნული იდეის უხერხემლობის კრიტიკით (ფიქრები საქართველოზე 1926). ამ უკანასკნელის დაძლევის საშუალებად კი ლეგიტიმაციის წარსულში ძიება და ისტორიის რომანტიზება იქნა არჩეული.

---

<sup>11</sup> პუბლიკაციაში გაკრიტიკებულია ტერი მარტინის კონცეფცია, რომელიც 1920-30 წლების საბჭოთა კავშირს „დადებითი დისკრიმინაციის იმპერიად“ წარმოაჩენს, სადაც ერების აქტიური შექმნა მიმდინარეობდა (Martin 2001) და შემოთავაზებულია მოსაზრება, რომლის მიხედვით ნაციონალური იდენტობა რუსეთის იმპერიის ბოლო ათწლეულების მანძილზე უკვე არსებობდა კულტურული ნაციონალიზმის ფორმით, ამიტომ საბჭოთა კავშირს არა ერების წარმომქმნელად არამედ მატრანსფორმირებელ ძალად უნდა იქნეს გაგებული (Schorkowitz 2005).

<sup>12</sup> აღნიშნული პრინციპის პროპაგაციის ისტორია განხილულია ამავე პუბლიკაციაში გიორგი მაისურაძის მიერ (Maisuraze und Thun-Hohenstein 2015, 1.1. Stalins Konzept der Nation und der sowjetische Heimatbegriff).

1920-იანების შუა წლებიდან "ისტორია, წარსული დიდება, ქართული კულტურის ღრმა ფესვები ქვეყნის ცხოვრების ძირითად თემებად იქცა, რომელიც საბჭოთა მარქსიზმ-ლენინიზმთან უნდა შერწყმულიყო" (Maisuraze und Thun-Hohenstein 2015, 65).

რაც შეეხება წარსული დიდების ძიებასა და შესაბამისი ისტორიული და მითოლოგიური მასალის ნაციონალური იდეოლოგიის ძირითად ელემენტად წარმოჩენას, ამ პროცესს თან ახლდა სტალინის ზენაციონალური ფიგურის გაქართველება ძირითადად ხელოვნების მედიუმის გამოყენებით. გიორგი მაისურაძე სტალინის პიროვნების კულტის კონტექსტში არსებულ სტალინის მრავალწახნაგოვან სიმბოლოს მიმოიხილავს და აღწერს, თუ როგორ ხდებოდა მისი პოლიტიკურ/რევოლუციური (მზე, პრომეთე) და სამხედრო („სამშობლოსათვის! სტალინისათვის!“) ხატების გაქართულება. მაისურაძე პიროვნების კულტის სიმბოლიკას, კანტოროვიჩის „მეფის ორი სხეულის“ თეორიის კვალად, სტალინის პოლიტიკურ სხეულად მოიხსენებს და ხაზს უსმევს, რომ მისი ფიზიკური, ანუ ეროვნული იდენტობის მატარებელი სხეული, რომელიც არა პოლიტიკური პრინციპის გამოხატულება, არამედ ემპირიული ფაქტია, პარადოქსულ მიმართებაშია პირველთან. თუმცა ნაციონალიზმის საბჭოთა გაგების ჩარჩოში, სადაც ამ ფენომენის რომანტიზაცია და ესენციალიზაცია მოხდა, შესაძლებელი გახდა სტალინის ეროვნების ხაზგასმის გზით თავად საქართველოს განდიდება. მაისურაძე მიმოიხილავს მრავალფეროვან მასალას, რომელიც აჩვენებს, თუ როგორაა წინ წამოწეული სტალინის ქართველობა 1936 წელს ქართველი პოეტების მიერ საქართველოს გასაბჭოების 15 წლისთავისათვის თარგმნილ მისალოც წერილში; როგორ მოიხსენიებს ისტორიკოსი ნიკო ბერძენიშვილი თავის ჩანაწერებში სტალინს „ქემმარიტ ქართველ პატრიოტად“; როგორ წარმოჩნდება სტალინის ქართველობა 1948 წელს პატრიარქ კალისტრატე ცინცაძის მიერ სტალინისათვის მიწერილ სამადლობელო წერილსა და თანდართულ სიმბოლურ საჩუქარში; როგორ ხდება სტალინის რევოლუციური მოღვაწეობის სიმბოლური დაკავშირება ამირანის მითთან, და, როგორც საქართველოს, ისე საკაცობრიო მასშტაბით მისი

მნიშვნელობის გაფორმება ისეთი სიმბოლოებით, როგორცაა ბაზალეთის ტბის მითი, შოთა რუსთაველი, გიორგი სააკაძე და ილია ჭავჭავაძე. ამგვარი სიმბოლური მანიპულაციებით სტალინი როგორც „საქართველოს შვილი, ხალხთა ბელადი და ქართული კულტურის უმაღლესი წარმომადგენელი უპირველესი ქართული „ოცნების“ განხორციელებაში ერთიანდებიან“ (იქვე, 255).<sup>13</sup> 2015 წელს გერმანულ (Junge und Bonwetsch), რუსულ (Юнге и Бонвеч) და ქართულ (იუნგე, თუშურაშვილი და ბონვეჩი) ენებზე ქვეყნდება გერმანულ და ქართველ მკვლევართა მიერ შედგენილი ორტომეული, რომელიც შეიცავს საქართველოს მოკავშირე რესპუბლიკაში 1937-38 წლების „დიდი ტერორის“ საარქივო მასალებზე დაფუძნებულ კვლევას. კრებულის შესავალ თავში სახელწოდებით "დიდი წმენდა — უხერხული თემა" (10-22) საკითხის შესწავლის არადაამკმაყოფილებელ, ზედაპირულ ხასიათზეა გამახვილებული ყურადღება. მათ შორის მიმოხილულია მეხსიერების პოლიტიკის ფარგლებში საბჭოთა მემკვიდრეობის გადაფასების მცდელობები მუზეუმებისა და ძეგლების მაგალითზე, და ნაჩვენებია, თუ რაოდენ მცირე ყურადღება ეთმობა 1930-იანი წლების წმენდას. ასევე გაკრიტიკებულია საკითხის ისტორიოგრაფიული მდგომარეობა, რომელიც უპირატესად სტალინისა და ბერიას ბიოგრაფიების ჭრილში ისმება და ყურადღება ძირითადად რეპრესირებულ ქართულ ელიტაზე კეთდება, მაშინ როდესაც სხვა ეთნიკური წარმომავლობის მსხვერპლი ნახსენები არ არის (იუნგე, თუშურაშვილი და ბონვეჩი 2015, 14, 24). ქართველ მკვლევართა ნაშრომებში, საუკეთესო შემთხვევაში, ისაა აღიარებული, რომ რეპრესიებისგან არა მხოლოდ ელიტა, არამედ მთლიანად საზოგადოება დაზარალდა. თუმცა, მცირე გამონაკლისების გარდა, ეს აზრი აღარ პოვებს განვითარებას (იხ. იქვე, 15). მთლიანობაში, ავტორთა თქმით, საკითხის ისტორიოგრაფიულ დამუშავებაში:

---

<sup>13</sup> მაისურაძის აღნიშნული სტატია გადამუშავებული სახით ასევე დაბეჭდილია კრებულში „კულტურული გმირის გენეალოგია, კონსტელაციები და პრაქტიკები“ (Maisuradze 2017). კრებული მიზნად „კულტურული გმირის“ ფენომენის გენეალოგიის გამორკვევას ისახავს, რომელიც ევროპის სეკულარიზაციის კონტექსტში განხორციელებული სიმბოლური ავტორიტეტის გადანაცვლების პირობებში ვითარდება, საკულტო მნიშვნელობას იძენს და ერის მასშტაბის საზოგადოებებს აერთიანებს საკუთარი თავის გარშემო.

გამოირიცხება იმის შესაძლებლობა, რომ საქართველოს მრავალეროვან მოსახლეობას შორის იყო არა მხოლოდ მსხვერპლი, არამედ იყვნენ ჯალათებიც — დიდი ტერორის ნებაყოფლობითი მომხრეები და თანამონაწილეები, რომლებიც ცდილობდნენ გამოეყენებინათ "წმენდის" ექსტრაორდინარული სიტუაცია თავიანთი დაჯგუფებებისა და რეგიონების ინტერესებისთვის. (იქვე, 12).

გარდა ამისა, ტერორის მსხვერპლთა და მათ შთამომავალთა მოგონებებისა და ინტერვიუების გამოქვეყნების მიუხედავად, არ არსებობს აღნიშნული მასალის მეცნიერულ-ისტორიული ანალიზი, რაც შესაბამის თეორიულ-მეთოდოლოგიურ საფუძვლებს საჭიროებს (იხ. იქვე, 19-20). საგულისხმო დასკვნა, რომლამდეც ლიტერატურის ანალიზის შედეგად ავტორები მიდიან, წმენდის მიზეზების შესახებ მსჯელობაზე მრავალწლიანი ტაბუს არსებობაა, რაც დადასტურდა რეპრესირებულთა შთამომავლების მიერ გამოვლენილი თავშეკავებით ამ საკითხზე საუბრისას (იქვე). ავტორთა შეფასებით:

რეპრესიებთან ერთად, ოჯახის წევრები და სიკვდილს გადარჩენილი რეპრესირებულები საზოგადოების მიერ დალდასმულნი იყვნენ, ამიტომ მათთვის განცდილის შესახებ დღესაც კი რთულია საუბარი. (იქვე 21).

სტალინისტური პერიოდის ტერორის ამგვარი ეფექტები, რომლებიც დღემდე პოულობს გამოვლინებას ქართული საზოგადოების სოციო-კულტურულ და პოლიტიკურ სივრცეში, ამ კვლევის გამოქვეყნების ფორმასთან დაკავშირებით მიღებულ გადაწყვეტილებაშიც გამოვლინდა და აჩვენა, რომ არც აკადემიური სფეროა თავისუფალი და დამოუკიდებელი სტალინიზმის მემკვიდრეობისაგან. ორტომეულში 1990-იანი წლების არეულობას გადარჩენილ საარქივო მასალებზე დაყრდნობით არის აღდგენილი სოციალური, პოლიტიკური და ნაციონალური მოტივები 1930-იანი წლების რეპრესიებისა, რომელთა აღსრულებაც შრომით ბანაკებში მოთავსების, ან დახვრეტის გზით ხორციელდებოდა. აქვე შეგროვებულია მასალა ჯალათთა შესახებაც, რომელთა ირგვლივ არსებული საარქივო და სხვა (მაგ. ავტობიოგრაფიული) ინფორმაცია

## I. ლიტერატურის მიმოხილვა

მათი სოციალური წარმომავლობისა და სტატუსის გამორკვევას ხდის შესაძლებელს (22-26). კვლევა საქართველოზეა ფოკუსირებული და იმას უღრმავდება, თუ როგორ ხორციელდებოდა ცენტრის (ცკ პოლიტიუროსა და სსრკ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის) მიერ დაგეგმილი მასობრივი ოპერაციები ადგილობრივ ორგანოთა საშუალო და დაბალ დონეებზე (იხ. იქვე 27).

მკვლევართა განკარგულებაში არსებული საარქივო დოკუმენტაცია რაოდენობრივი და თვისებრივი კუთხითაა დამუშავებული. საქართველოს მოკავშირე რესპუბლიკის განსაკუთრებულობა, რაც საბჭოთა კავშირის სხვა რეგიონებში ჩატარებულ რეპრესიათა სურათისაგან გადახრაში გამოიხატება, ორი კუთხითაა ხაზგასმული. ერთი ესაა საქართველოში არსებული ძლიერი მენშევიკური ტრადიცია და გავლენა, რომელიც განსაკუთრებულ კონტექსტს ქმნიდა პოლიტიკური მოტივით დევნისათვის (იხ. იქვე, 28); მეორე საკითხი კი საქართველოსათვის დამახასიათებელი „მნიშვნელოვანი ეთნოსური სირთულეებია“ (იქვე).

საქართველოში ეთნიკური სირთულეების არსებობა, მითუმეტეს საბჭოთა კავშირის დაშლისა და ამ პრობლემათა გამწვავების შემდეგ, არავისთვის საიდუმლოს არ წარმოადგენს. თუმცა აღნიშნული პუბლიკაციის გამოქვეყნების ირგვლივ შექმნილმა ვითარებამ ამ პრობლემის დამატებითი განზომილება წარმოაჩინა. საქმე ისაა, რომ ქართველ და გერმანელ მკვლევართა შორის წარმოქმნილ უთანხმოებათა გამო ქართულ ენაზე პუბლიკაცია შეკვეცილი ფორმით გამოიცა. კერძოდ კი, მასში ამოღებულ იქნა მე-10 თავი სათაურით „ეთნოსი და ტერორი“ (Junge, et al. 2015), რომლის მთავარი ამოცანა იმის გამორკვევაა, ატარებდა თუ არა ტერორი საქართველოში ეთნიკურ ტენდენციებს. მართალია, კვლევაში უარყოფილია ჰიპოთეზა, რომ საქართველოში განხორციელებულ ტერორსა და წმენდას შეიძლება გენოციდის, ეთნიკური წმენდის სტატუსი მიენიჭოს, ან შესაძლებელი იყოს რაიმე რასისტულ მოტივებზე საუბარი (Юнге и Бонвеч 2015, 343). თუმცა, ავტორთათვის აშკარაა ამ დამნაშავეობრივი პოლიტიკის კავშირი საქართველოს ნაციონალური



ჰომოგენიზაციის პროცესთან, რომლის მიზანიც ეთნიკურ განსხვავებათა ნიველირების გზით საქართველოში მცხოვრებ ეთნიკურ უმცირესობათა და ქართველურ სუბეთნიკურ ჯგუფთა ინტეგრირება იყო დომინანტურ ქართულ ეთნიკურ ჯგუფში, რათა მიღწეული ყოფილიყო ამ უკანასკნელის კულტურული, სოციალური, ტერიტორიული და ეკონომიკური ჰეგემონია (სწორედ ამ ელემენტებით განმარტავს სტალინი ეროვნულ იდენტობას). აქ რეკონსტრუირებული და განხილულია რეპრესიები და წმენდა ისეთი ჯგუფების მიმართ, როგორცაა აფხაზები, ოსები, ლაზები, ებრაელები, ბერძნები, იეზიდები, ქურთები, სომხები, აზერბაიჯანელები, გერმანელები და სხვ. ავტორები იზიარებენ აკადემიურ სივრცეში დამკვიდრებულ მოსაზრებას, რომ სტალინის ნაციონალური პოლიტიკის საფუძველს თითოეულ რესპუბლიკაში სატიტულო ერებისათვის უპირატესობისა და პრივილეგიათა მინიჭება, ხოლო "ნახევრადსატიტულო" და სხვა ეთნოსებისათვის სტატუსის შემცირება და მარგინალიზება იყო (იხ. იქვე, 337). და ატარებენ აზრს, რომ სადამსჯელო ოპერაციების განხორციელებაზე უფლების რეგიონებისათვის გადაცემის შემდეგ სტალინური სქემის შესაბამის ერად ჩამოყალიბება საქართველოში მიმდინარე "დიდი ტერორის" ძირითადი ამოცანა გახდა, ხოლო ერის მულტიეთნიკურ საფუძვლებზე ჩამოყალიბების იდეა დავიწყებას მიეცა (იხ. იქვე, 338).

აღნიშნული თავი ცალკე პუბლიკაციის სახით გამოიცა ქართველი მკითხველისათვის (იუნგე, ბონვეჩი და მიულერი 2015), ხოლო იმ მიზეზების განხილვა, რომელთა გამოც ის პირველად პუბლიკაციაში ვერ მოხვდა, ცალკე კრებულის გამოცემას დაედო საფუძვლად (იუნგე, ბონვეჩი და მიულერი, საქართველო გზად: სტალინიზმის ჩრდილები 2018). ამ კრებულში თავმოყრილია ქართველი, რუსი, ბრიტანელი და გერმანელი, ასევე აფხაზი და ოსი მკვლევრების დისკუსიური შეფასებები 1930-იან წლებში განხორციელებული ტერორისა და წმენდის ეთნიკურ ბუნებაზე. დისკუსიის დეტალურ განხილვას აქ არ შევუდგები, თუმცა ნიშანდობლივია, რომ თავად აკადემიური დისკუსიაც გასცდა სამეცნიერო ფარგლებს და პოლიტიკურ დავაში გადაიზარდა. ეს კიდევ ერთი ნიშანია სტალინიზმის განგრძობადი გავლენებისა თანამედროვე, პოსტსაბჭოთა ქართულ

საზოგადოებაზე.

2019 წელს ორ ნაწილად გამოიცა ლიტერატურის დარგის ქართველ მკვლევართა კრებული "სტალინის იდეოლოგემა და მითოლოგემა ქართულ საბჭოთა და ემიგრანტულ ლიტერატურაში" (ბრეგაძე და ლომიძე). ორტომეული ჯამში თორმეტი ავტორის ტექსტებს აერთიანებს, სადაც მრავალფეროვან მასალაზე დაყრდნობით განხილულია იდეოლოგიურ-მითოლოგიური ხატის ლიტერატურული ასპექტები. კრებულში თავმოყრილ ნაშრომთა ძირითადი თეორიულ-მეთოდოლოგიური მიდგომა განხილულია კონსტანტინე ბრეგაძის შესავალ თავებში, სადაც სტალინური რეჟიმი ჰანა არენდტის ტოტალიტარიზმის თეორიის ჩარჩოშია მოთავსებული, (ბრეგაძე კონსტანტინე, 12-29), ხოლო რეჟიმის ოფიციალურ ტექსტთა იდეოლოგიური ფუნქციონირების ანალიზი მიშელ ფუკოს დისკურსის თეორიის საფუძველზეა განხორციელებული (30-64). ძირითადი ყურადღება ლიტერატურისა და, განსაკუთრებით, პოეზიის დარგებს ეთმობა, რომლებიც ხელისუფლებისა და ბელადის მასობრივ სახოტბო ჟანრად ჩამოყალიბდა 1930-40-იან წლებში (იხ. იქვე, I ნაწილი: ციციშვილი, ცხადაია, 127-161; კენჭოშვილი 162-186; II ნაწილი, ციციშვილი, მოდებაძე, 94-136). ამასთან ერთად, ხაზი ესმევა სტალინის ეროვნებას, რაც ქართველ მწერალთათვის ორი შეუთავსებელი კომპონენტის — კომუნისტური იდეოლოგიისა და ეროვნული თავისუფლების იდეალის „შეთავსების საბაზად და საშუალებად იქცა“ (იქვე, 6).

პუბლიკაციაში ყურადღება ოფიციალური დისკურსის გარდა ამავე პერიოდის ალტერნატიულ, კრიტიკულ დისკურსსაც ეთმობა, რომელიც ძირითადად ემიგრანტული ლიტერატურის მაგალითზეა გაანალიზებული (იხ. იქვე, I ნაწილი: ბრეგაძე, 65-97; კვატაია, 213-227); შეკრებილ სტატიებში განსაკუთრებული ადგილი პიროვნების კულტის ფუნქციონირების, მასებზე ზეგავლენის მითოლოგიურ-რელიგიურ შინაარსს ეთმობა (იხ. იქვე, კიზირია 187-212), რაც სიმბოლოთა მნიშვნელობების ამოტრიალებით (რკინა ოქროზე ძვირფასია) და გადანაცვლებით (ტირანი როგორც მესია) ვლინდება. ამგვარი სემანტიკური მეტამორფოზები რელიქტურ, ატავისტურ ცნობიერებადაა მოხსენიებული, რომელიც ქართული „საზოგადოების გარკვეულ ფენებში

დღესაც იჩენს ხოლმე [თავს] „დიდი ქართველის“ თაყვანისცემის, ეროვნული ნიშნით შეფერადებული „სტალინიზმის“ სახით“ (იქვე, 6).

## შეჯამება

მიმოხილული ლიტერატურა ავტორთა, დისციპლინათა, მასალათა და თეორიულ მიდგომათა მრავალფეროვნებას გვიჩვენებს, რომელთა პერსპექტივიდანაც ბოლო 11 წლის მანძილზე სტალინის გავლენა და მისი მნიშვნელობა შესწავლილი ქართული საზოგადოების მაგალითზე.

ეს ლიტერატურა წინამდებარე სადოქტორო ნაშრომისათვის მყარ თეორიულ და მეთოდოლოგიურ საფუძვლებს ქმნის, მიუხედავად იმისა, რომ ჩემ მიერ მოპოვებული კვლევითი მასალა აქამდე მკვლევართა ყურადღების მიღმა იყო დარჩენილი. კერძოდ კი, რამდენადაც ვიცი, არ ყოფილა მცდელობა, სტალინის შესახებ არსებული რაოდენობრივ და თვისებრივ მონაცემთა შედეგები შევსებულიყო და გამდიდრებულიყო ლიტერატურულ დისკურსში არსებული პუბლიკაციების ანალიზით. ამგვარი მიდგომა კი, როგორც შევეცდები ვაჩვენო, გარკვეულ წილად, ახსნას უძებნის სტალინისტური განწყობების დინამიკას პოსტსაბჭოთა საქართველოში, რომლის შესახებაც ყველაზე უფრო ადრეული მონაცემები მხოლოდ 2007 წლიდან მოიპოვება (IRI), მისი მრავალცვლადიანი სტატისტიკური კვლევის შესაძლებლობა კი მხოლოდ 2012 წელს ჩნდება (CRRC).

ამასთან ერთად, ლიტერატურულ სფეროში ისევე ვლინდება ნარატივთა და არგუმენტთა მრავალფეროვნება, წინააღმდეგობრიობა, ამბივალენტურობა და ურთიერთშეურიგებლობა, როგორც ზემოთ განხილულ კვლევათა თვისებრივ მონაცემებში, თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ ლიტერატურული დისკურსიდან რაიმე ახლის გაგება არ არის შესაძლებელი. ამის საპირისპიროდ ჩემი მთავარი ამოცანა იმის ჩვენება იქნება, თუ ლიტერატურულ დისკურსში რამდენად უფრო დეტალურად და ზედმიწევნით ხდება არგუმენტთა და ნარატივთა დამუშავება. გარდა ამისა, კოლექტიური მეხსიერების პერსპექტივიდან ზეპირსიტყვიერ, ანეკდოტურ ლოკუსებსა და კოდიფიცირებულ ნარატივებს შორის განსხვავება მეხსიერების ადგილების მიხედვით შეიძლება იქნეს განხილული, სადაც

## I. ლიტერატურის მიმოხილვა

დაწერილი სიტყვა ინსტიტუციური დატვირთვის მატარებელია და პრეცედენტულ როლს ასრულებს ცოცხალ კოლექტიურ მეხსიერებასთან მიმართებაში (Wertsch 2004). თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საბჭოთა დესტალინიზაციის პოლიტიკის გამო, რომელიც ისევე მოულოდნელად დასრულდა 80-იანი წლების მეორე ნახევარში, როგორც დაიწყო 1956 წელს, სტალინის მეხსიერება არა ინსტიტუციური, არამედ პარტიზანული ფორმებით აგრძელებდა არსებობას და, როგორც ჩანს, გზადაგზა ახალი გმირული, ანტი-საბჭოთა ნარატივებით მდიდრდებოდა. ამ ნარატივთა კომპლექსის რეკონსტრუქცია წინამდებარე ნაშრომის ერთ-ერთი ამოცანა იქნება.

აქვე უნდა აღინიშნოს ტრანზიციის პროცესში მყოფი თანამედროვე საქართველოს წინაშე არსებულ ისეთ პრობლემურ საკითხთა ბმა სტალინიზმის მემკვიდრეობასთან, როგორცაა ეთნიკური ნაციონალიზმი და ეთნიკური ურთიერთობები საქართველოში. განხილული ნაშრომები აშკარას ხდის, თუ როგორ ამუხრუჭებს იმედეგაცრეუბა და ნოსტალგია წარსულის შესწავლისა და გადაფასების პროცესს.

## II. სტალინი როგორც კვლევის საგანი

როგორც შესავალში უკვე ითქვა, წინამდებარე ნაშრომის საკვლევი საგანი სტალინის სიმბოლოს რეანიმაციაა პოსტსაბჭოთა ქართულ ნაციონალურ იდეოლოგიაში. სტალინის გამოვლენათა საერთო დამახასიათებელ ცნებად შეიძლება დავსახოთ ამბივალენტურობა და ამ კუთხით განვიხილოთ წინააღმდეგობრივი და ურთიერთგამომრიცხავი შინაარსების ერთობლიობა. ეს წინააღმდეგობრიობა გათვალისწინებულ უნდა იქნეს კვლევის მიერ, რადგან იგი სტალინის სიმბოლოს შემადგენელი ნაწილია. თუმცა, ამავე დროს, საჭიროა გარკვეული ჩარჩოების განსაზღვრა, რომლის მიღმა აღნიშნული ამბივალენტურობა მნიშვნელობას კარგავს.

ამბივალენტურობა მითის, მითოლოგიური აზროვნებისათვის დამახასიათებელი თვისებაა და, მართალია, მითის ცნება აქტიურად იქნება გამოყენებული წინამდებარე ნაშრომში ანალიზური მიზნებით, აქვე უნდა გვახსოვდეს, რომ სტალინი რეალური ისტორიული ფიგურაა. მართალია, ძველი და ახალი სტალინიადების, მისი ხოტბისა და აუგის, აკადემიური კვლევებისა და ჟურნალისტური ძიებების, კინემატოგრაფიულ, თუ ლიტერატურულ ნაწარმოებთა უზარმაზარი რაოდენობა სტალინის რეალური მხარის გამოვლინებას თითქმის შეუძლებელს ხდის, მაგრამ მისი ისტორიულობა გვაიძულებს მუდამ მის რეალურობას დავუბრუნდეთ.

ამასთან ერთად, სტალინის მითი რეალური მოვლენაა, რომლის კვლევის საგნად ქცევაც სრულიად ლეგიტიმურია. შეუძლებელია დარწმუნებით ვთქვათ თუ საიდან მოდის ეს მითები, მაგალითად შემდგომ თავებში სტალინის აპოკრიფებზე გვექნება საუბარი (მე-9 თავი), რომლებიც სტალინის მითის რეანიმაციის საფუძველს ქმნიან, თუმცა მათი რეალური წარმომავლობის დადგენა შეუძლებელია. მაგრამ, ამასთან ერთად, შეგვიძლია დავადგინოთ და განვსაზღვროთ სტალინის მითის ზოგადი ფორმა, როგორც „საზღვრების მუდამ დამრღვევი“ გმირი. შემდგომ თავში ამის დემონსტრაციისთვისაც რამდენიმე

## II. სტალინი როგორც კვლევის საგანი

განაზრებას შევთავაზებ მკითხველს, რომლებიც აჩვენებს, რომ ამბივალენტურობა სტალინის ბუნების ნაწილი იყო (და არის), რომლის შექმნასა და აღმოჩენაში თანაბარ როლს ასრულებს როგორც სტალინიად, ასევე სტალინიზმის აკადემიური კვლევა.

### 1. სუბიექტი და სიმბოლო

ბრიტანელი ისტორიკოსის საიმონ სებაგ-მონტეფიორეს ნაშრომში, რომელიც სტალინს, მის ოჯახსა და უახლოეს გარემოცვას ეხება, მოყვანილია სტალინის საკუთარ ვაჟთან ვასილთან ურთიერთობის ასეთი ეპიზოდი:

სტალინი საკუთარ ვაჟს უყვიროდა მამის სახელის საკუთარი ინტერესებისათვის გამოყენების გამო. 'მაგრამ მეც სტალინი ვარ,' გაიმართლა თავი ვასილმა. 'არა, არ ხარ,' უპასუხა სტალინმა. 'შენ არ ხარ სტალინი და არც მე ვარ სტალინი. სტალინი საბჭოთა ძალაუფლებაა. სტალინი ისაა, რასაც მასზე გაზეთებში წერენ და პორტრეტებში გამოსახავენ და არა შენ, ან მე.' (Sebag Montefiore 2004, 4).

სებაგ-მონტეფიორე მოყვანილი ფრაზის წყაროს არ ასახელებს, მხოლოდ ცნობას უმატებს, რომ ამ ისტორიას ჰყვებოდა სტალინის შვილობილი არტიომ ფედოროვიჩ სერგეევი (იხ. იქვე), რომელსაც ბავშვობიდან ახლო ურთიერთობა ჰქონდა სტალინთან და მის შვილებთან და მაღალი ალბათობით იგი მართლა შეიძლება გამხდარიყო ამგვარი დიალოგის მომსწრე.

მოყვანილმა ფრაზამ საკმაო პოპულარობა მოიპოვა სტალინისტებსა და სტალინის მკვლევრებს შორის. ამ უკანასკნელთა ნაწერებში სტალინისა და მისი ვაჟის ურთიერთობის ამ ეპიზოდის ვარიანტი გვხვდება რუსული ლიტერატურისა და კულტურის ანგლო-ამერიკელი ისტორიკოსის ევგენი დობრენკოს ერთ-ერთ სტატიაში:

...ცნობილია, მაგალითად, სცენა მისი [სტალინის — კ. ლ.] კამათისა ვაჟთან, რომლის შარიანი სიმთვრალის ამბები მთელ მოსკოვს აღელვებდა 1940-იანი წლების ბოლოს. სტალინი მკაცრად ტუქსავდა ვასილს: „შენ არცხვენ სტალინის

სახელს! შენ ფიქრობ რომ სტალინი ხარ? იქნებ იმას ფიქრობ რომ მე ვარ სტალინი? აი სტალინი“, — უთხრა და გაიშვირა თითი თავისი საპარადო პორტრეტისკენ, რომელიც კაბინეტს ამშვენებდა. (Добренько 2000, 651).

დობრენკოს, სებაგ-მონტეფიორეს მსგავსად, არ მოჰყავს არანაირი წყარო, რომელიც ფრაზის ავთენტურობას დაასაბუთებდა და უბრალოდ შემოიფარგლება კომენტარით, რომ ამ ეპიზოდის შესახებ “საყოველთაოდ ცნობილია”. ამასთან ერთად, დობრენკო შესაძლო დიალოგის სავარაუდო თარიღად 1940-იანების ბოლოს განსაზღვრავს, რომელიც გვიანდელი სტალინიზმის პერიოდია, ლეგიტიმურობის ყველა მანამდე არსებული პრობლემა საბჭოთა რეჟიმს გადალახული აქვს (E. A. Добренько 2020) და ამგვარი ტიპის თავდაჯერებულობა სტალინის მხრიდან ბუნებრივად გამოიყურება.

მალევე გამოიცემა გერმანელი ისტორიკოსის იან პლამპერის მონოგრაფია რომელიც სტალინურ სახვით ხელოვნებაში ძალაუფლების გამოხატვას ეხება და რომელშიც ასევე მოყვანილია აღნიშნული ეპიზოდი (Plamper 2012, 7.1). პლამპერი სებაგ-მონტეფიორესა და დობრენკოს ზემოთ მოყვანილ ტექსტებს იმოწმებს, მაგრამ, როგორც უკვე ვნახეთ, ამ ტექსტების წყაროდ გამოყენება ჩიხია, რომელიც სტალინსა და მის ვაჟს შორის დიალოგის შესახებ არანაირ დამატებით ინფორმაციას არ იძლევა.

ბოლო გზა დიალოგის ავთენტურობის დასადგენად სტალინის შვილობილის ა. ფ. სერგეევისგან მომდინარე ცნობა შეიძლება იყოს, რომელიც ან არსებობს, ან შეიძლება არც არსებობდეს. ა. ფ. სერგეევი 1921 წელს დაიბადა. მამამისი — ცნობილი რევოლუციონერი — მალევე გარდაიცვალა, რის შემდეგაც იგი სტალინის ოჯახში ხვდება და იქ იზრდება 17 წლამდე. იწყობს წარმატებულ სამხედრო კარიერას და საბჭოთა კავშირის დამლამდე კომუნისტური პარტიის წევრად რჩება. ცხოვრების ბოლო წლებში იგი უკმაყოფილებას გამოხატავს ანტი-სტალინური ტენდენციების მიმართ და 2006 წელს აქვეყნებს ავტობიოგრაფიულ წიგნს „საუბრები სტალინზე“ (Сергеев и Глушик). წიგნში მოთხრობილია სტალინის ვაჟის, ვასილის ხასიათზე, მის ურთიერთობაზე მამასთან, მაგრამ არაფერია ნათქვამი მათ შორის მომხდარ კონფლიქტურ ეპიზოდზე, სადაც

## II. სტალინი როგორც კვლევის საგანი

სტალინი ჭკუას ასწავლის თავის ვაჟს იმაზე, თუ ვინ არის სტალინი.

გამომდინარე იქიდან, რომ სტალინის ამ ფრაზის ზუსტი, დამაჯერებელი წყარო ვერ იქნა მოძიებული, იძულებული ვართ იგი მივიჩნიოთ აპოკრიფად, რომლის ისტორიული სტატუსის ზუსტი განსაზღვრა შეუძლებელია, მაგრამ რომელიც გარკვეულ ფუნქციას ასრულებს მისი ისტორიულობის მხარდამჭერი სხვა ავტორებისათვის. სებაგ-მონტეფიორეს, დობრენკოსა და პლამპერის ნაწერებში აღნიშნული ეპიზოდი ანალიზურ ფუნქციას ასრულებს, რომელზე დაყრდნობითაც პიროვნების ერთგვარ გაორებაზე შეიძლება მსჯელობა. სებაგ-მონტეფიორე სტალინის ამ ფრაზას საჯარო პირთა ხშირად გამოვლენილ „კეისრის“ ჩვევას უკავშირებს, რომ საკუთარ თავთან დისტანცირება მოახდინონ და საკუთარი დიდებით ტკბობას მიეცნენ (Sebag Montefiore 2004, 4); დობრენკოს სტალინის ეს ფრაზა მისი შინაგანი გახლეჩის დემონსტრაციისათვის მოჰყავს, რომელიც ასევე იკვეთებოდა მის ზოგიერთ საჯარო გამოსვლაში, სადაც იგი საკუთარ თავზე მესამე პირში ლაპარაკობს (Добренько 2000, 651).

## 2. სუბიექტი და ობიექტი

მეორე ფოლკლორული ისტორია, სადაც ნაჩვენებია, თუ როგორ გადაიქცევა სტალინი სუბიექტ-ინდივიდიდან ობიექტად, თუმცა ამ შემთხვევაში არა სიმბოლოდ არამედ საგნად, მოცემულია რუსი ლიტერატურათმცოდნის იური ბორევის წიგნში „სტალინიადა“ (Борев 1990). ისტორიას ავტორის თქმით სერგეი ქავთარაძე ჰყვებოდა 1958 წელს. საქმე მის უკანონო დაკავებას ეხებოდა, რომლის ამბავმა სტალინის ყურამდე მიაღწია. სტალინმა თავისი ძველი მეგობარი გამოიხსნა საპრობილიდან, შეხვდა კრემლში და ბერიასთან ერთად პირადად მიაცილა სახლში. ბინაში შესვლისას კი ასეთი სცენა გათამაშდა:

ქავთარაძის ბინის ნაწილი გადაცემული იყო ვიღაც ხნიერი ბოლშევიკი ქალისთვის, რომელსაც საკუთარი სახლი არ ჰქონდა. როცა ზარზე ახალმა მცხოვრებმა ბინის კარი გააღო და სტალინი დაინახა, შეძრწუნდა, უკან დაიხია და გონება დაებინდა. ბერია სტალინს "გადაეფარა" თითქოს საფრთხისაგან იცავდა,



დაიჭირა საწყალი ქალი და შეაჯანჯღარა.

— რა ხდება? რაშია საქმე? ბელადისაგან რატომ გარბიხარ?..

— მომეჩვენა, რომ სტალინის პორტრეტი მოდიოდა ჩემზე... (იქვე, 176).

მოყვანილ ისტორიას იან პლამპერი იყენებს ზემოხსენებულ ნაშრომში (იხ. 7.1), რაც ავტორს, ვაჟის დატუქსვის ისტორიასთან ერთად, ეხმარება იმის დემონსტრირებაში თუ როგორი ძალაუფლებისა და გავლენის მქონე იყო უშუალოდ სტალინი მთელ საბჭოთა საზოგადოებაში, სადაც 1937 წლის ტერორის შემდეგ ბელადის ვიზუალური რეპრეზენტაცია რაოდენობის ელემენტს ეფუძნებოდა, ხოლო მხატვრულმა ღირებულებამ მეორე ადგილზე გადაინაცვლა (იხ. იქვე, 14.28).

იან პლამპერის დაკვირვება და ქავთარაძის ისტორია ჩვენს ნაშრომს ეხმიანება იმდენად რამდენადაც ამგვარი ლოგიკა შეიძლება დანახულ იქნეს სტალინიადაში, ანუ სტალინის ტექსტურ რეპრეზენტაციაში. რის მაგალითადაც შეგვიძლია ქართულ ენაზე სტალინის ავტორობითა და მის შესახებ გამოცემულ პუბლიკაციათა უზარმაზარი რაოდენობა მოვიყვანოთ უშუალოდ სტალინიზმის პერიოდში. ქართული საბჭოთა და პოსტსაბჭოთა სტალინიადა მე-5 თავში იქნება დეტალურად განხილული და გაანალიზებული. ნაჩვენები იქნება პუბლიკაციათა იდეოლოგიური დანიშნულება და განმეორებადი ხასიათი, რომელსაც რაიმე ახალი შინაარსის წარმოქმნის უნარი დაკარგული ჰქონდა და ძირითადად რაოდენობით ახდენდა გავლენას. პოსტსაბჭოთა პერიოდში კი ამგვარი მიდგომა გარკვეულწილად აღორძინდა თანამედროვე სტალინისტების ნაწერებში.

### 3. ავტორი და რედაქტორი

წინამდებარე კვლევის ფარგლებში 1921 წლიდან 1956 წლის ჩათვლით უშუალოდ სტალინის ავტორობით ქართულ ენაზე გამოცემული 270-მდე პუბლიკაცია იქნა მოძიებული. წერა სტალინისათვის მუდამ იყო ერთ-ერთი ძირითადი საქმიანობა, რასაც მის ნაშრომთა თვრამეტკომეული მოწმობს. ამასთან ერთად, სარედაქტორო საქმიანობა სტალინის პოლიტიკური

## II. სტალინი როგორც კვლევის საგანი

მოღვაწეობის მნიშვნელოვანი, ზოგიერთი მკვლევრის აზრით კი — ძირითადი საქმიანობა იყო.

რუსი ისტორიკოსის, ლეონიდ მაქსიმოენკოვის თანახმად: "სტალინი, როგორც პოლიტიკოსი, უპირველეს ყოვლისა, დამტკიცებისათვის მომზადებული ტექსტის რედაქტორი იყო. მისი გადაწყვეტილებები მეორადია საწყის ტექსტთან მიმართებაში. იგი რუსულ პოლიტიკურ კულტურას წერილობითი ტექსტის საშუალებით აღიქვამდა" (Максименков 1997, 3). მისი სარედაქტორო, საცენზორო და სამწერლო საქმიანობა ერთიან სტალინურ სტილს ქმნიდა, რომელიც თავისი პრიმიტიულობის მიუხედავად ფილოლოგ და ლიტერატურათმცოდნის მიხეილ ვაისკოპფის მიხედვით პარადოქსულად უზარმაზარი ეფექტის მქონე იყო მანევრულობისა და მოქნილობის წყალობით და ფუნდამენტური როლი შეასრულა სტალინის ძალაუფლების გამყარებაში (Вайскопф 2001, 7). ავტორი სტალინის ნაწერებს ისტორიულ პერსპექტივაში განიხილავს და ყურადღებას აქცევს იმ ცვლილებებს, რომლებსაც მისი ნაშრომები პოსტ-ფაქტუმ განიცდიდნენ პოლიტიკური კონტექსტის ცვლილებასთან ერთად. ასეთი ცვლილებების მაგალითი ტერმინ „მეგობრის“ გაქრობაა ტროცკისა და სხვა რეპრესირებულების სახელთა წინ სტალინის ადრეულ ნაშრომებში. ამგვარი სტილისტური ცვლილებების გარდა სტალინმა თავისი მრავალი ადრეული საჯარო გამოსვლები და განკარგულებები გაასაიდუმლოვა, "მაგრამ მეორე მხრივ, "თხზულებებში" მისი გამონათქვამების დიდი რაოდენობა მოხვდა, რომელთაგან თითოეულისთვის ავტორი სიცოცხლით გადაიხდიდა ფასს, სტალინი რომ არ ყოფილიყო იგი" (იქვე, 13).

ამ დაკვირვებას კიდევ ერთ პარადოქსამდე მივყავართ, რომელიც დამატებით ართულებს სტალინის საზღვრებში ჩასმას. როგორც უკვე ვთქვით იგი, ერთი მხრივ, საბჭოთა ბეჭდური სიტყვის ჩარჩოებისა და საზღვრების დამდგენი იყო, თუმცა, მეორე მხრივ, ერთადერთ ფიგურას წარმოადგენდა მთელი კავშირის მასშტაბით, რომელსაც ამ საზღვრების დარღვევის შესაძლებლობა ჰქონდა სასჯელის შიშის გარეშე. ხაზგასმულ გარემოებას საბჭოთა ცხოვრების სხვადასხვა სფეროში გავრცელებულ ორმაგობამდე

მიყვარტ, იქნება ეს ორმაგი ეთიკა, პატრონ-კლიენტური ურთიერთობები სოციალურ-პოლიტიკურ ურთიერთობებში (Getty 2013) და ა. შ. ამ პრობლემატიკის დეტალურად განხილვის ადგილი აქ არ გვაქვს, თუმცა ერთი საკითხი, რომელსაც პირდაპირ უკავშირდება ჩემი კვლევის საგანი, სტალინის ძალაუფლების ბუნებაა, რომლის შესწავლა და განსაზღვრების მიცემა ინტერპრეტაციათა დიდ შესაძლებლობას ქმნის.

#### 4. ადამიანი და ღვთაება

სტალინის ძალაუფლების საკითხს ორი პერსპექტივიდან შევხებით აქ. პირველი საკითხი „მასობრივი დიქტატურის“ (Corner and Lim 2016), ანუ დიქტატორისა და ხალხის ურთიერთობის ფორმებს ეხება. როგორც სტალინიზმის პერიოდში სტალინის გამიჯნულ ფიგურად, ანუ პიროვნების კულტის ჩამოყალიბების შემსწავლელი ლიტერატურის მიმოხილვა გვიჩვენებს, ანალიზური თვალსაზრისით მასებზე სტალინური გავლენის შესწავლის მიმართულებით ერთ-ერთი ყველაზე გამოსადეგი საშუალება „პოლიტიკური რელიგიის“ ცნებაა. ეს კონცეპტი 1930-იანი წლებიდან გამოიყენებოდა ძირითადად ნაციზმისა და ფაშიზმის, და ასევე კომუნიზმის ბუნების შესწავლისას და ბოლო პერიოდში ისევ მოიპოვა პოპულარობა (Armstrong 2016, 72).

პოლიტიკურ სისტემათა რუმინელ-ამერიკელი მკვლევრის ვლადიმირ ტისმანეანუს თანახმად კომუნიზმი და ფაშიზმის პოლიტიკური მიზნები ემანსიპაციის სპეციფიკურად გაგებულ დისკურსის გარშემო იყო ორგანიზებული, რომელიც პოლიტიკური რელიგიის ფორმით ფუნქციონირებდა და რომელსაც ინდივიდის ტრადიციული მორალისა და სამართლისაგან უნდა დაეხსნა (Tismaneanu 2012, 3). განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენს, ერთი მხრივ, მასების უნარი ტოტალიტარული რეჟიმების რწმენათა სისტემა გაემართლებინათ და, მეორე მხრივ, მათი მზაობა მისი სახელით განხორციელებულ საშინელ ქმედებებში აქტიურ მონაწილეობაზე. ამ გარემოების ახსნაც შესაძლებელია "რადიკალური ტრანსფორმაციისა და განახლების

სულით", რომელიც ტოტალიტარულ რეჟიმებს ახასიათებდა (იხ. იქვე, 4). ტოტალიტარულ რეჟიმთა ანტი-ჰუმანური მოქმედება კვაზი-რელიგიური ელემენტებით იყო გაფორმებული, „ფაქტობრივად, ისინი [ნაციზმი და კომუნიზმი — კ. ლ.] პოლიტიკური რელიგიები იყვნენ, საკუთარი რიტუალებით, მესიებით, წმინდანებით, ინკვიზიტორებით, მოღალატეებით, ერეტიკოსებით, განდგომილებითა და წმინდა ტექსტებით“ (იქვე, 224).

როგორც ლიტერატურის მიმოხილვა გვიჩვენებს, სტალინიზმის პერიოდის მხატვრული ლიტერატურა, განსაკუთრებით კი პოეზია მრავლად შეიცავს ნაწარმოებებს, რომლებშიც სტალინის გადმერთება და მითოლოგიზება ხდება. ეს კიდევ ერთი განზომილებაა, სადაც სტალინი საზღვრებში ვერ ეტევა. ამჯერად საუბარი ადამიანის იმ საზღვრებზეა, რომელსაც იგი არღვევს ღვთაებრივ განზომილებაში გადასვლით. რელიგიურ აქტორთა ზემოთ მოყვანილ პანთეონში სტალინს უმაღლესი ღვთაების — „მზის“ ადგილი ეკავა და მასობრივ ცნობიერებაში არა მხოლოდ საბჭოთა კავშირისა არამედ მასთან ერთად მსოფლიო რევოლუციის შეუცდომელი და შეუცვლელი საჭეთმპყრობლის როლს ასრულებდა.

## 5. არავინ და ყველაფერი

ყურადსაღები საკითხია სტალინის ძალაუფლება უშუალოდ საბჭოთა პოლიტიკურ იერარქიაში. საკითხი თუ რა ტიპის დიქტატორი იყო სტალინი 1929 წლიდან მოყოლებული ორი ისტორიული ინტერპრეტაციის — ტრადიციულისა და რევიზიონისტულის — საგანია. განსხვავება ამ ორ ინტერპრეტაციას შორის იმაზე შეიძლება იქნეს აგებული, თუ რა როლი ენიჭება ძალადობას, ერთი მხრივ, ტრადიციულ მიდგომაში, სადაც სტალინის გავლენა ყოვლისმომცველია, და, მეორე მხრივ, რევიზიონისტულში, სადაც ძალადობის ეფექტურობა ეჭვქვეშა დაყენებული (Grant 2007, 7-9).

რუსი ისტორიკოსი ოლეგ ხლევნიუკი რევიზიონისტულ მიდგომას აკრიტიკებს და თავის მონოგრაფიაში (Хлевнюк 2010), რომელიც სტალინის

დიქტატურის ბუნებას ეძღვნება, ავითარებს იდეას, რომ სტალინმა გამარჯვება მოიპოვა პოლიტიკურში მიმდინარე მრავალწლიან დაპირისპირებაში და ჩამოყალიბდა დიქტატორად ახალი რევოლუციის განხორციელების შედეგად „რომელიც არანაკლებ კარდინალური და სისხლიანი იყო, ვიდრე ლენინური“ (იქვე, 6). ხოლო რაც შეეხება ამ დიქტატურის ბუნებას ხლევნიუკის შეფასებით „თავისი სისხლიანი „ზემოდან განხორციელებული რევოლუციის“ გატარების შემდეგ, რომლის შედეგადაც ისედაც დასუსტებული ქვეყანა საბოლოოდ წელში გადატყდა და მრავალი მილიონი ადამიანიც განადგურდა, სტალინმა თავისი კონტროლის ქვეშ თანამებრძოლთა, — „კოლექტიური ხელმძღვანელობის“ ფორმალური წევრების — სიცოცხლეებიც კი მოაქცია და ისეთი ძალაუფლება ჩაიგდო ხელში, რომელიც იშვიათად თუ ეკუთვნოდა ისტორიისათვის ცნობილ რომელიმე დიქტატორს“ (იხ. იქვე, 5).

სტალინის გარდაცვალების რეალური გარემოებების დადგენაში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მის პოზიციას საბჭოთა პოლიტიკურ იერარქიაში. 1953 წლის 28 თებერვლიდან (სტალინის ბოლო შეხვედრა თავის თანამებრძოლებთან არაოფიციალურ გარემოში) 5 მარტის ჩათვლით (სტალინის გარდაცვალების დადასტურება) მოვლენების რეკონსტრუქცია ისეთ წინააღმდეგობრივ მოწმობებს ეფუძნება, რომ სტალინის ბუნებრივი სიკვდილის შესახებ ოფიციალური ვერსია მრავალი მკვლევრისათვის ნაკლებ დამაჯერებელია. ლიდერის, უფრო მეტიც, ბელადის ასეთი რადიკალური გზით ჩამოშორება კი აჩენს კითხვებს, ერთის მხრივ, მოტივებზე, რაც პოლიტიკური საკითხია, ხოლო მეორე მხრივ, სტალინის პოზიციაზე, რამაც განაპირობა მისი ჩამოშორების რადიკალური, ძალადობრივი ფორმა.<sup>14</sup>

აქ არ არის ადგილი სტალინის გარდაცვალების არაკონვენციური

---

<sup>14</sup> სტალინის გარდაცვალების ოფიციალურისაგან განსხვავებული ვერსიები დასავლურ პრესაში 1956-57 წლებში ვრცელდება თავად ცენტრალური კომიტეტის წევრების ილია ერენბურგისა და პონომარენკოს მიერ. მათი ვერსიების მიხედვით სტალინის მდგომარეობის უეცარი გაუარესება ყრილობაზე მასა და ცენტრალური კომიტეტის წევრებს შორის „ებრაელებისა“ და „ექიმების“ საქმეებზე გამოვლენილი უთანხმოებებით იყო გამოწვეული. სტალინის სიკვდილის ამ და სხვა ვერსიებზე დაყრდნობით ამერიკაში მოღვაწე საბჭოთა დისიდენტ ისტორიკოსმა აბდურახმან ავტორხანოვმა შექმნა სტალინის წინააღმდეგ ბერიას მიერ შემუშავებული შეთქმულების ვერსია (Авторханов 1981 [1976]).

## II. სტალინი როგორც კვლევის საგანი

ვერსიების განხილვისათვის, თუმცა საინტერესოა თავად ასეთი ვერსიების წარმოშობისა და მრავალფეროვნების ფენომენი. ისტორიკოსი ალექსანდრ კოსტინი ნაშრომში, სადაც სტალინის ძალადობრივი სიკვდილის ვერსიებს კრიტიკულად განიხილავს (Костин 2012) მისი ძალაუფლებისა და მდგომარეობის საკითხსაც ეხება. ერთ-ერთ ეპიზოდში კოსტინი სვამს კითხვას: „ვინ იყო იგი [სტალინი — კ. ლ.] სახელმწიფოში?“ (იქვე, 150). სტალინის ძალაუფლების საკითხი ასევე მნიშვნელოვანია მისი სიკვდილის შემდგომ წარმოქმნილი ვაკუუმის პირობებში, რომელსაც მისი ყველაზე ახლობელი თანამებრძოლი ლავრენტი ბერია შეეწირა, და შემდგომ ინიცირებული დესტალინიზაციის პოლიტიკის გასაგებად, რომლის დროსაც დანაშაულთა თითქმის სრული უმრავლესობა ერთ ადამიანს დაჰბრადა. კოსტინი დასმულ კითხვას შემდეგნაირად სცემს პასუხს:

სახელმწიფოს ლიდერად ითვლებოდა — და რეალურადაც იყო! —

...გენერალური მდივანი სტალინი. რა პოსტი ეკავა მას ხელისუფლებაში? პასუხის გაცემა რთულია! რას წარმოადგენდა იგი სახელმწიფოში? საინტერესო საკითხია... სტალინი სახელმწიფოში იყო არავინ — და ყველაფერი. ის იყო ბელადი და, მიუხედავად იმისა, რომ მუდამ „მეს“ ნაცვლად ამბობდა „პარტიას“, ბელადის სტატუსი დაფუძნებული იყო არა პარტიის, არამედ მის პირად ავტორიტეტზე. (იქვე, 150-1).

სტალინის ავტორიტეტის მსგავსმა ბუნებამ, რომელიც სცდებოდა პოლიტიკური იერარქიის საზღვრებს და ტოტალიტარულ (იხ. Seitschek 2007) განზომილებაში გადადიოდა, ათწლეულების შემდეგ მისი გარდაცვალებიდან შესაძლებელი გახდა მისი ფიგურის, სიმბოლოს ისეთ სფეროებში ინტეგრირება, რომელიც მრავალი ქართველისათვის ნაციონალური სიამაყისა და იდენტობის საკითხს განსაზღვრავს. შემდეგი საკითხი სწორედ საქართველოს, ქართულ საკითხს შეეხება სტალინის ფიგურის კონტექსტში, რაც შესავლის ფუნქციას შეასრულებს ჩემი კვლევისათვის, რომელიც სტალინის ზემოაღწერილ მრავალგანზომილებიან სიმბოლოს ქართულ ნაციონალურ იდენტობასთან კავშირში განიხილავს.

## 6. ლოკალური და გლობალური

სტალინისა და მისი ქართული წარმოშობის განხილვისას ორ პერსპექტივას შევხებით. საინტერესო შეიძლება იყოს ის, თუ როგორ იყენებდა თავად სტალინი თავის წარმოშობას. ეს საკითხი განხილულია ამერიკელი ისტორიკოსის ალფრედ რიბერის სტატიაში „Stalin: Man of the Borderlands” (Rieber 2001), სადაც კითხვა სტალინის წარმომავლობის შესახებ შემდეგნაირადაა ფორმულირებული: „სტალინი ვერ გაექცეოდა თავის ქართულ იდენტობას, მაგრამ საკითხავია, თუ რატომ არეკლამებდა იგი მას?“ (იქვე, 1653). რიბერი საჭიროდ მიიჩნევს სტალინის შესწავლაში მისი ბიოგრაფიის მიმართ განსხვავებული მიდგომის შერჩევას. უკვე არსებული სამ მიდგომას — 1) „დიდი ადამიანი“, 2) პათოლოგიური კრიმინალი და 3) ბიუროკრატიული დესპოტი, — საერთო ის აქვთ, რომ სამივე კატეგორიაში მოთავსებული ავტორები მიიჩნევენ, რომ სტალინი საკუთარი თავის რუსიფიკაციასა და ქართული წარმომავლობის უგულვებელყოფას, მიჩუმათებას ცდილობდა. რიბერი კი თავის სტატიაში მიზნად ისახავს აღწეროს თუ „როგორ გახდა პირადი იდენტობის პოლიტიკა სტალინური იდეოლოგიის საფუძველი და საბჭოთა სახელმწიფო სისტემის სტრუქტურა“ (იქვე). ავტორის დაკვირვებით სტალინის თვითიდენტობა აგებული იყო როგორც პასუხი ბოლშევიკური რევოლუციის მთავარ პრობლემაზე — „ცენტრალიზებული პოლიეთნიკური სახელმწიფოს დაფუძნება პროლეტარიატის კლასის საფუძველზე“ (1654).

რიბერი მიჩნევს, რომ სტალინის თვითიდენტობის კონსტრუქცია სამ ინტერპრეტაციულ ჩარჩოს აერთიანებდა: 1) კულტურული (ქართველი), 2) სოციალური (პროლეტარი) და 3) პოლიტიკური (რუსი ჰეგემონი) (იხ. იქვე, 1656). რეალური და გამოგონილი ფაქტებისაგან შემდგარი ეს იდენტობა ინტერპრეტაციის ფართო შესაძლებლობებს აჩენდა და სოციალურ-კულტურული და ეთნიკური თვალსაზრისით ჰეტეროგენულ საბჭოთა სახელმწიფოს ნებისმიერი ჯგუფისათვის მისაღებ ფიგურად წარმოაჩენდა სტალინს.

სტალინის რუსული, ანუ პოლიტიკური ჩარჩო სამ ძირითად ელემენტში აისახა: 1) რუსული მისი ძირითადი პოლიტიკური ენა იყო, 2) მსოფლიო რევოლუციის ბაზად რუსეთის შუაგული, მოსკოვი იყო არჩეული და 3) იგი იდენტიფიცირდებოდა რუს ნაციონალურ გმირებთან — იოანე მრისხანესა და პეტრე დიდთან (იქვე, 1674). მისი სოციალური წარმომავლობა ასოცირდებოდა მშრომელთა კლასთან ბიოგრაფიის იმ ეპიზოდების ხაზგასმით, როდესაც იგი ფიზიკურად მუშაობდა. გარდა ამისა მეორე მსოფლიო ომამდე მუდამ ხაზს უსვამდა საკუთარ მდაბიო წარმოშობას (იხ. იქვე, 1669). ხოლო რაც შეეხება მის კულტურულ იდენტობას „ქართული წარმომავლობა ემბლემატური მნიშვნელობის იყო იმ მულტიეთნიკური სახელმწიფოსათვის რომელსაც იგი ხელმძღვანელობდა“ (იქვე, 1668). სტალინის ერთ-ერთი მახასიათებელი რომელსაც რიბერი იყენებს სტალინის იდენტობის ქართული ელემენტის დემონსტრირებისათვის მისი ქართული აქცენტია. მთლიანობაში კი ასეთ მრავალმხრივ და გარკვეულწილად შეუთავსებელ იდენტობებს ავტორი გადმოსცემს ჩანახატი, როდესაც რევოლუციური კარიერის აღმავლობიდან სტალინი, ჯერ კიდევ კობას ფსევდონიმით დაეჩვია საკუთარი თავის შემდეგნაირ წარმოჩენას: იგი „ხაზს უსვამდა თავის რუსულ იდენტობას, მაგრამ ქართული აქცენტითა და პროლეტარული სიუხეშით“ (იქვე, 1677).

## 7. პატარა სამშობლო და დიდი ამბიციები

რაც შეეხება სტალინის აღქმას ქართული პერსპექტივიდან, მინდა მიმოვიხილო ამ საკითხის აკადემიური შესწავლის განუხორციელებელი მცდელობა, რომლის იდეაც მხოლოდ მონახაზების სახით არსებობს. 2000 და 2001 წლებში ლიტერატურულ ჟურნალ „არილში“ (#18 და #1 შესაბამისად) ქვეყნდება ისტორიკოს და ლიტერატურათმცოდნე აკაკი ბაქრაძის ჩანაწერები სათაურით „სტალინიადა.“ ჩანაწერები გარკვეულ, არასტრუქტურირებულ განსჯებსა და სქემებს შეიცავს, რომლებიც ლაშა ბაქრაძის (ავტორის ვაჟის) თანდართული განმარტებით „სტალინიადად“ დასათაურებული წიგნის მონახაზებს



წარმოადგენს (2000, 34).

ჩანაწერების მიხედვით წიგნის დაწერა სამ ნაწილად იგეგმებოდა. აქედან პირველი ნაწილში, სათაურით „ჩამოყალიბება“, უნდა ასახულიყო „როგორ ყალიბდებოდა ლენინისტი, რაც იგივე სტალინისტია. ...ხელს როგორ უწყობდა ამას ხელოვნება და ლიტერატურა“ (იქვე, 34). აქვეა მოცემული სტალინის პიროვნების კულტის ქართული მოტივაცია და მისი ანალიზისათვის გამოსაყენებელი ძირითადი კონცეფციები. ბაქრაძე სტალინის განდიდების ქართულ მიზეზად 1921 წლის ოკუპაციით გამოწვეული ნიჰილიზმის დაძლევის მოიაზრებს, რაც გამოიხატა ნიკოლო მიწიშვილის 1926 წელს გამოქვეყნებულ პოლემიკურ წერილში „ფიქრები საქართველოზე“, ასევე სერგი დანელიას სტატიაში „ვაჟა ფშაველა და ქართველი ერი“ (1927), კონსტანტინე კაპანელის თხზულებაში „ქართული სული ესთეტიკურ სახეებში“ (1926) და სხვა. გამოვლენილ ნიჰილიზმს კი... ”სტალინის ძალისადმი რწმენის ოპტიმიზმი დაუპირისპირდა (კონსტანტინე გამსახურდიას სიტყვები). თუ საქართველო“ (2001, 35). ასევე მოყვანილია პოეტ გ. ლეონიძის სიტყვები: „რა შეფასებასაც არ უნდა იმსახურებდეს სტალინი, ერთი რამ ცხადია: ის გახლავთ ეროვნული ენერჯის უდიდესი გამოვლენა და სწორედ ამ კუთხით იპყრობს ჩემს ყურადღებას“ (იქვე, 32).

ჩანაწერებში სტალინის პიროვნების კულტის შექმნის ძირითად მეთოდად მისი მითოლოგიზაციაა წარმოჩენილი, რაშიც ხელოვნებას, ლიტერატურას განსაკუთრებული ადგილი ეკავა. აკაკი ბაქრაძე სვამს კითხვას „რამ გამოიწვია სტალინისადმი ასეთი დამოკიდებულება? რატომ არ დაკმაყოფილდნენ მხოლოდ სახოტბო ლირიკით? (იქვე, 32). რაზე პასუხადაც სამ პუნქტს გამოყოფს:

1. მთავრობის დაკვეთა.
2. ეროვნული ენერჯის მაგიერ პიროვნულით აღტაცება.
3. მითოლოგიზირება ადამიანისა, რაკილა ღმერთი უარყოფილი იყო (2001, 35).

რაც შეეხება სტალინის მითოლოგიზებას აქ ორი მიმართულებაა გამოყოფილი: 1) მისი დემონად წარმოჩენა (გალაკტიონ ტაბიძე, გრიგოლ

## II. სტალინი როგორც კვლევის საგანი

რობაქიძე) და 2) მის მითოლოგიურ გმირად წარმოჩენა (გ. ლეონიძე, ს. ჩიქოვანი, კ. გამსახურდია). აღნიშნული ჩანაწერები, თავად ტექსტში არსებული მინიშნებებიდან გამომდინარე, სავარაუდოდ 1990-იანი წლების პირველ ნახევარში დაიწერა. სამწუხაროდ თავად აკაკი ბაქრაძეს არ დასცალდა აღნიშნული წიგნის დასრულება, თუმცა როგორც ლიტერატურის წინამდებარე მიმოხილვა გვიჩვენებს ბაქრაძის მიერ გადმოცემული იდეები ზედმიწევნითაა დამუშავებული მისი გარდაცვალების შემდგომ ქართველ მკვლევართა მიერ გამოცემულ ნაშრომებში.

თუმცა ბაქრაძის განაზრებებში ყველაზე საინტერესოა სტალინის მასშტაბის შეფასება, რომელიც წინამდებარე თავის ძირითად თემას — თუ როგორ არღვევს სტალინი ყველა საზღვარს — პირდაპირ, არაორაზროვნად ეხმიანება. ბაქრაძეს მოჰყავს დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის შეფასება:

თუ არა ქართველთა ოდენ სპიითა ვერცარას ალექსანდრე იქმოდა კარგსა. და თუმცა დავითს სპარსთა ჰქონებოდა მეფობა, ანუ ბერძენთა და ჰომერთა ძალი, ანუ სხუათა დიდთა სამეფოთა, მაშინნამცა გვენახეს ნაქმარნი მისნი, უაღრესნი სხუათა ქებულთანი. (იქვე, 34).

მოყვანილ ფრაზაში, განმარტავს ბაქრაძე, დასმულია პრობლემა „ქვეყნის ძალისა და პიროვნების ძალის შეუსაბამობისა“ (იქვე), რადგან აღმაშენებელს უფრო მეტის გაკეთება შეეძლო, ვიდრე ქვეყანა აძლევდა ამის საშუალებას. ბაქრაძის მსჯელობით იგივე პრობლემა იდგა ალექსანდრე მაკედონელის წინაშე, რომელსაც გადმოცემის მიხედვით მამამ, მეფე ფილიპემ უთხრა „შენი შესაფერისი საბრძანებელი უნდა მოძებნო, შვილო, მაკედონია შენ ვერ დაგიტევს!“ (იქვე). იგივე პრობლემის წინაშე იდგა ნაპოლეონი — "პატარა კორსიკა ვერ მისცემს მას იმის ძალას, რაც მას სჭირდება ევროპის დასაპყრობად. ამისთვის იგი საფრანგეთის იმპერატორი უნდა გახდეს" (იქვე).

„სტალინიც ამ პრობლემის წინაშე აღმოჩნდა“ (იქვე). ამ ფრაზით აკაკი ბაქრაძე თავის ძირითად სათქმელს უახლოვდება და სტალინის ზემოჩამოთვლილ ისტორიულ ფიგურათა რიგში დაყენებით მისი მოღვაწეობის გაცილებით დიდ მასშტაბებზე მსჯელობს, ვიდრე ამის შესაძლებლობას

საქართველო აძლევდა. ამ მასშტაბს კი ბაქრაძე, არც მეტი, არც ნაკლები, შემდეგნაირად განსაზღვრავს — „სტალინი მსოფლიო იმპერატორად გააჩინა უფალმა“ (იქვე). შესაბამისად, სტალინის მიზნებთან ყველაზე ახლოს რუსეთის იმპერიის სივრცე იყო, შესაბამისად „სტალინიც რუსეთის იმპერიის იმპერატორი გახდა“ (იქვე).

თუმცა ასეთი მასშტაბების მიუხედავად ამგვარი გრანდიოზული ფიგურების თვალში მათი წარმომავლობის ადგილი არ იკარგება. ბაქრაძის აზრით, სამშობლოს სიყვარული შესაძლებლობებით, ანუ ინტერესთა ბალანსითაა განპირობებული. ყველა ზემოთ ჩამოთვლილ გრანდიოზულ ფიგურას იმ შესაძლებლობების ფარგლებში უყვარდა თავისი სამშობლო, რა შესაძლებლობასაც მისი მასშტაბები უტოვებდა. გამონაკლისი არც სტალინი იყო. თუმცა ასეთ გარემოებებში, როდესაც ადამიანი თავის ძალასა და ნიჭს სხვა ქვეყნის ინტერესებისათვის ხარჯავს, ბაქრაძე ტრაგიზმს ხედავს და სტალინსა და საქართველოს მათ შორის არსებული შეუსაბამობის მსხვერპლად აღიქვამს.

## 8. ლოცვა და არა კრულვა

აკაკი ბაქრაძის ზემოთ მოყვანილ ჩანაწერებში ასევე მოცემულია განაზრებები ქართული საზოგადოების სტალინით აღფრთოვანების საკითხზე. ქართულ სტალინიადაში ბაქრაძე ორი ხასიათის ტექსტებს გამოყოფს. პირველი სახოტბო ლიტერატურაა, რომელიც ყოველთვის არსებობდა და რომელსაც ბაქრაძე დიდ მნიშვნელობას არ ანიჭებს (იხ. იქვე, #1(165), 30). თუმცა ამავე სახოტბო ლიტერატურაში წარმოიქმნება სტალინის მითოლოგიზაციის ტენდენციები როგორც პოზიტიური, ასევე ნეგატიური მიმართულებით. სტალინის პოზიტიური მითოლოგიზაციის მაგალითად ბაქრაძეს გ. ლეონიძე და კ. გამსახურდია მოჰყავს, ხოლო ნეგატიური მითოლოგიზაციის მაგალითად — გ. ტაბიძე („მისი სახელი ლეგიონია“ (იქვე, 31).

მსგავსი ორმაგი დამოკიდებულების გასააზრებლად ბაქრაძე ისეთ მეტაფორას იყენებს, როგორც მშობლისა და შვილის ურთიერთობაა, როდესაც დედამ შეიძლება შვილი დატუქსოს, უფრო მეტიც, დაწყევლოს, მაგრამ ამ

წყევლის უკან სინამდვილეში ლოცვა იმალება.

წყველა ხომ გაგიგონიათ, დედა რომ წყევლის შვილს: შენ მოუკვდი დედაშენს... შენ დაგაყარე მიწა... რატომ მუცელში არ გამიწყალდი... შენი კუბო დავდგი... შენ არ გაიხარე... იფრქვევა ასე შემადრწუნებელი სიტყვები, მაგრამ მათი არავის ეშინია არც დედას, არც შვილს, არც შემთხვევით მსმენელს. ყველამ ჩინებულად იცის, რომ ამ სიტყვებში ლოცვაა და არა მართლა კრულვა. (#18, 34-35).

მოცემულ მაგალითში სამი მონაწილეა გამოყვანილი: დედა და შვილი ქართულ საზოგადოებასა და სტალინს განასახიერებენ, ხოლო მესამე მონაწილე — შემთხვევითი მსმენელი აკადემიური ინტერესის მქონე მკვლევრად უნდა მივიჩნიოთ, რომელიც ფენომენს აკვირდება და მის ობიექტურ გაანალიზებას ცდილობს.

როგორც ქართულ პოსტსაბჭოთა სტალინიადამი ვნახავთ, მრავალი ტექსტი, რომელშიც სტალინის მიმართ კრიტიკული დამოკიდებულება გამოვლენილი, თავად სტალინისტური ტექსტებისათვის დამახასიათებელი ფორმით არის აგებული. შედეგად თუ სტალინისტური ტექსტები სტალინის დადებით მითოლოგიას ქმნის, ანტი-სტალინისტური ტექსტები ნეგატიური მითოლოგიის, ანუ დემონიზაციის მიღმა ვერ მიდიან. ორივე შემთხვევაში, სტალინის სახით ღმერთკაცთან გვექნება საქმე, თუ დემონთან, მისი ადამიანური კრიტერიუმებით შეფასება შეუძლებელი ხდება. უნდა ითქვას, რომ სტალინისტური ტექსტებისათვის სტალინის შეფასების, შეუძლებლობის თუ არა, სირთულის ხაზგასმა თითქმის ყოველთვის არის მოცემულ ტექსტთა შესავალ ნაწილებში, სადაც წინამდებარე ნაშრომის ცნებათა კოორდინატთა სისტემაა განვრცობილი. ამ თვალსაზრისით ანტი-სტალინისტური ტექსტები არასახარბიელო მდგომარეობაში არიან თავიანთი ოპონენტების მიმართ, რადგან, ერთი მხრივ, მათ არ აქვთ შესაძლებლობა სტალინის შეფასება შეუძლებელ ამოცანად გამოაცხადონ, რადგან ეს, გარკვეული თვალსაზრისით, უკვე შეფასებაა, მეორე მხრივ კი, თავიანთ ტექსტებში მაინც სტალინის მითოლოგიზაციას ახდენენ.

გარდა ამისა ბაქრადისეულ ზემოთ მოყვანილ მეტაფორაში კითხვის ნიშნის ქვეშ არის დაყენებული სტალინის კრიტიკის შესაძლებლობა. მთავარ ფაქტორად აქ ნაციონალური იდენტობა უნდა მივიჩნიოთ. ბაქრადის განაზრებაში სტალინის მასშტაბისა და საქართველოს ურთიერთმიმართების ეროვნული კუთვნილება წარმოჩენილია აუცილებელ ელემენტად, რომელიც, მართალია, ტრანსფორმირდება სტალინისა და საქართველოს შეუთავსებლობის გამო, მაგრამ არსად ქრება. გავიმეორებ, რომ, ბაქრადის აზრით, სტალინს, ისევე როგორც სხვა ამგვარი მასშტაბების ისტორიულ ფიგურებს, თავისი სამშობლო იმდენად უყვარდა, რამდენადაც ამის შესაძლებლობა ჰქონდა. შემდგომ განაზრებაში კი ბაქრადე ამ არგუმენტს ატრიალებს და გამოხატავს შეხედულებას, რომ თავად ქართველი ხალხის, სტალინის მშობელი ხალხის დამოკიდებულება მის მიმართ ძირითადად მშობლის სიყვარულის ფორმით უნდა იქნეს გაგებული.

ბაქრადის ზემოთ მოყვანილ დაკვირვებაში, რა თქმა უნდა, ქართული პოსტსაბჭოთა სტალინიადის ანალიზისათვის ძალიან საინტერესო დასკვნებია გაკეთებული, თუმცა ამავე დროს უნდა აღინიშნოს, რომ მაღალი აკადემიური ინტერესი სტალინის ფიგურის მიმართ არ გვაძლევს საშუალებას „შემთხვევითი მსმენელი“ მივიჩნიოთ ნეიტრალურ მხარედ, რომლისთვისაც მის თვალწინ გადაშლილი სცენა უბრალოდ დაკვირვების საგანია.

## 9. სტალინის ორი სიკვდილი

აკადემიურ ლიტერატურაში სტალინის ზემოთ განხილული გაორმაგებული ბუნება კანტოროვიჩის *მეფის ორი სხეულის* კონცეფციის ქვეშ არის განხილული ფილოსოფოს გიორგი მაისურადის მიერ (Maisuradze 2017), რომელიც აღწერს პარადოქსულ ურთიერთდამოკიდებულებასა და შეუთავსებლობას, ერთი მხრივ, სტალინის ეთნიკურ, ქართულ იდენტობასა და, მეორე მხრივ, მის პოლიტიკურ როლს შორის, რომელიც საბჭოთა მრავალეთნიკური სახელმწიფოს *ბელადს გულისხმობს*. სტალინის ქართული წარმომავლობა მისი ფიზიკური სხეულის განზომილება, ისტორიული ფაქტი, ეროვნული იდენტობის ეთნიკური ელემენტია, ხოლო სტალინის საბჭოთა

## II. სტალინი როგორც კვლევის საგანი

კავშირის ბელადად ყოფნა, მისი პოლიტიკური სხეულის განზომილება — ინტერნაციონალური ერთიანობის პრინციპი.

მაისურაძის მიერ არჩეული პერსპექტივა შეგვიძლია განვავრცოთ და ვთქვათ, რომ სტალინის ორი — პოლიტიკური და ფიზიკური — სხეული სხვადასხვა დროსა და პირობებში გარდაიცვალა. მისი ფიზიკური სხეული 1953 წლის 5 მარტს მოკვდა, ხოლო პოლიტიკური — 1956 წლის 9 მარტს. პირველი სიკვდილი ინსულტით გამოწვეული 5 დღიანი აგონიის შემდეგ დადგა, მეორე კი — თბილისში რუსთაველის გამზირსა და სანაპიროზე საპროტესტო მოძრაობების სისხლიანი ჩახშობისას, რასაც წინ უსწრებდა მე-20 ყრილობაზე პიროვნების კულტის დაგმობა.

საქართველოში, ისევე როგორც მთელ საბჭოთა კავშირში სტალინის ფიზიკური სხეული რამდენიმე დღიანი საყოველთაო გლოვით იქნა გაცილებული, ხოლო მის პოლიტიკურ სიკვდილს თან სდევდა საყოველთაო შოკი, რომელიც საბჭოთა კავშირის მასშტაბებსაც გასცდა<sup>15</sup>. თუმცა არსად არ დაფიქსირებულა ისეთი მღელვარება როგორც საქართველოს სსრ-ში, კერძოდ კი თბილისში. ბელადის სახელის შერყენით აღშფოთებულმა ხალხმა სპონტანური კარნავალური ტიპის მასობრივი საპროტესტო აქციები მოაწყო, მაგრამ უშედეგოდ. ერთი კვირის თავზე პროტესტი ძალადობრივი გზით იქნა ჩახშობილი<sup>16</sup>. შესაბამისად, დესტალინიზაციას ქართული საზოგადოებისათვის ორმაგი შოკური ეფექტი ჰქონდა — ბელადის სახელის შებღალვა და მის დასაცავად ქუჩებში გამოსული ადამიანების (ძირითადად ახალგაზრდების) დახვრეტა. პოსტსაბჭოთა პერიოდის ქართველ სტალინისტთა პუბლიკაციებში 56 წლის მარტის მოვლენების თითქმის სრული უგულებელყოფა შეიძლება ორმაგი

---

<sup>15</sup> საიდუმლო მოხსენებაზე პიროვნების კულტის მხილება *შოკური* მოვლენა იყო სრულიად საბჭოთა კავშირისათვის (Зезина 1995), ხოლო რაც შეეხება საზღვრებს მიღმა გამოვლენილ რეაქციას ამერიკელი აქტივისტის მოგონებებით ხრუმოვის საიდუმლო მოხსენებამ „მსოფლიოს მასშტაბით აღაშფოთა კომუნისტური პარტიები. მე მაშინ აშშ-ში ვიყავი და კარგად მახსოვს ამერიკული პარტიის მიერ გაცემი შოკი. წიგნი „სტალინის ერა“ სწორედ ხრუმოვის საწინააღმდეგოდ დავწერე“. ჩინურმა პარტიამ ორი სტატია გამოსცა... რომლებიც იცავდნენ სტალინს, რომელიც ბევრი მძიმე შეცდომის მიუხედავად გულწრფელი და ეფექტური რევოლუციონერი იყო“ (Strong and Keyssar 1985, 503, note #19).

<sup>16</sup> ქვემოთ აღწერილი იქნება დებატები იმის თაობაზე თუ რა იყო 1956 წლის მარტის მოვლენების ძირითადი ხასიათი და მოტივი — ეროვნული თვითგამოხატვა, თუ სტალინზე თავდასხმის მოგერიება. ჩემი შეხედულებით აღნიშნული საპროტესტო მოძრაობის არაცენტრალიზებული, ჰეტეროგენული ბუნება ორივე მოტივის გაერთიანების შესაძლებლობას იძლევა.

შოკით გამოწვეული ტრავმით იქნეს ახსნილი.

კულტურული ტრავმის თეორიაში წარმოშობილი უახლესი მიდგომები კონცეპტის ერთ-ერთ ფუძემდებლურ ტექსტს — ფროიდის "მოსე და მონოთეიზმს — უბრუნდება (იხ. Ginsburg and Pardes 2006). ეს ნაშრომი კი ებრაული ერის წარმოშობას ლიდერის, მოსეს მკვლელობის შემდეგ განვითარებულ პროცესებს უკავშირებს, რომელიც ამნეზიის საგანს წარმოადგენს ერის ისტორიაში. მოცემული კონცეპტი ორი თვალსაზრისით შეიძლება შევეუსაბამოთ სტალინის შემთხვევას: (1) სტალინის ორი სხეულებრივი და პოლიტიკური სიკვდილიდან მეორე შეგვიძლია მკვლელობად დავახასიათოთ, რომელიც ნიკიტა ხრუშჩოვის მიერ იქნა განხორციელებული (ყოველ შემთხვევაში თავად სტალინისტთა ტექსტები მხოლოდ ამგვარი ინტერპრეტაციის საშუალებას გვაძლევს), ხოლო (2) სტალინისტთა ტექსტებში 1956 წლის მარტის ხოცვა-ჟლეტის უგულვებელყოფა ამნეზიის, მოვლენის მეხსიერებიდან განდევნის შთაბეჭდილებას ახდენს. სტალინისტი ავტორები, იცავენ სტალინს ყველა ტიპის თავდასხმისაგან, მათ შორის საკმაოდ ხშირად წერენ ასევე ხრუშჩოვზეც. ამის ფონზე კი, მით უმეტეს საჭირო ხდება იმის ახსნა, თუ რატომ ერიდებიან სტალინისტები იმის გახსენებას, თუ როგორ შეეცადა ქართული საზოგადოება სტალინის სახელის დაცვას, მისი პოლიტიკური სხეულის გადარჩენას.

## დასკვნა

სტალინის სიმბოლოს კომპლექსურობის გათვალისწინება აუცილებელი იქნება მისი ნაციონალური იდენტობის პერსპექტივიდან კვლევისათვის. უნდა ითქვას, რომ მისი კომუნისტურ-ბოლშევიკურიდან ნაციონალურ სიმბოლოდ ტრანსფორმირება კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს იმას, რომ სტალინის რაიმე ჩარჩოებში მოქცევა პრაქტიკულად შეუძლებელია.

აკაკი ბაქრაძის მიერ 1990-იანების შუა წლებში გაკეთებულ ჩანაწერებში, რომლებიც ზემოთ განვიხილეთ, უკვე ჩნდება სტალინის ქართულ ეროვნულ ჩარჩოში ანალიზის მცდელობა. როგორც ლიტერატურის ჩატარებული

## II. სტალინი როგორც კვლევის საგანი

მიმოხილვა გვიჩვენებს, სტალინი ქართული აკადემიური და მხატვრული ელიტების მიერ ეროვნული პერსპექტივიდან უშუალოდ სტალინიზმის პერიოდშიც განიხილებოდა. მოგვიანებით, დესტალინიზაციის პერიოდში სტალინის სიმბოლოს დაკნინება გარკვეული ინტერპრეტაციებით ასევე ეროვნული ღირსების შეურაცხყოფად იქნა აღქმული ქართული საზოგადოების დიდი ნაწილისათვის. შესაბამისად, ბუნებრივია, რომ პოსტსაბჭოთა პერიოდში სტალინით აღფრთოვანება ახალი ბიძგით გამოვლინდა. თუმცა, ძირითად ინსტრუმენტად, რითაც პოსტსაბჭოთა რესტალინიზაცია შეიძლება იქნეს ახსნილი, თავად ამ სიმბოლოს მანევრულობა და კომპლექსურობაა.

კვლევის საგნის მსგავსმა ბუნებამ განაპირობა მეთოდებისა და მიდგომების მრავალფეროვნება. განსხვავებული ჟანრების ტექსტებს შრის არსებული დიალოგი, ისევე როგორც მათი წარმოშობის სოციალური კონტექსტი ინტერპრეტაციის შესაძლებლობას წარმოშობს. გარდა ამისა გათვალისწინებული უნდა იქნეს შესწავლის საგნის ისტორიული სპეციფიკა. სტალინით აღფრთოვანებას ყველა პერიოდში თავისი პოლიტიკურ-კულტურული გარემოებები ერთვოდა თან და უნდა ითქვას, რომ უშუალოდ სტალინიზმის პერიოდის დასრულების შემდგომ (1956 წლიდან) სტალინით აღფრთოვანება პოლიტიკურ გარემოში დამკვიდრებული წინააღმდეგობის მიუხედავად აგრძელებდა არსებობას. ამ გარემოების აღწერა კი საგნის ანალიზის სისრულისათვის აუცილებელი ამოცანა იქნება. პოსტსაბჭოთა პერიოდის კონტექსტად კი დესოვეტიზაცია იქნება აღებული, რომელიც მრავალ პოსტკომუნისტურ სახელმწიფოში, მათ შორის საქართველოშიც *ლუსტრაციის* დისკურსით შეიძლება იქნეს აღწერილი და გაანალიზებული. კვლევის ერთი თავი სწორედ ამ საკითხსაც დაეთმობა.

სტალინიზმის გადარჩენა ცალკე დესტალინიზაციის, „საჯაროობის“ და ცალკე ლუსტრაციის პირობებში, ერთი მხრივ, სტალინის სიმბოლოს მდგრადობითა და ტრანსფორმაციის უნარით, მეორე მხრივ კი, დესტალინიზაციისა და წარსულის გააზრებისადმი გულგრილი დამოკიდებულებით შეიძლება იქნეს ახსნილი. ლუსტრაციის პროცესის



შემოთავაზებულ ანალიზში ნაჩვენებია იქნება თავდაპირველი ძლიერი საზოგადოებრივი მუხტი და ინტერესი საბჭოთა წარსულის გადაფასებისა და სამართლებრივი შეფასების მიცემის კუთხით, რომლის შედეგიც გახდა კანონი „თავისუფლების ქარტია“ (2012). თუმცა, აღნიშნული სამართლებრივი კანონპროექტი ვერ იქნა თვისი სრული პოტენციალით ამუშავებული. ამასთან ერთად, დროთა განმავლობაში ტერმინი „ლუსტრაცია“ ახალი, მისი საწყისი მნიშვნელობისათვის არადამახასიათებელი შინაარსებით ივსება და კარგავს უნარს არსებული სოციო-პოლიტიკური კონტექსტისათვის ახალი მნიშვნელობების გენერირების.

გარკვეულ წილად იგივე შეიძლება ითქვას თავად სტალინის სიმბოლოზეც. როგორც ვნახავთ, 1990-იან და 2000-იან წლებში სტალინის სახელის სხვადასხვა პერსპექტივებიდან რეპრეზენტირება თავისი შესაძლებლობების დასასრულს უახლოვდება, რომლის შემდგომაც მხოლოდ უკვე ნათქვამის გამეორება ხდება. უნდა ითქვას, რომ სტალინის სიმბოლოს ზემოაღწერილ მრავალფეროვნებასაც აქვს თავისი საზღვარი.

### III. თეორიული ჩარჩო


სტალინის ფიგურის წინააღმდეგობრიობის დაძლევა, როგორც ვნახავთ, საკმაოდ დიდ ძალისხმევას მოითხოვს ავტორთაგან, რომლებიც ათწლეულების მანძილზე მრავალმხრივ ამუშავებენ და ქმნიან მის გარშემო წარმოქმნილ მითოლოგიას. ხოლო თუ კითხვას დავსვამთ აღნიშნული ფენომენის არა უბრალოდ შინაარსზე, არამედ გამომწვევ მიზეზებზე, ტრავმული გამოცდილების რეკონსტრუქციის, ექსტერნალიზაციის თეზისი, რომლითაც, როგორც ვნახავთ, გამსჭვალულია სტალინისტური ტექსტები, ფარდას ხდის აღნიშნული ფენომენის წარმომავლობას, ანუ სტალინისტ ავტორთა ცნობიერ თუ არაცნობიერ მოტივაციას.

სტალინისტური ლიტერატურის კორპუსი, რომელიც წინამდებარე კვლევის ძირითად წყაროს წარმოადგენს, ბოლო 33 წლის განმავლობაში შეიქმნა. ნაშრომების გამოცემის მხოლოდ თარიღებზე დაკვირვებითაც კი ნათელი ხდება ის თუ როგორ კორელირებს პუბლიკაციათა ინტენსივობა ქვეყანაში მიმდინარე სხვა მოვლენებთან. ეს კორელაცია უკვე თავისთავად ამართლებს მითის პოლიტიკური თეორიის გამოყენებას აღნიშნული ლიტერატურის ანალიზისას, როგორც საბუთი სტალინისტური მითის კავშირისა სოციალურ-პოლიტიკურ მოვლენებთან. თუმცა, ისევ და ისევ, პუბლიკაციების თარიღები გვაძლევს სურათს, რომლის მხოლოდ პოლიტიკური პერსპექტივიდან ახსნა დამაკმაყოფილებელი ვერ იქნება. საუბარია სტალინური პუბლიკაციების საწყის თარიღზე, რით შეიძლება აიხსნას ეს თარიღი? რა ფაქტორებმა განაპირობა ინტერესი სტალინის მიმართ არა უბრალოდ ისტორიული პერსპექტივიდან, არამედ ინტერესი სტალინის როგორც ქართველი კაცის მიმართ?

საბჭოთა კავშირის დაშლა, რა თქმა უნდა, მე-20 საუკუნის ერთ-ერთი ძირითადი გეოპოლიტიკური მოვლენა იყო, რომლის კულტურული, სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური მიზეზებისა და შედეგების შესწავლა ინტენსიურად მიმდინარეობს ბოლო 30 წლის მანძილზე და

პოსტსაბჭოთა სივრცეში სტალინისტური განწყობებიც სწორედ ამ კვლევების ერთ-ერთი საგანია. ამგვარი მასშტაბის ცვლილებების ერთ-ერთი შედეგი, რომელიც ჩემი კვლევის კონტექსტში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს, „იდენტობის კრიზისია“, რომელიც გლობალურ ეკონომიკურ და პოლიტიკურ რუკაზე სოციალისტური იდეოლოგიის მარცხითა (Mercer 1990) და საზოგადოებაში ყოველდღიურობის მარეგულირებელი კონვენციების მოშლითაა გამოწვეული (Hall 1992). რა თქმა უნდა, ასეთ სიტუაციაში სტალინის ფიგურის რეანიმაცია იდენტობის ახალი შინაარსების კონსტრუირების პროცესად შეიძლება მივიჩნიოთ, თუმცა სტალინისტურ პუბლიკაციათა ქრონოლოგია გაცილებით რთულ კულტურულ სურათზე მიგვითითებს.

აღნიშნული ქრონოლოგია შემდეგნაირად შეიძლება იქნეს დათარიღებული (იხ. ცხრილი #1): 1) სტალინის აღზევება: 1921-დან 1956 წლამდე (ამ პერიოდში მოძიებულ იქნა 400-მდე პუბლიკაცია (უმეტესობა თავად სტალინის ავტორობით), (2) სტალინის განდევნა, მისი თითქმის გაქრობა ბეჭდური სივრციდან 1956-დან 1989 წლამდე, და საბოლოოდ (3) სტალინის სიმბოლოს დაბრუნება, რეანიმაცია 90-იანებიდან დღემდე (მოძიებულ იქნა 150-მდე სტალინური და ანტი-სტალინური პუბლიკაცია).



მოცემულ დიაგრამაზე ნაჩვენებია სტალინიადის აღზევების 35 წელი, შემდგომ მისი განდევნის 33 წელი, და ბოლოს მისი დაბრუნების 32 წელი. სურათის თითქმის სიმეტრიულობა, ერთი მხრივ, შემთხვევითია, მაგრამ ამასთან ერთად, შესწავლისა და დასკვნების გაკეთების ფართო შესაძლებლობებს აჩენს, რადგანაც სამი პერიოდის დროითი სეგმენტები თანატოლ ნაწილებად არის მოცემული.

რა თქმა უნდა, ერთი მხრივ, საღი აზრი ამგვარი სურათისათვის კულტურული ტრავმისადმი ფსიქოანალიზური ტერმინოლოგიის მორგებისაკენ გვიბიძგებს, თუმცა სურათზე ფსიქოანალიზის ჩატარება მეთოდოლოგიური თვალსაზრისით ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს. შესაბამისად, არჩეული თეორიული მიდგომის დასაბუთებას უშუალოდ პუბლიკაციათა შინაარსით შევეცდებით. ამ მიდგომის ფარგლებში ტექსტი და მასში გადმოცემული ნარატივები, რიტორიკული ტაქტიკა და კონტექსტზე მორგების სტრატეგიები ავტორის იდეოლოგიური პოზიციის რეკონსტრუირების ძირითად მასალად იქნება გამოყენებული. თუმცა აქვე ხაზი უნდა გაესვას იმ მოვლენათა მნიშვნელობას, რომლებიც ტრავმის ირიბი მაჩვენებლებია.

პოსტსაბჭოთა ქართული სტალინისტური ლიტერატურის ჟანრის ერთ-ერთი პირველი და ამასთან ერთად, განმსაზღვრელი ნოველის, რევაზ მიშველაძის<sup>17</sup> — „მთავარი დანაშაული, ანუ სტალინი საიქიოში“ (მიშველაძე 1989) — გამოქვეყნება საბჭოთა კავშირის დაშლას 2 წლით უსწრებს წინ. 18 გვერდიანი ნოველა სამ ძირითად მიმართულებას შეიცავს, რომლებიც პოსტსაბჭოთა წლებში სტალინისტ ავტორთათვის ფართო მსჯელობის საგანი გახდება და საპროგრამო დატვირთვას შეიძენს. ეს ელემენტებია: 1) სტალინის გამორჩეულობა, 2) სტალინის პოლიტიკური მოღვაწეობის აპოლოგია და 3) სტალინის ქართველობის დემონსტრაცია. სტალინის ქართველობა, სხვა არგუმენტებთან

---

<sup>17</sup> მწერალი, ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი და პარლამენტის წევრი (მე-5 მოწვევა). მის სახელზე გადაცემული 11 ჯილდო, პრემია და პრიზი შეიცავს ისეთ დასახელებებს როგორცაა „შოთა რუსთაველის სახელმწიფო პრემია“ (1998), „ღირსების ორდენი“ (1999), „მემედ აბაშიძის სახელობის პრემია“ (1999) და „ქართული კულტურის ამაგდარი“ (2009) (საქართველოს ბიოგრაფიული ლექსიკონი, <http://www.nplg.gov.ge/bios/ka/00000524/>).

ერთად, მიშველადის ნოველის ფინალური, დრამატული ეპიზოდის წამყვანი თემაა: საიქიოში მყოფი სტალინი ეჭვებს გამოთქვამს იმაზე, თუ რა შეიძლება იყოს სიკვდილის შემდგომ მის წინააღმდეგ მიმართული პოლიტიკის მიზეზი და გამოთქვამს მოსაზრებას: " — ჩემი გაკრიტიკების ერთი მიზეზი და ჩემი მთავარი დანაშაული ის ხომ არ არის-მეთქი, რომ ქართველი ვარ" (იქვე, 25).

ამჟამად, რომ სტალინის პერსონაჟის პირით ნათქვამი ავტორისეული შეხედულება — ქართველობა როგორც დანაშაული — არა ახალი იდენტობის ძიებას, არამედ არსებულის დაცვას ემსახურება. „ქართველობა როგორც დანაშაული“ წინამდებარე ნაშრომში „ტრავმის“ ცნების ქვეშ იქნება განხილული (იხ. წინამდებარე ნაშრომის მე-8 თავი). საბჭოთა, განსაკუთრებით კი სტალინიზმის პერიოდი ტრავმული გამოცდილების მრავალ ეპიზოდს იძლევა, როგორებიცაა: 1921 წლის ოკუპაცია, 1924 წლის შეთქმულების ჩახშობა, 1937 წლის რეპრესიები, და 1956 წლის მარტის მოვლენები. ეს უკანასკნელი თავისი ბუნებით რადიკალურად განსხვავდება დანარჩენებისგან, იმიტომ, რომ იგი ქართული საზოგადოების მიერ სტალინის ხსოვნის დაცვას მოჰყვება, მაშინ როდესაც დანარჩენები სტალინის უშუალო ხელმძღვანელობით განხორციელდა ქართული სახელმწიფოს წინააღმდეგ. შესაბამისად, სტალინის სახელთან დაკავშირებული ტრავმების გასარჩევად შემდეგ ტერმინებს გამოვიყენებ: 1) სტალინური რეჟიმის მიერ საზოგადოებაზე განხორციელებული ძალადობის ეპიზოდებს „სტალინიზმის ტრავმად“ მოვიხსენიებთ, ხოლო 2) დესტალინიზაციის პოლიტიკის შედეგად გამოწვეულ დამცირებას — „დესტალინიზაციის ტრავმად.“ ეს ამბივალენტურობა — თუ დანაშაულისა და გამირობის, ზიზღისა და სიყვარულის ერთ სუბიექტში გაერთიანება — საშუალებას გვაძლევს ფენომენი, ანუ სტალინისტური ლიტერატურის მოზღვავება ფროიდისეული *მელანქოლიის* შუქზე განვიხილოთ, ხოლო სტალინის რეანიმაცია — *განდევნილის დაბრუნებად*, რომლის სათანადო დატირებაც ვერ მოხერხდა.

ამასთან ერთად, ქართული სტალინისტური დისკურსის შესწავლის სისრულისათვის საჭირო ხდება მისი ადგილის განსაზღვრა მომიჯნავე

ისტორიულ და ანტი-სტალინურ<sup>18</sup> დისკურსთა რიგში. ამგვარი მიდგომით აშკარა ხდება მოვლენათა დაპირისპირებულ და ასეთ ინტერპრეტაციათა შორის წარმოებული დიალოგი აღქმული უნდა იქნეს კონსტრუირების პროცესად, რომელში ჩაბმული სოციალური აქტორებიც მათ ხელთ არსებული „კულტურული იარაღების“ (Wertsch, Mind as Action 1998) — როგორცაა ენა, ნარატივები — საშუალებით საკუთარ ხედვას ავითარებენ და ცდილობენ აუდიტორიას, მკითხველს მისთვის გასაგები და დამაჯერებელი ფორმით მიაწოდონ ის. კონსტრუირების ამ პროცესში ჩართული თითოეული ინდივიდუალური ავტორის ტექსტი, რომელ მხარესაც არ უნდა ეკუთვნოდეს იგი, მრავალხმიანია, ანუ სოციოკულტურულ გარემოში არსებულ „ისტორიათა საერთო მარაგიდან“ (MacIntyre 1984) იღებს მასალას და სოციალური ჯგუფის შეხედულებებსა და პოზიციას ახმოვანებს. დისკურსის სივრცეში მიმდინარე ამ დაპირისპირების აღწერა-ანალიზისათვის, რომელიც უფრო ფართო სოციალური დაპირისპირების ასახვაა, საჭირო იქნება ტრავმის სოციალურ-კონსტრუქტივისტული თეორიის გამოყენება.

## 1. კოლექტიური ტრავმა: თეორია და გამოყენება

ქართული პოსტსაბჭოთა სტალინისტური ლიტერატურა სწორედ დესტალინიზაციის პოლიტიკის მიუღებლობის და სტალინის დანაშაულთა მხილებასთან შეუგუებლობის ფართო ფენომენზე მიუთითებს საბჭოთა და პოსტსაბჭოთა საქართველოში. შესაბამისად, ტრავმული გამოცდილების ანალიზი აუცილებელ პირობას წარმოადგენს ფენომენის გენეალოგიის გამოსარკვევად.

კულტურული ტრავმის ცნება მეორე მსოფლიო ომის შემდგომ იქნა შემუშავებული, რისი საჭიროებაც თანამედროვეობის კატასტროფული

---

<sup>18</sup> ისტორიულ დისკურსში სტალინისა და სტალინიზმის შესახებ არსებული აკადემიური ლიტერატურა იგულისხმება, რომელიც თავისი მოცულობის გამო წინამდებარე ნაშრომში სრულ მიმოხილვას ვერ დაექვემდებარება, არამედ ანალიზური ინსტრუმენტის როლს შეასრულებს. ხოლო ანტი-სტალინისტური ლიტერატურა საქართველოში სტალინისტური ლიტერატურის ფეხდაფეხ წარმოქმნილი ჟანრია, რომელიც ამ უკანასკნელის საპირისპიროდ სტალინის უპირობო კრიტიკას ისახავს მიზნად.

პოტენციალის გამჟღავნებამ, კერძოდ კი ჰოლოკოსტმა და ჰიროსიმასა და ნაგასაკის ატომურმა დაბომბვამ წარმოქმნა (Fassin and Rechtman 2009, Kaplan 2005). კულტურული ტრავმის ცნება გულისხმობს შოკური გამოცდილების ზოგადი ისტორიული მდგომარეობისათვის პარადიგმატულ სტატუსს, ხოლო ტრავმატულ მოვლენათა გამოთქმის უუნარობა აჩენს და მოითხოვს ეჭვს იმ ნარატივების მიმართ, რომელთაც ძალადობის ეპიზოდებზე ჭეშმარიტების გამოთქმის პრეტენზია აქვთ (Moris 2008, LaCapra 2014). ამგვარი სიმძიმის შოკური გამოცდილება ინდივიდუალურ და კოლექტიურ დონეებზე პარალელურად, თუმცა განსხვავებული ფორმებით მიმდინარეობს. მაგალითად, თავდაცვის მექანიზმები, რომელიც ტრავმული გამოცდილების მსხვერპლს უშუალოდ შოკური მოვლენის გახსენების საშუალებას არ აძლევს ჯერ კიდევ ზიგმუნდ ფროიდს აქვს აღწერილი პირველი მსოფლიო ომის ვეტერანთა სიმპტომებზე დაყრდნობით, როდესაც მსხვერპლს უბრალოდ არ ახსოვს, ან უარყოფს შოკისმომგვრელი მოვლენის მეხსიერებას (Beyond the Pleasure Principle 1955a).

თუმცა ასევე მნიშვნელოვანია ის კავშირები, რომელიც ინდივიდუალურ, კოლექტიურ და კულტურულ ტრავმებს შორის არსებობს. მათ შორის არსებული განსხვავებებისა და მსგავსებების გამოსავლენად იელის უნივერსიტეტის პროფესორი რონ ეიერმანი სტატიაში "სოციალური თეორია და ტრავმა" (Eyerman 2013) ებრაული წარმომავლობის გამორჩეულ ინტელექტუალთა და მეცნიერთა მაგალითებს ეყრდნობა, რომელთა შემოქმედებაზეც დიდი გავლენა იქონია ნაცისტური გერმანიისა და საბჭოთა კავშირის ანტისემიტურმა პოლიტიკამ, რაც არა უბრალოდ ინდივიდუალური, არამედ კულტურული ტრავმის შედეგადაც შეიძლება იქნეს წარმოჩენილი. ასე მაგალითად ფროიდი თავის ბოლო ნაშრომს, "მოსე და მონოთეიზმს" ლონდონში, დევნილობაში ასრულებს, წიგნი კი ებრაელი ერის წარმოშობას განიხილავს და მას კოლექტიური ტრავმით ხსნის (იხ. იქვე, 42). სტატიაში ასევე განხილულია ზიგმუნდ ბაუმანის ნაშრომი "ჰოლოკოსტი და მოდერნულობა" (იქვე, 44-5) და მაქს ჰორკჰაიმერისა და თეოდორ ადორნოს "განმანათლებლობის დიალექტიკა" (იქვე, 45-7). ნაჩვენებია თუ როგორ ეძებენ ავტორები პასუხს თავის პირად, ანუ ინდივიდუალურ და კოლექტიურ, ანუ

ოჯახის მიერ განცდილ ტრავმულ გამოცდილებაზე და როგორ ხდება მათ ნაშრომებში პირადი, ინდივიდუალური ტრავმა კულტურის, ან ცივილიზაციის ნაწილი.

როგორც ზემოთ არის ნაჩვენები, ინდივიდუალური და კოლექტიური ტრავმა შეიძლება კულტურული ტრავმის ფორმით იქნეს ასახული, თუმცა ეს უკანასკნელი დამოკიდებულია გარკვეულ სოციალურ ფაქტორებზე, რომელთა არარსებობა, ან არარსებობა განსაზღვრავს იმას გახდება თუ არა ტრავმა კულტურის ნაწილი. იელის უნივერსიტეტის პროფესორი, სოციოლოგი ჯეფრი ალექსანდერი ტრავმის სოციალურ თეორიაში წერს:

ინდივიდუალური მსხვერპლი ტრავმატულ მოვლენას განდევნითა და უარყოფით სცემს პასუხს, ხოლო თავდაცვის ამ მექანიზმების დაძლევის შედეგად შვებას პოულობს, რადგან გაცნობიერების წყალობით ტკივილის მიზეზის გლოვა, გამოტირება შესაძლებელი ხდება. ჯგუფის შემთხვევაში პროცესი განსხვავებულია. უარყოფისა და განდევნის ნაცვლად, ტრავმულ მოვლენასთან გამკლავება სიმბოლური კონსტრუირებისა და აგების (framing), ისტორიებისა და პერსონაჟების შექმნით იწყება. (Alexander, Trauma: a Social Theory 2012, 3).

ტრავმის კონსტრუირების საკითხი ასევე ხაზგასმულია ამერიკელი სოციოლოგის, ნილ სმელზერის მიერ შემოთავაზებულ განმარტებაში, რომელიც ფსიქოლოგიური და კოლექტიური ტრავმების შედარებისას მიდის დასკვნამდე, რომ კოლექტიური ტრავმა იქმნება და არა იბადება (Smelser 2004). სმელზერი კოლექტიურ ტრავმას შემდეგნაირად განსაზღვრავს: „ინვაზიური და დაუძლეველი მოვლენა, რომელიც მიიჩნევა, რომ ძირს უთხრის, ან აბრკოლებს კულტურის ერთ ან რამდენიმე არსებით კომპონენტს“ (იქვე, 38). ამ განმარტებაში მნიშვნელოვანია ტერმინი *მიჩნევა*, რაც იმას გულისხმობს, რომ ინდივიდუალურისაგან განსხვავებით კოლექტიური ტრავმა სოციალური აქტორების მიერ უნდა შეიქმნას, ტრავმული მოვლენების რეინტერპრეტაციისა და რეპრეზენტაციის სხვადასხვა ინსტრუმენტების გამოყენებით. კოლექტიური ტრავმის ამგვარი კონსტრუქციული ბუნების გამო იელის უნივერსიტეტის პროფესორი სოციოლოგი რონ ეიერმანი თავისი კოლეგის, ნილ სმელზერის



ზემოთ მოყვანილი განმარტების სიღრმისეული გააზრებისათვის სვამს ორ კითხვას:

1) არის თუ არა შესაძლებელი ნებისმიერი მოვლენის ტრავმატულად გადაქცევა? ანუ, დააჯერო აუდიტორია, რომ ეს მოვლენა არსებული კოლექტიურ იდენტობას ძირს უთხრის, და 2) თუ არა, მაშინ რა არის ის, რაც ტრავმატულის სტატუსს აძლევს სახელდობრ ამ, მაგრამ არა ამგვარი სიძლიერის სხვა შოკისმომგვრელ მოვლენებს? (Eyerman 2013, 43).

ამ კითხვებზე პასუხის ძიებაში თავად ეიერმანი თავს არიდებს როგორც რადიკალურ სოციალურ კონსტრუქტივიზმს, რომლის მიხედვითაც დარწმუნების ძალა თუ საკმარისად ძლიერია ნებისმიერი მოვლენისაგან შესაძლებელია ტრავმის შექმნა, ასევე ტრავმის რადიკალურად ნატურალისტურ გაგებას, რომლის მიხედვითაც გარკვეული მოვლენები თავისთავად ტრავმატულია. ეიერმანი შუალედურ პოზიციას იკავებს და მსჯელობს, რომ ტრავმის შესაქმნელად ვერ გამოდგება ნებისმიერი ტიპის ინტერპრეტაციული ჩარჩო, არამედ საჭიროა გარკვეული კავშირის არსებობა მოვლენის რეალურ გამოცდილებასთან. სხვანაირად რომ ვთქვათ, მიუხედავად საზოგადოების ინდივიდუალური თუ ჯგუფური აქტორების გავლენებისა და რესურსებისა, „არაფრისგან ტრაგედიას ვერ შექმნი, საჭიროა გარკვეული ძლიერი, შოკისმომგვრელი მოვლენის არსებობა, რომელიც საზოგადოებრივი აზრისა და ემოციების მობილიზებას გახდის შესაძლებელს (იქვე, 44).

ჩვენი კვლევის მიზნებთან შესადაგებისათვის საჭიროა ეიერმანის მიერ დასმული კითხვების რეფორმულირება. კერძოდ — 1) შეიძლება თუ არა ტრავმის დეკონსტრუირება, ანუ ტრაგიკული, შოკისმომგვრელი მოვლენისათვის ტრავმატულის სტატუსის ჩამორთმევა? და 2) შეიძლება თუ არა ტრავმული მოვლენის, ან პერსონაჟის თაყვანისცემის ობიექტად გადაქცევა? საკვლევი კითხვების ამგვარი ფორმით კონსტრუირება გამართლებულია ქართული სტალინისტური ლიტერატურის ხასიათიდან გამომდინარე, რომელიც მიზნად, როგორც უკვე ვახსენეთ, სტალინის აპოლოგიას ისახავს, თუმცა აქვე არ უარყოფს სტალინიზმის პერიოდის ტრაგიკული მოვლენების ისტორიულობას, ანუ

სინამდვილეს. სტალინის ჭეშმარიტ, ქართველ ადამიანად წარმოჩენით, მკითხველში მის მიმართ დადებითი ეროვნული განცდების კულტივირებას ცდილობს. ხოლო ანტი-სტალინური დისკურსი სტალინს ნეგატიური, მტრული პერსპექტივიდან განიხილავს. ამგვარი დისკურსული სტრატეგიები კულტურული ტრავმის სოციოკულტურული თეორიის ისეთი ცნებებით განხილვის ქვეშ ექცევა როგორებიცაა „საზრისთა ჭიდილი“ და „ტრავმის პროცესი“ (Alexander 2004). „საზრისთა ჭიდილი“ ისტორიის ტრაგიკული ეპიზოდის ინტერპრეტაციის მცდელობისას წარმოიქმნება, როდესაც დაპირისპირებული შეხედულებები ცდილობენ განმარტონ რა მოხდა კონკრეტულად, ვინ არის პასუხისმგებელი და რა უნდა გაკეთდეს ჭრილობის მოსაშუშებლად. ამ პროცესში შეიძლება გამოვარჩიოთ, ერთი მხრივ, რეალიზმის პოზიციიდან დანახული ტრავმა, რომელიც მიყენებული ზარალის მითითებით შემოიფარგლება; ასეთი მიდგომა მეტწილად ანტი-სტალინისტებისთვისაა დამახასიათებელი, რომლებიც ზიანის უბრალო ჩამოთვლით შემოიფარგლებიან და არ თვლიან საჭიროდ დამატებითი განმარტებების გაკეთებას, რადგან საღი აზრიდან გამომდინარე შოკური გამოცდილების კულტურულ ტრავმაში გადაზრდის შესაძლებლობას ავტომატურ პროცესად განიხილავენ.

### *ტრავმის კვლევა სიმპტომების მიხედვით*

სტალინიზმის ტრავმის კვლევებს შორის განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ალექსანდრ ეტკინდის ლიტერატურული მონოგრაფია „გამრუდებული გლოვა: დაუღუპავთა ისტორიები დაუმარხავთა მიწიდან“ (Etkind 2013). ამ ნაშრომს კრიტიკოსთა მრავალი დადებითი გამოხმაურება მოჰყვა. ეტკინდი, რომელიც ერთ-ერთი პიონერია პოსტსაბჭოთა სივრცის მეხსიერებაზე ფსიქოანალიზური მოდელის გამოყენების, აღნიშნულ ნაშრომში თანამედროვე რუსეთის სოციოკულტურულ სივრცეში მოძიებულ მრავალფეროვან მასალაზე დაყრდნობით წარსულის ტრავმული გამოცდილების მრავალ ნიშანს პოულობს, რომლებიც თანამედროვეობაში ვლინდება ისეთ სფეროებში როგორიცაა მხატვრული ლიტერატურა, კინოხელოვნება, მუსიკა და

ვიზუალური ხელოვნება.

ნაშრომში საბჭოთა რეპრესიული აპარატი — გულაგი — ცენტრალურ ისტორიულ ფაქტს წარმოადგენს, რომელიც შეუძლებელს ხდის წარსულის მსხვერპლთა დატირებას. გულაგში დაღუპულ და უგზოუკვლოდ დაკარგულ ორმილიონიანი მსხვერპლის ოჯახებს არ მიუღიათ ამომწურავი ინფორმაცია მომხდარის შესახებ. რის გამოც შეუძლებელია დარწმუნებით ცოდნა იმისა, გადარჩნენ ისინი თუ დაიღუპნენ. შესაბამისად, შეუძლებელია მათი დატირება, მათთან გამომშვიდობება, ამიტომ გლოვა პათოლოგიური ფორმით დღემდე მიმდინარეობს. ასეთ გამოვლინებებს ფროიდი მელანქოლიის ცნებით მოიხსენიებდა, რუსეთის პოსტსაბჭოთა მეხსიერებაში კი მელანქოლია კულტურის მახასიათებელი ხდება.

ეტკინდი ერთმანეთისაგან განარჩევს რბილ, ან ცხელ მეხსიერებას, რაშიც გულისხმობს ნარატივებს, ხელოვნების ნაწარმოებებსა და ისტორიულ მტკიცებულებებს, და მყარ, ანუ ცივ მეხსიერებას, რასაც მონუმენტები, მემორიალები და მუზეუმები ქმნიან. უარყოფისა და საზოგადოებრივი ჩამოშლის, ასევე წარსულის ცარიელი ფურცლების ამოვსების უუნარობის გამო მსხვერპლთა და მოძალადეთა (რომელთა გარჩევაც ხშირ შემთხვევაში შეუძლებელია) შთამომავლები წარსულის საკუთარ ვერსიებს ქმნიან. ეტკინდი გამოსავალს ტერორის „გაუმართლებლობისა“ (ხრუმჩოვი) და „უაზრობის“ (შალამოვი) აღიარებაში ხედავს, რამაც უნდა დაასრულოს ტრაგიკულ მოვლენათა საზრისისა და ფუნქციის უშედეგო ძიება.

ეტკინდი არ ცდილობს ბოროტების საფუძვლები მოიძიოს. მისი ძირითადი სათქმელი ის არის, რომ ნაციონალური ერთობა საერთო მეხსიერებასა და თანხმობას უნდა ეფუძნებოდეს, თანხმობას იმაზე, რომ წარსულის მეხსიერება მყარი ფორმებით უნდა იქნეს შენახული. მხოლოდ საერთო ნაციონალური გლოვით არის შესაძლებელი საბჭოთა წარსულის ყველა უსახელო მსხვერპლის დამარხვა.

რუსი ფილოლოგი და ისტორიკოსი ნიკოლა ეპლე ასევე მეხსიერების კვლევის თეორიული ჩარჩოს გამოყენებით რუსული საზოგადოებაში

(არ)არსებულ საბჭოთა წარსულის გადაფასების პროცესს აღწერს თავის 2020 წელს გამოცემულ მონოგრაფიაში (Эппле) ”უხერხული წარსული” და შედარებითი მეთოდის გამოყენებით, ცდილობს რუსეთს შეუსადაგოს სხვა ქვეყნების წარსულის გადაფასების მაგალითები (გერმანია, ესპანეთი, ჩილე, არგენტინა, პოლონეთი, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა) და ამით რაც შეიძლება მეტი საზოგადოებრივი ყურადღება მიმართოს აღნიშნული პრობლემისაკენ. ავტორის მიერ დასმული ანამნეზით რუსულ საზოგადოებას დღემდე არ ესმის მის მიერ გამოვლილი ტრავმის ბუნება (იხ. იქვე, 16), რის სიმპტომადაც ივანე მრისხანის, თავად ვლადიმირისა და იოსებ სტალინის პატივსაცემად აღმართული ძეგლები და ამ უკანასკნელის მიმართ სოციოლოგიურ კვლევებში დადებითი შეფასების მაღალ რეიტინგს ასახელებს<sup>19</sup> (იხ. იქვე, 17). საგულისხმოა რუსეთსა და საქართველოში სტალინთან არსებული პარალელები სტალინურ განწყობებთან დაკავშირებით, თუმცა ღრმა ანალიზი ამ პარალელს განვრცობის საშუალებას აღარ აძლევს.

ეკლე ყურადღებას ამახვილებს ისტორიკოსთა აზრის უგულებელყოფაზე, გარემოში სადაც ისტორიამ პოლიტიკა ჩაანაცვლა და მთელი საზოგადოება დღევანდელი აქტუალურ საკითხებზე მსჯელობის ნაცვლად წარსულზე კამათობს. „წარსულით ამგვარი შეპყრობის მიზეზი კი — მისი დაუსრულებლობა, გარდაცვლილთა შესაფერისი წესით დამარხვისა და დატირების, მემკვიდრეობის აღებისა და ისტორიიდან დასკვნების გამოტანის, ერთი ციკლის დასრულებისა და ახლის დაწყების უუნარობაა“ (იქვე, 18). შემდგომ ავტორი რუსული „იმპერიული პროექტისა და ამბიციების“ შესახებ მსჯელობს, რომელთა რეციდივებმაც, ერთი მხრივ, გამოიწვია სტალინის მონუმენტების ღია, საჯარო გახსნა-აღმართვა და, მეორე მხრივ, გაამწვავა ურთიერთობები უკრაინასთან. შეიძლება ითქვას, რომ აქ მსგავსება რუსულ და ქართულ სტალინურ ტრავმასთან სრულდება. თუმცა ეკლეს მიერ შემოთავაზებული მეთოდი, რომ ტრავმა გამოძიებულ იქნეს ირიბი ნიშნების, ან,

---

<sup>19</sup> ლევადა ცენტრის მიერ ჩატარებულ სოციოლოგიური კვლევის შედეგების მიხედვით 2019 წლის მარტისათვის სტალინის მიმართ გამოკითხულთა 51% დადებით დამოკიდებულებას აფიქსირებს. ხოლო მის როლს სახელმწიფოს ისტორიაში დადებითად 70% აფასებს (Эппле 2020, 17).

მედიცინის ენას რომ მივმართოთ, — სიმპტომების მიხედვით, ქართული რეალობისთვისაც პროდუქტიული შეიძლება გამოდგეს.

წინამდებარე კვლევა პოსტსაბჭოთა პერიოდის სტალინისტური ლიტერატურის ანალიზისას თითოეული მეთოდოლოგიური საფეხურის გავლისას მოუგვარებელ საკითხს, გადაუჭრელ პრობლემასა და მოუშუშებელ ჭრილობას გადააწყდება. ასე მაგალითად, ლიტერატურის აღწერისას უკვე ვისაუბრეთ 37-8 წლების ტერორზე მუშაობისას ქართველ და უცხოელ მკვლევრებს შორის წარმოქმნილ უთანხმოებაზე, რომლის გამოც კრებულის ნაწილი, რომელიც ტერორის ეთნიკური სურათის აღწერას ეხება, ქართულ ენაზე ცალკე ითარგმნა და ცალკე გამოცემით გამოქვეყნდა და, მეორე მხრივ, აღნიშნული უთანხმოების გარშემო წარმოქმნილი პოლემიკა საფუძვლად დაედო ცალკე კრებულს სახელწოდებით „საქართველო გზად: სტალინიზმის ჩრდილები“ (იუნგე, ბონვეჩი და მიულერი 2018).

საბჭოთა წარსული გააზრების კონტექსტის აღწერისათვის გაანალიზებული იქნება *ლუსტრაციის* საკითხის მედიადისკურსი ქართულ პრესაში. როგორც ვნახავთ წლების მანძილზე აღნიშნული საკითხი აქტუალობას არ კარგავდა, რის ფონზეც რთული ასახსნელია, ერთი მხრივ, ლუსტრაციის არაქმედითი კანონის გვიანი მიღება და, მეორე მხრივ, ამ, ისედაც უმოქმედო, კანონპროექტის გარკვეული დებულებების არაკონსტიტუციურად გამოცხადება სასამართლოს მიერ. მოგვიანებით კი ლუსტრაციის ტერმინი მედიადისკურსში მნიშვნელობას იცვლის და სხვა, წარსულის მსხვერპლთა მიმართ სამართლიანობის აღდგენის მნიშვნელობისაგან განსხვავებული საზრისით გამოიყენება.

პოსტსაბჭოთა სივრცისათვის დამახასიათებელ ნაციონალური იდეოლოგიის ქართული მდგომარეობის ანალიზს „საქართველოს დიდი ათეულის“ ტელეპროექტის ანალიზით განვახორციელებთ. რომელიც წარუმატებლად დასრულდა მისი ფორმატისა და მიზნების გარშემო წარმოქმნილი ფართო საზოგადოებრივი უთანხმოების გამო. ტელეპროექტის მიზანი ხმის მიცემის გზით ყველა დროის გამოჩენილ ქართველთა შორის ტოპ

ათეულის გამოვლენა იყო. თუმცა, როგორც პოლემიკური მედიადისკურსი გვიჩვენებს, ვერ მოხერხდა შეთანხმება იმაზე თუ გამორჩეულ ქართველთა საწყისი სია როგორი უნდა ყოფილიყო, მისაღები იყო თუ არა მათ შორის შეჯიბრი, შესწევდა თუ არა უნარი ხალხს, იმავე „ბრბოს“ ყველაზე ღირსეულთა არჩევისა და ა. შ.

როგორც ზემოთ მოყვანილი მაგალითები გვიჩვენებს, ერთი მხრივ, პრობლემური გახდა აკადემიურ სფეროში მკვლევრებს შორის საერთო ენის გამონახვა სტალინური რეპრესიების შესწავლისა და შეფასების საკითხში, ამასთან ერთად, წარსულის დანაშაულთა მიმართ სამართლიანობის აღდგენის საკითხი დაუსრულებელ მსჯელობაში გადაიზარდა და „თავისუფლების ქარტიის“ კანონმდებლობა მკვდრადშობილი გამოდგა და, მეორე მხრივ, თანამედროვეობაში არსებული კულტურულ-ღირებულებითი ორიენტირები ერთგვარ ხელშეუხებელ კერპებად გადაიქცა, რომლებიც აქტიური სახალხო ჩართულობის დონეზე ვერ დაიყვანება.

სწორედ ეს გვაძლევს კონტექსტს რომელშიც სტალინი ეროვნულ გმირად გვევლინება პოსტსაბჭოთა საქართველოში, როდესაც ბოლოსდაბოლოს იქმნება კულტურული გარემო საბჭოთა წარსულის გააზრებისათვის. თუმცა ეს გააზრება წინააღმდეგობრივია და კულტურული ტრავმის ალტერნატიული, ურთიერთგამომრიცხავი წყაროებიდან კონსტრუირებას ეფუძნება. სოციოლოგი ჯეფრი ალექსანდერი ტრავმის კონსტრუირების პროცესს საზოგადოებაში ჯგუფებს შორის, ერთი მხრივ, სოლიდარობის გამოხატვასა და ტანჯვაში თანაზიარობას უკავშირებს, თუმცა, მეორე მხრივ, იგივე პროცესი ჯგუფის იზოლირებითა და საკუთარ ტანჯვასთან მარტო დატოვებითაც შეიძლება წარიმართოს (იხ. Alexander 2004, 1). უშუალოდ სტალინის პოსტსაბჭოთა შემთხვევა კი სტალინიზმის, ან ზოგადად კომუნიზმის ტრავმის გაცნობიერებას შეუძლებელს ხდის, რადგან მას წინ ეფარება უშუალოდ სტალინის ტრავმა.

### *ტრავმის გარემო*

ჯეფრი ალექსანდერის რედაქტორობით გამოცემული კრებული „კულტურული ტრავმა და კოლექტიური იდენტობა“ (Alexander 2004) მნიშვნელოვანი შენატანია ტრავმის ცნების საწყისი, ინდივიდის განზომილებიდან საზოგადოებაზე გადატანის მიმართულებით. კრებული ბიძგს აძლევს დებატებს იმაზე თუ რა გავლენას ახდენს კულტურაზე მეოცე საუკუნის ომის წარმოების ფორმები და საყოველთაო მედია დაფარვა. შესავალში ჯეფრი ალექსანდერი მასობრივ ძალადობათა თანამედროვე, არა-დასავლურ გამოვლინებებზე დაყრდნობით ავითარებს მოსაზრებას „კულტურული ტრავმის“ ცნების უნივერსალურ მნიშვნელობაზე. კრებულის ავტორები ყრდნობიან მედიაში საყოველთაოდ გავრცელებულ გამონათქვამებს როგორცაა „ტრავმირებული ხალხი“ ან „ნაციონალური ტრავმა“ და ტრავმის ცნების ასეთ საჯარო გამოყენებებზე დაყრდნობით კულტურული ტრავმის აკადემიურ კონცეფციას ამუშავებენ, ძირითადად სოციოლოგიური პერსპექტივიდან.

კრებულში ნილ სმელზერის კულტურული ტრავმის თეორიული განხილვის შემდეგ, რაზეც ზემოთ უკვე გვეყონდა საუბარი, კრებულის სხვა ავტორები ევროპულ-ამერიკულ გამოცდილებაზე დაყრდნობით უფრო ღრმად იკვლევენ აღნიშნულ ცნებას. ისტორიული მასალა მოიცავს მონობას, ჰოლოკოსტს, 2001 წლის 11 სექტემბერს და, რაც ჩემი მიმოხილვისათვის განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენს — პოსტ კომუნიზმს. პიოტრ შტომპკა თავის სტატიაში ცვლილების სოციოლოგიურ პარადიგმას ავითარებს და სტატიის მიზნებიდან გამომდინარე სვამს ძირითად კითხვას: რა ტიპის ცვლილებებია ტრავმატოგენური? (იქვე, 158). შტომპკა ოთხ ძირითად მახასიათებელს გამოყოფს: 1) ცვლილების ტემპი — სწრაფი, უეცარი ცვლილებები, როგორცაა რევოლუცია, ან კოლაფსი, მეტი ტრაგიზმით ხასიათდება. 2) ცვლილების მასშტაბი — რაც უფრო მრავლისმომცველია ცვლილება, ანუ ეხება ცხოვრების მრავალ ასპექტს მით უფრო ტრავმატოგენურია ცვლილება. რევოლუცია ამ მახასიათებლის კონტექსტში ასევე მაღალი

ტრავმულობით ხასიათდება. 3) ცვლილების სპეციფიკური შინაარსი — ცვლილება შეიძლება ეხებოდეს სოციალური, ან პირადი ცხოვრების ასპექტებს, ან უნივერსალურ გამოცდილებას. 4) მენტალური განწყობა, რომლითაც საზოგადოება ხვდება ცვლილებებს — საზოგადოება შეიძლება *ვერ იჯერებდეს*, პროცესები შეიძლება მოულოდნელი, ან შოკისმომგვრელი იყოს. რომ შევაჯამოთ პოტენციურად ტრავმატოგენურია ცვლილება, რომელიც „მყისიერი, ყოვლისმომცველი, ფუნდამენტური და მოულოდნელია“ (იქვე, 159).

ამასთან ერთად, ტრავმის წარმოშობისათვის თანმდევი მოვლენების არსებობაა საჭირო, რომლებიც ტრიგერის როლს ასრულებს. შტომპკას მტკიცებით „პოსტკომუნისტურ ტრანსფორმაციას ხშირ შემთხვევაში ახასიათებდა: ინფლაცია, უმუშევრობა, კრიმინალის მატება, სიღარიბე, პრესტიჟის იერარქიათა ამოტრიალება, პოლიტ-ელიტის არაეფექტურობა და ა. შ.“ (164). აქ შეგვიძლია ვთქვათ, რომ შტომპკას მიერ მოცემული თანმდევი მოვლენები საკმარისი მოცულობით გვაქვს მოცემული 90-იანი წლების ქართულ სოციო-პოლიტიკურ ცხოვრებაში, რომლის შემსწავლელ აკადემიურ ლიტერატურასაც ქვემოთ მიმოვიხილავთ.

კულტურულ ტრავმასთან გამკლავების სტრატეგიათა ტიპოლოგიას შტომპკა (იქვე, 167-168) რობერტ მერტონის *ანომიურ* მდგომარეობასთან მორგების ოთხ ტიპურ მოდელზე აწყობს: ინოვაცია, ამბოხი, რიტუალიზმი და უკანდახევა (რეტრიტიზმი). მომდევნო თავებში დეტალურად განვიხილავთ იმას თუ რა სტრატეგიებზე დაყრდნობით და რა კომბინაციებით ხელმძღვანელობენ სტალინისტი ავტორები საკუთარი ტექსტების შექმნისას ფართო ტრავმატულ სოციოკულტურულ გარემოში საკუთარი ხმის დასამკვიდრებლად. როგორც ვნახავთ სტალინისტი ავტორები მორალური ინოვაციების როლს ირგებენ პოსტსაბჭოთა კონტექსტში იმ შეხედულებების გამოთქმით, „არგუმენტირებითა“ და „მტკიცებით“, რომელთა ხსენებაც პოსტ-სტალინურ საბჭოთა კავშირში შესაძლებელი არ იყო. მათ არგუმენტირებასა და მტკიცებას კი მითოლოგიური ფორმა აქვს.



### *კოლექტიური ტრავმის კვლევა საქართველოში*

საქართველოში კოლექტიური ტრავმა, განსაკუთრებით კი მისი შედეგები კვლევის ახალი, ნაკლებად შესწავლილი სფეროა. აქ მიმოვიხილავ ამ დარგში შექმნილ ნაშრომებს.

თავის სადისერტაციო ნაშრომში დარეჯან (ჯანა) ჯავახიშვილი (2017) სწავლობს საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ საქართველოში მიმდინარე პერმანენტული კრიზისის გარემოს (საბრძოლო მოქმედებები, პოლიტიკური ფრაგმენტაცია და საბჭოთა მემკვიდრეობის გავლენა) ფსიქოლოგიის პერსპექტივიდან როგორც ინდივიდისა და ოჯახის, ისე საზოგადოების დონეებზე და წარმოაჩენს ტრავმულ გამოცდილებათა ურთიერთქმედების შედეგებს. კვლევის ძირითად საგნად აღებულია ტოტალიტარული რეჟიმის გავლენა რეპრესირებულთა ოჯახების მეორე და მესამე თაობებზე. კლინიკური შემთხვევების ანალიზის საფუძველზე გამოკვლეულია ტრავმის გადაცემის მახასიათებლები ინდივიდიდან ოჯახზე, ასევე თაობიდან თაობაზე, საზოგადოებრივი პროცესების ფსიქოპოლიტიკური ანალიზის გზით კი კონსტრუირებულია საქართველოს როგორც პოსტ-საბჭოთა ქვეყნის ფსიქოდინამიკური სურათი.

კვლევის მაკრო-სოციალური ნაწილის შედეგების მიხედვით, საბჭოთა პერიოდში ქართული საზოგადოება მოქცეული იყო "სტრესორთა სისტემის" (იხ. იქვე, 9) ქვეშ, რომელთა მიერ გენერირებული "საზოგადოებრივი ტრავმა ქვეყანაში არ არის გამოგლოვილი" (იქვე). ეს კი პოსტსაბჭოთა პერიოდში "დესტრუქციული ფსიქოდინამიკის [...] სოციო-პოლიტიკური პროცესების სახით" ვლინდება (იქვე).

ჯავახიშვილის დისერტაცია ერთ-ერთი პირველი ნაშრომია, რომელშიც საბჭოთა მემკვიდრეობის პრობლემატიკა შესწავლილია ფსიქოლოგიის კუთხით. ჩამოთვლილი და კლასიფიცირებულია საზოგადოების ყველა დონეზე მოქმედი "კატასტროფული", "კუმულაციური" და "ყოველდღიური" სტრესორების თორმეტი მაგალითი (იხ. იქვე, 178-9), და განხილულია "სიჩუმის კონსპირაციის" ფენომენი, რომელიც სტალინიზმის პერიოდის რეპრესიების ტაბუირებასა და

განხილვის ველიდან განდევნას გულისხმობს. იგივე ფენომენი რეპრესირებულთა შთამომავლებშიც ვლინდება (იხ. იქვე, 98-101). ამას ისიც ემატება, რომ პოსტსაბჭოთა პერიოდში მსხვერპლთა და მოძალადეთა მდუმარე თანხმობისა და სხვა ფაქტორების გამო საბჭოთა რეჟიმის დანაშაულთა გამოაშკარავება შეფერხებებით მიმდინარეობს. შესაბამისად, საბჭოთა პერიოდში მიღებული სტრესი და პოსტსაბჭოთა პერიოდში მასთან გამკლავების, მსხვერპლის გამოგლოვის უუნარობა საზოგადოებრივ დონეზე "უსუსურობის ზიარი განცდის, იდენტობის დაკარგვისა და შესაბამისად, გაქრობის" შიშის სახით იჩენს თავს (იქვე 195).

2022 წელს გამოიცა ამავე კუთხით საგულისხმო პუბლიკაცია, რომელიც საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოს ჩამოყალიბების პროცესს კულტურული ტრავმისა და კოლექტიური მეხსიერების თეორიული ჩარჩოს შუქზე აანალიზებს (ჩიქოვანი, და სხვ.). ამ პუბლიკაციაში 9 აპრილის ხოცვა-ჟლეტა საქართველოს ისტორიის პარადიგმულ მოვლენადაა მიჩნეული, რომელშიც *ტრავმისა* და *ტრიუმფის* ელემენტები გაერთიანდა. ამასთან ერთად, პუბლიკაციაში გამოკვლეულია თბილისის ომი და სამოქალაქო დაპირისპირება (1991-1992), ბუნებრივი კატაკლიზმები (1989-91) და ისტორიაში "მძიმე" და „ბნელის" ეპითეტებით შესული 1990-იანი წლების ეკონომიკურ-ენერგეტიკული კოლაფსი. აღნიშნულ მოვლენათა საფუძველზე ტრაგიკულ თუ ტრიუმფალურ ნარატივთა კონსტრუირების პროცესი ისეთი მრავალფეროვანი მასალის საფუძველზეა გაანალიზებული როგორცაა საისტორიო თუ მხატვრული, მემუარული თუ დოკუმენტური ლიტერატურა, მონუმენტები, მემორიალები, ხსოვნის დღეები, ქუჩის სახელები, დაღუპულთა სახელების უკვდავყოფის ფორმები, ხელოვნების სხვადასხვა დარგის ნაწარმოებები და მეხსიერების სხვა ადგილები. ასევე განხორციელებულია 1989-2019 წლების მედია დისკურსის ანალიზი, რომელიც პრესას, დოკუმენტურ ფილმებსა და სატელევიზიო გადაცემებს მოიცავს. კვლევის ფარგლებში გაკეთებულ დასკვნათა გადასამოწმებლად და ტრაგიკულ მოვლენათა მეხსიერების აღსადგენად ასევე ჩატარებულ იქნა რაოდენობრივი კვლევა და შეგროვებულ იქნა ტრავმულ

მოვლენებში მონაწილე პირთა ზეპირი ისტორიები.

კრებულში ასევე მოცემულია აკადემიური ლიტერატურის მიმოხილვა, რომელიც საკვლევო საკითხის შესწავლის მდგომარეობასა და აქტუალობას აჩვენებს (იქვე, 31-40), მოცემული სურათი, ერთი მხრივ, დიდ ინტერესს აჩვენებს ტრავმული მოვლენების მიმართ (1930-იანი წლების რეპრესიები, 9 მარტი და 9 აპრილი, 2008 წლის აგვისტოს ომი), თუმცა, მეორე მხრივ ეს მოვლენები „არ არის გააზრებული კულტურული ტრავმის თეორიულ ჭრილში“ (იქვე, 31).

ნაშრომში იშვიათი პუბლიკაციებიდან, სადაც კულტურული ტრავმის კონცეფციაა გამოყენებული საქართველოს პოსტსაბჭოთა ისტორიის შესწავლისას გამოყოფილია სტივენ ჯონსის მონოგრაფია „საქართველო. პოლიტიკური ისტორია დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ“ (2013). ჯონსის აზრით 1980-90-იან წლებში მიმდინარე მოვლენების ძალადობრივი ხასიათი მნიშვნელოვან წილად მოუმზადებლობისა და გამოუცდებლობის შედეგი იყო. საქართველო მშვიდობიანი გადასვლისათვის საჭირო ნელი პროცესების ნაცვლად რეჟიმთან უკომპრომისო ბრძოლაში გადაეშვა, ხოლო ეს დაპირისპირება მოძალადე რეჟიმსა და მის წინააღმდეგ მებრძოლთა შორის 1989 წლის 9 აპრილის ტრაგედიით დასრულდა. დამოუკიდებლობის აღდგენის შემდგომ კი პოლიტიკური პროცესები ძალაუფლებისათვის წესებისა და ტრადიციების გარეშე ბრძოლით წარიმართა, რაც პოლიტიკური ლიდერის ზვიად გამსახურდიას ხასიათითაც იყო განპირობებული. ეს უკანასკნელი კი ქვეყანაში არსებული ფსიქოლოგიური, კულტურული, პოლიტიკური და ეკონომიკური გარემოებების შესაბამისი ლიდერი იყო. ოპოზიცია სწორედ გამსახურდიას წინააღმდეგ გაერთიანდა და არა ქვეყნის ინტერესების დასაცავად. ხოლო შემდგომი სამოქალაქო დაპირისპირება ოპოზიციის მიერ საკუთარი უსაფრთხოების გარანტიების ძიებით იყო განპირობებული.

წიგნში ასევე განხილულია ქართველი მკვლევრების პუბლიკაციები, სადაც კულტურული ტრავმის კვლევის წყაროდ საბჭოთა და პოსტსაბჭოთა პერიოდის მხატვრული ტექსტებია აღებული. აღნიშნული ჟანრის შვიდი ავტორის წერილი და სტატიაა განხილული, რომელთა გაცნობაც ავტორთა თქმით მნიშვნელოვანი

იყო კვლევისათვის იმდენად, რამდენადაც სწორედ ამ მხატვრულ ტექსტებში გადმოცემულ სიუჟეტებსა და „პერსონაჟების გავლით იწყობა 90-იანების და 90-იანებში გაცოცხლებული წარსულის ტრავმულ და ტრიუმფალურ მოვლენათა მწკრივი“ (ჩიქოვანი და სხვ. 2022, 38).

კრებულში გაანალიზებული აკადემიური ლიტერატურისა და სხვა ბეჭდვითი წყაროების რაოდენობაზე დაყრდნობით ნათელი ხდება, რომ, მართალია, წლების მანძილზე არ ხორციელდებოდა ტრაგიკულ მოვლენათა *კულტურული ტრავმის* კონცეფციის ქვეშ განხილვა, სამაგიეროდ, აქტიურად მიმდინარეობდა უშუალოდ ტრავმის კონსტრუირება მხატვრულ, პუბლიცისტურ და აკადემიურ ჟანრებში. სტალინისტური ტექსტებიც ტრავმის დისკურსის ერთ-ერთ გამოხატულებად შეგვიძლია მივიჩნიოთ, მიუხედავად იმისა, რომ მათი პოზიცია სხვა ჟანრებთან წინააღმდეგობრივია.

## 2. ნაციონალიზმი როგორც კონტექსტი და კვლევის საგანი

ნაციონალური იდეოლოგიისა და იდენტობის საკითხი რამდენიმე პერსპექტივიდან კვეთს ჩემი ნაშრომის ძირითად გასაანალიზებელ თემას. პირველი საკითხი სოციოკულტურული და პოლიტიკური კონტექსტის აღწერის აუცილებლობაა, რომელშიც სამი ათწლეულის მანძილზე ხორციელდება სტალინისტური ლიტერატურის დაგროვება. ეს კონტექსტი კი *ნაციონალიზმით* განისაზღვრება, რომელიც საბჭოთა კავშირის დაშლიდან მოყოლებული ქართული საზოგადოების პოლიტიკური იდეოლოგიისა და კულტურული იდენტობისათვის განმსაზღვრელ როლს ასრულებს. სწორედ ნაციონალიზმი კრავს ერთიან კულტურულ-პოლიტიკურ სხეულად ქართულ საზოგადოებას, მაგრამ ამავე დროს ხლეჩს მას ეთნიკურ-რელიგიურ საზღვრებზე. უნდა აღინიშნოს, რომ ვითარება დამახასიათებელია არა მხოლოდ საქართველოსათვის, არამედ გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან მოყოლებული ამგვარი რენაციონალიზაციის ტენდენციები ვლინდება ასევე

აღმოსავლეთ<sup>20</sup> და დასავლეთ<sup>21</sup> ევროპის ქვეყნებში. რაც შეეხება საკუთრივ პოსტსაბჭოთა სივრცეს, ისტორიკოს და სოვეტოლოგ გრიგორ სიუნის მიხედვით ნაციონალიზმი არა უბრალოდ დომინანტური იდეოლოგია გახდა კომუნიზმის დაცემის შემდგომ, არამედ თავად შეასრულა მთავარი როლი საბჭოთა კავშირის დაშლაში (Suny 1993).

მეორე საკითხი მოიცავს ნაციონალური იდეოლოგიის პოლიტიკური თუ ისტორიული მნიშვნელობის მიმართ მარქსიზმის დამოკიდებულებას, რაც აკადემიურ ლიტერატურაში ამ უკანასკნელის ნაკლოვანებად არის მიჩნეული ნაციონალიზმის სიცოცხლისუნარიანობისა და მნიშვნელობის შეფასების უუნარობის გამო. ჩემი კვლევისათვის აღნიშნული საკითხი იმდენად არის მნიშვნელოვანი, რამდენადაც სწორედ სტალინს ეკავა ახლად შექმნილ საბჭოთა კავშირში ეროვნებათა საკითხის სახალხო კომისრის თანამდებობა (1917-23), ის იყო ავტორი გავლენიანი ნაშრომისა „ნაციონალური საკითხი და სოციალ დემოკრატია“ (1904) და პირადად ხელმძღვანელობდა ნაციონალური იდენტობის ჩამოყალიბება-განმტკიცების პოლიტიკას, რომლის ძირითადი პრინციპითაც ახალი ერების კულტურა „ფორმით ნაციონალური, შინაარსით სოციალისტური“ უნდა ყოფილიყო.

უშუალოდ მარქსმა და ენგელსმა ნაციონალურ საკითხზე წინააღმდეგობრივი მემკვიდრეობა დატოვეს, სხვადასხვა პერიოდში ხან პოზიტიურად მოიხსენიებდნენ ნაციონალიზმის გამოვლინებებს (პოლონეთი, ამერიკა, საფრანგეთი), ხანაც ნეგატიურად (ირლანდია). აღნიშნული წინააღმდეგობრიობა „რთული დიალოგის“ ფორმით გაგრძელდა მომდევნო თაობების მარქსისტთა შორის (Munck 1986). თუმცა მეოცე საუკუნე მხოლოდ

---

<sup>20</sup> 1990-იანებში ნაციონალიზმის შემობრუნების ძალადობრივი (იუგოსლავიის ომი) და ასევე მეტ-ნაკლებად მშვიდობიანი ფორმებით გამოირჩევა (ჩეხეთის რესპუბლიკისა და სლოვაკეთის გაყოფა). ასევე მნიშვნელოვანი იყო აღმოსავლეთ ევროპის პოსტსაბჭოთა საზოგადოებებში ძლიერი ნაციონალური მოძრაობების წარმოქმნა (Ramet 1999).

<sup>21</sup> 1990-იანებიდან ნაციონალიზმი დასავლეთ ევროპის წამყვანი დემოკრატიების პოლიტიკაშიც იწყებს დაბრუნებას. ისეთმა მემარჯვენე პოლიტიკურმა გაერთიანებებმა როგორცაა „გაერთიანებული სამეფოს დამოუკიდებლობის პარტია“ დიდ ბრიტანეთში, „ნაციონალური ფრონტი“ საფრანგეთში, „შვედი დემოკრატები“ შვედეთში, „ქემმარიტი ფინელები“ ფინეთში და „ალტერნატივა გერმანიისათვის“ გერმანიაში ნაციონალური რიტორიკის გამოყენებით ევროპის გაერთიანების სავარაუდო ელიტური პროექტის წინააღმდეგ დაიწყეს მოქმედება (Wodak, KhosraviNik and Mral 2013).

გამონაკლისის სახით იძლევა ისტორიულ მაგალითებს, როდესაც კლასობრივი და ნაციონალური იდენტობები ერთმანეთს არ უპირისპირდებოდნენ (Halliday 1992, 35). საბოლოოდ კი მნიშვნელოვანწილად სწორედ ნაციონალიზმმა შეუწყო ხელი საბჭოთა კავშირის დაშლას. მარქსისტებს შორის კი კამათი ნაციონალური საკითხის გარშემო 1917 წლის ბოლშევიკური გადატრიალებიდან წყდება, მას შემდეგ, რაც საბჭოთა პოლიტიკის სივრცეში ნაციონალიზმის სტალინური განმარტება დოგმად ჩამოყალიბდა.

მესამე, ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხი ქართული სტალინისტური (ისევე როგორც ანტი-სტალინური) ტექსტების არგუმენტირების ნაციონალისტური სტილია. 90-იანი წლებიდან ქართული ნაციონალური იდენტობის ფორმისა და შინაარსის ძიება ღია პროცესის სახეს იღებს, რაც შესაძლებელი და, ამავდროულად, საჭირო გახდა საბჭოთა იდეოლოგიური წნეხის მოსპობისა და კომუნისტური იდეოლოგიის დისკრედიტაციის კონტექსტში. ასეთ გარემოში ქართველ მკითხველ აუდიტორიასთან ურთიერთობის ძირითადი რიტორიკული ფორმები ნაციონალური იდენტობის გარშემო ბრუნავს. როგორც ვნახავთ, სტალინისტების ერთ-ერთი ძირითადი საკომუნიკაციო სტრატეგია ქართული იდენტობის რომანტიზებაა. სწორედ აქ იბადება განსაკუთრებული ინტერესი მოზარდი იოსებ ჯულაშვილის პოეტური შემოქმედების მიმართ, რომელიც, თითქოს თავისთავად უნდა მიუთითებდეს მის პატრიოტულ განწყობებზე.

გარდა კულტურულ რომანტიკული არგუმენტებისა, სტალინისტურ ლიტერატურაში ასევე შეიძლება მოვიძიოთ რელიგიური და პოლიტიკური არგუმენტებიც. თუმცა რა პერსპექტივიდანაც არ უნდა იყოს წარმოდგენილი სტალინი, იგი უმეტეს შემთხვევაში დისოცირებულია საბჭოთა კავშირის ისეთი იდეოლოგიური ელემენტებისაგან, როგორებიცაა მარქსიზმი, ლენინიზმი, დიალექტიკური თუ ისტორიული მატერიალიზმი და ა. შ. ამგვარი ტერმინოლოგიით საუბარი პოსტსაბჭოთა კონტექსტში ვერ შეასრულებს კომუნიკაციურ ფუნქციას, რაც სათანადოდაა აღქმული სტალინისტი ავტორების მიერ. მათ ტექსტებში კომუნისტური იდეოლოგია მხოლოდ გაკვრითაა

ნახსენები, ამის ნაცვლად რიტორიკა სხვადასხვა მხატვრული ხერხების გამოყენებით „სტალინის დრამის“ შექმნისკენაა მიმართული, რომლის მთავარი ამოცანაც ტრავმის წარმოჩენაა.

### *ნაციონალიზმის თეორიები*

ნაციონალიზმის თეორია გულისხმობს კონცეპტუალურ მოდელს, რომელიც იძლევა იმის ახსნას, თუ როგორ ჩამოყალიბდა ნაციონალური იდეოლოგია დომინანტურ პოლიტიკურ პრინციპად და სოციალურ იდენტობად თანამედროვე სამყაროში, როგორია მისი ბუნება და რა არის ასეთი წარმატების მიზეზი. თეორიათა მრავალფეროვნება ნაციონალიზმთა ჩამოყალიბების ისტორიულ, გეოგრაფიულ, პოლიტიკურ და ეკონომიკურ პირობათა არაერთგვაროვნებით არის განპირობებული. თავიდანვე უნდა გავუსვათ ხაზი იმას, რომ ნაციონალური იდენტობა ისეთი მახასიათებლების გამოყენებით შეიძლება იქნეს განსაზღვრული როგორცაა:

ტერიტორია, ენა, კულტურა, რელიგია, ისტორია, საერთო ნება (ერნსტ რენანის „ყოველდღიური პლემისციტის“ კონცეფცია) და საერთო პოლიტიკური და სამართლებრივი პრინციპები. თუმცა, ამ მახასიათებლებიდან არცერთი არ არის შეუცვლელი ნაციონალური იდენტობისათვის... ნაციონალური იდენტობა **პოლიმორფული** [ხაზგასმა ჩემია — კ. ლ.] ფენომენია. (Motyl 2001, 360).

მოდერნისტული პარადიგმა კონსტრუქტივისტული პერსპექტივიდან უყურებს ნაციონალიზმის *შექმნისა* და შემდგომ სხვა ქვეყნებში *იმპორტირების* პროცესს (Greenfeld 1992) და იყენებს ისეთ კონცეპტუალურ ინსტრუმენტებს როგორცაა *წარმოსახვითი საზოგადოება* (Anderson 1991 [1983]) და *გამოგონილი ტრადიციები* (Hobsbawm and Terrance 1993 [1983]). მოდერნისტული პარადიგმა გვაძლევს ნაციონალურ ნარატივთა შექმნის პროცესის დანახვისა და აღწერის საშუალებას. ხოლო მითიური ნაციონალური ნარატივები როგორც ვნახავთ სტალინისტთა ძირითადი ინსტრუმენტია სტალინის ქართულ ნაციონალურ იდეოლოგიაში ბუნებრივად

მოთავსებისათვის.

### *რენესანსი ნაციონალიზმის კვლევებში*

თავის 2021 წლის მონოგრაფიაში დოქტორი ლოიდ კოქსი რენესანსის შეფასებას აძლევს გასული საუკუნის 80-იანი წლების თეორიულ ძვრებს (J. A. Armstrong 1982; Anderson 1991 [1983]; Gellner 1983) ნაციონალიზმის კვლევის სფეროში (Cox 2021, 24). ზემოთ უკვე განვიხილეთ ის, თუ რაოდენ მნიშვნელოვანი გახდა ნაციონალიზმის საკითხი პოსტკომუნისტურ სამყაროში მარქსისტული აზროვნებისათვის დამახასიათებელი საზოგადოებათა კლასობრივი დაყოფის იდეის მარცხის შემდეგ. კოქსი კი ნაციონალიზმის კვლევების მნიშვნელობას არა საბჭოთა კავშირის დაშლის, არამედ გლობალიზაციის პროცესის კონტექსტში განიხილავს.

გლობალიზაციის ადრეული თეორიები მიიჩნევდნენ, რომ ის ნეგატიურ გავლენას იქონიებდა ეროვნულ იდენტობებსა და ნაციონალიზმზე. თავად გლობალიზაციის ცნება ყოვლისმომცველი ხდება 1980-იანებში, სწორედ ამ პერიოდს ემთხვევა ზემოთ მოყვანილი პუბლიკაციები ნაციონალიზმის თეორიაში, რომელთა საერთო გავლენასაც კოქსი აღორძინებად აფასებს. უშუალოდ გლობალიზაციის თეორეტიკოსთა შეხედულებები ნაციონალიზმის დაკნინებაზე კი მცდარი გამოდგა. აღმოჩნდა, რომ გლობალიზაციური პროცესები ნაციონალიზმისათვის გამღიზიანებლის ფუნქციას ასრულებენ, რაც ისეთ ფენომენებში გამოვლინდა როგორცაა მემარჯვენე ნაციონალიზმი ევროპაში, ბრექსიტი (2020), ტრამპის არჩევა აშშ-ს პრეზიდენტად (2017) და ა. შ. (Cox 2021, Chapter 5). დასავლეთში ნაციონალისტური პოპულიზმის გამოცოცხლების პარალელურად ნაციონალიზმის თეორიები მუდმივ აქტუალურობას ინარჩუნებენ სოციო-პოლიტიკური და კულტურული პროცესების ანალიზისთვის.

წინამდებარე კვლევის პერსპექტივიდან კი ნაციონალიზმის ცნება სტალინის სტაბილური პოპულარობის სიღრმისეულ ახსნაში დაგვეხმარება, რომლისთვისაც გამღიზიანებლის როლს საბჭოთა კავშირის დაშლა ასრულებს.



ხოლო რაც შეეხება ნარატიულ გაფორმებას, რომლის ფარგლებშიც სტალინი ქართულ ეროვნულ გმირთა შორის იკავებს ადგილს, იგი განსაზღვრული იქნება მითად, რომელსაც აღწარმოების თავისი კანონზომიერებები აქვს. ამ პროცესის ანალიზისათვის საჭირო კონცეპტუალური ინსტრუმენტები შემდგომ თავში გამოვლინდება, სადაც განვიხილავთ მითის კრიტიკული ანალიზის თეორიულ მიდგომებს და ბოლოს ყურადღებას გავამახვილებ *ნაციონალური მითის*, როგორც სოციო-კულტურულ და არა უბრალოდ ლიტერატურულ, ფენომენზე.

### 3. მითის შესწავლის საკითხისათვის

მითის შესწავლის კლასიკური აკადემიური ტრადიცია კვლევის მასალით ისეთი მრავალფეროვანი წყაროებიდან მარაგდება როგორცაა კლასიკური ლიტერატურა (მაგ. ბერძნული მითოლოგია), რელიგია (ბიბლია, ყურანი და ა. შ.) და ეთნოლოგიურ / ანთროპოლოგიური წყაროები. მოცემული მრავალფეროვნება მითის ევოლუციური, სააზროვნო, ფსიქოლოგიური, პოლიტიკური და სოციალური პერსპექტივებიდან განხილვის შესაძლებლობას იძლევა, რომელთა ფარგლებშიც შესაძლებელია მითი წაკითხულ იქნეს სიტყვა-სიტყვით, მეტაფორულად, სიმბოლურად, ან სტრუქტურულად.

ქვემოთ მოკლედ მიმოვიხილავთ მითის კვლევების განვითარების ძირითად ტენდენციებსა და ავტორებს. მართალია ჩემი კვლევა ყურადღებას მითის სტრუქტურულ-სემანტიკურ პერსპექტივაზე შეაჩერებს, ასევე ცალკე ყურადღება დაეთმობა ფსიქოლოგიურ თეორიასაც, რადგან სწორედ ამგვარი მიდგომები იძლევა შესაძლებლობას, შევისწავლოთ აღნიშნულ ისტორიულ მომენტში სტალინისტური მითის კვლავწარმოების მიზეზები და გამოვააშკარაოთ მასში არსებული გზავნილები. თუმცა, როგორც ქვემოთ იქნება ნაჩვენები, მითის შესწავლის განსხვავებული პერსპექტივები აკადემიურ სივრცეში მიმდინარე დისკუსიათა და დებატების პირობებში ვითარდება, რის გამოც, მითის პოლიტიკურ-სოციალური ფუნქციების გამოყოფისათვის საჭირო იქნება სხვა პერსპექტივებთან კავშირის წარმოჩენაც.

მითის განსაზღვრებისა და მისი ფუნქციების დადგენისათვის კლასიკოს ავტორთა შორის მინდა გამოვყო პოლონური წარმოშობის ანთროპოლოგი ბრონისლავ მალინოვსკი (1884-1942), რომელიც მიიჩნევდა, რომ „პრიმიტიული“ ხალხები ზედმეტად დაკავებულნი არიან გადარჩენისათვის ბრძოლით, იმისათვის რომ სამყაროზე რეფლექსიის დრო დარჩეთ. მალინოვსკისათვის მითი არის არა უბრალოდ „ცუდი მეცნიერება“, არამედ *სათადარიგო საშუალება* (1926). როდესაც პრიმიტიული მეცნიერება არ ამართლებს, „პრიმიტიული ადამიანი“ მიზნის მისაღწევად მაგიას მიმართავს. და თუ მაგიამაც არ გაამართლა ბოლო გამოსავალი მითია. მითი ამ შემთხვევაში გამოიყენება არა იმისათვის, რომ ადამიანმა სამყაროზე გავლენა მოიპოვოს, როგორც ამას ფრეზერი იტყოდა, არამედ სამყაროს იმ ასპექტებთან შერიგება-შეგუებისათვის, რომელთა კონტროლიც ადამიანს არ შეუძლია. ასეთი მოვლენებია, მაგალითად, ბუნებრივი კატასტროფები, ავადმყოფობა, სიბერე და სიკვდილი. პრიმიტიული მეცნიერება და მაგია პრობლემის გამოსწორებას ცდილობენ, მითი კი ეუბნება ადამიანს, რომ ვერაფერს გახდება.

თუ სხვა კლასიკოსი ავტორების (ტაილორისა და ფრეზერის) მითის თეორიები ბუნების მოვლენების გარშემო ტრიალებს, მალინოვსკი ყურადღებას სოციალურ ფენომენებსაც უთმობს, რადგან სწორედ სოციალური წესრიგია ერთ-ერთი იმ ფენომენთა შორის, რომელზე გავლენაც ადამიანს არ აქვს. მითი უხსოვარი წარსულისა და ლეგენდარულ გმირთა ავტორიტეტს ეყრდნობა და ინდივიდს ტრადიციის გაზიარებისაკენ მოუწოდებს. მითი არწმუნებს ინდივიდს, დამორჩილდეს თავის მდგომარეობას საზოგადოებაში, რომელიც მუდამ ასეთი იყო და ასეთად დარჩება. ამ შემთხვევაში მითისგან სარგებელს საზოგადოება იღებს და არა ინდივიდი. მითის სოციალური ფუნქციის ხაზგასმით მალინოვსკი ერთ-ერთ პირველ მკვლევრად გვევლინება, რომელიც მითსა და იდეოლოგიას შორის კავშირის შესაძლებლობაზე საუბრობს. ნებისმიერ საზოგადოებაში, სადაც მითი გვხვდება, მისი ფუნქცია ჩამოყალიბებული წესრიგის მიმართ ადამიანის მორჩილების უზრუნველყოფაა, რასაც კანონების, წესებისა და ტრადიციების პრიმორდიალური საფუძვლების აქცენტირებით

ახორციელებს. მაგრამ მალინოვსკის ნაშრომებიდან გაურკვეველია ის, თუ რას ფიქრობდა იგი მითის ადგილზე თანამედროვე საზოგადოებებში.

რახან თანამედროვე მეცნიერება ფიზიკური სამყაროს მართვის შეუდარებლად ფართო საშუალებას იძლევა, თანამედროვე საზოგადოებაში ნაკლები რაოდენობით, ან საერთოდ არ მოიპოვება ფიზიკურ სამყაროსთან დაკავშირებული მითები. თანამედროვე სამყაროში არსებული სოციალური ფენომენები შესაძლოა, პრიმიტიულ საზოგადოებათა მსგავსად, მითს საჭიროებდნენ ლეგიტიმაციისათვის, მაგრამ თუ მითი ტრადიციული ნარატიული ფორმით აღარ არსებობს, მაშინ მის ადგილს იდეოლოგია იკავებს. პოლიტიკის მეცნიერებაში, მაგალითად, მითი შეიძლება რწმენა, ან კრედო — ანუ იდეოლოგია იყოს, რომლის ილუსტრირება ამბებიტაც შეიძლება.

### ***მითი და იდეოლოგია***

როგორც ზემოთ ვნახეთ მითის პოლიტიკური ფუნქციის ხაზგასმა ორი თვალსაზრისით არის შესაძლებელი. როგორც მალინოვსკის მაგალითზე ვაჩვენეთ თეორიის მიზანია შეარიგოს მითის ინდივიდუალური, ანუ ფსიქოლოგიური, ასევე — საზოგადოებრივი, ანუ პოლიტიკური ფუნქციები. თუმცა, გარდა ამისა თავად მითის შესწავლა შეიძლება ემსახურებოდეს იდეოლოგიურ, ანუ პოლიტიკურ ინტერესებს.

მითის გამორჩეული მკვლევარი რობერტ სიგალი მითის ექსკლუზიურად პოლიტიკასთან დაკავშირებას, რისი მცირე მაგალითიც ზემოთაა მოცემული, პოლიტიკურის ორი გაგებით ხსნის. სიგალის თქმით ერთია, რომ მითის თეორიას პოლიტიკური უწოდო, რადგან მასში ავტორის იდეოლოგიური მოსაზრებები ვლინდება და მეორეა, რომ მითის თეორიას პოლიტიკური უწოდო, რადგან თეორიის მიხედვით მითი მუდამ იდეოლოგიურ ფუნქციას ასრულებს (Segal 2021, 79%). მოცემული დაკვირვება დიდი მნიშვნელობის იძენს სტალინისტური მითის კვლევისათვის, რადგან, როგორც შემდგომ გახდება ნათელი, სტალინური ნაშრომები ერთი მხრივ განსაზღვრული პოზიტიური პერსპექტივიდან ახასიათებენ და აღწერენ სტალინს და ცდილობენ დაარწმუნონ მკითხველი, რომ

იგი ქართული ეროვნული ცნობიერებისა და იდენტობის ორგანული ნაწილია; მეორე მხრივ კი თავად ამ ტექსტების ავტორები საბჭოთა საზოგადოებაში დაბადებული და სოციალიზებული ინდივიდები არიან, რომელთათვისაც ნოსტალგიის ძალით გაცოცხლებული საბჭოთა იდეოლოგია, ისევე როგორც დამოუკიდებლობა აღდგენილი საქართველოს ეროვნული იდენტობა მნიშვნელოვან ფასეულობებს წარმოადგენს, რომელთა გაერთიანებაც მხოლოდ მითოლოგიური, ანუ ემოციებზე დაფუძნებული ლოგიკით არის შესაძლებელი.

მეორე მხარეს კი მკვლევარი, ანუ ამ ფრაზების ავტორი დგას, რომლისთვისაც საკვლევი მასალა მეტად საინტერესოა იმისათვის, რომ მხოლოდ მისი აღწერით შემოიფარგლოს და არ სცადოს მისი ინტერპრეტაცია. მაგრამ პოლიტიკური მითის ინტერპრეტაცია და ანალიზი გარკვეულ პოლიტიკურ, ანუ იდეოლოგიურ საფუძვლებზე დგომას მოითხოვს, რომელიც არა მხოლოდ კვლევის შედეგებში, არამედ მეთოდოლოგიურ მიდგომაშივე ჩნდება. რადგან მხოლოდ ის, რომ ამ ტექსტებს მითად მოვიხსენიებთ უკვე შეფასების გაკეთების ტოლფასია, გამომდინარე იქიდან, რომ მითს თან სდევ კულტურული კონოტაცია, რომელიც ამ ცნებას ან „პრიმიტიულ“ აზროვნებას, ან მანიპულატორულ განზრახვებს უკავშირებს. ამ გარემოებების გამო მკვლევრისათვის საჭირო იქნება ნაშრომის ყველა ეპიზოდში მის მიერ დაკისრებული სამუშაოს ირგვლივ არსებული სოციალურ-კულტურული პასუხისმგებლობის გაცნობიერება გამოავლინოს და ნაშრომის ნებისმიერ ეპიზოდში იყოს ღია საკუთარი იდეოლოგიური პოზიციების მიმართ.

### *მითის ანალიზი*

თეორიების ორგანიზების შედეგად მკვლევრები მითისადმი ორ — რაციონალურ და რომანტიკულ — მიდგომას გამოყოფენ (Blumenberg, Work on Myth 1985, Ellwood 2001, Seagal 2021). რაციონალური მიდგომის მიხედვით, რომლის ავტორადაც ვიქტორიანული ეპოქის ანთროპოლოგი ე. დ. ტაილორი მიიჩნევა, მითი მეცნიერების „პრიმიტიული“ ორეულია. რაციონალური მიდგომისათვის „თანამედროვე მითი“ არ არსებობს და თავად ფრაზა

წინააღმდეგობრივია, ნებისმიერი მითი თანამედროვეობაში ატავისტურ გადმონაშთად აღიქმება. მეცნიერების მსგავსად მითი სრულად რაციონალურია, მაგრამ მცდარი.

მე-20 საუკუნეში მითისადმი რაციონალური მიდგომის უდიდესი წარმომადგენელი კლოდ ლევი-სტროსის დაკვირვებით „ხშირად იქმნება განცდა, რომ მითში ნებისმიერი რამ შეიძლება მოხდეს“ მაგრამ სინამდვილეში „ეს წარმოსახვითი შემთხვევითობა გადაფარულია გასაოცარი მსგავსებებით, რომელიც განსხვავებული რეგიონებიდან შეგროვებულ მითებს შორის არსებობს.“ ლევი-სტროსი, ტაილორისაგან განსხვავებით, მითს მეცნიერებას უტოლებს, თუმცა იგი თანამედროვე მეცნიერებისაგან ყურადღების კონკრეტულზე გამახვილებით, კონკრეტულის აბსტრაქციით გამოირჩევა (Lévi-Strauss 1966, ch. 1).

რაციონალისტებს შორის, განსაკუთრებულ აღნიშვნას საჭიროებს ფილოსოფოსი ერნსტ კასირერი, რომელიც ყურადღებას მითის პოლიტიკურ დატვირთვას უთმობს. კასირერი მითს და მეცნიერებას ერთმანეთს არ ადარებს, არამედ ორივე მათგანს ცოდნის განსხვავებულ ფორმებს შორის ათავსებს. მართალია კასირერი მითს პრიმიტიულად და ემოციებით ნაკარნახევ ფენომენად მიიჩნევს, მაგრამ მისთვის მითი არა „პრელოგიკური“ არამედ ლოგიკის საკუთარი ნაირსახეობის მქონეა, რის გამოც მითი არა მეცნიერებასთან მიმართებაში უნდა იქნეს აღქმული, როგორ ქვემდგომი ან უპირატესი, არამედ ცოდნის ცალკეულ, ავტონომიურ სახეობად უნდა იქნეს განხილული (Cassirer 2021, 24-25).

ამასთან ერთად, კასირერი მიიჩნევს, რომ მითი თანამედროვეობაშიც შეიძლება შეგხვდეს. პოლიტიკური მითის განხილვისას მისთვის ინტერესის ძირითად საგანს ნაციზმი წარმოადგენს. მითი აქ იდეოლოგიას უტოლდება და კასირერი ეძებს მისი გავლენის სოციო-პოლიტიკურ მიზეზებს. ირაციონალურობაზე ხაზგასმით, რაც გარკვეულ წინააღმდეგობაში მოდის მოსაზრებებთან რომელსაც იგი შემდგომ განავითარებს მითის რაციონალურობის შესახებ, კასირერი კრიზისის, შეიძლება ითქვას ტრავმული მდგომარეობის, კონცეფციას ავითარებს, რომლის პირობებშიც „რაციონალური

ძალები, რომლებიც მითოლოგიური კონცეფციების აღზევებასა და გაბატონებას ხელს უშლის, კარგავენ თავდაჯერებას. ასეთ ეპიზოდებში მითის დრო კიდევ ერთხელ ისადგურებს” (Cassirer 1946, 280).

მითის მაგიასთან დაკავშირებითა და მაგიის განმარტებით, როგორც სამყაროს გაკონტროლების — ამ შემთხვევაში სოციალური სამყაროს და არა ბუნების — სასოწარკვეთილი მცდელობა, კასირერი თანამედროვე მითს მალინოვსკისეულ „პრიმიტიული“ მითის განმარტებას უსადაგებს. თანამედროვე მითი კასირერისათვის პრიმიტივიზმის ატავისტური გამოვლინებაა (Segal 2021, 16.15).

ჩვენი კვლევისათვის განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენს რობერტ ელვუდის მიერ მითის რომანტიკულ თეორეტიკოსთა კვლევების პოლიტიკური პერსპექტივიდან კრიტიკა. რომანტიკული მიდგომით, რომელსაც განასახიერებენ შელინგი, ნიცშე, ვუნდტი, მოგვიანებით კი იუნგი, ელიადე და კემპბელი, მითი იბადება ხალხთან ერთად, ისტორიული დროის მიღმა, არა რომელიმე ინდივიდის ავტორობით, არამედ ხალხის წიაღიდან. რომანტიკული მიდგომით მითი არ განიხილება ცოდნის სხვა სფეროებთან კონკურენციის თვალსაზრისით. მითი მარადიულია და არაფერს შეუძლია მისი ჩანაცვლება. იგი არ არის სპეციფიკური ისტორიის განვითარების რაიმე კონკრეტული ეტაპისათვის, არამედ თანაბრად მნიშვნელოვანია ინდივიდისა და საზოგადოებისათვის როგორც პრეისტორიულ, „პრიმიტიულ“ ეპოქაში, ასევე თანამედროვეობაში.

ყოველ რასას, ერს, თუ კულტურას თავისი დაბადების მითი აქვს, რომელშიც შეჯამებულია მისი თვისებრივი მახასიათებლები და ისტორიული ბედი. ერსა და მითს შორის კავშირი თავისთავად ცხადადაა მიღებული (Ellwood 2001, 682). რომანტიკული პერსპექტივიდან მითი შეიძლება უნივერსალურობის თვალსაზრისითაც იყოს აღქმული. ასე მაგალითად, იუნგი მითებს დომინანტური არქეტიპებისა, ხოლო ელიადე — რელიგიების მიხედვით ათავსებდა სხვადასხვა კატეგორიებში. მაგრამ, მეორე მხრივ, იუნგი და ელიადე ზემოთქმულის გარდა მითებს ასევე რასობრივ და ნაციონალურ კატეგორიებადაც

ყოფდნენ. შესაბამისად, ელვუდი აქ ნაციონალური კუთვნილების, კულტურისა და რელიგიის ნიშნით მითებისათვის პრიორიტეტის მინიჭების შესაძლებლობას ხედავს (იქვე).

მითის პოლიტიკური ფუნქციების ხაზგასმით ბუნებრივად წამოიჭრება იდეოლოგიისა და რასის საკითხი, რადგან მე-20 საუკუნის ისეთი იდეოლოგიები, როგორცაა კომუნიზმი, ფაშიზმი და განსაკუთრებით ნაციზმი საჭიროებდნენ მასებზე ისეთი ემოციური ინსტრუმენტების გავლენის შესწავლას, როგორებიცაა პროპაგანდა და მითი. პოსტსაბჭოთა კონტექსტში კი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ნაციონალიზმის საკითხი (Sury 1993), რომელიც მარგინალური აკადემიური საკითხიდან პოლიტიკურ, სოციალურ და კულტურულოგიურ კვლევათა ძირითად მიმართულებად ყალიბდება.

შემდგომ თავში მიმოხილული იქნება ნაციონალიზმის კვლევების ძირითადი თეორიები და ხაზგასმული იქნება აღნიშნულ დარგში ნაციონალურ იდეოლოგიათა „პოლიტიკურ“ და „კულტურულ“ ნაირსახეობებად დაყოფის არაპროდუქტიულობა, რის ნაცვლადაც შემოთავაზებული იქნება მითის კონცეფცია, როგორც ნაციონალური იდეოლოგიის კვლევის ინსტრუმენტი.

#### 4. ნაციონალური მითის კონცეპტი

ნაციონალიზმის კვლევების სხვადასხვა მიმართულება თანაბარ ყურადღებას უთმობს მითის კონცეფციას. განსაკუთრებით დიდი წვლილი ამ მიმართულებით შეიტანა ნაციონალიზმის მკვლევარმა ენტონი სმითმა თავისი „ეთნო-სიმბოლური“ თეორიით (Smith 1999, 2008, 2009), რომლის ძირითადი პოსტულატის მიხედვით ნაციონალურ მითებს საფუძველი წარსულში აქვთ ჩაყრილი, ისინი ყოველმა მომდევნო თაობამ ხელახლა უნდა აღმოაჩინოს და გადაამუშავოს. გარდა ამისა, ნაციონალიზმის მკვლევართათვის მითის კონცეფცია გამოკვლეულია ანთროპოლოგიური (Schopflin and Hosking 1997) და სოციოლოგიური (G. Bouchard 2013) პერსპექტივებიდან.

კრებულში "მითი და ეროვნება" (Schopflin and Hosking 1997) ჯოან

ოვერინგი განსხვავებული ანთროპოლოგიური პერსპექტივების განხილვას თუკიდიდეს მიერ მითიდან ისტორიის გამოყოფიდან იწყებს და ლევი-სტროსის მითის თეორიით ასრულებს. შოპფლინი კი პიერ ბურდიოსა და მირჩა ელიადეს ეყრდნობა იმის დემონსტრირებისათვის, რომ მითი კულტურული აღწარმოების ერთ-ერთი ძირითადი ინსტრუმენტია, რადგან იგი მედიატორის როლს ასრულებს ჯგუფის წევრებს შორის და აყალიბებს აღქმას, რომ ისინი ერთი სააზროვნო სივრცის წევრები არიან (20).

შემდეგი თავი — ენტონი სმითის "ეროვნული განახლების ოქროს ხანა" (იქვე, 36-59), განიხილავს 'დიადი წარსულის' კონსტრუირების პროცესს ერის შექმნისას. სმითისათვის მითი არის არა საერთო კულტურული მემკვიდრეობის ერთ-ერთი ელემენტი არამედ ელიტის ხელში არსებული პოლიტიკური იარაღი, რომელმაც ხელახლა უნდა აღმოაჩინოს და მისცეს ხალხს ღირსეული, ფასეული წარსული, იმისათვის, რომ ერის დამაჯერებელი ხატი წარმოიქმნას (36).

კრებულის რამდენიმე სტატია აღმოსავლეთ ევროპის პოსტკომუნისტურ საზოგადოებათა ტრანზიციის პერიოდში შექმნილ ნაციონალურ მითებს ანალიზებს, რაც განსაკუთრებით საინტერესოა ჩვენი კვლევის კონტექსტში. კიერენ უილიამსის სტატია "ნაციონალური მითები ახალი ჩეხეთის ლიბერალიზმში" (იქვე, 132-140) იკვლევს ჩეხი ერის მითოპოეტურ ხედვას 1989 წლიდან მოყოლებული, რომელიც ცდილობს რკინის ფარდის გამოცდილების წაშლას საკუთარი ისტორიიდან. უილიამსი აღწერს თუ როგორ იქმნებოდა ჩეხი ხალხის ხატი, როგორც ევროპისაკენ და დემოკრატიისაკენ ბუნებრივი მიდრეკილების მქონე საზოგადოებისა, რომელსაც საქმოსნობისა და შრომის კულტურის ხანგრძლივი ტრადიცია აქვს. ეს მითოლოგია მიზნად ისახავს წარსულიდან იმ უხერხული ეპიზოდების ამოშლას, როდესაც ჩეხები პან-სლავიზმისაკენ იხრებოდნენ, დასავლეთ ევროპას თვალს არიდებდნენ, ან როდესაც შიდა თუ გარედან მოსულ ავტორიტარულ მმართველობას დამორჩილდნენ (134).

ნორმან დევისის "პოლონური ნაციონალური მითოლოგიები" (იქვე, 141-157) მე-16 საუკუნიდან დღემდე მითების ტრანსფორმაციას აღწერს, დაწყებული



პოლონეთის "ქრისტიანობის ბურჯის" მითით დასრულებული პოლონეთის კომუნისტური ტიპის "პარტია-სახელმწიფოდ" ჩამოყალიბებით. ავტორი აჩვენებს, თუ როგორ მუშაობენ მითები ძალაუფლების ინტერესებისათვის პრემოდერნულ, ისევე როგორც მოდერნულ პერიოდებში სტრატეგიული მანიპულაციის ინსტრუმენტებად.

აგიტა მისანესა და აია პროდიტეს სტატია (იქვე, 157-169) იკვლევს ნაციონალური იდენტობის საკრალურ ლეგენდებსა და წინაპრების მემკვიდრეობას, რომელიც ლატვიაში გერმანული და რუსული დაპყრობებისას ჩამოყალიბდა. ხოლო ენდრიუ უილსონი ამგვარი მდგომარეობის ანტი-მითოლოგიას იკვლევს ბელარუსისა და უკრაინის მაგალითებზე, რომლის სტატიის მიზანაც ნაციონალური მითოლოგიის გამოხშირვაა რუსოფილური ისტორიოგრაფიიდან.

ჟერარ ბუშარის კრებული (Bouchard, 2013) ზემო განხილული პუბლიკაციის მსგავსად თეორიულ და მეთოდოლოგიურ თავისუფლებას ანიჭებს ავტორებს ნაციონალური მითის ფენომენის კვლევისას. ანალიზისათვის შერჩეული საზოგადოებები ჩვენთვის საინტერესო, აქტუალურ შემთხვევებს არ წარმოადგენენ, თუმცა კრებული შეიცავს თავად ბუშარის მითის სოციოლოგიური ცნების საგულისხმო მოსაზრებებს. იგი კრებულის სხვა ავტორებთან ერთად ნაციონალურ მითს ხაღხსა და სახელმწიფოს შორის კავშირის გამყარების, ამ უკანასკნელისათვის სიმბოლური ლეგიტიმაციის მოპოვების ძირითად ინსტრუმენტად განიხილავს.

უშუალოდ ბუშარის შეხედულებით მითი ოთხი მახასიათებლით გამოირჩევა: 1) ის არის ურთიერთგამომრიცხავი ელემენტების — ფაქტისა და ფიქციის, გონებისა და ემოციის, ცნობიერისა და არაცნობიერის — ჰიბრიდი, 2) მითის საზრისი შეიძლება გაგებულ იქნეს როგორც კონკრეტულ სოციალურ და ისტორიულ, ასევე უნივერსალურ კონტექსტში. 3) მას აქვს საკრალური, თვით-მამოძრავებელი ძალა და 4) მას შეუძლია იმუშაოს სოციალური ცვლილებების სასარგებლოდ, ან საწინააღმდეგოდ (იხ. იქვე, 2-3).

სხვაგან ბუშარი ხაზს უსვამს, რომ მითი საკუთარი ეფექტურობით უნდა

შეფასდეს და არა სიმართლისა და უტყუარობის კრიტერიუმით (Bouchard 2016). თუმცა ჩნდება კითხვა - რით უნდა შეფასდეს თავად ეფექტურობა? როგორც შემდგომ თავებში გაშლილი ანალიზი გვანახებს სტალინური მითების შექმნის ძირითადი ინსტრუმენტი სწორედ სიმართლისა და გამონაგონის კომბინირებაა, რაც საერთო ჯამში მხოლოდ სიმართლის დაფარვას უწყობს ხელს, როგორც თავად სტალინისტი ავტორებისათვის ისევე მათი მკითხველისათვის. ამ შემთხვევაში ორივე მათგანი მსხვერპლია, რადგან მკითხველს მცდარი შთაბეჭდილება ექმნება სტალინის სახელთან ასოცირებულ ისტორიის ტრაგიკულ ეპიზოდებზე, ხოლო სტალინისტი ავტორი ვერ ახერხებს საკუთარი ტრავმის ზუსტ არტიკულირებას და მისგან განთავისუფლებას.

#### IV. საბჭოთა მემკვიდრეობის გადაფასება

იმის გამოსავლენად, თუ როგორ აყალიბებენ სტალინისტი ავტორები მნიშვნელობას საკუთარი არგუმენტებისა და ნარატივების გამოყენებით, მხედველობაში უნდა გვქონდეს კონტექსტი, რომელშიც საზრისის შექმნის ეს პროცესი მიმდინარეობს (Bloommaert 2005, 40), რადგან ნებისმიერი სიმბოლო ერთ კონტექსტში მისაღები და გასაგები ხდება, სხვაში კი — გაუგებარი და მიუღებელი. შესაბამისად სტალინისტების ამოცანა არა უბრალოდ შესაფერისი კონტექსტის მოძიება არამედ, მისი აქტიურად შექმნაა. ზემოთ მოყვანილი მსჯელობები ნაციონალიზმის კვლევების შესახებ, ერთი მხრივ, კვლევის თეორიული ჩარჩოს ჩამოყალიბებისათვის გვჭირდებოდა, მეორე მხრივ კი, პოსტსაბჭოთა კონტექსტის განსაზღვრისათვის, რომელშიც სწორედ ნაციონალურმა იდეოლოგიამ იტვირთა საზოგადოების გამაერთიანებელი (ან გამყოფი) მითების საცავის ფუნქცია.

რადგან სტალინის ფიგურა თავისი წინააღმდეგობრიობიდან გამომდინარე, ვერ იქნება მიღებული ექსკლუზიურად ნაციონალური იდეოლოგიის კონტექსტში მოთავსებულ სიმბოლოდ, ამიტომ საჭირო იქნება კონტექსტის დამატებით განმარტება და ჩასწორება იმისათვის, რომ შემდგომი მსჯელობები და სტალინური მასალის ანალიზი არ დაზიანდეს პერსპექტივის ცალმხრივობით. ამისათვის კი შემდგომი თავი დაეთმობა *ლუსტრაციის* ცნების გარშემო არსებულ საზოგადოებრივი დებატების განხილვას, რომელიც რამდენიმე ათწლეულია უკვე რაც მიმდინარეობს ქართული საზოგადოების მედიადისკურსში, რომელიც სწორედ იმ საკითხზე მსჯელობას გულისხმობს, თუ როგორ არის შესაძლებელი დანაშაულებრივ საბჭოთა რეჟიმთან თანამშრომლობაში მყოფ პირთა საკითხის მოგვარება თანამედროვე საქართველოში. ეს მედიადისკურსი თავისი პოლიტიკური ორიენტირებითა და ნაციონალური იდეოლოგიით უმაღლეს ფასეულობებად დამოუკიდებლობასა და თავისუფლებას აცხადებს, გმობს საბჭოთა რეჟიმს და მისგან დისტანცირება სურს.

## 1. წინასწარი შენიშვნები

პოტენციურად ყველაფერი შეიძლება იყოს კონტექსტი. იგი შეიძლება იყოს უსასრულოდ დიდი, ფართო, მრავლისმომცველი, ან უსასრულოდ მცირე, ვიწრო (Bloommaert 2005, 40), მაგრამ ერთსა და იმავე დონეზეც კი კონტექსტი შეიძლება სხვადასხვა ელემენტებისაგან შედგებოდეს და შესაბამისად თავად კონტექსტები იყოს სხვადასხვა. კონტექსტი, ერთი შეხედვით, შეიძლება ბუნდოვანი მოგვეჩვენოს, როგორც ცნება, რომლის ფარგლებიც გასაანალიზებელი სიმბოლოს გარშემო არსებულ ყველა სხვა მოვლენასა და სიმბოლოს, სხვანაირად რომ ვთქვათ, — მთელს სამყაროს მოიცავს. ენისა და დისკურსის კვლევებში კონტექსტის ცნება ძირითადად თავისთავად მოცემულობად აღიქმება, ან მის გამოყენებას მეტნაკლებად „სალი აზრის“ ფორმა აქვს, როგორც კომუნიკაციური სიტუაციის ის თვისებები, რომლებსაც გავლენა აქვთ დისკურსის წარმოშობასა და აღქმაზე (Dijk 2009, 4).

უნდა აღინიშნოს, რომ ნაშრომის მიზნები არ შემოიფარგლება საქართველოში სტალინის განდიდების ფენომენის მხოლოდ აღწერით, არამედ, ამასთან ერთად, გამოვლენილი იქნება მისი მანკიერი მხარეები. თუმცა, ნაშრომში მანკიერებათა გამოვლენა არ გულისხმობს სტალინისტ ავტორებზე (და არც თანამოაზრე მკითხველებზე) მორალური პასუხისმგებლობის დაკისრებას, არამედ ისინი აღქმული იქნება ისტორიული მოვლენებისა და ავტორიტარული ბუნების სოციო-კულტურული პროცესების მსხვერპლად. სტალინისტთა ტექსტები საბჭოთა გამოცდილების, ტრავმის გააზრების კუთხით შეიძლება იქნეს წაკითხული, თუმცა აშკარა ხდება, რომ ისინი თავს ვერ აღწევენ აზროვნების საბჭოთა ფორმებსა და კატეგორიებს, რაც ამ გამოცდილების წინააღმდეგობრიობის, ტრავმულობის კიდევ ერთი ნიშანია.

წინამდებარე თავში განხილულია პოსტსაბჭოთა სივრცეში საბჭოთა რეჟიმის ლუსტრაციის პროცესი, რა მიმართულებითაც საქართველოში მიმდინარე პროცესები წინააღმდეგობრივობით ხასიათდება. კვლევის საკითხის ასეთ ფართო კონტექსტში ჩასმა შესაძლებლობას მოგვცემს მივუახლოვდეთ

საკვლევო საკითხის ფუნდამენტურ განზომილებას, რომელიც ეხება არა უბრალოდ სტალინის სიმბოლოს პოსტსაბჭოთა არსებობას, არამედ, ამასთან ერთად, საბჭოთა რეჟიმის მეხსიერებასა და მისი ავკარგიანობის აღქმას.

პოსტ საბჭოთა სივრცეში შეიძლება მოვიძიოთ საზოგადოებები, სადაც დაძლეულ იქნა პიროვნების კულტი და ლუსტრაციაც განხორციელდა, და საზოგადოებები, სადაც ვერც პიროვნების კულტი დაიძლია და ვერც ლუსტრაცია განხორციელდა. საქართველო მეორეთა რიგს განეკუთვნება. როგორც ჩანს ეს ორი ფენომენი — პიროვნების კულტი და ლუსტრაცია — ერთმანეთთან მჭიდრო კავშირშია.

ის, თუ როგორ განაგრძობს სტალინის სიმბოლო არსებობას დღევანდელ საქართველოში, ეს საქართველოსათვის დამახასიათებელი გამოცდილებით უნდა იქნეს ახსნილი. ქართული გამოცდილების ანალიზი კი გვიჩვენებს, რომ იგი მკვეთრად წინააღმდეგობრივია. სოციო-კულტურულ სივრცეში ლეგიტიმაციის მოპოვებას ცდილობენ, ერთი მხრივ, საბჭოთა კავშირის დაგმობისა და, მეორე მხრივ, მასთან შერიგების ტენდენციები. წინამდებარე თავში გაანალიზებულია გარდამავალი სამართლის გარშემო არსებული დისკურსი, რომელიც საქართველოში 1990-იანი წლების შუიდან ჩნდება სამოქალაქო და საკანონმდებლო სივრცეებში და 2010-იანი წლების პირველ ნახევრამდე ნახევარზომების სახით გრძელდება. ქართული გარდამავალი სამართლის — რომელიც ძირითადად *ლუსტრაციის* ცნების გარშემო არის კონცენტრირებული — ისტორიის რეკონსტრუქციას მედიამასალიდან განვახორციელებთ, რომელიც ამავე დროს ნათელს მოჰფენს მნიშვნელობათა მრავალფეროვნებასა და წინააღმდეგობრიობას, რომელიც ლუსტრაციის ცნების გარშემო შეიქმნა თითქმის სამი ათწლეულის განმავლობაში. აღნიშნულ დისკურსში პერიოდულად სტალინის სახელიც ჟღერდება ხოლმე, ძირითადად კომუნისტური რეჟიმის არაკუმანურობის განმასახიერებელი სიმბოლოს ფუნქციით და საკითხის პრაქტიკული მხარისათვის რელევანტური ადგილი არ უკავია. თუმცა დისკურსი მოიცავს დისკუსიებს ისეთი საკითხების გარშემო როგორცაა საბჭოთა წარსულის გააზრება, დასავლური ქვეყნების წარმატებული გამოცდილების

გამოყენება სამართლის აღდგენაში, და თანამედროვე ქვეყნის აშენების აუცილებლობა; ამასთან ერთად, ისმის კითხვები იმის შესახებ, გამართლებულია თუ არა ლუსტრაცია მისი განხორციელების პრაქტიკული სირთულეებისა და ეთიკურ-სამართლებრივი დილემების გათვალისწინებით. ლუსტრაციის მედია დისკურსის ანალიზი და მისი მიმოხილვა აქტუალური პოლიტიკური პროცესის კრილში ნათელს ჰფენს წარსულის უსამართლობასთან გამკლავების ერთგვარ ალტერნატიულ გზას, რომელიც მედიაში ისეთი ეპითეტებითაა გადმოცემული როგორცაა, მაგალითად: „საქართველო — ნაპატიები დანაშაულის ქვეყანა“ და „დრო ყველაფრის მკურნალია“. ამგვარი სოციალური განწყობები კი ასევე ქმნის კონტექსტს რომლის საშუალებითაც ასევე შესაძლებელია სტალინის ეროვნულ გმირად წარმოჩენის ფენომენის შესწავლა.

## 2. ლუსტრაციის თეორიული მხარე

პოსტკომუნისტური სივრცე შედარებითი კვლევების უზარმაზარ არეალს წარმოადგენს სამართლისა და სოციოლოგიური საკითხებით დაინტერესებულ მკვლევართათვის, იმის გამოსავლენად თუ როგორ უმკლავდებიან სახელმწიფოები თავიანთ რეპრესიულ წარსულს. რა ფორმებს იძენს რეტროსპექტიული სამართალი, რა განაპირობებს მათ წარმატებას და რა პოზიტიური სოციო-პოლიტიკური პროცესები მოსდევს მას? გარდამავალი სამართალი მრავალნაირად, მათ შორის წინააღმდეგობრივად, არის განმარტებული. იგი შეიძლება გაგებული იქნეს როგორც საზოგადოების მიდგომა წარსულის უსამართლობათა გამოსწორების საკითხის მიმართ, რომლის მიზანიც ჭეშმარიტებისა და სამართლის დადგენა, კანონის უზენაესობისა და ხანგრძლივი მშვიდობის დამყარებაა (Kritz 2009). ისტორიულად რეჟიმების ცვლილებას თითქმის ყოველთვის ახასიათებდა პოლიტიკური სივრცის წმენდა და სამართლიანობის აღდგენის რიტორიკა, რომლის მიზანიც ინსტიტუციათა ძველი, დისკრედიტირებული ელიტის წევრებისაგან განთავისუფლებაა. პოსტკომუნისტურ სახელმწიფოებში ავტორიტარიზმიდან დემოკრატიაზე

გადასვლა კი წარსულის უსამართლობათა გამოსწორების თვალსაზრისით მრავალი პარადოქსით ხასიათდება, რომელიც არაერთგვაროვან პასუხს იძლევა, ერთი მხრივ, სამართლის რეტროსპექტიული გამოყენებისა და, მეორე მხრივ, კანონის უზენაესობის დაფუძნების აუცილებლობის შესახებ. საბჭოთა კავშირის დაშლა ამგვარი შედარებითი კვლევებისათვის ხელსაყრელ ისტორიულ გარემოებებს ქმნის, რადგან ამ რეგიონის სახელმწიფოებს ამგვარი რეპრესიული რეჟიმის ქვეშ უწევდათ არსებობა; რეჟიმის დაშლა დროის მცირე პერიოდში მოხდა და პარალელურ პროცესებს წარმოადგენდა მთელი კავშირის მასშტაბით (1989-1991 წ. წ.) და, ამასთან ერთად, 1990-იანი წლებიდან მოყოლებული პოსტკომუნისტური სახელმწიფოები ერთად ერთგვრიან წარსულის გააზრების მცდელობაში. წარსულის გააზრება კი კომუნისტურიდან პლურალისტურ პოლიტიკურ სისტემაზე გადასვლის სირთულეთა გადაჭრის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მეთოდად მოიაზრება მკვლევართა მიერ, რადგან ხელს უწყობს ისეთი მნიშვნელოვანი სოციო-პოლიტიკური საკითხების გადაწყვეტას, როგორცაა ინსტიტუტთა და პიროვნებათათვის რეჟიმის მიერ მიყენებული ზარალის ანაზღაურება (რესტიტუცია), პოლიტიკური რეაბილიტაცია, კომუნისტური პარტიის ქონებასთან დაკავშირებული სამართლებრივი საკითხები, ყოფილი ნომენკლატურის როლის შეფასება ქონებრივი პრივატიზაციის კონტექსტში და კომუნისტური პარტიის ფუნქციონერთა და უსაფრთხოების სამსახურთა თანამშრომლების პასუხისმგებლობის საკითხი (Welsh 1996).

ასეთი რაოდენობის ცვლადთა გამოყენებამ მკვლევართათვის გარდამავალი სამართლის (transitional justice) დეტერმინანტების გამოკვლევის შესაძლებლობა წარმოქმნა. გამოკვლევულ იქნა კომუნისტური წარსულის ბუნება (Moran 1994), კომუნისტურიდან პლურალისტურ პოლიტიკურ სისტემაზე ტრანზიციის ბუნება და დემოკრატიზაციისათვის ხელისშეწყობა (Huntington 1991), ასევე შემუშავებულ იქნა "აწმყოს პოლიტიკის" კონცეფცია (Welsh 1996), რომელიც წარსულის განსჯაში გადამწყვეტ როლს მომავლის მიზნებს ანიჭებს. გარდამავალ სამართალს მიეწერება ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური

მიზნების წყება სხვადასხვა კომბინაციებით. მკვლევრები და პროცესის მონაწილეები ამტკიცებენ, რომ გარდამავალი სამართალი ამცირებს ადამიანის უფლებების სამომავლო დარღვევებს, ამცირებს კორუფციას, აძლიერებს ინტერპერსონალურ და ინსტიტუციურ ნდობას, ხელს უწყობს ზოგად და ეკონომიკურ განვითარებას, ამკვიდრებს კანონის უზენაესობის რწმენასა და პატივისცემას და ხელს უწყობს დემოკრატიზაციას (Ames Cobián 2008, Arenhövel 2008, Hayner 2001, McAdams 1997, Greiff 2007, Ames Cobián 2008, Stan 2009, de Greiff 2009).

კომუნისტური რეჟიმის დამხობიდან დროის გასვლასთან ერთად რეგიონში გარდამავალი სამართლის საკითხის მიმართ ინტერესის კლების ნაცვლად წარმოიშვა ახალი ცვლადები, რომლებიც ძველი შეხედულებების კორექციისა და ახალი კითხვების დასმის საშუალებას იძლევა. სინთია ჰორნი ასეთ საკითხებს გარდამავალი სამართლის დილემებად მოიხსენიებს და გამოყოფს შემდეგ მათგანს: გვიანი ლუსტრაციის ეფექტურობა, მოსახლეობისა და კომუნისტური რეჟიმის ურთიერთთანამშრომლობის პრობლემა, გარდამავალი სამართლის შესაძლო ნეგატიური გავლენა ისტორიულ მეხსიერებაზე და კომუნისტური რეჟიმის მიმართ მზარდი ნოსტალგია მუდმივი ეკონომიკური და პოლიტიკური სირთულეების ფონზე (Horne 2017, 12). გამოყოფილი საკითხებიდან თითოეული ძირითადად სიმბოლური შემადგენლობისაა და საზოგადოებრივ აზრზე გავლენის მოხდენით შეუძლია ეჭვ-ქვეშ დააყენოს ლუსტრაციის პოლიტიკის საფუძვლიანობა და მისი შესაძლო დადებითი შედეგები. გარდა ამისა, ლუსტრაციის პრაქტიკული განხორციელება დამოკიდებულია შესაბამისი კომისიების შექმნასა და საკანონმდებლო ბაზაზე, რომელიც მოქმედების სივრცეს განსაზღვრავს კანონის უზენაესობასა და სამართლის აღდგენას შორის კონფლიქტის შემცირების თვალსაზრისით. თუმცა, როგორც პრაქტიკაში გამოვლინდა, ერთია კანონებისა და პროცედურების ქონა, ხოლო მეორეა ამ კანონების პრაქტიკაში გამოყენება (ibid., 18). ასევე, სიფრთხილისაკენ მოუწოდებს პრისცილა ჰაინერი, თავის კვლევაზე დაყრდნობით, რომელშიც ორმოცამდე ჭეშმარიტების დამდგენი კომისიის მუშაობაა შესწავლილი (Hayner 2001). მისი მტკიცებით კომისიების არსებობა და



მათი მზარდი რაოდენობა არ გულისხმობს, რომ მათ მიერ გამოვლენილი ფაქტები და მათი მუშაობის ზოგადი გავლენა თანაბრად მაღალია (Ibid., 6).

### 3. ლუსტრაციის მედია-დისკურსი საქართველოში


საქართველო წარუმატებელი ლუსტრაციის ქვეყნად შეიძლება მივიჩნიოთ, სადაც საკანონმდებლო ბაზა მიღებულ იქნა საკმაოდ გვიან და, გარდა ამისა, მის პრაქტიკაში განხორციელებას დღემდე მხოლოდ ნაწილობრივი ხასიათი აქვს. ხელისუფლებაში საბჭოთა ნომენკლატურის წარმომადგენელთა იდენტიფიცირების აუცილებლობაზე საუბარი 1997 წლიდან იწყება არასამთავრობო ორგანიზაცია „თავისუფლების ინსტიტუტის“ მხრიდან (Rožič 2012, 62). ხოლო საკანონმდებლო ინსტიტუტში პირველი ნაბიჯები გარდამავალი სამართლის მიმართულებით იმავე წლის ბოლოსკენ გადაიდგა. კანონპროექტი „საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებისა და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის შესახებ“ (საქართველოს პარლამენტი 1997) პარლამენტარ მიხეილ სააკაშვილის მიერ იქნა წარდგენილი განსახილველად. კანონპროექტზე პარლამენტში გამართული დებატებში ასევე წამოიჭრა ლუსტრაციის საკითხი, რასთან დაკავშირებითაც პარლამენტარი ნინო ბურჯანაძე მიიჩნევდა, რომ საზოგადოება არ იყო მზად ლუსტრაციის პროცესისთვის, რომ მას შესაძლოა მოჰყოლოდა ადამიანებისა და ოჯახების ერთმანეთზე გადაკიდება, ასევე, მკვლელობათა, თვითმკვლელობათა და ადამიანთა სულიერ ტრავმათა რიცხვის ზრდა (ჩაფიძე 1997). როგორც მან აღნიშნა "არ გავაკეთოთ ისე, რომ წინაპართა ცოდვებზე მომავალ თაობას ვაგებინოთ პასუხი" (ibid., A3). არგუმენტი, რომ ლუსტრაციის პროცესით უფრო მეტი დაზიანდება ვიდრე გამოსწორდება, როგორც ვნახავთ, პერიოდულად ხდებოდა ხოლმე კრიტიკის საგანი ლუსტრაციის მომხრეთა მხრიდან. მათი დიდი ნაწილი ლუსტრაციის პროცესს წარსულის გადაფასებისა და დემოკრატიული განვითარების ჭრილში განიხილავს, რომელიც, ყველაფერთან ერთად *მორალურ* და *სულიერ* მალისხმევას მოითხოვს.

პუბლიცისტური წერილი, რომელიც გაზეთ „რეზონანსში“ გამოქვეყნდა,

სწორედ ზემოხსენებული კანონპროექტის გარშემო მიმდინარე დებატებს ეხება. წერილის ავტორი კანონპროექტს ლუსტრაციის ჭრილში განიხილავს, იგი პოსტსაბჭოთა სოციო-პოლიტიკურ სისტემას დაპირისპირებულთა — "დამსმენთა, დასმენილთა, ცოდვით დამძიმებულთა და სისტემისაგან გასრესილ ადამიანთა..." (A 3) საზოგადოებად აფასებს; საბჭოთა პერიოდში ჩადენილ სისტემურ დანაშაულთა მძაფრი გადმოცემისათვის სტალინიზმის პერიოდის რეპრესიათა მსხვერპლთა სახელებს იხსენიებს, როგორებიცაა ტიციან ტაბიძე, მიხეილ ჯავახიშვილი და გალაკტიონი; ამასთან ერთად, დანაშაულებრივ სისტემასთან კოლაბორაციონიზმში საქართველოს მოსახლეობის ერთი მეხუთედაა დადანაშაულებული. სტატიაში ავტორი გამოთქვამს იმედს, რომ „ქართული სახელმწიფო კვლავ ცოდვების მალვის გზით“ (Ibid.) არ წავა და რომ გამოვლენილი იქნება საკმარისი სულიერი ძალა, „რომ ადამიანებმა ერთმანეთს აპატიონ ის რაც წარსულში მოხდა...“ (ibid.).

ზემოთ განხილული სტატია ერთ-ერთი პირველია, რომელიც ლუსტრაციის საკითხს ეძღვნება. „საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის“ საძიებო სისტემა ტერმინ „ლუსტრაცია“-ზე 50-მდე საგაზეთო და საჟურნალო სტატიის შედეგს იძლევა. მე-2 ცხრილში მოცემულია მათი განაწილება წლების მიხედვით.

კვლევისათვის შესაძლებელი იქნა 39 სტატიის შესწავლა, რა რაოდენობაც სრულად არის ლუსტრაციის თემატიკის სტატიათა ერთიანობის რეპრეზენტაციული. თითოეული სტატია წაკითხულ იქნა ტექსტის შინაარსის მატარებელი ნაჭრების, ანუ თემატური ერთეულების გამოსავლენად, რაც აღნიშნული კვლევის კოდირების ძირითად ერთეულს წარმოადგენს. პირველი რიგის ჩაწერის ერთეულები, რომლებიც თითქმის ყველა სტატიაში გვხვდება შემდეგი თემატური ერთეულების ქვეშ იქნება გაერთიანებული:



დიაგრამა 2. ლუსტრაციის საკითხზე დაბეჭდილ სტატიათა სტატისტიკა 1997-2019

აქტუალურობა,  
მოსალოდნელი  
შედეგები,  
და საბჭოთა არქივთა მდგომარეობა.

თითოეული თემატური ერთეული რამდენიმე პოზიციად იყოფა, მაგალითად ლუსტრაციის საკითხის მოსალოდნელ შედეგებზე მსჯელობისას ზოგიერთი ავტორი დადებით ზეგავლენაზე საუბრობს, რომელიც ქვეყნის განვითარებას შეუწყობს ხელს, სხვა ავტორები კი მოსალოდნელ სოციალურ დაპირისპირებებზე ამახვილებენ ყურადღებას.

მეორე განრიგის ჩაწერის ერთეულები, რომლებიც უფრო იშვიათად გვხვდება ლუსტრაციაზე საუბრისას შემდეგი თემებისგან შედგება:

უცხო ქვეყნების გამოცდილება,  
ფარული პოლიტიკური მოტივები,  
ლუსტრაციის სუბიექტები.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კოდირების ეს კატეგორიები გასაანალიზებელი სტატიების წაკითხვის პარალელურად შეიქმნა და ანალიზის ჩაწერის

ერთეულეზად გამოყენებულ იქნა თემები, პერსონაჟები და საკითხები. აქედან პერსონაჟები და საკითხები ნაკლებად პროდუქტიული აღმოჩნდა, რადგან საკითხის თვალსაზრისით მხოლოდ ერთი სტატია მოიპოვება, რომელიც ნეგატიურადაა განწყობილი ლუსტრაციის მიმართ, ასევე მხოლოდ ერთი სტატია მოიპოვება სადაც საუბარია საბჭოთა პერიოდის მოძალადეებსა და მსხვერპლებზე. შესაბამისად, რადგან ლუსტრაციის საკითხი ჩემი ნაშრომის ძირითად თემას არ წარმოადგენს, ნაკლებად პროდუქტიულ კატეგორიები განხილვიდან ამოღებული იქნება.

თემატურ მონაცემთა სინქრონული პერსპექტივიდან გაანალიზება ნათელს ფენს ლუსტრაციის საკითხისადმი ბოლო ოცი წლის მანძილზე დაგროვებულ დადებით და უარყოფით შეხედულებებს. ხოლო დიაქრონიული სურათი, სხვასთან ერთად, გვიჩვენებს იმას თუ როგორ ხდება 2013 წლის შემდგომ ტერმინ ლუსტრაციის, ერთი მხრივ, ტრანსფორმირება თავდაპირველი საზრისის დაკარგვის მიმართულებით, ხოლო, მეორე მხრივ, დისკურსის მოწყვეტა რეალური სამართლებრივ-პოლიტიკური კონტექსტიდან.

არქივების მდგომარეობას შესწავლილი 40 სტატიიდან 15 ეხება. თითოეულ მათგანში აღნიშნულია, რომ უშიშროების არქივები დაკარგულია 1991 წლის სამოქალაქო ომის დროს. მოყვანილია სხვადასხვა ვერსიები იმისა თუ რა გარემოებებში დაიკარგა არქივები. სტატიათა უმეტესობაში საუბარია იმაზე, რომ არქივები 1989-90 წლებში გაიტანეს რუსეთში, ქალაქ სმოლენსკში; ასევე არსებობს ვერსია, რომ არქივი ზვიად გამსახურდიამ გაიტანა გროზნოში, ხოლო რუსეთ-ჩეჩნეთის პირველი ომის დროს არქივი რუსების ხელში ჩავარდა; ხოლო არქივის ის ნაწილი რომელიც არ გაუტანიათ ქვეყნის გარეთ საეჭვო ვითარებაში დაიწვა 1991. საქართველოს საბჭოთა უშიშროების არქივების სხვადასხვა კომბინაციებით გადმოცემული ეს ვერსიები ღიად თუ ფარულად ლუსტრაციის განხორციელების სირთულეებზე, ან შეუძლებლობაზე მიუთითებს, იმ არგუმენტით, რომ თუ ინფორმაცია არასრულია, ან მით უმეტეს, თუ საერთოდ არ არსებობს (სტატიებში ხაზგასმულია, რომ რუსეთში არსებული ქართული უშიშროების არქივები ხელმიუწვდომელია), მაშინ ლუსტრაციის განხორციელება შეუძლებელი ხდება,

არასრული ლუსტრაცია კი შერჩევითი სამართლის ფორმას მიღებს.

ლუსტრაციის საკანონმდებლო ბაზის შექმნის მცდელობები 2001 წლიდან იწყება, საპარლამენტო ოპოზიციის მხრიდან. პარალელურად ამ მიმართულებით აქტიურობდა სამოქალაქო საზოგადოებაც, რომლის მხრიდან განსაკუთრებულ აღნიშვნას იმსახურებს 2003 წლის ოქტომბერში თხუთმეტი არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ შემუშავებული და ხელმოწერილი მანიფესტი „ათი ნაბიჯი თავისუფლებისაკენ.“ მანიფესტში ჩამოთვლილი პოლიტიკურ-სამოქალაქო ცვლილებები და რეფორმები პოლიტიკური პარტიებისათვის გაკეთებული შეთავაზების ფორმას ატარებდა, და მათი მიზანი პოსტკომუნისტური საქართველოს განახლება იყო (რადიო თავისუფლება 2003). პირველი ადგილი კი, — ჩამოთვლილი ათი ცვლილებიდან — ლუსტრაციის კანონს ეკუთვნოდა. თუმცა, გაკვირვებას არ იწვევს ის, რომ შევარდნაძის ხელისუფლება, არანაირ ინტერესს არ გამოხატავს ლუსტრაციის კანონის მიმართ და, პირიქით, აქტიურად მონაწილეობს საბჭოთა არქივების საზოგადოებისაგან დაბლოკვის მცდელობებში (Rožič 2012, *ibid.*).

ვარდების რევოლუციის (2003 წლის ნოემბერი) შემდგომ ძალაუფლებაში მოსული „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ პირობებში ოპოზიციის მიერ შემოთავაზებული ლუსტრაციის კანონი რამდენჯერმე იბლოკება საქართველოს პარლამენტის მიერ. ოპოზიციის წარმომადგენელთა მოსაზრებით, ნაციონალური მოძრაობის ხელისუფლება ლუსტრაციის რეალური პროცესის ისეთი სიმბოლური პროექტებით ჩანაცვლებით იყო დაკავებული როგორც მაგალითად „საბჭოთა ოკუპაციის მუზეუმი“ (გაიხსნა 2006 წლის მაისში); ხელისუფლების წარმომადგენლები კი ამტკიცებდნენ, რომ ლუსტრაციის კანონის მიღების გაჭიანურება ისეთი ტექნიკური პრობლემებით იყო განპირობებული როგორცაა არქივების დაზიანება და არსებული მასალების არასანდოობა.<sup>22</sup>

მოგვიანებით ლუსტრაციის გარშემო არსებულ საზოგადოებრივ და

---

<sup>22</sup> აღნიშნული არგუმენტებისათვის იხ. გოეთეს ინსტიტუტში 2007 წლის 9 მარტს ლუსტრაციის საკითხზე გამართული საჯარო დებატების მასალები, სადაც ოპოზიციის მხრიდან წარმოდგენილი იყო „რესპუბლიკური პარტიის“ წევრი ივლიანე ხაინდრავა, ხოლო ხელისუფლების მხრიდან — „ნაციონალური მოძრაობის წევრი“ ნიკოლოზ რურუა.

პოლიტიკურ დისკურსში ჩნდება ეჭვი იმის თაობაზე, თუ რამდენად აქტუალურია ლუსტრაციის კანონი. 2008 წლის მაისში ერთ-ერთ პოპულარულ ჟურნალში გამოქვეყნდა ვრცელი სტატია, რომელიც მიზნად ისახავდა იმ ცვლილებების მიმოხილვას, რომლებიც განხორციელდა ზემონახსენები მანიფესტის — „ათი ნაბიჯი თავისუფლებისაკენ“ — შედგენიდან 5 წლის შემდგომ (ცხელი შოკოლადი #38, 120-169). ლუსტრაციის კანონის შესახებ გამოკითხულ საზოგადო მოღვაწეებსა და პოლიტიკოსებს შორის ფიქსირდება ორი არგუმენტი, რომლებიც ართულებს, ან არასაჭიროს ხდის ლუსტრაციის კანონის მიღებას. პირველი არგუმენტი ქართული საზოგადოების გულგრილობაა წარსულის პრობლემური საკითხების განხილვის მიმართ. ისტორიკოსი ლაშა ბაქრაძე აღნიშნავს:

ქართულ საზოგადოებას საერთოდ ურჩევნია მტკივნეულ თემებს გვერდი აუაროს და მათზე არ ილაპარაკოს. ეს ასეა, არა მარტო ლუსტრაციის, არამედ საბჭოთა კავშირის ისტორიის სერიოზულად შესწავლის შემთხვევაშიც“(149).

რესპუბლიკური პარტიის წევრმა ივლიანე ხაინდრაგამ ამგვარი შეხედულება შემდეგნაირად გამოხატა:

[...] საზოგადოებაში არის გარკვეული შიში იმისა, ყველაფრის ამოქექვა რომ დავიწყოთ, გაუთხვრელი ცოტა ვინმე თუ დარჩება (150).

თინა ხიდაშელი კი, იმჟამად ასევე რესპუბლიკური პარტიის წევრი, საზოგადოებაში არსებულ ერთ-ერთ ანტილუსტრაციულ მოსაზრებას იშველიებს:

ლუსტრაციის კანონის ვერ მიღებას, ბევრი რადიკალურად განსხვავებული მიზეზი აქვს. მაგალითად ასეთი: სიბრაღის განცდა — ამბობენ, საბჭოთა სისტემაში ამ ადამიანებს არჩევანი არ ჰქონდათო (150).

ლუსტრაციის კანონის მიღებასთან დაკავშირებულ მეორე პრობლემურ საკითხად კი მისი დაგვიანებაა მიჩნეული, რომელიც გარკვეული მოსაზრებით ეჭვქვეშ აყენებს მის საჭიროებას. მაგალითად გიგი თევზაძე, ილიას ჭავჭავაძის

სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, მიიჩნევდა, რომ:

ამ ჩანაწერს "10 ნაბიჯში" [საუბარია ჩანაწერზე ლუსტრაციის კანონის მიღების აუცილებლობის შესახებ — კ. ლ.] სიმბოლური მნიშვნელობა ჰქონდა... საქართველოში ლუსტრაციის კანონს სერიოზული მნიშვნელობა ექნებოდა, თუ ამ კანონს 90-იან წლებში მივიღებდით. ... 90-იან წლებში საბჭოთა ნომენკლატურა ჯერ კიდევ ახალგაზრდა იყო და ქვეყნის მართვაში აქტიურად მონაწილეობდა. დღეს ამ კანონის მიღება უფრო მეტად სიმბოლური აქტია, ამ კანონის სუბიექტები უკვე აღარ არსებობენ (150).

მსგავს მოსაზრებას იმეორებენ ლაშა ბაქრაძე და თინა ხიდაშელი, რომელთა აზრითაც, დაგვიანების გამო საქართველოში ლუსტრაციამ განსხვავებული ფორმა უნდა მიიღოს, ვიდრე აღმოსავლეთ ევროპაში განხორციელებულმა პროცესებმა, რომლებიც წარმატებული პოსტკომუნისტური ლუსტრაციების მაგალითად არიან ცნობილი.

გასაკვირი არაა, რომ მიმოხილვაში შესულ ყველა ინტერვიუში ტერმინი ლუსტრაცია იმ მნიშვნელობით გამოიყენება, რაც მან საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში შეიძინა, კერძოდ კი სსრკ-ს საიდუმლო აგენტთა გამოაშკარავების პროცესი. თუმცა, საბჭოთა წარსულის შესწავლისა და გადაფასების პროცესი, რასაც ლუსტრაციის თანმდევი მოვლენა და გარდამავალი სამართლის აუცილებელი შემადგენელია, მოხსენიებულია როგორც არა ხელისშემწყობი ფაქტორი, არამედ ფენომენი რომელსაც ქართული საზოგადოება თავს არიდებს, სხვადასხვა ირაციონალური მოტივით. ლუსტრაციის ამ პერიოდის დისკურსიდან ვლინდება, რომ გარდამავალი სამართლის ისეთი ელემენტები, როგორცაა ლუსტრაცია და წარსულის გადაფასება, განიხილება ისეთ ცვლილებებზე, რომლებიც საზოგადოებრივი აზრის ცალმხრივი გავლენის ქვეშ არიან. თავად საზოგადოებრივი აზრი კი ლუსტრაციისა და საბჭოთა წარსულის გადაფასების შესახებ ინდიფერენტული ან ნეგატიური განწყობის მატარებელია. საზოგადოებრივი აზრის შექმნის აუცილებლობაზე და მეთოდებზე არცერთი რესპონდენტი არ საუბრობს, ერთ-ერთი მათგანი კი ასეთ ინსტიტუტს, რომელიც საქართველოს სსრკ-ს შემადგენლობაში ყოფნას

ოკუპაციად წარმოაჩენს, აკრიტიკებს, კერძოდ კი, რესპუბლიკური პარტიის წევრის, ივლიანე ხაინდრავას თქმით: „თვალთმაქცობაა საბჭოთა ოკუპაციის მუზეუმით ლუსტრაციის კანონის ჩანაცვლება“ (150).

მოყვანილი მაგალითები ნათელს ხდის, რომ ლუსტრაციის დისკურსი ქართულ რეალობაში მისი მხოლოდ ტექნიკურ-პრაგმატული ნაწილით შემოიფარგლებოდა და არ სარგებლობდა ფართო საზოგადოებრივი მხარდაჭერით, რადგან საბჭოთა წარსულის გააზრებისა და გადაფასებისკენ მიმართული სიმბოლურ-საგანმანათლებლო საქმიანობა არასაკმარისი მოცულობით მიმდინარეობდა. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ გარკვეულ სახელმწიფოებში კომუნისტური რეჟიმის მიმართ მზარდი ნოსტალგია, რაც მძიმე ეკონომიკური პირობებითაა გამოწვეული, ლუსტრაციის პროცესის დილემას წარმოადგენს (Horne 2017, 12). საქართველოს შემთხვევაში კომუნისტური რეჟიმის მიმართ მზარდი ნოსტალგიის ერთ-ერთი ძირითად ინდიკატორს სტალინის თაყვანისცემა წარმოადგენს. რა უფრო მეტად ჭარბობს სტალინის სიმბოლოში — კომუნისტური (ინტერნაციონალური) თუ ნაციონალისტური ელემენტები? თუმცა ლუსტრაციის პროცესის მომხრეები კანონის მიღების გაჭიანურებას ნოსტალგიასთან ერთად იმ პირთა აქტიურ საქმიანობას აბრალებდნენ, რომლებსაც ლუსტრაციის კანონი პირდაპირ ეხება. გაზეთ „24 საათში“ გამოქვეყნებული ღია წერილში „ნაპატიები დანაშაულის ქვეყანა?..“ ავტორი გამოთქვამს წუხილს იმაზე, რომ საქართველო დასავლეთის პოლიტიკურ წრეებში ტრადიციულად საბჭოთა კავშირის მხარდამჭერ ქვეყნად აღიქმებოდა და, ამასთან ერთად, 1980-იანების ბოლოს გაჩენილი „ღირებულებათა გადაფასების“, ანუ საბჭოთა წარსულის გააზრების მუხტი მალევე დამუხრუჭდა. ხოლო ამგვარი საზოგადოებრივი განწყობების პირობებში ლუსტრაციის კანონის მიღების გაჭიანურებამ, ავტორის აზრით, შეიძლება გააჩინოს შთაბეჭდილება, რომ „აგენტობა სარფიანი და, რაც მთავარია, დაუსჯელი საქმიანობაა (ibid. A11). ავტორი აბსურდულს უწოდებს მოსაზრებას, რომ ადამიანის დანაშაული მისი სიკვდილიდან დიდი ხნის შემდეგაც კი არ უნდა იქნეს გაჟღერებული, რადგან ამით ზიანი მიადგება ამ ადამიანის ოჯახს, რადგან იგი მხოლოდ მორალური



პასუხისმგებლობის თავიდან აცილებას ემსახურება და არ ესადაგება იმ ახალ ღირებულებებს რომლისკენაც ისწრაფვის საქართველო.

2011 წლის 31 მაისს საქართველოს პარლამენტის მიერ დამტკიცებული „თავისუფლების ქარტია“ (საქართველოს პარლამენტი, თავისუფლების ქარტია 2011), რომლითაც ლუსტრაცია პირველად დაკანონდა საქართველოში, მოიცავს ლუსტრაციის როგორც სიმბოლურ, ასევე პრაგმატულ მხარეებს. „თავისუფლების ქარტია“ ითვალისწინებს „სპეციალური კომისიის შექმნას, რომელიც აგროვებს მონაცემებს და აწარმოებს იმ პირთა რეესტრს, რომლებიც საიდუმლოდ თანამშრომლობდნენ ყოფილი სსრკ-ის სპეციალურ სამსახურებთან“; ამასთან ერთად, მისი მიზნები მოიცავს „კომუნისტური ტოტალიტარული და ფაშისტური სიმბოლიკის, საკულტო ნაგებობების, ძეგლების, მონუმენტების, ბარელიეფების, წარწერების, ქუჩების, მოედნების, სოფლებისა და დაბების სახელწოდებების აღმოფხვრას“ (Ibid.).

აღნიშნული კანონპროექტი შესაძლოა ჩაითვალოს საქართველოში ლუსტრაციის პროცესის წარმატების მთავარ მტკიცებულებად (იხ. Rožič 2012), თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ მხოლოდ 2013 წლის დეკემბერში იქნა მიღებული ცვლილებები, რომლებიც კანონპროექტის რეალური ამუშავების შესაძლებლობას ქმნიდა (იხ. ჩუხუა 2014). შემდგომი საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად კი სსრკ-ს უშიშროების ინსტიტუტთა აგენტების რეესტრის დამდგენი კომისიის მუშაობა 2016 წლის მაისისთვის განისაზღვრა (იხ. IDFI 2016), თუმცა მას შემდეგ კომისიის მუშაობის შესახებ აღარაფერია ცნობილი (იხ. რადიო თავისუფლება 2018).

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 28 ოქტომბრის გადაწყვეტილებით კი თავისუფლების ქარტიის გარკვეული პუნქტები, რომლებიც მაღალი თანამდებობის ყოფილ საბჭოთა პარტიულ და კომკავშირულ ფუნქციონერებს საჯარო სამსახურში არჩევისა და დანიშვნის შეზღუდვებს უწესებს, უკანონოდ იქნა მიჩნეული საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებაში, რომელიც ადამიანის პატივსა და ღირსებას ხელშეუვლად აცხადებს (საკონსტიტუციო სასამართლო (საქართველო) 2015).

სასამართლოს არგუმენტებით სადავო ქვეპუნქტები: არ ითვალისწინებს კონკრეტულ გარემოებებს ყოველი ინდივიდის მიმართ; დროის ხანგრძლივობასთან ერთად აქტუალობას კარგავს საფრთხეები, რაც საფუძვლად დაედო კანონის მიღებას; ასევე კანონის მოქმედებას დაუკავშირდა გარკვეულ პირთა და ჯგუფთა სტიგმატიზების საფრთხე, და რომ ამგვარი სამართლებრივი რეჟიმი პირს აქცევს სამართლის ობიექტად და არა სუბიექტად (სასამართლო დასკვნის მოკლე ანგარიშისათვის იხ., ჭიოკაძე 2015). საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების შედეგად „თავისუფლების ქარტიიდან“ სადავო ქვეპუნქტები ამოვარდა, მიუხედავად იმისა, რომ შესაძლებელი იყო გარკვეული მოდიფიკაციების შემთხვევაში მათი შენარჩუნება (მაისურაძე 2015, 13).

ქარტიის ერთ-ერთი ავტორის პარლამენტარ გია თორთლაძის კომენტარით: „თავისუფლების ქარტიამ“ საქართველოში რეალურად ვერ იმუშავა“ (რეხვიაშვილი 2015). კანონის მთავარ მოწინააღმდეგეებად კი ერთი მხრივ ყოფილ ფუნქციონერებს, მეორე მხრივ კი მათ შთამომავლობას ასახელებს (*ibid.*). კანონში ცვლილებების ავტორმა და ინიციატორმა პარლამენტარმა ლევან ბერძენიშვილმა კი მწუხარება გამოთქვა იმის თაობაზე, რომ ლუსტრაციის კანონს „არ უმოქმედია საქართველოში არცერთი წამით“ (*ibid.*) და რომ სასამართლოს ამ გადაწყვეტილებით მოძალადეთა უპირატესობის სიმბოლური დაძლევა კი შეუძლებელი ხდება (*ibid.*).

კანონის უმოქმედობაზე საუბრობს ექსპერტთა სხვა ჯგუფიც, რომლებიც კანონის ჩავარდნას არა ტექნიკურ არამედ პრინციპულ საკითხად განიხილავენ. ასე მაგალითად პოლიტოლოგი სოსო ცინცაძე ისტორიულ მაგალითებს იმუშავებს იმის შესახებ თუ როგორ მსახურობდნენ ბოლშევიკებისა და ნაპოლეონის სამსახურში წინა რეჟიმების ოფიცრები და თანამდებობის პირები და აბსურდად მოიხსენიებს ამგვარი მოტივით ადამიანის დაწუნებას. მისი თქმით „...ეს გამოქვაბულის ეპოქის მენტალობაა, რაც, განსაკუთრებით პატარა ქვეყნებს ახასიათებს“ (ნოზაძე 2015). ხოლო პოლიტოლოგი ვახტანგ ძაბირაძე „თავისუფლების ქარტიას“ წინა ხელისუფლების პიარის შემადგენელ ნაწილად მოიხსენიებს და შეუძლებლად მიიჩნევს მის პრაქტიკულ განხორციელებას,

რადგან არ არსებობს ინფორმაცია იმ პირთა შესახებ, ვისაც უნდა შეეხოს ეს კანონი, გარდა ამისა, ეს პირები დღეს 60 წელს გადაცილებულნი არიან და აღარანაირ საფრთხეს არ წარმოადგენენ (ibid.).

ზემოთ მოყვანილ ორ სტატიაში კიდევ ერთხელ თავს იყრის წლების განმავლობაში დაგროვებული ლუსტრაციის საწინააღმდეგო და მომხრე არგუმენტები. როგორც ჩანს, ამ არგუმენტებს ამჟამად მხოლოდ ისტორიული მნიშვნელობა შემორჩა საბჭოთა წარსულის გადაფასების კუთხით, ხოლო მათი პრაქტიკული ფუნქცია განუხორციელებელი დარჩა. 2011 წლის 30 მაისს ჩატარებულ საჯარო დისკუსიაში „თავისუფლების ქარტის“ ინიციატორმა პარლამენტარმა გაია თორთლაძემ ერთ-ერთ კითხვაზე მიუთითა, რომ კანონპროექტის ლუსტრაციის ნაწილში ვადებზე არაფერია ნათქვამი, რადგან „20 წლის ვადაში ეს ხალხი [ვისაც შეიძლება რომ ლუსტრაცია შეეხოს — კ. ლ.] აღარ იქნება ცოცხალი...“ (თორთლაძე, ჩუგოშვილი და თოდუა 2012). ამ სიტყვების თქმიდან ამჟამად უკვე 11 წელია გასული, სათუთა, ამუშავდება თუ არა ლუსტრაციის კანონი დარჩენილ 9 წელიწადში.

## V. პოსტსაბჭოთა ქართული ტექსტური სტალინიადა

### 1. სტალინიადის ცნება

ტერმინ „სტალინიადის“ ქვეშ მოიაზრება იოსებ სტალინის ფიგურისა და პერსონაჟის გარშემო შექმნილი ხელოვნების ნაწარმოებთა ერთობლიობა. აქ შეიძლება იგულისხმებოდეს ფერწერა, სკულპტურა, თეატრი და კინემატოგრაფია, მხატვრული ლიტერატურა, საავტორო თუ ხალხური პოეზია და ვოკალური ნაწარმოებები. აღნიშნული ჟანრის ერთ-ერთი პირველი საბჭოთა მკვლევარი მწერალი და ლიტერატურათმცოდნე იური ბორევი სტალინიადის კვლევისას ჟანრობრივად მრავალპლასტიან მასალას იყენებს, რომელიც მოიცავს სტალინის ეპოქის თანამედროვეების მოგონებებს, ისტორიულ ანეკდოტებს, ლირიკულ და პუბლიცისტურ განაზრებებს, მხატვრულ ქრონიკას, ტრაგედიას, კომედიას, ლეგენდებს, აპოკრიფებს, მითოლოგიას, ბიოგრაფიულ რომანებს სტალინზე და სხვ. (Борев 1990, 10). ეს ჟანრობრივი მრავალფეროვნება, ავტორის თქმით, „ერთიან ეპიკურ ისტორიას — „სტალინიადას“ — ქმნის“ (იქვე).

მსგავსი მიდგომით სტალინიადაში გაერთიანებულია არა მხოლოდ ქმნილებები, რომლებიც სტალინს პოზიტიური კუთხით წარმოაჩენს, არამედ ასევე ნაწარმოებები, სადაც მის მიმართ ნეგატიურ-კრიტიკული მიდგომაა გატარებული. წინამდებარე თავის მიზანი ქართული ტექსტური სტალინიადის დინამიკის ჩვენებაა — სტალინიზმის, დესტალინიზაციისა და პოსტსაბჭოთა — პერიოდების მანძილზე. ქართულ ტექსტურ სტალინიადაში იგულისხმება საქართველოში დაბეჭდილი, სტალინის ავტორობით, ან ქართველი ავტორების მიერ მისთვის მიძღვნილი პუბლიკაციები. აღნიშნული ლიტერატურის დინამიკაში კი იგულისხმება სტალინისტურ და ანტი-სტალინურ ერთეულ გამოცემათა რაოდენობა წლების მიხედვით.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ წინამდებარე მიმოხილვის მიზანი არ არის ჩემი კვლევის ძირითადი მასალის — პოსტსაბჭოთა ტექსტური სტალინიადის —

საერთო, სტალინისტური ლიტერატურის კონტექსტში მოქცევა. არამედ მიზანი მხოლოდ ისტორიული სურათის აღდგენაა, რომელიც დისტანციიდან დაგვანახებს იმას, თუ რით განსხვავდება პოსტსაბჭოთა პერიოდი ორი წინამორბედი პერიოდისგან. წინასწარ შეგვიძლია შევნიშნოთ, რომ შუა, ანუ დესტალინიზაციის პერიოდი გამოხატულად მწირია სტალინური ლიტერატურით წინა და მომდევნო პერიოდებისგან განსხვავებით. სწორედ ასეთი კონტრასტული სურათი მოგვცემს სიღრმისეული გაგებისა და ახალი ჰიპოთეზების შემუშავების საშუალებას იმის ასახსნელად, თუ რა კულტურულ ფენომენს წარმოადგენს თანამედროვე, ანუ პოსტსაბჭოთა სტალინიზაცია.

რაც შეეხება მეთოდოლოგიას, რომელსაც ვიყენებთ სტალინისტურ პუბლიკაციათა ისტორიული სურათის შექმნის მცდელობისას, უნდა აღინიშნოს, რომ საბჭოთა თუ პოსტსაბჭოთა პერიოდების კატალოგთა ანალიზისას ანგარიშში იქნება მიღებული ტექსტები, რომლებიც ხელოვნების ნაწარმოებს განეკუთვნება, ასევე კრიტიკული ტექსტები და თავად სტალინის ავტორობით გამოცემული პუბლიკაციები. ძირითადი მახასიათებელი, რომელსაც ტექსტთა ამგვარი დახარისხებისას მიენიჭება უპირატესობა იდეოლოგიური დატვირთვაა, რომელიც შეიძლება სხვადასხვა რიტორიკული ფორმებით იქნეს გადმოცემული. მაგალითად გიორგი ლეონიძის პოემა „ბავშვობა და ყრმობა“ (1939) მოვლენათა პოეტურ ფორმაში გადაყვანითა და მითოლოგიზაციით დაბადების მომენტიდან სტალინის გამორჩეულ როლზე საუბრობს; ხოლო ლ. ასათიანის ნაშრომი „სტალინი და ქართული ლიტერატურის საკითხები“ (1954) ისტორიული მონოგრაფიის ფორმით მკითხველს იმას უყვება თუ როგორ ასრულებდა სტალინი ამ განსაკუთრებულ როლს ლიტერატურის სფეროში.

*იდეოლოგია* ზემოთ მოყვანილ მსჯელობაში ფართო მნიშვნელობით არის გამოყენებული და არ გულისხმობს სოციალისტური პოლიტიკურ-საზოგადოებრივ-ეკონომიკური სისტემის დებულებებს, რომელთა უმეტესი ნაწილი ბოლშევიკური სისტემის მიერ დოგმატური კუთხით იქნა გადამუშავებული და მიწოდებული საბჭოთა საზოგადოებისათვის. იდეოლოგიაში ფართო გაგებით იგულისხმება წარდგენა იმისა, თუ ვინ ვართ

ჩვენ, რა არის ჩვენი ღირებულებები და რა ურთიერთობაში ვართ სხვა ჯგუფებთან — მტრებთან და მოწინააღმდეგეებთან, რომლებიც საფრთხეს უქმნიან ჩვენს ინტერესებსა და უფლებებს (Dijk 1998, 69). იდეოლოგია შიდა და გარე სოციალურ ჯგუფთა წარმოსახვის საკუთარ მოთხოვნილებებზე ორიენტირებული სქემაა, რომელიც ჯგუფის ფუნდამენტურ სოციალურ, ეკონომიკურ, პოლიტიკურ და კულტურულ ინტერესებს ასახავს. ხოლო რაც შეეხება *რიტორიკის* ცნებას, მას სხვადასხვა ფორმის ტექსტთა კომუნიკაციური პოტენციალის ანალიზისათვის გამოვიყენებთ. როგორც ურთიერთ შედარების ზემოთ მოყვანილი მაგალითი გვიჩვენებს ტექსტები ჟანრიდან გამომდინარე თავის სათქმელს სხვადასხვა პათოსით გადმოსცემენ. მაგალითად, პოეზია მითს იყენებდეს,<sup>23</sup> მონოგრაფია — იდეოლოგიას,<sup>24</sup> ხოლო თავად სტალინის ავტორობით გამოცემული ტექსტები ძალაუფლების კონცეფციის ქვეშ უნდა იქნეს განხილული.

უშუალოდ სტალინის მოღვაწეობის პუბლიცისტური მხარე განხილულია ფილოლოგ და ლიტერატურათმცოდნის მიხეილ ვაისკოპფის ნაშრომში „მწერალი სტალინი“ (Вайскопф 2001). მონოგრაფიაში ავტორი სტალინის სამწერლო სტილსა და არგუმენტაციის კილოს პოლიტიკური დატვირთვის კუთხიდან განიხილავს და ეყრდნობა მოსაზრებას, რომლის მიხედვითაც სწორედ სტილი და ენა გახდა სტალინის სახელისუფლებო აღმასვლის ძირითადი იარაღი, მიუხედავად მათი პრიმიტიულობისა ზოგადად დაბალი ბოლშევიკური დონის პირობებშიც კი (იხ. იქვე, 7). საბჭოთა კავშირის დაშლის წინა წლებში, რომელიც ისტორიოგრაფიაში „გარდაქმნისა“ და „საჯაროობის“ პოლიტიკითაა ცნობილი, სტალინიზმის პერიოდის მოვლენების საჯარო განხილვაზე ტაბუს მოხსნამ, ერთი მხრივ დესტალინიზაციის ბოლომდე მიყვანის შესაძლებლობა გააჩინა, მეორე მხრივ კი, სტალინისტურ განწყობათა გამოვლინებებსაც გაუხსნა

---

<sup>23</sup> როდერიკ ჰარტი მიიჩნევს, რომ ნებისმიერი რიტორიკული აქტი გარკვეულ მითს საჭიროებს, იმისათვის, რომ აუდიტორიას დაამახსოვროს საკუთარი სათქმელი (Hart and Daughton 2005, 242-3).

<sup>24</sup> ზემოთ მოყვანილი განმარტების შევსება შესაძლებელია იდეოლოგიის სიმბოლოთა სისტემად წარმოსახვით, რომელიც მარქსისტული რიტორიკის მკვლევრის ჯეიმს ონის განმარტებით მოიცავს კონვენციურ გამონათქვამებსა და ერთად შეკრულ „განსხვავებულ რიტორიკულ იდიომებს“, ძირეულ მეტაფორებს, ნარატივებსა და განმეორებად არგუმენტებს (Aune 2019). სწორედ იდეოლოგიური კონტექსტი ქმნის სხვასთან ერთად ისტორიული ნაშრომების შედგენის გარემოს.

ასპარეზი. საბჭოთა პერიოდის ბოლო წლებში მკითხველს უკვე შეეძლო საბჭოთა ავტორთა შედგენილი და საბჭოთა ოფიციალურ გამომცემლობათა მიერ დაბეჭდილ წიგნთა გაცნობა, რომლებშიც სტალინი და სტალინიზმის ეპოქა იყო აღწერილი და გაკრიტიკებული (Макаренко 1989, Сенокосов 1989, Мерцалов 1991, Боров 1991, Коби 1989, Боров 1990).

„საჯაროობის“ პოლიტიკის ეფექტის შეფასება რთული ამოცანაა. რა თქმა უნდა, მისი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შედეგი სტალინიზმის პერიოდში ჩამოყალიბებული სოციალური კონსტრუირების მოდელის დანგრევა იყო, რომელიც ინფორმაციის სრული კონტროლისა და სეგრეგაციის მექანიზმზე იყო დაფუძნებული (Медушевский 2010, 4-7). თუმცა, სტალინის ღირსების დაცვა და მის წინააღმდეგ მიმართული კრიტიკის ასხლეტა, ამასთან ერთად, თავად „საჯაროობის“ პერიოდის მოვლენაა. გარდაქმნის პერიოდში რუსეთში სტალინისტურ ლიტერატურას წინა უსწრებს ანტი-სტალინური ლიტერატურა. საქართველოში კი პირიქით ჯერ სტალინისტური განწყობები ვლინდება და შემდეგ მას ნელი ტემპით მოსდევს ანტი-სტალინური პუბლიკაციები.

წინამდებარე თავი ქართული სტალინისტური ლიტერატურის ბიბლიოგრაფიულ კვლევას დაეთმობა, რომლის მთავარი მიზანიც საგამომცემლო დინამიკის დემონსტრაციაა. მართალია, ანალიზის კუთხით ჩემი წინამდებარე ნაშრომის ინტერესის საგანს პოსტსაბჭოთა სტალინისტური ლიტერატურა წარმოადგენს, მაგრამ ამ ლიტერატურის არა უბრალოდ სოციო-პოლიტიკური არამედ ასევე თავად საგამომცემლო კონტექსტში მოთავსებისათვის საჭირო იქნება ქართული სტალინიადის სრული სურათის აღდგენა სტალინიზმის, დესტალინიზაციისა და პოსტსაბჭოთა პერიოდებში. ნაჩვენები იქნება პუბლიკაციათა და ნაშრომთა ჟანრები, და რაოდენობა წლების მიხედვით. ნაჩვენები იქნება პროპაგანდისტული ჟანრის ბიოგრაფიული, ისტორიული, თეორიული და მხატვრულ-პოეტური ტექსტები, რომელთა შორისაც საკმაოდ დიდი რაოდენობა პუბლიკაციებისა თავად სტალინს ეკუთვნის. სტალინის სიკვდილისა და 1956 წლიდან დე-სტალინიზაციის პოლიტიკის ინიცირების შემდეგ სტალინის ხსენება ნებისმიერი ჟანრის ბეჭდვით

მედიაში წყდება და 30 წლიანი დუმბილის შემდეგ ქართული სტალინისტური ლიტერატურის აღორძინება 1989 წლიდან იწყება, რომელიც თავისი ინტენსივობით საბჭოთა პერიოდს არ ჩამოუვარდება.

## 2. სტალინისტური ლიტერატურა: 1990-2021

წინამდებარე თავში მიმოხილული იქნება 1990-დან 2021 წლამდე დაგროვებული ქართული სტალინისტური ლიტერატურა, ძირითადად, წიგნის ფორმატის პუბლიკაციები, რომლებშიც ავტორთა მიერ სტალინის ფიგურა განხილულია პოზიტიური კუთხით და ეჭვქვეშ არის დაყენებული მისი კრიტიკის ტენდენციები. მიმოხილვაში არ შევა ამავე პერიოდის ჟურნალ-გაზეთებში დაბეჭდილი ამგვარი თემატიკის პუბლიცისტური სტატიები და მხატვრული ტექსტები. რა თქმა უნდა, პერიოდიკაში გამოცემული სტატიები ასევე სტალინისტური დისკურსის ნაწილია და კვლევის წყაროდ ხშირად აქედან აღებული მასალასაც გამოვიყენებ, მაგრამ წინამდებარე ნაშრომში პერიოდიკაში გამოქვეყნებული ლიტერატურის სრული ანალიზი შესაძლებელი არ არის მისი მოცულობიდან გამომდინარე. შესაბამისად, შემოვიფარგლებით მხოლოდ წიგნის ფორმატის პუბლიკაციებით, რომელიც საერთო სტალინისტური დისკურსის რეპრეზენტატულია.

წინამდებარე თავში გაშლილი ბიბლიოგრაფიული კვლევა ეფუძნება „საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის“ (<https://www.nplg.gov.ge/geo/home>) სხვადასხვა ფონდის (წიგნთსაცავი, საარქივო ფონდი და ქართველოლოგია) კატალოგთა ელექტრონულ საძიებო სისტემაში ჩატარებულ კვლევას, ტერმინ „სტალინი“-ს გარშემო არსებული შედეგების ანალიზით. აღნიშნული საძიებო ტერმინი მიგვითითებს 323 პუბლიკაციაზე ქართულ (201 ერთეული), რუსულ (76 ერთეული), ინგლისურ (35 ერთეული), ასევე გერმანულ, ფრანგულ, პოლონურ და იტალიურ (11 ერთეული) ენებზე. ქართულ ენაზე არსებული პუბლიკაციების ნაწილი ინგლისურიდან და სხვა დასავლური ენებიდან თარგმნილი პოპულარული ისტორიოგრაფიული ნაშრომებია, რომლებიც ქართული სტალინისტური ბიბლიოგრაფიის



სტატისტიკაში შეტანილი არ იქნება, რადგან ამ უკანასკნელში მოვაქცევთ მხოლოდ ქართველი ავტორების ნაშრომებს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მოძიებულ პუბლიკაციებს შორის არის თბილისსა და ბათუმში გამოქვეყნებული რამდენიმე წიგნი რუსულ ენაზე, რომელთა ავტორებსაც ქართული გვარი აქვთ, რის გამოც აღნიშნული წიგნები განხილული იქნება სტალინურ პუბლიკაციებად საქართველოს რუსულენოვანი მოსახლეობისათვის, ამიტომ შეტანილი იქნება ქართულ სტალინურ ბიბლიოგრაფიაში.

ამასთან ერთად, საძიებო სისტემის მიერ შემოთავაზებული წიგნების ნაწილი არ ეხება უშუალოდ სტალინის, ან სტალინიზმის საკითხს, არამედ მხოლოდ ერთი, ან რამდენიმე თავი ეთმობა ამ თემატიკას. აღნიშნული წიგნების ნაწილი (ავტო)ბიოგრაფიულია, სადაც თავი სტალინის შესახებ პერიოდის პოლიტიკური სურათის აღწერას ემსახურება. აქვეა მოცემული კონფერენციებისა და სიმპოზიუმების მოხსენებათა რამდენიმე კრებული, რომელთა მასალებშიც ერთი, ან რამდენიმე თავია სადაც სტალინის სახელი ფიგურირებს. ამავე შედეგებშია შესული საცნობარო ჟანრის წიგნები, სადაც თავმოყრილია დიდი/გამორჩეული ქართველები, რომლის განხილვასაც ცალკე თავი დაეთმობა, რადგან იგი აჩვენებს იმას, თუ როგორ ათავსებენ სტალინს ქართულ ეროვნულ გმირებს შორის. აქვეა მოცემული ლექსებისა და მოთხრობების კრებულები, პირველის შემთხვევაში განსაკუთრებულადაა წარმოჩენილი სტალინის ლექსი „დილა“, რის განხილვასაც ცალკე თავი დაეთმობა, ხოლო მოთხრობების შემთხვევაში სტალინის სახელი პერიოდულად ჩნდება თანამედროვე ქართველ ავტორთა ნაშრომების სათაურებში. აღნიშნული ლიტერატურა ასევე არ შევა სტალინურ ბიბლიოგრაფიაში, რადგან ხშირ შემთხვევაში ზემოთ განხილულ წიგნებში სტალინს მხოლოდ ერთი, ორი, ან რამდენიმე გვერდი ეთმობა.

ასევე ძიების შედეგებში მოცემულია ქართველ ავტორთა ისტორიოგრაფიული ნაშრომები სტალინის შესახებ, რომელთა ნაწილის აკადემიური ღირებულება შესაძლოა კითხვის ნიშნის ქვეშ იდგეს, თუმცა მაინც გამოვარჩევთ საკითხისადმი ნეიტრალური დამოკიდებულებით და შეგვყავს სტალინისტური ლიტერატურის ბიბლიოგრაფიაში, რათა სრულად იქნეს

წარმოჩენილი მისდამი ზოგადი ინტერესის სურათი.

ძიების შედეგებში განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენს პუბლიკაციები, რომლებშიც პოზიტიური კუთხიდან წარმოჩენილი და განდიდებულია სტალინი, უარყოფილია მისი დანაშაულები და წარმოჩენილია დამსახურებები. აღნიშნულ ლიტერატურაში განსაკუთრებული ადგილი უკავია მეორე მსოფლიო ომში გამარჯვებას, როგორც სტალინის „სამხედრო გენის“ დადასტურებას და „უზარმაზარ დამსახურებას“ კაცობრიობის წინაშე. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ძიების შედეგებში მოცემულ რუსულ ენოვან ლიტერატურაში მეორე მსოფლიო, იგივე სამამულო ომი გამორჩეულ თემატიკას წარმოადგენს რომლის ფონზეც სხვადასხვა რუსი ავტორი სტალინის პოლიტიკურ-სამხედრო მოღვაწეობას განიხილავს. ქართველ სტალინისტ ავტორებს კი სხვა გამორჩეული თემაც აქვთ, რომელიც არანაკლებ ინტერესს წარმოადგენს, ეს არის სტალინის ქართველობისა და მისი საქართველოსადმი დამოკიდებულების საკითხია.

ერთ-ერთ ძირითად ნარატივს, რომელიც წარმოჩენილია როგორც სტალინის ქართველობის უტყუარი საბუთი მისი გაზეთ „ივერიაში“ გამოქვეყნებული ლექსებია, რომელზეც აგებულია მითოლოგია მოზარდ სტალინსა და ჟურნალის რედაქტორ — ილია ჭავჭავაძეს — შორის ურთიერთობის, თანამშრომლობისა და მეგობრობის შესახებ. აღნიშნული მითოლოგია 1930 წლების მეორე ნახევრიდან იქმნება და იგი, როგორც ლიტერატურის მიმოხილვაში გვაქვს ნაჩვენები დეტალურადაა შესწავლილი საბჭოთა პერიოდის მკვლევრების მიერ. თუმცა პოსტსაბჭოთა პერიოდში პოეტი სტალინის მითოლოგია ტრანსფორმირდება და გარკვეულ პუბლიკაციებში მისი ლექსები რეპრესირებულ პოეტთა ლექსების გვერდით იბეჭდება. გარდა ამისა უხვადაა მოცემული სტალინის ლექსებისა და მათი სხვა ენებზე თარგმანების კრებულები (სოსელი 1992; სოსელი 1992 (ბ); იოსებ სტალინი — სოსელი 1999; სტალინი 2008).

მნიშვნელოვან ადგილს იკავებს პუბლიკაციები სადაც განხილულია სტალინის ქართველობის საკითხი ეთნიკური კუთხით. აქ განსაკუთრებულ როლს ასრულებს ივანე ჯავახიშვილის გამოკვლევა სათაურით „ხალხთა


ბელადის გვარის სადაურობისათვის“. ამასთან ერთად, მხატვრულ ტექსტებში წარმოჩენილია სტალინის წარმომავლობის სხვადასხვა ვერსიების აბსურდულობა (როყვა 1990) და ქართველობა, როგორც დესტალინიზაციის მთავარი მოტივი (მიშველაძე 1989).

მესამე მიდგომად კი შეგვიძლია დავასახელოთ სტალინის, როგორც ბელადის დამოკიდებულება საქართველოსადმი, რომელიც, სტალინისტთა მტკიცებით, ერთი მხრივ, ეძებდა ბალანსს სტალინის მაღალ სტატუსსა და ეთნიკურ კუთვნილებას შორის, რათა არ შექმნილიყო მიკერძოების, გამორჩევის შთაბეჭდილება და, მეორე მხრივ, ყველა არსებული შესაძლებლობის გამოყენება ხდებოდა საქართველოს ისტორიულ-სახელმწიფოებრივი პრობლემების გადასაჭრელად (ნატროშვილი 1994; სურგულაძე 1996; ზაქარიაძე 1997; კოპალეიშვილი 2015; მჭედლიშვილი 2021).

გარდა ამისა, სტალინისტური ბიბლიოგრაფიის კონტექსტუალიზაციისათვის, მისი წინააღმდეგობრივი ბუნების საჩვენებლად ის შეპირისპირებული იქნება სტალინისადმი კრიტიკულად განწყობილ პუბლიკაციებთან. აქ თავმოყრილი იქნება წიგნები, სადაც სტალინი საბჭოთა ოკუპაციისა და ტერორის კონტექსტშია განხილული (მჭედლიშვილი 2006; ირემაშვილი 2006; ხარატიშვილი 2012; კორიშელი 2014), ასევე პუბლიკაციები სადაც სტალინის საკითხი ჩასმულია რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების ფართო კონტექსტში (გოგაძე 2004; შველიძე 2012; ურუშაძე 2017; კვერენჩხელიძე 2016) და ასევე პუბლიკაციები სადაც გამოკვლევულია სტალინის პიროვნების კულტი (შამანიძე 2016; კუპატაძე 2016; სანიკიძე 2006). მიღებული სტატისტიკური სურათი მოცემულია ცხრილში #1.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ წინამდებარე ნაშრომის ანალიზის ძირითად საგანს სტალინისტური ლიტერატურა წარმოადგენს, თუმცა კრიტიკული დამოკიდებულების მქონე პუბლიკაციები ასევე მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც ტრავმული გამოცდილების კონსტრუირებას ახორციელებენ და დამატებით საფუძველს აძლევენ თავად სტალინისტური ლიტერატურის კულტურული ტრავმის თავისებურ გამოვლინებად ახსნის

მცდელობას.



დიაგრამა 3. სტალინური პუბლიკაციები 1990-2021

სრული რაოდენობა (ქართ., რუს. და ინგლ. ენებზე): 321

სტალინისტური (ქართ.): 107

კრიტიკული (ქართ.): 18

ტერმინი სტალინისტური ლიტერატურა გულისხმობს ტექსტთა გარკვეულ სტრუქტურულ-თემატურ მსგავსებას, ერთობლიობას, რომელთა ძირითადი ამოცანა სტალინის პოზიტიური კუთხიდან წარმოჩენა და მის წინააღმდეგ ხრუმჩოვის საიდუმლო მოხსენებაში (1956), „საჯაროობის“ პერიოდის ისტორიოგრაფიასა (1985-1991), თუ დასავლურ აკადემიურ სივრცეში გახმოვანებული ბრალდებების უარყოფაა. აღნიშნული ლიტერატურის ანალიზისათვის, რომლის ძირითადი ამოცანაც მეთოდოლოგიური თვალსაზრისით ყველაზე ხშირად გამეორებადი ნარატივების გამოვლენაა, გამოყენებული იქნება რამდენიმე პუბლიკაცია, რომელთა მნიშვნელობაც განპირობებულია ავტორთა ცნობადობით ქართულ საგამომცემლო სივრცეში და იმ სიახლით, რომელიც ტექსტებმა შემოიტანეს სტალინურ დისკურსში, ანუ პირველობის დამსახურებით. აღნიშნული ტექსტები მცირე გამონაკლისების გარდა რეპრეზენტატულია სტალინისტური ლიტერატურის პუბლიკაციათა

დიდი უმრავლესობის. ქვემოთ მოკლედ განვიხილავთ პუბლიკაციებს, რომლებსაც უშუალოდ ვცვიტირებ სტალინისტური ლიტერატურის ანალიზისას.

1980-იანი წლების ბოლოს ქართულ პრესაში ჩნდება ტექსტები, სადაც ვლინდება სტალინის ქართველობის ტრავმა. ეს ტექსტებია ელბერდ ბატიაშვილის პუბლიცისტური სტატია „კიდევ ერთი წყევლა-კრულვიანი საკითხავი“ (*კრიტიკა* 1988, #4) და რევაზ მიშველაძის მოთხრობა „მთავარი დანაშაული, ანუ სტალინი საიქიოში“ (*დროშის ბიბლიოთეკა* 1989, #1). ასევე სტალინის წარმომავლობის საკითხს ეხება შოთა როყვას მოთხრობების კრებული „რომელ ეროვნებას ეკუთვნოდა სტალინი“ (1990).

მაღევე ქვეყნდება პუბლიკაციები სადაც განხილულია სტალინის არა უბრალოდ ეთნიკური წარმომავლობა, არამედ მისი დამოკიდებულება საქართველოსთან. თამაზ ნატროშვილის სტალინისადმი მიძღვნილი კრებული „ახსოვდა თუ არა საქართველო (ი. ბ. სტალინს)“ (1993) სათაურს აძლევს სტალინურ ქვეყანრს, რომლის მთავარი ამოცანაც იმის დადასტურებაა, რომ სტალინი არა უბრალოდ წარმომავლობით, არამედ შინაგანადაც ქართველი იყო და კრემლში ყოფნისას არ ივიწყებდა სამშობლოს. მოგვიანებით ნატროშვილის კრებულს პასუხს სცემს აბელ სურგულაძე წიგნით „დიახ, სტალინს ახსოვდა საქართველო“ (1996). ამავე პერიოდში გამოიცემა ნოდარ ზაქარიასი სქელტანიანი ნაშრომი „სტალინი და საქართველო“ (1997). ზემოჩამოთვლილი ლიტერატურა გაანალიზებული იქნება კულტურული ტრავმის კონცეფციის ქვეშ. აქვეა მოცემული ისეთი ნარატივები, როგორცაა სტალინის პოეტური მოღვაწეობა და ილია ჭავჭავაძესთან თანამშრომლობა, სტალინიზმის პერიოდის საქართველოს ეკონომიკური მიღწევები და პოლიტიკური წარმატებები, რაც სტალინისტური მითოლოგიის ერთ-ერთი ყველაზე ხშირი ნარატივებია.

სტალინის ლექსებისა და მათი თარგმანების კრებულები ასევე იქნება გამოყენებული წინამდებარე ანალიზისას, შემოთავაზებული იქნება ინტერპრეტაციის განსხვავებული მიდგომები (დარჩია 2017 „ქართული ლიტერატურის მოღვაწენი და იოსებ სტალინი“). ამასთან ერთად, სტალინისა და პოეზიის საკითხს შეავსებს ისეთი წიგნები როგორცაა რევაზ გოცირიძის

„რუსთველიდან სტალინამდე“ (1997) და ამირან გოდერძიშვილის „იეთიმ გურჯი იოსებ სტალინის მეგობარი“ (2009).

ქართულ ეროვნულ იდეოლოგიაში სტალინის ადგილის განსაზღვრისათვის საჭირო იქნება უშუალოდ სტალინური ლიტერატურიდან გადახვევა და იმის ანალიზი თუ როგორ ხდება მისი რეპრეზენტირება „დიდი ქართველების“ ისტორიულ-საცნობარო ლიტერატურულ ქვეყანარში. ამისათვის აღდგენილი იქნება აღნიშნული ჟანრის განვითარება ქართულ ბეჭდვით მედიასა და ტელევიზორცეში და განხილული იქნება 2008 წლიდან 2021 წლამდე გამოცემული 11 წიგნი, თუმცა აღნიშნული პუბლიკაციები არაა შეტანილი სტალინისტური ლიტერატურის ბიბლიოგრაფიაში.

ზემოჩამოთვლილი წიგნები სტალინისტური ლიტერატურის მხოლოდ მცირე ნაწილს წარმოადგენს, თუმცა ჩამოთვლილი პუბლიკაციები საკმარისია იმის აღსაწერად თუ რა ფორმებს იღებს სტალინისტური მითოლოგიის გა/დამუშავება ლიტერატურულ დისკურსში და როგორ პასუხობს იგი თანამედროვეობის აქტუალურ სოციო-პოლიტიკურ პროცესებს. ამასთან ერთად, გარკვეული თვალსაზრისით, მითოლოგიის მუშაობა დამოკიდებულია არა უბრალოდ ნარატივის თვისებრივ მხარეზე, არამედ რაოდენობრივ მაჩვენებელზეც. ორივე მათგანს წინამდებარე ნაშრომში თანაბარი ყურადღება მიექცევა.

## VI. ეროვნულ-პატრიოტული ლიტერატურული ჟანრი

წინამდებარე თავში განხილული იქნება ისტორიული-დოკუმენტური ლიტერატურის ორი ქვეჟანრი, რომლისაც პირობითად "პოლიტ. ემიგრაციის ნოსტალგია" და „დიდი ქართველები“ შეგვიძლია ვუწოდოთ. ამასთან ერთად, შემთხვევის ანალიზის (content analysis) მიდგომით განხილული იქნება ტელეპროექტი „საქართველოს დიდი ათეული“ რომელიც ქართველ ეროვნულ გმირთა თავმოყრის ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბური საზოგადოებრივი ფენომენი იყო 2000-იანების შუა წლებში. აღნიშნული ტელეპროექტი, ერთი მხრივ, დაეყრდნო ეროვნულ გმირთა თავმოყრის მყიფე ლიტერატურული ტრადიციის გამოცდილებას და, თავის მხრივ, დამატებითი ბიძგი მისცა ამავე ჟანრის შემდგომ განვითარებას.

აღნიშნული ლიტ. ჟანრი და „საქართველოს დიდი ათეულის“ შემთხვევა სტალინთან მიმართებაში იმ თვალსაზრისითაა მნიშვნელოვანი, რომ თავდაპირველ ეტაპებზე, როდესაც 1990-იანების დასაწყისიდან ქართული საზოგადოება ეცნობა პოლიტ. ემიგრაციულ ლიტერატურას სტალინის ფიგურა აღნიშნული ჯგუფის უიღბლობისა და ტანჯვის მიზეზადაა წარმოჩენილი. თუმცა, მოგვიანებით სტალინი თანდათანობით უდავოდ მნიშვნელოვან, გამორჩეულ ფიგურათა რიგში გადადის, რომლის შეფასებაც შეიძლება დადებითი, ან უარყოფითი იყოს. გარდა ამისა უშუალოდ „დიდი ქართველების ლიტ. ქვეჟანრის ანალიზი გვამძღვეს იმის სურათს თუ როგორ მოიხსენიება სტალინი სხვა გამორჩეულ ქართველთა ფონზე.

ემიგრაციული ლიტერატურის შეფასებისას ყურადღება გამახვილდება ემიგრაციის გმირულ-პატრიოტული ხატის კონსტრუირებაზე. აღნიშნული პროცესი დამოუკიდებლობის აღდგენის პირველივე წლებიდან იწყება და კოლექტიური მეხსიერების მნიშვნელოვან ელემენტად ყალიბდება, რომლის ძირითადი ადგილიც ბეჭდური მედიაა. ტელეპროექტ „საქართველოს დიდი ათეულის“ შემთხვევაში განსაკუთრებული მნიშვნელობა პროექტის მიზნებსა და

მეთოდების გარშემო გამართულ საზოგადოებრივ დისკუსიას მიენიჭება. შემთხვევის აღწერის ძირითადი მეთოდი პოლემიკური და საავტორო მედია-სტატიების მოგროვება-ანალიზი იქნება, რომელშიც ქართული ნაციონალური ღირებულებების დაცვა-წარმოჩენის სიმპტომური ელემენტები ვლინდება ქართულ საზოგადოებაში. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ტელეპროექტში სტალინის ფიგურაც ჩართულია, რომლის მიმართ წინააღმდეგობრივი დამოკიდებულება ვლინდება ტელეპროექტის ერთ-ერთი ავტორისა და ჟურნალისტთა გარკვეული ჯგუფის მხრიდან. ხოლო რაც შეეხება „დიდ ქართველთა“ ლიტ. ქვეყანრს, რომელმაც განსაკუთრებული ბიძგი „საქართველოს დიდი ათეულის“ წარუმატებლობის შემდეგ მიიღო (პროექტი ნაადრევად შეწყდა ავტორთა გადაწყვეტილებით) აქ სტალინის პოზიციები უკვე მყარადაა წარმოდგენილი, თუმცა, ისევ და ისევ, მისი შეფასებები და ადგილი სხვა ეროვნულ გმირთა შორის წინააღმდეგობრივია.

## 1. მეთოდოლოგიური შენიშვნა

წინასწარ უნდა აღინიშნოს რომ თავმოყრილ შემთხვევებს შორის პროექტზე „საქართველოს დიდი ათეული“, რომელიც 2007 წელს იქნა გაშვებული მედია სივრცეში და მოიცავდა ტელეგადაცემებსა და მედია პუბლიკაციებს მაყურებლებისა და მკითხველების ინტერაქციული ჩართულობის შესაძლებლობით.

პროექტის მიმდინარეობა განხილული იქნება შემთხვევის ანალიზის (case-study) მეთოდოლოგიაზე დაყრდნობით. მოთხრობილი იქნება განსახილველი მედიაპროექტის საფუძვლების, მიმდინარეობისა და შედეგების შესახებ. გასაანალიზებელი ფენომენი წინამდებარე ნაშრომში რამდენიმე თვალსაზრისით გვანტერესებს: 1) „საქართველოს დიდი ათეულის“ მედიაპროექტის ნაადრევი დასასრული, რაც პროექტის წარუმატებლობად უნდა იქნეს ჩათვლილი, ქართულ საზოგადოებაში არსებულ ერთგვარ სიმპტომატურ დამოკიდებულებას ავლენს ეროვნული გმირების მიმართ, რომელთა შემოტანა რეალურ ცხოვრებაში და



მსჯელობისა და შეფასების საგნად გადაქცევა გარკვეული ჯგუფებისათვის მიუღებელია; 2) ათობით ეროვნულ გმირს შორის ასევე მოქცეული იყო იოსებ სტალინი და ლავრენტი ბერია. სამწუხაროდ მათი ბედი ამ პროექტში გაურკვეველი დარჩა, თუმცა გადაცემის წამყვანთა რიტორიკაში სტალინის შეყვანის საკითხი საინტერესო კუთხითაა გამოვლენილი და 3) დაუსრულებელმა მედიაპროექტმა ბიბი მისცა ანალოგიური ჟანრის ტექსტურ პუბლიკაციებს, რომელშიც, უნდა ითქვას, მყარი და, ამავდროულად, წინააღმდეგობრივი ადგილი დაიკავა იოსებ სტალინმა.

მთლიანობაში სამივე განსახილველი ფენომენი ქვეჟანრის განვითარების ეტაპებია, რომლებიც ერთმანეთს ქრონოლოგიურად მიჰყვება. უშუალოდ იოსებ სტალინი მეორე ეტაპში — ტელეპროექტ „დიდ ათეულში — ჩნდება, ხოლო მესამე ეტაპზე — „დიდი ქართველების“ ლიტ. ქვეჟანრის განმტკიცების შემდეგ — პუბლიკაციების განუყრელ ელემენტად გვევლინება. განხილვას ამ უკანასკნელით დავიწყებთ და შემდეგ ჟანრის განვითარების ადრეულ ეტაპებს დავუბრუნდებით, რაც მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დადგენისათვის გადმოცემის ჩვეული წესია „შემთხვევის ანალიზის“ მეთოდის გამოყენებისას (Gerring 2017, 66).

ფენომენის აღწერა ძირითადად მის გარშემო არსებული მედია-დისკურსის აღწერის მეთოდს დაეფუძნება. აღსაწერი მოვლენის ხანმოკლეობის მიუხედავად მედიაში საკმაო რაოდენობის პოლემიკური სტატიები, ინტერვიუები და დისკუსიები იქნა მოძიებული, რაც, ერთი მხრივ, მოვლენის გარშემო არსებული საზოგადოებრივი დამოკიდებულებების სიღრმისეული აღწერის საშუალებას გვაძლევს, მეორე მხრივ კი, დამატებით ხაზს უსვამს მის მიმართ არსებულ მაღალ ინტერესს. გვინდა წინასწარ აღვნიშნოთ, რომ სტალინის ადგილი და როლი უშუალოდ „საქართველოს დიდი ათეულის“ პროექტის მიმდინარეობაში, შეიძლება ითქვას, შეუმჩნეველია, თუმცა იგი მნიშვნელოვნად იზრდება პროექტის შეწყვეტის შემდეგ გაჩენილ პუბლიკაციებში, რაც დამატებით ცნობებს გვაძლევს მის პოპულარობაზე 2000-იანების შუა წლებში, რა პერიოდზეც აღნიშნულ საკითხზე არსებული ცნობები მეტად შეზღუდულია. ამასთან ერთად,

შემთხვევის ანალიზის ლოგიკის გარშემო გაურკვევლობისაგან თავის არიდების მიზნით უნდა აღინიშნოს, რომ, მართალია „საქართველოს დიდი ათეულის“ დასასრულის შემდგომ წარმოშობილი პუბლიკაციები სცდება უშუალოდ მედიაპროექტის შემთხვევას, მაგრამ მათი გასაანალიზებელი საგნის ქვეშ მოქცევა, ერთი მხრივ, შემთხვევის „სოციალური და ისტორიული კონტექსტის გათვალისწინებისა და, მეორე მხრივ, წინამდებარე კვლევის ძირითად საკითხთან დაკავშირების საშუალებას გვაძლევს.

შემთხვევის ანალიზის მეთოდი, ერთი მხრივ, პოპულარული კვლევის ინსტრუმენტია რიგ დისციპლინებში, დაწყებული სოციალური მეცნიერებებითა და სამართლით და დასრულებული მედიცინით. მისი გამოყენების სტატისტიკა განუწყვეტლივ მატულობს 1920-იანი წლებიდან დღემდე (Gerring 2017, 8). თუმცა, ამგვარი მულტიდისციპლინარული ინტერესის ერთ-ერთი უარყოფითი შედეგი მეთოდის გარშემო გაჩენილი კონცეპტუალური აღრევაა, მაგალითად, იმაზე თუ რას შეიძლება ნიშნავდეს შემთხვევა (Platt 1992). ჩემ მიერ შერჩეული ფენომენის შემთხვევად მიჩნევა პოლიტიკურ მეცნიერებათა პროფესორის ჯონ გერინგის მიერ შემოთავაზებულ კრიტერიუმებს სრულად აკმაყოფილებს, რომელიც ტერმინ „შემთხვევას“ შემდეგ განმარტებას აძლევს: „სივრცესა და დროში შემოფარგლული თეორიული მნიშვნელობის ფენომენი“ (Gerring 2017, 27).

„საქართველოს დიდი ათეულის“ შემთხვევის სივრცე/დროითი განზომილების განსაზღვრა, როგორც ვნახავთ, მეთოდოლოგიურ სირთულეს არ წარმოადგენს. ხოლო რაც შეეხება თეორიულ მნიშვნელობას ფენომენის აღწერა გამოავლენს სოციალურ ჯგუფებს შორის გამართულ პოლემიკას ქართულ ეროვნულ გმირთა მიმართ სათანადო დამოკიდებულების შესახებ, რაც თავის მხრივ ქართული ნაციონალური იდეოლოგიის ჩამოყალიბებელ, საკამათო ხასიათს გვიჩვენებს, რასაც ნაციონალიზმის კვლევებში ტერმინ „კონფლიქტით“ მოიხსენიება (Hutchinson 2005). ქართული ნაციონალური გმირებისადმი ამგვარი ჩამოყალიბებელი დამოკიდებულება თავად სტალინის ადგილის დანახვაში და ღრმა გააზრებაში დაგვეხმარება. ხოლო რაც შეეხება შემთხვევის არჩევას, უნდა

ითქვას, რომ იგი უნიკალურია ქართულ კულტურულ სივრცეში. შეუძლებელია მოვიძიოთ სხვა შემთხვევა, სადაც ჯგუფებს შორის არსებული განსხვავებები იმასთან დაკავშირებით თუ როგორ უნდა მივაგოთ პატივი ქართულ ეროვნულ გმირებს ამგვარი ფართო დისკუსიის საგანი გამხდარა.

“საქართველოს დიდი ათეულის“ შემთხვევის ანალიზს ასევე მიზეზ შედეგობრივი კავშირების დანახვის შესაძლებლობას მოგვცემს იმასთან დაკავშირებით თუ როგორ მისცა მედია-ტელე პროექტმა ბიძგი ლიტერატურულ ჟანრს. კაუზალური კავშირის ჰიპოთეზა ამ შემთხვევაში ძირითად ფაქტორად ტელეპროექტის წარუმატებლობას იღებს, რომლის ნაწილობრივი დაკმაყოფილებაც იდეის სხვა მედიალურ სივრცეში გადანაცვლების წყალობით განხორციელდა. რა თქმა უნდა, შეუძლებელია გამოვთქვათ ვარაუდები იმაზე თუ რა მიმართულებით განვითარდებოდა განსახილველი ლიტ. ჟანრი „საქართველოს დიდი ათეულის“ წარმატების შემთხვევაში, რადგან საკითხი ექსპერიმენტულ გადამოწმებას არ ექვემდებარება. მაგრამ, მათ შორის არსებულ კავშირზე საუბრობენ თავად ავტორები, რომლებიც უშუალოდ მოღვაწეობენ აღნიშნულ ლიტ. ჟანრში.

## 2. პოლიტიკური ემიგრაციის ნოსტალგია

საბჭოთა პერიოდში ემიგრაციის მიმართ დამოკიდებულება მუდამ ნეგატიური იყო, იცვლებოდა მხოლოდ მიდგომები. 1920-30-იან წლებში ემიგრანტები „კონტრრევოლუციონერებად“ მოიხსენიებოდნენ და ცილისმწამებლური და დამამცირებელი რიტორიკის პროპაგანდა საბჭოთა პრესის ჩვეულ ჟანრს წარმოადგენდა (კახიანი 1927). მეორე მსოფლიო ომის შემდგომ რეპატრირებული ტყვედნამყოფი ჯარისკაცები "მოღალატეებად" შეირაცხნენ და დიდი ნაწილი შრომით ბანაკებში იქნა გაგზავნილი (Полян 2002, Часть II). 1960-იან წლებში ემიგრაცია დანაშაულად აღარ ითვლებოდა, მაგრამ ოფიციალური პროპაგანდა ამას ხალხის ღალატად მიიჩნევდა (Костырченко 2008, 234). 70-80-იან წლებში საბჭოთა მოქალაქეებს ემიგრაციის კანონიერი უფლება

მიენიჭათ, მაგრამ მისი ხელმისაწვდომობა ხელოვნური წინაღობებით იზღუდებოდა, რამაც ოტკაზნიკების (отказники) სოც. ჯგუფი წარმოქმნა (ძირითადად ებრალები), რომლებსაც რეჟიმის მხრიდან ქვეყნის დატოვების ლეგალურ უფლებაზე უარი ეთქვათ (იხ. იქვე, 236-40).

საბჭოთა რეჟიმის დანგრევისთანავე შრომითი ემიგრაცია, როგორც ახალი შესაძლებლობა და საბჭოთა პერიოდის პოლიტიკური ემიგრაცია, როგორც ისტორიის უცნობი ეპიზოდი ქართული სოციო-პოლიტიკური დისკურსის მნიშვნელოვანი ელემენტები გახდა. ამ უკანასკნელის სიმბოლური მნიშვნელობა დამოუკიდებლობა აღდგენილი საქართველოს კულტურულ ცხოვრებაში უაღრესად დიდია, რაზეც თუნდაც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სიმბოლიკის — დროშისა და ჰიმნის — აღდგენაც მოწმობს. უნდა აღინიშნოს, რომ მისი ისტორიისა და გამოცდილების პოპულარიზებისათვის თავად ემიგრაციის წიაღში შექმნილი ლიტერატურის გამოყენება იყო შესაძლებელი, რომელიც იძულებით ემიგრაციაში ცხოვრებას რომანტიზებული ფორმით გადმოსცემს და ძირითად თემებად სამშობლოს ნოსტალგიასა და დაბრუნების მუდმივ წყურვილს იყენებს.<sup>25</sup>

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ფართო ქართველი მკითხველისათვის ხელმისაწვდომი ხდება ემიგრაციაში დაწერილი ნახევრად მემუარული წიგნები, სადაც აღწერილია ემიგრაციაში ცხოვრების პირობები და გარემოებები და, ამასთან ერთად, შეიცავენ ამგვარი ბედის მქონე სხვა პირების ერთგვარ ცნობარს, ან სიას. მაგალითად, 1990 წელს გამოიცა ემიგრანტ თამარ პაპავას კრებული, რომელიც აერთიანებს მის ორ წიგნს: „გაზნეული საფლავები“ და „ლტოლვილთა საძვალენი.“ ეს ორი წიგნი თავდაპირველად პარიზში გამოიცა 1970 და 1973 წლებში. წიგნის პირველი ნაწილი რამდენიმე მელანქოლიურ ჩანახატს შეიცავს პოლიტიკური ემიგრაციის წარმომადგენლების შესახებ, მეორე ნაწილი კი მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში დაკრძალული 724 ქართველი პოლიტ-ემიგრანტის სახელისაგან შემდგარი სიაა (იქვე, 91-124). თამარ პაპავას წიგნების

---

<sup>25</sup> აღნიშნული ემიგრაციული პატრიოტიზმი/ნაციონალიზმი ჩემ მიერ განხილულია ბენედიქტ ანდერსონის *შორეული ნაციონალიზმის* (long-distance nationalism) (Anderson 1992) თეორიული ჩარჩოს ქვეშ (Araviashvili and Ladaria 2021).

პუბლიკაციის პერიოდში პარიზში ასევე გამოიცა ქართველი პოლიტ-ემიგრანტის გრიგოლ წერეთლის ამგვარი ფორმატის წიგნი „ქართული ემიგრაცია და ადამიანები“ (1971). წიგნში მოცემულია საქართველოს პოლიტიკური მდგომარეობის ავტორისეული ანალიზი, 200-მდე გარდაცვლილი ქართველი პოლიტ-ემიგრანტის მცირე დახასიათება და დამატებით ძმათა სასაფლაოზე დაკრძალული 150 ემიგრანტის სახელი. პაპავასა და წერეთლის წიგნების გარდა, თანამედროვე მკვლევართა აკადემიურ პუბლიკაციებშიც არის შესაძლებელი ქართული პოლიტ. ემიგრაციის წარმომადგენელთა სიების მოძიება. მაგალითად, გიორგი ბეჟიტაშვილის მონოგრაფიაში უცხოეთში გარდაცვლილი ასობით სამხედრო პოლიტ-ემიგრანტის სახელია თავმოყრილი (2012); ხოლო გივი გამრეკელის წიგნში მკითხველს შეუძლია გაეცნოს პოლიტ. ემიგრაციის რვა გამორჩეულ წარმომადგენელს და საბჭოთა კავშირის ეკონომიკურ-პოლიტიკური სისტემის კრიტიკას. მოყვანილ პუბლიკაციათა ტრაგიკულ-პატრიოტული სულისკვეთების დემონსტრირებისათვის მოვიყვანთ ეპიზოდს გამრეკელის წიგნის შესავლიდან:

...ემიგრაციაში კარგი არაფერია. ადამიანი ნებსით თუ უნებლიედ წყდება თავის ფესვებს, აქვს ნოსტალგიის უძლიერესი გრძნობა, ოცნებობს სამშობლოზე, ზოგჯერ სასოსაც წარიკვეთს... ემიგრაცია არც გაქცევაა და არც ღალატი — ემიგრაცია უბედურებაა" (იქვე, 4).

მსგავსი დამოკიდებულების ფონზე ბუნებრივი ხდება ავტორთა სურვილი ფართო საზოგადოებას გააცნონ ემიგრანტთა ვინაობა. მათი სახელებისა და, შესაძლებლობის შემთხვევაში, ბიოგრაფიული ცნობების თავმოყრა, მემორიალური (მხოლოდ სახელების შემთხვევაში) და საცნობარო ფუნქციის მატარებელია, რაც ემიგრაციული ლიტერატურის ჟანრობრივ მახასიათებელს წარმოადგენს.

ემიგრაციულ ლიტერატურაში გამოყენებული საცნობარო ჟანრობრივი ელემენტი მოგვიანებით ფართოდ იქნა გავრცელებული „დიდი ქართველების“ მომიჯნავე ჟანრში. ამ ორ ჟანრს მომიჯნავე შეგვიძლია ვუწოდოთ, განსხვავება კი მათ შორის პიროვნებათა შერჩევის თემატურობას ეხება — თუ პირველი თავს

უყრის „სამშობლოსათვის თავდადებულ“ ემიგრანტებს, მეორე ყურადღებას ამახვილებს „სამშობლოსათვის თავდადებულ ისტორიულ პიროვნებებზე.“ თუმცა, ამ განსხვავების მიუხედავად, ორივე მათგანის მიზანი ერთგვარი ლიტერატურული პანთეონის შექმნაა, რომელიც დამახასიათებელი ელემენტით — გამორჩეულთა და უცნობთა ერთად თავმოყრითა და ამგვარი ფორმით მათ სახელთა უკვდავყოფით ყალიბდება.

### 3. ტელეპროექტი „საქართველოს დიდი ათეული“

2008 წელს ქართულ მედიასივრცეში გავიდა ტელეპროექტი „საქართველოს დიდი ათეული.“ აღნიშნული პროექტი BBC-ის მიერ 2002 წელს განხორციელებული ტელეპროექტის „100 Greatest Britons“-ის (100 უდიდესი ბრიტანელის) ანალოგი იყო. ბრიტანული პროექტი მიზნად ისახავდა სახალხო მხარდაჭერის გზით გამოჩენილ ბრიტანელთა რეიტინგის დადგენას. შედეგების მიხედვით კი რეიტინგის ზედა ათეული მხოლოდ უკვე გარდაცვლილმა კანდიდატებმა დაიკავეს: 4 პოლიტიკოსი, 3 მეცნიერი, 2 პოპ-კულტურის წარმომადგენელი და 1 კულტურის წარმომადგენელი. მათ შორის პირველ ადგილს უინსტონ ჩერჩილი იკავებდა.

2002 წლიდან 2018 წლამდე ბრიტანული პროექტის ფორმატი მსოფლიოს 36 ქვეყანაში იქნა განხორციელებული, მათ შორის 2008 წელს რუსეთსა და საქართველოში პროექტები თითქმის ერთდროულად მიმდინარეობდა. „საქართველოს დიდი ათეული“ სხვა პროექტებს შორის იმით გამოირჩევა, რომ ის ფართო საზოგადოებრივი უთანხმოების საგანი გახდა და ნაადრევად იქნა შეწყვეტილი, რითაც ქართული საზოგადოების ეროვნულ გმირებთან დამოკიდებულების სახასიათო დეტალები იქნა გამჟღავნებული.

„საქართველოს დიდი ათეული“ ხორციელდებოდა ტელეარხ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“, „თიბისი ტივისა“ და გაზეთ „კვირის პალიტრის“ პლატფორმაზე. ამ უკანასკნელის გვერდებზე ქვეყნდებოდა გამოჩენილ ქართველთა სიები მცირე ბიოგრაფიული მონაცემებითა და ნომრით,

რომლის მოკლექტესტური შეტყობინების სახით გადაგზავნით მკითხველს/მაყურებელს თავისი ფავორიტი კანდიდატისათვის მხარდაჭერა შეეძლო. ხმის მიცემა ასევე შესაძლებელი იყო პროექტის ვებგვერდზე და სპეციალური ანკეტების საშუალებით. დიდი ქართველების თავდაპირველი 369 კანდიდატიდან (იხ. *კვირის პალიტრა* 2008, #45, გვ. 1-7), რომელთა შორის იყვნენ იოსებ სტალინი (გვ.6) და ლავრენტი ბერიაც (გვ. 2), შეირჩა 100 კანდიდატი (იხ. *კვირის პალიტრა* 2008, #50, გვ. 1-12). 100 კანდიდატში სტალინიც მოხვდა (იხ იქვე, გვ. 7).

სტალინის კანდიდატურა პროექტის მსვლელობის საწყის ეტაპებზე განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევდა. პირველ რიგში თვალში საცემი იყო თავად პროექტის ვიზუალური გაფორმება, რომლის ფარგლებშიც პროექტის ერთ-ერთ ხატულაზე ქართულ ეროვნულ გმირთა გამოსახულებებს შორის ადგილი იოსებ სტალინმაც დაიკავა (იხ. სურათი #1).



*სურათი 2. ტელეპროექტ „საქართველოს დიდი ათეულის“ ხატულა. მარჯვნიდან მარცხნივ: დავით ყიფიანი, იოსებ სტალინი, ჰამლეტ გონაშვილი, დავით აღმაშენებელი და ილია ჭავჭავაძე (24 საათი 2008 #227. გვ. A11).*

გარდა ამისა ყურადღებას იპყრობდა რუსეთში ამავე დროს მიმდინარე ანალოგიური პროექტი სათაურით „Имя Россия“, სადაც იოსებ სტალინის კანდიდატურაზე წინააღმდეგობრივი ცნობები ვრცელდებოდა, ქართულ პრესაში. ამ ცნობების თანახმად, ერთი მხრივ, ხელისუფლება სტალინის კანდიდატურის დაბლოკვით იყო დაინტერესებული, მეორე მხრივ კი, იგი მაინც პირველ ადგილზე გადიოდა ხმათა უმრავლესობით, რისი შესაძლებლობაც არც საქართველოში მიიჩნეოდა გამორიცხულად (იხ. ვეკუა 2008, 24 საათი #227). ამავე დღეებში ქვეყნდება ინტერვიუ პროექტის იდეის ავტორ და წამყვანთან დაჩი

გრძელიშვილთან, რომლის ერთ-ერთი ძირითადი თემა ისევ იოსებ სტალინია (ადვამე, *სარკე* 2008 #42, გვ. 36). ინტერვიუს სათაურად გრძელიშვილის ფრაზა შეირჩა „რუსეთში ყველაზე დიდ პიროვნებად სტალინს ასახელებენ“, რის ფონზეც აქტუალური ხდება ქართულ ათეულში იოსებ სტალინისა და ლავრენტი ბერიას ყოფნის საკითხი. ამ ინტერვიუშიც გამეორებულია რუსული პროექტის ავტორთა წინაშე პუტინის მიერ დაყენებული პირობა: „...გაკეთეთ ასეთი პროექტი, მაგრამ სტალინმა არ უნდა გაიმარჯვოსო“ (იქვე), მაგრამ ამის მიუხედავად მაინც სტალინი ლიდერობდა რუსულ რეიტინგებში. რაც შეეხება ქართულ პროექტს აქ დაჩი გრძელიშვილი პროექტში ხმების დათვლის ავტომატურ სისტემაზე საუბრობს და უბრალოდ თავს იმხნეებს: „რა ვქნა, სტალინი რომ გავიდე?! უბრალოდ დარწმუნებული ვარ რომ არ გავა“ (იქვე). პროექტის დაწყების შემდეგ, როცა კამათის ძირითადი თემა სიების შინაარსი, კერძოდ კი ის გახდა თუ რამდენად მისაღები იყო ეკლესიის მიერ წმინდანად შერაცხილთა და შეურაცხავთა ერთად მოთავსება, სტალინისა და ბერიას საკითხმა კიდევ ერთხელ მიიპყრო ყურადღება: ჟურნალისტის კითხვაზე დასაშვები იყო თუ არა სტალინისა და ილია მართლის ერთ სიაში მოთავსება ექსპერტი და პოლიტიკოსი მამუკა არემიძე სცემს პასუხს, რომ „ისეთი ადამიანები, რომელთაც ერის წინაშე დიდი დანაშაული აქვთ ჩადენილი, საერთოდ არ უნდა მოიხსენიონ ამ გადაცემაში, თუნდაც იგივე სტალინი. ...რომელსაც... ისეთი სისხლიანი შლეიფი მოსდევს უკან, ილიასა და სხვების გვერდით ნახსენები არ უნდა იყოს“ (ნოზაძე, *გუმბათი*, 2009, #3 გვ. 25).

თუმცა რეიტინგის 100-ეულის შეკრების შემდგომ სტალინის საკითხმა მალევე დაკარგა აქტუალობა. ამის პირველ მიზეზად ის შეგვიძლია დავასახელოთ, რომ სტალინი 100-ეულიდან 50-ეულში ვერ გადავიდა (იხ. *კვირის პალიტრა* 2009, #5, გვ. 1-8), ძირითადი მიზეზი კი პროექტის იდეისა და ფორმატის გარშემო წარმოქმნილი საზოგადოებრივი დაპირისპირება გახდა. ჩემ მიერ პრესაში მოძიებულ იქნა — 2008 წლის ოქტომბრიდან 2009 წლის თებერვლამდე — გამოქვეყნებული 20-მდე პოლემიკური და საინფორმაციო ხასიათის საავტორო სტატია და ინტერვიუ, რაც წარმოქმნილი სადავო საკითხის



აღდგენის შესაძლებლობას გვაძლევს.

პროექტის ფორმატის შეცვლის, ან შეწყვეტის მოთხოვნები შემდეგი არგუმენტებით იქნა დასაბუთებული: 1) ნომინანტთა სიიდან ამოღებული უნდა ყოფილიყვნენ წმინდანები, რადგან მათ შორის დაუმწველია შეჯიბრი. აღნიშნული არგუმენტი საპატრიარქოს მხრიდან ჟღერდებოდა და მას მხარს უჭერდა დისკუსიაში ჩართული საზოგადოების ფართო ნაწილი. 2) საზოგადოება არაა მზად, არ აქვს სათანადო მომზადება, ან უნარი შეაფასოს საქართველოს ისტორიული მნიშვნელობის პიროვნებები. 3) პროექტი საბჭოთა გადმონაშთია. სამივე ეს არგუმენტი სხვადასხვა კომბინაციებით გვხვდება ცალკეულ სტატიებში, თუმცა გადამწყვეტი როლი პროექტის დახურვაში პირველმა — კანდიდატთა სიიდან წმინდანთა ამოღების საჭიროებამ — იქონია, რომელსაც ყველაზე აქტიურად საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საპატრიარქო ახმოვანებდა.

პირველი კრიტიკული დამოკიდებულება პროექტის ეთერში გასვლისთანავე ვრცელდება. მწერალი და დრამატურგი რეზო ჭეიშვილი თავის სტატიაში სკეპტიციზმს გამოხატავს პროექტის იდეის გარშემო, ირონიულად საუბრობს დიდ ბრიტანეთში მიღებულ რეიტინგებზე, მიიჩნევს, რომ „ბრბო“ ვერ შეძლებს ღირსეულთა გამოვლინებას (ბაგრატი, 2009, #3 გვ, 6) და ვარაუდობს, რომ "შედეგი ხალხის ინფანტილიზმის, სიბეცისა და კრეტინიზმის გამოხატულება უფრო იქნება..." (ბაგრატი, 2008, #2 გვ, 20). ასეთ არგუმენტს იმეორებს ეკონომისტი გიორგი გაბრიჭიძე, რომელიც, მართალია, ჭეიშვილის მსგავს ტერმინოლოგიას არ იყენებს, მაგრამ მიიჩნევს, რომ ისტორიის ცოდნის დონე საზოგადოებაში შეუძლებელს ხდის ამგვარი პროექტის განხორციელებას (იხ. *საქართველოს რესპუბლიკა*, 2009 #18, გვ. 7). ავტორის თქმით საჭირო იყო პროექტის შეჩერება, 500 ბიოგრაფიის შემცველი წიგნის გამოცემა, საზოგადოების შემზადება და შემდგომ პროექტის ხელახლა ჩატარება (იხ. იქვე).

მწერალი დათო ბარბაქაძე „საქართველოს დიდ ათეულს“ საავტორო სტატიას უძღვნის, რომელშიც პროექტის დაგეგმვა-წყევანაში ჩართულ ადამიანებში „საბჭოთა გამოცდილების მსხვერპლს და სავალალო პროდუქტს“

ხედავს (*მთელი კვირა*, 2009, #018, გვ. 7). ხოლო რაც შეეხება პროექტის ეფექტს მაყურებელზე, მისი აღწერისას ავტორი ასეთ სიტყვათწყობას იყენებს: „გაზერელებული ადამიანების ბრიყვული ამბიციების განმტკიცება.“ მოგვიანებით ამავე გაზეთში ქვეყნდება პაატა ჩხეიძის სტატია სათაურით „სეკულარიზმი?“ რომელშიც ავტორი აღნიშნულ ცნებას აკრიტიკებს, საბჭოთა წარსულს უკავშირებს და „საქართველოს დიდი ათეულის“ შემთხვევა მოჰყავს, რომელიც მისი აზრით, ერთი მხრივ, ეკლესიაზე თავდასხმის მაგალითია, მეორე მხრივ კი, იმის ნიშანი რომ დღეს „ახალი კომკავშირელ-კომუნისტები ისევ იცავენ სეკულარულ იდეებს“ (#032, გვ. 9).

რაც შეეხება სიიდან წმინდანების ამოღებას ეს მოთხოვნა თავდაპირველად პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ქვრივის, მანანა არჩვაძე-გამსახურდიასგან გავრცელდა (იხ. გვახარია, *რადიო თავისუფლება*, 2008), პროექტის მიმდინარეობის იმ ეტაპზე, როდესაც არსებული რეიტინგებით პირველ სამეულში გამსახურდიას დავით აღმაშენებელი და ილია მართალი უსწრებდნენ (იხ. რობაქიძე, *ცხელი შოკოლადი*, 2008, #46, გვ. 28). აღნიშნული მოთხოვნა მალევე საპატრიარქომაც აიტაცა, რომლის გარშემოც პროექტის წინააღმდეგ განწყობილ პირთა და ორგანიზაციათა გაერთიანება მოხდა. საპატრიარქოს წარმომადგენლები ამტკიცებდნენ, რომ დაუშვებელი იყო წმინდანთა ცხოვრების შეჯიბრის დონეზე განხილვა (იხ. მერებაშვილი, *გუმბათი*, 2009, #4, გვ. 10). მოგვიანებით მანანა არჩვაძე-გამსახურდიამ შიმშილობა და ხელმოწერების შეგროვება დაიწყო წმინდანებისა და კონსტანტინე და ზვიად გამსახურდიების სიიდან ამოღების მოთხოვნით და განმარტა რომ მისი პროტესტის ძირითადი მიზეზი ის იყო, რომ აღნიშნული უცხოური პროექტი "მიზნად საქართველოს მოსახლეობაში არეულობის შეტანასა და ეკლესიის დასუსტებას ისახავდა" (ლურსმანაშვილი, *ვერსია*, 2009, #13, გვ. 3). გარდა ამგვარი შეთქმულების თეორიის გაჟღერებისა არჩვაძე-გამსახურდია თვლიდა, რომ წმინდანთა შეჯიბრება და რეიტინგში მოთავსება შეურაცხმყოფელი იყო მათი სტატუსისათვის, მით უმეტეს, რომ აღნიშნულ სიაში "საქვეყნოდ ცნობილი ჯალათების, უშიშროების ჩინოსნების, საქართველოს მოღალატეების,

გენოციდის მომწყობი ადამიანების სახელებსაც წააწყდებით" (იქვე). მართალია არჩვადე-გამსახურდია არ ასახელებს კონკრეტულ სახელებს, თუმცა ნათელია, რომ ამ განმარტების ქვეშ მხოლოდ იოსებ სტალინისა და ლავრენტი ბერიას მოთავსება შეიძლება.

გადამწყვეტი მნიშვნელობა პროექტის ბედისათვის „საზოგადოებრივ მაუწყებელზე“ გამართულ სადებატო გადაცემას ჰქონდა, რომელზეც წარმოდგენილნი იყვნენ, ერთი მხრივ, ჟურნალისტები და საზოგადოების ფართო წარმომადგენლები და, მეორე მხრივ, სამღვდლოება და არხის სამეურვეო საბჭოს წარმომადგენლები. კამათი გადაცემაში პროექტის ფორმატზე მიმდინარეობდა, კონსენსუსი ვერ დამყარდა. პროექტის ბედი ოფიციალური თვალსაზრისით ღია საკითხად იქნა დატოვებული. 2009 წლის იანვრის ბოლოს ჟურნალ „გუმბათში“ ვრცელდება პროექტის ავტორის, დაჩი გრძელიშვილის ინტერვიუ, სადაც იგი მიმდინარე დებატებს გაურკვევლობად მოიხსენიებს და იმედს არ კარგავს, რომ საპატრიარქოსთან მოლაპარაკება შესაძლებელი იქნება (იხ. მერებაშვილი, *გუმბათი*, 2009, #4, გვ. 10). თუმცა გადაცემა ეთერში აღარ გასულა.

აღნიშნული სადისკუსიო გადაცემის განხილვა შემდგომ ჟურნალისტურ პუბლიკაციათა ძირითად თემად გადაიქცა. გარკვეული ავტორები ეკლესიას თავდასხმის ობიექტად განიხილავდნენ და მისი დაცვის აუცილებლობაზე საუბრობდნენ,<sup>26</sup> სხვა ავტორები კი „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ გარეშე გავლენებისაგან დაცვას ცდილობდნენ.<sup>27</sup>

შეწყვეტა-შეცვლის გარშემო მიმდინარე კამათის კონტექსტში წარმოიქმნა პროექტის ალტერნატიული ვარიანტის იდეებიც. ერთ-ერთი მათგანი

---

<sup>26</sup> ნოზაძე, მანანა. „მამუკა არემიძე: „დიდი ათეული უფრო დელიკატურად უნდა მიუდგეს წმინდანების სახელებს“ (ინტერვიუ). *გუმბათი*, 2009 წლის 18-25 იანვარი, #3, გვ. 25; ჩხეიძე, პაატა. „სეკულარიზმი?“ *მთელი კვირა*, 2009 წლის 9 თებერვალი, #032, გვ. 9; მხეიძე, დავით. „საქართველოს დიდი ათეული“ გასართობი ტოქსოუ თუ პროვოკაცია?“ *საქართველოს რესპუბლიკა*, 2009 წლის 21 იანვარი, #10, გვ. 7; ბესელია, ეკა. „ხელისუფლება საპატრიარქოს წინააღმდეგ „თავისუფლების ინსტიტუტს“ იყენებს.“ *ალია*, 2009 წლის 31 იანვარი-2 თებერვალი. გვ. 9.

<sup>27</sup> ლადარია, ნოდარ „პრესომბუდსმენი (დისკუსია "საზოგადოებრივი მაუწყებლის" პროექტზე, "დიდი ათეული)".“ *24 საათი*, 2009 წლის 19 იანვარი, #9, გვ. A3; მასიურაძე, გიორგი, „კომენტარი.“ *ცხელი შოკოლადი*, 2009 წლის თებერვალი, #46, გვ. 14; რობაქიძე, ნინო. „გაგრძელება იქნება?!“ *ცხელი შოკოლადი*, 2009 წლის თებერვალი, #46, გვ. 28-29; ანთაძე, ია. „აურზაური სალხინეთში.“ *ცხელი შოკოლადი*, 2009 წლის თებერვალი, #46, გვ. 29-30.

გულისხმობდა ნეგატიური თვალსაზრისით გამორჩეული ქართველების სიის შექმნას. იდეის ავტორი „ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის“ დამფუძნებელი და საპატრიარქოს ტელეარხ „ივერიას“ დირექტორი გიორგი ანდრიაძე მიჩნევდა, რომ ამგვარი სია გარდამავალ პერიოდში მყოფ ქართულ საზოგადოებას ღირებულებათა სისტემის ჩამოყალიბებაში დაეხმარებოდა (იხ. ბერიძე, *რეზონანსი*, 2009 #034, გვ. 4). აღნიშნული ტელე-გადაცემა ორი სახელით ანონსდებოდა „უსახელო სახელოვანნი და „ანტიქართველთა ათეული.“ ანდრიაძე „საქართველოს დიდ ათეულს“ საპატრიარქოს პოზიციიდან აკრიტიკებდა და აცხადებდა, რომ მისი პროექტი ღირებულებათა დარღვევის გარეშე შეავსებდა ტელესივრცეს (იხ. კომახიძე, *ვერსია*, 2009, #20, გვ. 9). თავად გიორგი ანდრიაძე თავის ანტი-გმირად გიორგი სააკაძეს ასახელებდა და არც მოქმედი პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის მოხვედრას გამორიცხავდა ამ სიაში (იქვე).

„საქართველოს დიდი ათეულის“ გარშემო მიმდინარე დისკუსია მეტწილად 2009 წლის მარტისათვის დასრულდა. გამონაკლისის სახით კი ამავე წლის ივლისში გაზეთში “Prime Time” (# 20, გვ. 41) ქვეყნდება ლევან ღვინიაძის სტატია „დიდი ათეული ეთნიკური უმცირესობებიდან“, სადაც თავმოყრილია საქართველოში დაბადებული და უცხოეთში წარმატებული 10 ეთნიკურად სომხის, აზერბაიჯანელის, რუსის, ბერძენისა და ებრაელის მცირე ბიოგრაფიული ცნობები. ავტორი ნოსტალგიური ტონით საუბრობს თბილისზე „როცა იგი ნამდვილი ქალაქი იყო და ქალაქური ცხოვრების ყველა ელემენტს შეიცავდა“ (იქვე) და წუხილით აღნიშნავს მოგვიანებით განვითარებულ მოვლენებს, როდესაც „ათასი უკუღმართობა დატრიალდა. ისეთებიც მოხდა და ითქვა რაღაცით ფაშიზმის ნიშნებს რომ შეიცავდა“ (იქვე)<sup>28</sup>. ტელეპროექტი „საქართველოს დიდი ათეული“ სტატიაში ნახსენები არ არის, თუმცა ქართველ ეთნიკურ უმცირესობათა ათეულის წარდგენის ფორმატთან დაკავშირებით ავტორი შეჩერებული ტელეპროექტის გამოცდილებას იზიარებს და მკითხველს

---

<sup>28</sup> ავტორი ამ ორ პერიოდს არ აკონკრეტებს, თუმცა საფუძვლიანია ვივარაუდოთ, რომ იგი საბჭოთა და პოსტსაბჭოთა საქართველოს ადარებს ერთმანეთს.

განუმარტავს, რომ აქ თავმოყრილ პიროვნებებს „არც ვნომრავთ და არც ვაჯიბრებთ“ (იქვე).

ტელეპროექტის გარშემო გაშლილი დისკუსია, რომელიც ზემოთ იქნა აღწერილი, პუბლიცისტურ ტექსტთა ინდივიდუალურ ავტორთა პერსპექტივიდან, შემდეგ სურათს გვაძლევს ორგანიზაციული თვალსაზრისით:

*„დიდი ათეულის“ მხარდამჭერები:*

1. ტელეარხი „საზოგადოებრივი მაუწყებელი“, 2. ა/ო „თავისუფლების ინსტიტუტი.“ 3. ჟურნალ/გაზეთები<sup>29</sup> „კვირის პალიტრა“, „24 საათი“, „ცხელი შოკოლადი.“

*მოწინააღმდეგეები:*

1. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია, 2. გაზეთები „საქართველოს რესპუბლიკა“, „ალია“, „ბაგრატი“, 3. ტელეარხი „ივერია.“

როგორც უკვე აღვნიშნეთ ტელეპროექტი არხის მხრიდან ახსნა-განმარტების გარეშე მოიხსნა ეთერიდან. თუმცა ინტერესმა გამორჩეულ ქართველთა ბიოგრაფიების მიმართ ტელესივრციდან ბეჭდურ სივრცეში გადაინაცვლა, სადაც ასევე განხორციელება პოვა ანტიქართული ათეულის, ეთნიკური უმცირესობების ათეულის იდეებმა და რეიტინგის სხვა ვარიაციებმაც.

#### **4. სტალინი “დიდი ქართველების” ლიტ. ჟანრში**

ლიტერატურის სივრცეში ისტორიულ პიროვნებათა თავმოყრა და საცნობარო-საგანმანათლებლო ფორმით წარდგენა მკითხველისათვის, როგორც ზემოთ უკვე განვიხილეთ, პოლიტიკური ემიგრაციისადმი მზარდი ინტერესის პარალელურად განვითარდა 1990-იანების დასაწყისიდან. რაც შეეხება ფართო

---

<sup>29</sup> შეევანილია მხოლოდ ის ჟურნალ გაზეთები რომლებიც კრიტიკული, ან მხარდამჭერის სტატუსით გამოირჩეოდნენ.

ისტორიულ პერსპექტივას 1991 წელს ქვეყნდება მცირე, 80 გვერდიანი წიგნი სათაურით „თავდადებული მამულიშვილები“ (ჩხიკვაძე), რომელიც ვახტანგ გორგასლის ცხოვრებიდან ქეთევან დედოფლის წამებამდე გამორჩეულ პიროვნებათა ხუთ ისტორიულ ეპიზოდს აცნობს მკითხველს. თუმცა, ამგვარი მიდგომა ქართული ეროვნული გმირების მიმართ მხოლოდ შუა 2000-იანებიდან განვითარდა თანდათანობით და განსაკუთრებული მრავალფეროვნება „საქართველოს დიდი ათეულის“ ტელეგადაცემის ისტორიის შემდეგ შეიძინა.

2005 წელს ფილოლოგ ტარიელ ზოზრაშვილის ავტორობითა და ისტორიკოს გურამ ყორანაშვილის რედაქტორობით გამოიცა კრებული „ისინი რომ არა“ რომელიც ფარნავაზ მეფიდან დაწყებული ტექსელის ტრაგედიის ისტორიით დასრულებული 43 ისტორიულ პირსა და ტრაგიკულ მოვლენაზე უყვება მკითხველს. კრებული პოპულარულ-ისტორიული ხასიათისაა, მასში ასევე მოცემულია საქართველოს ისტორიული დანიშნულების მითოლოგიაც. წინათქმაში ავტორი მკითხველს ამცნობს: „ვფიქრობ, ჩვენი გადარჩენის საიდუმლო ღვთის განსაკუთრებულ სიყვარულსა და ერთგულებაში უნდა ვეძებოთ... მფარველ ანგელოზად ხან დედაღვთისმშობელი გვეცხადებოდა, ხან მთავარმოწამე წმინდა გიორგი“ (იქვე, 3). გარდა რელიგიური გამორჩეულობის ავტორი ასევე საუბრობს ქართულ გამორჩეულ „ჯიშზე“, რომელიც „მომხვდურთა“ მიერ გამოიყენებოდა „...ჯიშის გასალამაზებლად, ჰარამხანებისა და უმამაცეს მებრძოლთა რიგების შესავსებად“ (იქვე, 4-5) და სახასიათო სიმამაცეზე, რომელიც საუკუნეების მანძილზე ვლინდებოდა ქართველ მებრძოლებში, რომელთაგან ნაგემი მარცხიც „ამირებს, ფაშებს, სულთნებს, შაჰებს თუ ყაენებს სამარეში მიჰყვებოდათ“ (იქვე, 5). რაც შეეხება საქართველოს მდგომარეობას რუსულ და საბჭოთა იმპერიებში ავტორი ლაკონიურად გადმოსცემს თავის კრიტიკულ შეხედულებას: „ჯერ თავად ჩამორჩენილი ქვეყნის ორი განაპირა გუბერნიის ხვედრი გვერგო, შემდეგ კი 70 წლის მანძილზე საბჭოთა იმპერიაში უღმერთოდ გვაცხოვრეს. ამ მდგომარეობიდან დასახსნელადაც დიდი მსხვერპლი გავიღეთ“ (იქვე).

აღნიშნული პუბლიკაციის გარდა ზოზრაშვილის ავტორობით იგივე წიგნი

გარკვეული მოდიფიკაციებითა და დამატებებით 2008 და 2012 წლებშიც გამოიცემა. საბჭოთა პერიოდის მიმართ მისი კრიტიკული დამოკიდებულება ისეთ პიროვნებებსა და მოვლენებზე მსჯელობით გადმოიცემა როგორებიცაა სოჭის ოლქის დაკარგვა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის შექმნა (ისინი რომ არა 2005), კოტე აფხაზი და ქაიხოსრო ჩოლოყაშვილი (დიდი ქართველები: ცხოვრების ქრონიკები 2008). 2012 წელს გამოცემულ კრებულში კი ასევე დამატებულია რეპრესიებს შეწირული სანდრო ახმეტელი და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერები ზვიად გამსახურდია და მერაბ კოსტავა (დიდი ქართველები: ცხოვრების ქრონიკები. II ნაწილი).

თუმცა ეს უკანასკნელი კრებული იმითაა საინტერესო, რომ მასში პირველად ჩნდება იოსებ სტალინი და მას ყველაზე დიდი სივრცე ეთმობა<sup>30</sup>. ზოზრაშვილის მიერ სტალინის შეფასება პიროვნების კულტის ჟანრის წესების სრული დაცვითაა დაწერილი. პირველივე გვერდზე ავტორი მკითხველს ამცნობს:

„არიან ადამიანები, რომელთაც ჩვეულებრივი ადამიანური საზომებით ვერ მივუდგებით. ასეთი ადამიანები საკუთარ ეპოქებს ქმნიან. ერთი ასეთი გამორჩეული პიროვნება იყო იოსებ ბესარიონის ძე სტალინი. ...რადაც ამოუცნობი ზეკაცური ენერჯის პიროვნება მოჩანს მისი ნაღვაწის მასშტაბებსა და აზროვნებაში. მართლაც საოცარია, როგორ ეტეოდა ერთ პიროვნებაში ამდენი რამ. თვალს გადაავლებ მის ეპოქას და იმ აზრამდე მიდიხარ, რომ იგი თითქმის მთელი პლანეტის მბრძანებლად გამოიყურება,... სტალინის პიროვნება ადამიანური შესაძლებლობის ზღვარდაუდებელი, ყველაზე უმაღლესი მწვერვალია. მთელი მისი ცხოვრება მხოლოდ აღმავალი დიდებით სავალი გზებია. ამ მრისხანე ტამარს... მუდმივად გაოცებულმა უნდა უყურო. ამ საოცრებამ გააცნო მსოფლიოს... მანამდე უცნობი პატარა საქართველო“ (იქვე, 108).

ერთი შეხედვით, სტალინისადმი ამგვარი დამოკიდებულებით

---

<sup>30</sup> აღნიშნულ პუბლიკაციაში თითო თავს საშუალოდ 4,5 გვერდი ეთმობა. მათ შორის ყველაზე დიდი სივრცე გამოყოფილია შემდეგი პიროვნებებისათვის: სტალინი— 12 გვერდი, მერაბ კოსტავა— 10, ზვიად გამსახურდია— 10, გურჯი ხათუნი (XIII ს.)— 8.

ზოზრაშვილი სამივე წიგნში გადმოცემული პატრიოტული პათეტიკის წინააღმდეგ მიდის, რადგან ისტორიული პერსპექტივიდან სტალინის ფიგურა ვერ უთავსდება ისეთ ეროვნულ ნარატივებს, როგორცაა ქართველი ერის თავისუფლებისაკენ სწრაფვა და რწმენისადმი თავდადება. თუმცა, რიტორიკული არსენალი, რომელსაც ზოზრაშვილი იყენებს, სტალინური ლიტ. ჟანრის პრაქტიკულად ყველა პათეტიკური ელემენტისაგან შედგება, შესაბამისად სტალინი არა ისტორიულ, არამედ მითოლოგიურ პერსონაჟადაა წარმოჩენილი. აქ მკითხველს შეხვდება: სტალინის პიროვნების მისტიფიკაცია, ისტორიული დისტანციის არგუმენტი, პარალელები პოლიტიკურ ლიდერებთან და მხედართმთავრებთან მსოფლიო ისტორიიდან, საქართველოზე ზრუნვა, ილია ჭავჭავაძესთან ურთიერთობის ეპიზოდები, სადი აზრისაკენ მოხმობა პოლიტიკის ბუნებაზე ლაპარაკისას, სტალინის რელიგიურობა და პირადი გამოცდილება. თუმცა, დეტალური განხილვა, რომელსაც ქვემოთ გაეცნობა მკითხველი, გვიჩვენებს, რომ ყველა ეს არგუმენტი ზედაპირულ ისტორიული ცოდნისა და მცდარ, ან არასაკმარის წანამძღვრებზე დაფუძნებული დასკვნებისგან არის მიღებული.

*მისტიფიკაცია:* ზოზრაშვილის მთელი ტექსტი აგებულია განწყობა-დამოკიდებულებაზე, რომელიც სტალინს შეფასების ადამიანური კრიტერიუმების მიღმა ათავსებს. განსაკუთრებით საინტერესოა იმ ეპითეტების ჩამოთვლა, რომლითაც ავტორი სტალინს ამკობს: ამოუცნობი ზეკაცი, პლანეტის მბრძანებელი, მრისხანე ტაძარი, საოცრება. ამასთან ერთად, მთელს ტექსტში სტალინის პარტიულ თანამებრძოლთა არცერთი სხვა სახელი მოყვანილი არ არის, რაც ქმნის შთაბეჭდილებას, თითქოს იგი ამ პლანეტარული მასშტაბების საქმეებს მარტოდმარტო ახორციელებდა, როგორც ნამდვილი „ზეკაცი“. შესაბამისად, მოყვანილი ეპითეტები არა ჰიპერბოლურ, არამედ სიტყვასიტყვით მნიშვნელობას იძენს. გარდა ამისა, სტალინი მარტოა საერთო ისტორიულ სურათშიც, ზოზრაშვილის თქმით: "მსოფლიოს არ ახსოვს სტალინზე დიდი პოლიტიკოსი, მასზე დიდი იმპერიის შემქმნელი. მასთან პატარებად მოჩანან მაკედონელი და ჰანიზალი, ჩინგიზ-ხანი და ლენგ-თემური, პეტრე დიდი,



ნაპოლეონი, ჰიტლერი თუ კეისართა და სულთან-შაჰების მთელი წყება" (109).

*ისტორიული დისტანცია:* ტექსტში ხშირია ხაზგასმა, რომ სტალინის შეფასება ჯერ ადრეა, რომ ამის დრო ჯერ არ მოსულა, რომ სტალინის ობიექტური შეფასება თავის დროს მოელის. ამასთან ერთად, სტალინის კრიტიკა და მის მიერ დანერგილი ღირებულებების გაუფასურება მხოლოდ დროებითი მოვლენაა. თუმცა, ტექსტი გამსჭვალულია დამოკიდებულებით, რომ ავტორი არ და ვერ მიიღებს სტალინის განსხვავებულ შეფასებას. ამიტომ გაურკვეველი ხდება, რას ელოდება ავტორი და რა მოლოდინისკენ მოუწოდებს იგი მკითხველს, მაშინ როცა თავად სტალინისა და მისი მოღვაწეობისათვის ჭეშმარიტი შეფასება უკვე გაკეთებული აქვს.

ავტორი სტალინის შესწავლაში მისი პიროვნებისა და იდეების სრულ რეაბილიტაციას გულისხმობს. მისი ინტერპრეტაციით სტალინის სწავლების ძირითადი იდეა ჩაგრულთა განთავისუფლება იყო, რაც „...საბჭოთა პერიოდის ბოლო ათწლეულებში იმედგაცრუებათა გამო და მის შემდგომაც, ყბადაღებულ ლოზუნგად არის გადაქცეული. მაგრამ ეს მხოლოდ დროებითი მოვლენაა, ახლო მხედველური შეფასებაა ფენომენისა (იქვე, 112).

*მართებული ტერორი:* ზოზრაშვილი დიდ სივრცეს უთმობს სტალინიზმის ერთ-ერთ ყველაზე მძიმე ეპიზოდს — მასობრივ ტერორს (ე. წ. წმენდებს). იგი თავს არ არიდებს ამ ტერორში სტალინის პასუხისმგებლობას და უნდა ითქვას სტალინის ამგვარი ზეადამიანური უნარებით დაჯილდოების შემდეგ გაუგებარი იქნებოდა იმის მტკიცება, თითქოს მან არც კი იცოდა ტერორის შესახებ. ზოზრაშვილი ცდილობს ტერორის მართებულობაში დაარწმუნოს მკითხველი, რისთვისაც ერთგვარ თეორიას ავითარებს რომელსაც *მართებული ტერორის თეორია შეგვიძლია ვუწოდოთ*. ზოზრაშვილის სიტყვებით:

დროა ისტორიოგრაფიამ მიიღოს ფილოსოფიის რჩევა, რომ კაცობრიობის ისტორია სამოთხის ისტორია არ არის, ესაა სახელმწიფოთა ძალმომრეობის ისტორია, აქ დევს უმცირესი ბოროტების არჩევის სტალინური გენიალობა. ამაოდ ვეძებთ მიწაზე ანგელოზებს (იქვე, 110).

მსგავსი მიდგომით ტერორი პოლიტიკურ მოღვაწეთა ჩვეული მეთოდი ხდება, რისი დამატებით დასაბუთებისათვის ავტორი ქართველ მეფეთა ისტორიას იმოწმებს: „აღმაშენებელს, გიორგი ბრწყინვალეს და სხვა ქართველ მეფეებს რეპრესიები რომ არ გაეტარებინათ, ამ სიმაღლეზე ვერც თვითონ ისინი ავიდოდნენ და საქართველოც დაიღუპებოდა (იქვე, 109).“ აქ მხოლოდ მოკლედ აღვნიშნავთ, რომ მონარქიულ-ტრადიციული საზოგადოების პოლიტიკური პროცესების შედარება ინდუსტრიალიზაცია-მოდერნიზაციის პროცესში მყოფი საზოგადოების სოციო-კულტურულ და ეკონომიკურ/პოლიტიკურ პროცესებთან ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს. ზოზრაშვილის შემდგომი მსჯელობა კიდევ უფრო გაუგებარი ხდება, როცა იგი წერს, რომ სტალინის რეპრესიებისას „განადგურდა ბევრი მეცნიერი, მაგრამ მეცნიერება არ განადგურებულა“ (იქვე, 110) გარდა ამისა „ცალკეული პიროვნებები ისჯებოდნენ ხელოვნება და კულტურა კი ვითარდებოდა“ (იქვე).

დაბოლოს, უვნებლობის დამატებით დასაბუთებლად ავტორი სტალინის რეპრესიებს დემოკრატიას ადარებს. აქ კი აშკარად ვლინდება, რომ იგი მძიმე გარდამავალ პერიოდში მყოფ ქართულ საზოგადოებას მიმართავს და დემოკრატის იდეით ფრუსტრირებული მკითხველის მიმართ აპელირებს: "სტალინური რეპრესიები ძალზე მკაცრი იყო, მაგრამ მისი მსხვერპლი გაცილებით ნაკლები — ვიდრე დემოკრატის რეპრესიებისა" (იქვე, 109) და „სტალინი მსხვერპლის გალებით ქვეყანას აშენებდა, დღევანდელი გულჩვილი დემოკრატები კი ქვეყანას ანგრევენ მსხვერპლით“ (იქვე, 110).

**სტალინის გატარებული რელიგიის პოლიტიკა:** კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მეთოდი სტალინის პოზიტიური სურათის დახატვისას მის რელიგიურობაზე ხაზგასმას. ზოზრაშვილი ჰყვება მითს იმაზე, თუ როგორ მოიგო სტალინმა დიდი სამამულო ომი ეკლესიების გახსნით, რაც მოსკოვის მიტროპოლიტ ილიას თავად ღვთისმშობელმა აღუთქვა (იხ. იქვე, 117). ასევე მოთხრობილია 1943 წლის 28 ოქტომბერს რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის

აღიარება, რაც „უსტალინოდ არ მოხდებოდა“ (იქვე, 117-8)<sup>31</sup>. თუმცა ისტორიული პერსპექტივიდან უნდა აღინიშნოს, რომ მეორე მსოფლიო ომის დროს სსრკ-ში რელიგიური პოლიტიკის შემობრუნება მოხდა არა 1941 წელს, როდესაც მუშურ-გლეხური წითელი არმიის მდგომარეობა განსაკუთრებით მძიმე იყო, არამედ 1942 წლიდან, როდესაც სამხედრო მოქმედებების ბედი უკვე მის სასარგებლოდ გადაიხარა. ისტორიკოს სტივენ მერიტ მინერის მონოგრაფიაში *Stalin's Holy War: Religion, Nationalism, and Alliance Politics, 1941-1954* (Miner 2003) ნაჩვენებია ფართოდ გავრცელებული შეხედულების უსაფუძვლობა, რომლის მიხედვითაც რელიგიური პოლიტიკის შემოტრიალება სტალინს საბჭოთა ხალხის ეროვნული სულისკვეთების ასამაღლებლად სჭირდებოდა ომის რთულ ეპიზოდში. ამის ნაცვლად ფორმალურად დამოუკიდებელ, რეალურად კი ცენტრალურ ხელისუფლებას დაქვემდებარებული ეკლესია სხვადასხვა პოლიტიკურ ფუნქციებს ასრულებდა, გარემოებებში, როდესაც ვერმახტის ჯარები უკან იხევდნენ, ხოლო წითელი არმია აღმოსავლეთ ევროპის მიწების ოკუპაციისათვის ემზადებოდა, სადაც მოსახლეობისათვის რელიგია მნიშვნელოვან კულტურულ ელემენტს წარმოადგენდა.

**სტალინი, ილია, რუსთაველი და საქართველო:** ზოზრანაშვილი ჰყვება სოსელოს მიერ ივერიაში ლექსების დაბეჭდვის შესახებ. იმაზე თუ როგორ დაინახა ილიამ მოზარდ სტალინში მსოფლიოს მასშტაბის პოტენციალი (იხ. იქვე, 111). აღნიშნული მითი განხილულია გურამ ყორანაშვილის მონოგრაფიაში *ილიას ფენომენი* (2007), სადაც ავტორი იკვლევს იოსებ ჯუღაშვილზე ილიასათვის მიწერილი ფრაზის „შორს წავა, ძალიან შორს“ გენეალოგიას, რომლის ავთენტურობასაც ყორანაშვილი ეჭვქვეშ აყენებს<sup>32</sup>.

---

<sup>31</sup> სტალინის რელიგიურობის მითი განხილულია კრებულში „13 მითი სტალინის შესახებ“, სადაც აღნიშნული მითის წარმოშობა პოსტსაბჭოთა რუსულ პოლიტიკურ ინტერესებს უკავშირდება, სადაც ინსტრუმენტულ როლს ასრულებენ, ერთი მხრივ, რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესია, როგორც სახელმწიფო იდეოლოგიის დასაყრდენი და, მეორე მხრივ, სტალინი როგორც დიდი ლიდერი და მართლმადიდებელი ეკლესიის დამცველი (კუპატაძე და ცუცქირიძე 2016, 41). რაც შეეხება სტალინის მიერ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა 1943 წელს, აქ ფაქტებისა და გარემოებების აღრევასთან გვაქვს საქმე, რადგან 1) ავტოკეფალიის მინიჭების საკითხს მსოფლიო (კონსტანტინოპოლის) პატრიარქი წყვეტს და 2) გავლენის ქვეშ მყოფი ავტოკეფალიური ეკლესია რუსეთში პატრიარქის დასმის წინაპირობას წარმოადგენდა (იხ. იქვე, 52).

<sup>32</sup> ყორანაშვილის (2007) შეხედულებით აღნიშნული ფრაზა ორი წყაროდან შეიძლება მომდინარეობდეს, პირველი ლიტერატორ ლევან ასათიანის 1957 წელს გამოქვეყნებული დრამატული ქრონიკა სახელწოდებით

მოკლედ არის ნახსენები სტალინის ხელშეწყობით ილიას დაბადებიდან ასი წლის იუბილესა და „ვეფხისტყაოსნის“ 750 წლისთავის იუბილეების აღნიშვნა (იხ. იქვე 115). სტალინის მმართველობის სტილის დახასიათებისას ისევ რუსთაველია ნახსენები: „შიში შეიქმს სიყვარულსა“. ასეთი შიშით დათრგუნვილნი უფრო საიმედო დასაყრდენად მიაჩნდა“ (იქვე, 112). ნახსენებია სტალინის გეგმა თურქეთის მიერ საქართველოსათვის წართმეული მიწების დასაბრუნებლად, რომლის განხორციელებასაც ხელი ჩერჩილმა შეუშალა (იხ. იქვე, 114). მოთხრობილია საფრანგეთიდან ქართული ეროვნული განძის დაბრუნებაზე (იხ. იქვე). ზოზრაშვილის ტექსტში პოსტსაბჭოთა სტალინისტური მითოლოგიისა და ლეგენდების საკმაოდ დიდი ნაწილია გამოყენებული. ამასთან ერთად, იგი „დიდი ქართველების“ ლიტ. ჟანრის ერთ-ერთი ადრეული პოპულარიზატორია თავისი სამი პუბლიკაციით 2005, 8 და 12 წლებში. საინტერესოა, რომ სტალინი, როგორც პიროვნება, რომელსაც ზოზრაშვილი ყველაზე მაღალ შეფასებას აძლევს მის წიგნებში მხოლოდ 2012 წელს ჩნდება. როგორც წინამდებარე ნაშრომში მიმოხილულ აკადემიურ პუბლიკაციებში ვლინდება 2012 წელი სტალინური შემობრუნების წლად არის მიჩნეული, რაც ყველაზე უფრო ნათლად სტალინის ახალი ძეგლების დადგმით გამოვლინდა (Kekelia and Reisner 2021).

„დიდი ქართველების“ ლიტ. ქვეჟანრში სტალინი პირველად ჩნდება 2008 წელს ისტორიკოს ვაჟა შუბითიძის წიგნში „ყველა დროის 100 უდიდესი ქართველი“. წიგნი 88 თავისაგან შედგება და თითოეული მათგანი საქართველოს ისტორიის ერთ, ორ ან სამ გამორჩეულ პიროვნებაზე უყვება მკითხველს, დაწყებული ფარნავაზიდან და დამთავრებული ბიძინა ივანიშვილით. ერთ-ერთი თავი ეთმობა გიორგი სააკაძისა და იოსებ ჯუღაშვილის მოღვაწეობათა განხილვა-შეფასებას (იხ. იქვე, 168-182). მიუხედავად იმისა, რომ ამ ორ პიროვნებას 300 წელზე მეტი აშორებს ავტორი მათ ერთად მოთავსებას არსებული

---

"წიწამურის გზა", სადაც ყორანაშვილის შეფასებით "ავტორი ნამალადევად ცდილობდა წარმოეჩინა ამ ორი პიროვნების ურთიერთ შეხების მომენტები (იქვე, 471). მეორე კი, ფრაზის საფუძვლად შესაძლოა გამოყენებულ ყოფილიყო იაკობ მანსვეტაშვილის მოგონებები, როდესაც იგი აღწერს ილიას კომენტარს ვაჟა ფშაველას ნაწერებზე "კოჭებზე ეტყობა რა ვაჟიც უნდა გამოვიდეს მაგ ვაჟისაგან: შორს წავა, შორს!" (იქვე).

მსგავსებებითა და ანალოგიებით ხსნის: „მათ პატივმოყვარეობასა და დაუნდობლობასთან ერთად ახასიათებდათ დიდი პასუხისმგებლობა, შემწყნარებლობა და თავგანწირვა. სწორედ ამიტომ ხვდა წილად ორივე მათგანს გმირის შარავანდედიცა და მოღალატის დაღიც“ (იქვე, 168).

შუბითიძე სტალინისადმი არაერთგვაროვან დამოკიდებულებას ეყრდნობა და ცდილობს თანაბრად წარმოაჩინოს მისი დადებითი და უარყოფითი მხარეები. დადებითი ის არის, რომ „იოსებ ჯუღაშვილი დღემდე მსოფლიოში ყველაზე ცნობილი „ქართული“ სახელია“ (იქვე, 177), ხოლო უარყოფითი ის რომ „მას სამწუხაროდ იცნობენ როგორც „სტალინს“ ანუ რუსს... საქართველოსთვის კი მისი მოღვაწეობის პერიოდში, განსაკუთრებული არაფერი გაკეთებულა (იქვე). შუბითიძე მოკლედ ჰყვება ჯუღაშვილსა და ილია ჭავჭავაძეს შორის გაფუჭებულ ურთიერთობებზე და მიიჩნევს რომ ამ უკანასკნელის მკვლელობაში ჯუღაშვილს მორალური პასუხისმგებლობა აკისრია (იხ. იქვე, 179). მისი როლი საქართველოს ოკუპაციაში ღალატად არის შეფასებული (180). აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური რესპუბლიკების შექმნა სტალინისა და ქართველი ბოლშევიკების მიერ შექმნილ „ნელმოქმედ ბომბებადაა“ შეფასებული, რომელიც "იმ წუთშივე აგვიფეთქეს რუსებმა, როგორც კი საქართველომ დამოუკიდებლობა გამოაცხადა 1992 წელს..." (იქვე, 181). ასევე ნახსენებია 1921-1928 წლებში ქართული ტერიტორიების თურქეთის აზერბაიჯანისა და რუსეთისათვის გადაცემა (იქვე). წინააღმდეგობრივი შეფასებებია მიცემული ინდუსტრიალიზაციის, კოლექტივიზაციისა და კულტურული რევოლუციისათვის, „რომლებსაც დადებითთან ერთად მრავლად ახლდა უარყოფითი შედეგებიც“ (იქვე). ნახსენებია რეპრესიები და მილიონობით ადამიანის განადგურება (იქვე).

სტალინი პოზიტიურადაა მოხსენიებული მეორე მსოფლიო ომის კონტექსტში და ომის შედეგად განადგურებული ინფრასტრუქტურის აღდგენასა და ცხოვრების დონის გაუმჯობესებაში, თუმცა აქვია ნახსენები უზარმაზარი მსხვერპლი საბჭოთა (20 მლნ. მოკლული) და კერძოდ ქართული (300.000 მოკლული) მხრიდან, რომელიც შეეწირა ამ გამარჯვებას. უნდა აღინიშნოს, რომ

შუბითიძის ვერსია მეორე მსოფლიო ომის მსვლელობაზე საბჭოთა ვერსიას იმეორებს, რომლის მიხედვითაც ნაცისტური გერმანია სრულიად მოულოდნელად დაესხა თავს მშვიდობიან საბჭოთა კავშირს, რომელსაც ამგვარი მასშტაბების ომისათვის მოსამზადებელი დრო არ ჰქონია (იხ. სტალინი, ი.ბ. 1955. *საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის შესახებ*) და არ ითვალისწინებს ვიქტორ სუვოროვისა (Suvorov 1990) და მარკ სოლონინის (Солонин 2007) კრიტიკულ თეორიებს, რომელთა მიხედვითაც მეორე მსოფლიო ომის გაჩაღებაში საბჭოთა კავშირსა და მესამე რაიხს თანაბარი პასუხისმგებლობა ეკისრებათ.

დასასრულს კი შუბითიძე სამართლიანად აღნიშნავს, რომ მისი მეთაურობით ეკონომიკურ, კულტურულ და პოლიტიკურ სფეროებში განხორციელებულ ამგვარი კატასტროფული მოვლენების მიუხედავად სიკვდილის შემდგომ „საქართველომ სხვებთან ერთად მაინც მწარედ დაიტირა სტალინი“ (იქვე, 182).

ასევე საინტერესოა გიორგი სააკაძისა და იოსებ სტალინის ერთად მოთავსების საკითხი. როგორც ზემოთ უკვე ვახსენეთ, უშუალოდ შუბითიძე ამას მათ არაერთგვაროვან შეფასებებს შორის არსებული მსგავსებით ხსნის. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს თავად სტალინის ინტერესი გიორგი სააკაძის ისტორიული ფიგურის მიმართ. აღნიშნული საკითხი დეტალურად აქვთ შესწავლილი როსტომ ჩხეიძეს მონოგრაფიაში „სიმართლე გიორგი სააკაძეზე“ (2012) და გურამ ყორანაშვილს, რომლის შეხედულებებიც გადმოცემულია ისტორიულ მონოგრაფიაში „ავკარგიანობა გიორგი სააკაძისა“ (2017, 13-46). ორივე მათგანი თანხმდება მოსაზრებაზე, რომ გიორგი სააკაძის პოზიტიური კუთხიდან წარმოჩენით, რაც უშუალოდ სტალინის მიერ ისტორიის ზედაპირული და უკონტექსტო ინტერპრეტაციით ხორციელდებოდა, მიზნად 1921 წელს საქართველოს გასაბჭოების გამართლებას ისახავდა პროგრესისა და განვითარების სახელით (იხ. ჩხეიძე, 176; ყორანაშვილი, 19). შესაბამისად, ამ ორი ფიგურის ერთად მოთავსება, გარკვეულ წილად თავად სტალინის მიერ შექმნილი გიორგი სააკაძის როლის ინტერპრეტაციისა და მის ფონზე საკუთარი პოლიტიკის გამართლების ერთგვარი გაგრძელებაა. თუმცა, აქვე უნდა

აღინიშნოს, რომ შუბითიძის მიერ სტალინის დახასიათება უფრო ნეგატიურია, ვიდრე პოზიტიური.

2011 წელს ქვეყნდება ზურაბ ქუთათელაძის კრებული „ქართული გენი უცხოტომელთა სამსახურში: 100 რჩეული ბიოგრაფია“, რომელიც მიზნად ისახავს უცხო ქვეყნებში მოღვაწე გამორჩეულ ქართველ პოლიტიკოსთა, სამხედრო პირთა და ხელოვანთა თავმოყრას. ქართველობა, როგორც ავტორის მიერ წიგნის შესავალში მოყვანილი ცნობებიდან შეგვიძლია დავასკვნათ, ორ ძირითად კრიტერიუმს ეფუძნება: ერთი მათგანი პიროვნების ქართული წარმომავლობის უტყუარი ისტორიული მტკიცებულებების არსებობაა, მეორე კი გენეტიკური ქართველობაა (იხ. იქვე, 3). ავტორი მიზნად არ ისახავს კრებულში მხოლოდ პოზიტიური კუთხით გამორჩეული პირების თავმოყრას, არამედ შეკრებილი ისტორიული პერსონაჟები ვარირებენ "უკეთილშობილესი რაინდებიდან მოყოლებული, უკანასკნელ არამზადებამდე," რადგან "...ქართველი შეიძლება იყოს ყველანაირი და ყველაფერში ეძიებდეს პირველობას" (იქვე, 6). კრებულში შესული 100 ბიოგრაფიიდან განსაკუთრებული რაოდენობით რუსეთში მოღვაწე ქართველები არიან წარმოდგენილნი, რადგან, როგორც თავად ავტორი განმარტავს ქართველები „ამ ქვეყნის ასპარეზზე უფრო გვიან გამოჩნდნენ და ამდენად, უფრო კარგად მოჩანან ახლო გადასახედიდან!“ (იქვე). მათ შორის წარმოდგენილია ლავრენტი ბერიას, სერგო ორჯონიკიძისა და იოსებ სტალინის ბიოგრაფიები.

მოყვანილია სამივე მათგანის მიღწევები და პარალელურად ჩადენილი დანაშაულები. ყურადღებაა გამახვილებული მათ როლზე საქართველოს უახლეს ისტორიაში — სტალინისა და ორჯონიკიძის შემთხვევაში საქართველოს ოკუპაცია-გასაბჭოებაში შესრულებული როლი შემდეგნაირადაა შეჯამებული: „სტალინიცა და ორჯონიკიძეც, საქართველოს დამოუკიდებლობის ერთნაირი მოძულენი იყვნენ და ერთნაირად მტრობდნენ საკუთარ სამშობლოს, მაგრამ გადამწყვეტ როლს სტალინი ასრულებდა. ორჯონიკიძე სტალინის ნების უსიტყვო შემსრულებელი იყო" (იქვე, 137). უშუალოდ სტალინისათვის საქართველოს ოკუპაცია მისი პოლიტიკური წინსვლის პირობადაა

წარმოჩენილი, რადგან რუსეთში ემიგრანტის სტატუსით ყოფნის შემთხვევაში იგი „ვერ დაეუფლებოდა იმპერიის სამეთაურო პოსტებს“ (იქვე, 156). სწორედ ამიტომ „სტალინმა საქართველო მსხვერპლად შესწირა რუსეთს“ (იქვე). ხოლო ბერიას შემთხვევაში ხაზგასმულია 1924 წლის აჯანყების ჩახშობაში გამოვლენილი სისასტიკე ლ. ლოლობერიძესთან ერთად (იხ. იქვე, 38-39). ავტორი რუსეთსა და საქართველოში სტალინისადმი არსებულ ორმაგ დამოკიდებულებას განიხილავს და ამ უკანასკნელთა შეხედულებებს იმის თაობაზე, რომ სტალინს ქართული მიწების დაბრუნებას აპირებდა ალბათობის საკითხად მოიხსენიებს და აქვე მოჰყავს ისტორიული ფაქტები ქართული მიწების სხვა რესპუბლიკებზე გადაცემისა და ავტონომიური რესპუბლიკების შექმნის შესახებ (იქვე, 156-157).

ქართველების უცხოეთში მოღვაწეობის თემაზე 2017 წელს გამოიცა ისტორიკოს ალექსანდრე ნონეშვილის კრებული „ქართული კულტურა უცხოეთში: 100 მოღვაწე და ძეგლი“, რომელშიც შესულია ასი ქართული წარმოშობის პიროვნება და ღირსშესანიშნაობა მსოფლიოს 27 ქვეყნიდან. ყველაზე დიდი სივრცე — 30 თავი — რუსეთს ეთმობა, მათ შორის ასევე მოთავსებულია თავი იოსებ სტალინის შესახებ (გვ. 96-7). სტალინისათვის დათმობილ 2 გვერდში საუბარია მის ლექსებზე, იატაკქვეშა რევოლუციურ საქმიანობაზე, 1922 წელს რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივნად დანიშვნაზე, სამამულო ომის წლებში მის სამხედრო მეთაურობაზე და მარშალისა (1943) და გენერალისიმუსის (1945) წოდებების მიღებაზე. მისი მოღვაწეობა შეფასებულია რუსეთის აგრარულიდან „სუპერ სახელმწიფომდე“ მიყვანისა და „სოციალისტური ბანაკის“ იდეის პრაქტიკული განხორციელების ეპითეტებით. ასევე ნახსენებია, რომ მისი „შეფასებანი მკვეთრად კონტრასტულია ღმერთკაციდან სატანამდე“ (იქვე, 97). არაფერია ნათქვამი საქართველოს ოკუპაცია-გასაბჭოებაზე, 1924 წლის აჯანყების ჩახშობაზე, კოლექტივიზაციაზე, 37-8 წლების ტერორზე, გულაგის სისტემაზე და მეორე მსოფლიო ომის დაწყებაში შეტანილ წვლილზე.

2015 წელს ქვეყნდება სტალინისადმი კრიტიკულად განწყობილი (იხ.



დვალიშვილი 2009) ავტორის, ოთარ დვალიშვილის ორი ნაწილისაგან შემდგარი კრებული. წიგნის შესავალი ილია მეორესა და „ხელთუქმნელ ხატს“ ეძღვნება, ეს უკანასკნელი საქართველოს იმედადაა დასახელებული. შემდგომ კი აღწერილია საქართველოს ისტორიის „დაშლისა“ და ბატონყმობის ეპიზოდები, რომელთა ფონზე ქვეყნის იმედად ისევ ამ პერიოდებში მოღვაწე სასულიერო პირები არიან წარმოჩენილნი. წიგნის მეორე ნაწილი საქართველოს გამოჩენილ ადამიანთა მოკლე ბიოგრაფიულ კრებულს წარმოადგენს, სადაც 28 პიროვნებას შორის 15 პოლიტიკის სფეროს წარმომადგენელია, ხოლო ამ თხუთმეტს შორის მოთავსებული არიან სტალინი (გვ. 78-90), ორჯონიკიძე და ბერია. დვალიშვილი სტალინის წარმომავლობის მითების აღწერით იწყებს და მისი ბიოლოგიური მამის კანდიდატებს შორის ყველაზე სანდო ვერსიად იაკობ ეგნატაშვილს მიიჩნევს. სწორედ უკანონო წარმომავლობას უკავშირებს ავტორი იოსებ ჯულაშვილში მშობლების მიმართ გაჩენილ სიძულვილს, რომელიც შემდგომ მის ბანდიტურ და პოლიტიკურ მოღვაწეობაში გამოვლინდა, რამაც მილიონობით უდანაშაულო ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. დვალიშვილი აქვე სტალინის გარშემო არსებულ დამოკიდებულებათა წინააღმდეგობრიობას, ერთი მხრივ, სიმართლის დაწერის შიშს უკავშირებს, ხოლო, მეორე მხრივ, სტალინის ქართული წარმომავლობისადმი გამოხატულ რიდს, ხოლო თავის ამოცანად სიმართლის თქმას მიიჩნევს (იხ. იქვე, 79).

ინტერესი საქართველოს გარეთ მოღვაწე ქართველების შესახებ საფუძვლად დაედო ისტორიკოს გიორგი კალანდიას ავტორობით გამოცემულ 15 ტომეულს სახელწოდებით „ქართველები მსოფლიო ისტორიაში“ (2020). მრავალტომეულში თავმოყრილია ქართული წარმომავლობის პიროვნებათა მოღვაწეობა მსოფლიოს 40-მდე ქვეყნიდან, უძველესი დროიდან მეორე მსოფლიო ომამდე. ერთ-ერთ ინტერვიუში მრავალტომეულის ავტორი გიორგი კალანდია იხსენებს იმას თუ როგორ გაჩნდა წიგნის დაწერის იდეა: გერმანიაში ყოფნისას ქუჩაში ავტორისა და მისი მეგობრის წარმომავლობით დაინტერესდნენ და ყველა დროის ყველაზე ცნობილი ქართველის დასახელება სთხოვეს. დასმულ კითხვაზე კალანდიას მეგობარმა „ინსტინქტურად“ სტალინი დაასახელა

(კალანდია 2019). იგივე ისტორიას კალანდია მრავალტომეულის გამოცემის შემდეგ სატელევიზიო ინტერვიუშიც ჰყვება, თუმცა ამჯერად მეგობრის მიერ გაცემულ პასუხს აღარ იმეორებს და იფარგლება კომენტარით „დაახლოებით ხვდებით ყველა დროის ყველაზე ცნობილი ქართველი ვინ არის“ (კალანდია 2021, 1:20-2:20). გამოცემის მე-4 ტომი რუსეთში მოღვაწე ქართველებს მიმოიხილავს ერთი თავში კი — რომელიც საბჭოთა კავშირს ეხება — მოყვანილია მცირე ცნობები იოსებ სტალინსა და ლავრენტი ბერიაზე (იხ. იქვე, ტომი IV, 188-9). ნახსენებია სტალინიზმის პერიოდის ტერორი, რომლის მსხვერპლთა რიცხვიც „რამდენიმე ათეულ ათასს აჭარბებს“ (იქვე, 189)<sup>33</sup>.

აღწერის სისრულისათვის უნდა ვახსენოთ „დიდი ქართველების“ ქვეჟანრში ისტორიკოს ეკატერინე ტყემელაშვილის ავტორობით გამოცემული პუბლიკაცია სახელწოდებით „რჩეული ქართველები“ (2019) და სალომე ყველაშვილის „ოქრომძივი საქართველოსი“ (2021). ტყემელაშვილის კრებულს ენციკლოპედიური ფორმა აქვს, რომელში შეტანილი 230 პიროვნების ბიოგრაფია ანბანის მიხედვით არის დალაგებული და თითოეულ მათგანს საშუალოდ ნახევარი გვერდი ეთმობა. აქვეა მოთავსებული სტალინიც (გვ. 107-8), რომლის პოლიტიკური მოღვაწეობის წლებიდან ნახსენებია მეორე მსოფლიო ომში გამარჯვება და თითქმის განადგურებამდე მისული რუსული მართლმადიდებელი ეკლესიის აღდგენა. ასევე ნახსენებია პიროვნების კულტი: „მან შეძლო საზოგადოებაში მისი კულტი ჩამოეყალიბებინა“ (იქვე, 107-8). არაფერია ნახსენები საქართველოს გასაბჭოებაზე, ან ტერორზე. წიგნის დანიშნულების აღწერაში მითითებულია, რომ მასში თავმოყრილია არა უბრალოდ ფართო საზოგადოებისათვის ცნობილი პიროვნებები, არამედ ის რჩეული ქართველებიც „რომლებზეც საზოგადოებაში დღემდე არ არის ერთგვარი დამოკიდებულება“ (იქვე, გვ. 4). თუმცა სტალინური ტერორის

---

<sup>33</sup> უკანასკნელი დათვლებით საკავშირო მასშტაბით 1937-38 წლების ტერორს 950 ათასიდან 1.2 მილიონამდე ადამიანი შეეწირა (Ellman 2002, 1162-3). ხოლო უშუალოდ საქართველოს სსრ-ში გასამართლდა 25.430 ადამიანი, რომელთაგან 10.930 სიკვდილით დაისაჯა, ხოლო 13.263 ადამიანს ბანაკებში 8 ან 10 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა (იუნგე, თუშურაშვილი და ბონვეჩი 2015, ტ. I, 45). მოყვანილი ციფრებიდან გამომდინარე გაურკვეველია თუ რა იგულისხმება გიორგი კალანდიას სტალინური ტერორის მსხვერპლთა რაოდენობის რამდენიმე ათეულ ათასად შეფასებაში, რადგან იგი მკვეთრად ჩამოუვარდება საკავშირო მასშტაბებს, ხოლო საქართველოს სსრ-ს შემთხვევაში კალანდიას შეფასება სცდება რეალურ ციფრებს.

რუსეთის ეკლესიით შემოფარგვლაზე, მეორე მსოფლიო ომში შესრულებულ როლსა და ომის შემდგომ აღდგენითი სამუშაოების ხელმძღვანელობაზე ყურადღების გამახვილება მხოლოდ ავტორის სტალინისადმი პოზიტიურ დამოკიდებულებად შეიძლება იქნეს აღქმული.

სალომე ყველაშვილის ავტორობით გამოცემული კრებული („ოქრომძივი საქართველოსი“ 2021) მიზნად ახალგაზრდების „ეროვნული ცნობიერების ნათელ გზაზე“ დაყენებას ისახავს (იქვე, 5). აქ თავმოყრილი 100 პიროვნების ბიოგრაფია სამ ნაწილადაა დალაგებული: 1) ქართველები საქართველოში, 2) ქართველები უცხოეთში და 3) უცხოელები საქართველოში. ნიშანდობლივია, რომ სტალინი პირველ განყოფილებაში — ქართველები საქართველოში — არის შეყვანილი სათაურით „ვარდს გაეფურჩქნა კოკორი“ სტალინი“ (გვ. 39-40). მისთვის დათმობილ 2 გვერდზე საუბარია როგორც ილიას სახელის დამცველზე, დიდ მწერალსა და ენათმეცნიერზე<sup>34</sup>, მოყვანილია სტალინზე გამოჩენილ ადამიანთა ნათქვამები, მინიშნებაა გაკეთებული ხრუმჩოვზე ფრაზით „უმეტეს შემთხვევაში, სხვები თავის ჩადენილ დანაშაულებს მას მიაწერდნენ (გვ.40)“, ხოლო ფინალური ფრაზით ავტორი მკითხველს შერიგებისადმი მოუწოდებს: „...და მაინც, ის ქართველია, მიიღე, ჩემო ქვეყანავ, ისეთი, როგორიც არის“ (იქვე).

დაბოლოს, გარდა კრებულებისა სადაც ერის მასშტაბით თავმოყრილია გამორჩეულ ქართველთა ბიოგრაფიები, ასევე გვხვდება კრებულები, სადაც თავმოყრილია გამორჩეული ადამიანები სოფლის, ქალაქის, ან რეგიონის მასშტაბით. 1999 წელს ქვეყნდება წიგნი „გორელები“ (ავიაზიშვილი და ალავერდაშვილი). ავტორთა აზრით: "...საქართველოს სხვა რეგიონებთან შედარებით გორს მეტი ჰყავდა გამორჩეული მოღვაწენი საზოგადოებრივ ცხოვრების თითქმის ყველა სფეროში" (იქვე, 4), შესაბამისად წიგნში შეგროვებულია 240-მდე გორელის ბიოგრაფია. მათ შორისაა იოსებ სტალინიც. იგი შეყვანილია რევოლუციონერებისათვის მიძღვნილ თავში სათაურით „მათ

---

<sup>34</sup> ყველაშვილის თქმით სტალინი „ფლობდა მრავალ ენას“ (2021, 40), რაც სიმართლეს არ შეესაბამება. რობერტ სერვისის აღნიშნავს, რომ სტალინს არ ფლობდა უცხო ენებს, ყველაზე მეტი შეეძლო რამდენიმე ფრაზის წარმოთქმა გერმანულ ენაზე (Service 2005, 96).

ხსოვნას ქვეყანა სანთლებად აინთებს“ (გვ. 374-385), სადაც სტალინის გარდა ასევე მოთხრობილია სიმონ ტერ-პეტროსიანის, იგივე კამოს, სტალინის ერთგული თანამებრძოლის ისტორია.


სტალინისადმი მიძღვნილი თავი სიმონ ჩიქოვანისა და გიორგი ლეონიძის ლექსების ნაწყვეტებით იწყება, სადაც ბელადია განდიდებული. შემდეგ ავტორები თანამედროვეობაში სტალინის კრიტიკის ტენდენციის მიმართ უკმაყოფილებას გამოთქვამენ და წერენ, რომ გორელ გამოჩენილ ადამიანებზე საუბრისას "შეუძლებელია გვერდი ავუაროთ... კაცობრიობის ერთ-ერთ უდიდეს ადამიანს იოსებ ბესარიონის ძე ჯულაშვილს, ხალხის დიდ ბელადს — სტალინს" (იქვე, 374-5). შემდეგ მოყვანილია უინსტონ ჩერჩილის 1959 წლის 21 დეკემბერს თემთა პალატაში სტალინის დაბადების 80 წლისთავისადმი მიძღვნილი სიტყვის ეპიზოდები, სადაც ხაზგასმულია მისი როლი მეორე მსოფლიო ომის გამარჯვებით დასრულებაში და მისი პიროვნული თვისებები. თუმცა, ბიბლიოგრაფიული კვლევა ჩერჩილის მიერ ამგვარი სიტყვების წარმოთქმას არ ადასტურებს, შესაბამისად ეს სიტყვები აპოკრიფად შეგვიძლია განვიხილოთ, რაზე დეტალური საუბარიც ქვემოთ გვექნება. აქვე მოყვანილია იუგოსლავიელი მწერლისა და პოლიტიკური მოღვაწის, მილოვან ჯილასის (გვ. 376), გერმანელი მწერლის, ლიონ ფოიხტვანგერისა გვ. 376-7) და მოსკოვში აშშ-ს ელჩის, ავერელ ჰარიმანის (გვ. 377) პოზიტიური შთაბეჭდილებები სტალინის ბუნებისა და მეორე მსოფლიო ომში შესრულებული როლის შესახებ.

## შეჯამება

„დიდი ქართველების“ ლიტერატურული ქვეჟანრი ნათლად აჩვენებს დიდ ინტერესს ქართულ ნაციონალურ გმირთა და უბრალოდ გამორჩეულ ეთნიკურ ქართველთა ლიტერატურული პანთეონის შექმნის მიმართ. სტალინს, უნდა ითქვას, 2012 წლიდან მყარი ადგილი უჭირავს ამ პანთეონში, მიუხედავად იმისა, რომ იგი თანაბრადაა წარმოდგენილი, ერთი მხრივ, პოზიტიური და, მეორე მხრივ, ნეგატიური მხრიდან.

2012 წლიდან სტალინისტური განწყობების მოძლიერების საკითხი დეტალურად იქნა შესწავლილი მონუმენტების და ძეგლების დადგმის შემთხვევების ანალიზზე დაყრდნობით. თუმცა, როგორც ლიტერატურული დისკურსის და კერძოდ „დიდი ქართველების“ ჟანრის ანალიზი გვიჩვენებს, იგივე მოვლენა არეკლილია საგამომცემლო სფეროშიც. სტალინი პირველად „დიდი ქართველების“ ჟანრში 2008 წელს ჩნდება გიორგი სააკაძის გვერდით, როგორც წინააღმდეგობრივი ფიგურა (იხ. შუბითიძე), ხოლო აღნიშნული ჟანრის ყველაზე ძველ წარმომადგენელს და პოპულარიზატორს სტალინი გამორჩეულ ქართველთა თავის კრებულში მხოლოდ 2012 წელს შეჰყავს, მიუხედავად იმისა, რომ მისი შეფასებით იგი არა უბრალოდ გამორჩეული არამედ თითქმის “ნახევარღმერთია” (იხ. ზოზრაშვილი).

გარდა ამისა, აღნიშნული ქვეჟანრი უფრო ნათლად გვამღევეს საშუალებას დავინახოთ ის, თუ რა ადგილს იკავებს სტალინი ქართველ ეროვნულ გმირთა შორის, მიუხედავად იმისა, დამოკიდებულება მის მიმართ ნეგატიურია თუ პოზიტიური. ზოზრაშვილის წიგნს „დიდი ქართველებს“ (2012) რომ დავუბრუნდეთ სტალინის სურათს ყდაზევე ვნახავთ სხვა ქართველ ეროვნულ გმირებთან ერთად (იხ. ილუსტრაცია #2).



სურათი 3. წიგნის ყდა: ტარიელ ზოზრაშვილი. დიდი ქართველები. 2012.

ხოლო რაც შეეხება სტალინისადმი ნეგატიურ დამოკიდებულებას აქ საგულისხმოა გიორგი კალანდიას ინტერვიუები (იხ. კალანდია 2019 და 2020), სადაც მოყოლილია მრავალტომეულ „ქართველები მსოფლიო ისტორიაში“ (2021) შექმნის ისტორია, ის თუ როგორ სთხოვეს გერმანიის ერთ-ერთ ქალაქში მას და მის მეგობარს ყველა დროის ყველაზე ცნობილი ქართველის დასახელება, რაზე პასუხადაც მხოლოდ სტალინი იქნა მოფიქრებული. კალანდიას თქმით სწორედ ამ გამოცდილებამ გაუჩინა მას გამორჩეულ ქართველთა მრავალტომეულის შექმნის იდეა (იხ. კალანდია 2019). მეორე ინტერვიუში კი კალანდია ისევ იმეორებს იგივე ისტორიას, მაგრამ აქ უკვე სტალინის დასახელებისაგან თავს იკავებს (2020).

წელი	წიგნის სათაური	ავტორი
2005	ისინი რომ არა	ზოზრაშვილი, ტ.
2008	დიდი ქართველები: ცხოვრების ქრონიკები	ზოზრაშვილი, ტ.
2008	ყველა დროის 100 უდიდესი ქართველი	შუბითიძე, ვ.
2012	დიდი ქართველები: ცხოვრების ქრონიკები	ზოზრაშვილი, ტ.
2011	ქართული გენი უცხოტომელთა სამსახურში	ქუთათელაძე, ზ. გურიელიძე, ლ.
2013	მამულიშვილობა და მამულიშვილები	ლომთაძე, ი. ნუცუბიძე, თ.
2014	ყველა დროის 100 უდიდესი ქართველი	შუბითიძე, ვ.
2015	სიმაღლე ჩემთვის სიცოცხლეზე მეტია	დვალაშვილი, ო.
2017	ქართული კულტურა უცხოეთში: 100 მოღვაწე და მეგლი	ნონეიშვილი, ალ.
2019	რჩეული ქართველები	ტყეშელაშვილი, ე.
2020	ქართული გენი უცხოტომელთა სამსახურში	ქუთათელაძე, ზ. გურიელიძე, ლ.
2021	ქართველები მსოფლიო ისტორიაში. ტ. IV	კალანდია, გიორგი
2021	ოქრომძივი საქართველოსი	ყველაშვილი, ს.

**დამოკიდებულება სტალინის მიმართ**

	არ არის ნახსენები
	პოზიტიური
	ნეგატიური
	წინააღმდეგობრივი

*ცხრილი 4. "დიდი ქართველების" ისტორიულ-საცნობარო ჟანრის პუბლიკაციები 2005-2021*

ამგვარი დამოკიდებულება და აქცენტების გადანაწილება, რაც ავტორის მიერ 15 ტომიანი სერიის შექმნას დაედო საფუძვლად, ხაზს უსვამს სტალინის ფიგურის გარშემო არსებულ უხერხულობას, ერთი მხრივ, პოსტსაბჭოთა სივრცეში საქართველოს ადგილის განსაზღვრისა და, მეორე მხრივ, საბჭოთა წარსულის გადააზრების საკითხებში. პირველ საკითხში სტალინი გარკვეული კომფორტისა და სიამაყის საგანს წარმოადგენს, მეორეგან კი — სირცხვილისა და დანაშაულის განცდის მიზეზს.

გამორჩეული ქართველების საცნობარო პუბლიკაციების საერთო სურათი

## VI. ეროვნულ-პატრიოტული ლიტერატურული ჟანრი

(იხ. გრაფა #4) გვიჩვენებს, რომ აღნიშნულ ჟანრში დამოკიდებულება სტალინის მიმართ თანაბრად წინააღმდეგობრივია, ანუ არ იხრება არც პოზიტიურისა და არც ნეგატიურისკენ. თუმცა ორივე დამოკიდებულებას სტალინის მიმართ თანაბრად ახასიათებს ფაქტოლოგიური უზუსტობები. მთლიანობაში კი სტალინის წარმოჩინების ამგვარი სიხშირე სხვა გამორჩეულ ქართველთა შორის, მით უმეტეს, როცა ნეგატიური კუთხით ისევ მხოლოდ მისი თანამებრძოლების — ორჯონიკიძისა და ბერიას — წარმოჩენა შეიძლება, ისევ სტალინის ქართული წარმომავლობით ფარულ აღფრთოვანებაზე მიუთითებს.



## VII. პროექტი სტალინი

სტალინის ქართული წარმომავლობა მრავალი, ზოგ შემთხვევაში, ურთიერთგამომრიცხავი დასკვნების მიზეზი გამხდარა მისი ბიოგრაფიის შესწავლისას. მწირი ინფორმაცია სტალინის ადრეულ წლებზე, რაც საბჭოთა არქივების ხელმისაწვდომობის მატების მიუხედავად კი ვერ ამოივსო, მკვლევრებს ნებისმიერ მონაცემთა განზოგადებისაკენ უბიძგებს. როგორი ფართოც არ უნდა იყოს ეს ლიტერატურა და დასკვნათა როგორი ირიბი გზებიც არ უნდა იყოს შემოთავაზებული, სტალინის ეთნიკურად ქართული კუთვნილება ეჭვის საგანს არ წარმოადგენს (იდეებს მის ოსურ, ან რუსულ წარმომავლობაზე აკადემიურ ლიტერატურაში სერიოზულად არ განიხილავენ). ქართული სტალინისტური ლიტერატურის ერთ-ერთი მთავარი ამოცანა კი სტალინის ქართული წარმოშობის ქართული მენტალიტეტით შევსებაა. წინამდებარე თავში კი განხილული იქნება მოზარდი სტალინის პროეტური გატაცების მცირე ეპიზოდი, რომელიც მნიშვნელოვან ადგილს იკავებს სტალინისტთა სტრატეგიაში მისი ნაციონალური სულისკვეთების ხაზგასასმელად.

სტალინის კულტურული შემოქმედების, მისი მხატვრული უნარების სიღრმისეულ შესწავლას მკვლევრებმა მხოლოდ ბოლო წლების მანძილზე მოჰკიდეს ხელი. თუმცა, მიუხედავად ამისა, მხოლოდ ის, რომ ახალგაზრდა სტალინი ქართულ ენაზე წერდა და აქვეყნებდა ლექსებს, თანამედროვე ქართველი სტალინისტებისათვის უკვე წარმოადგენს მისი ნაციონალისტური განწყობების მტკიცებულებას ყოველგვარი სიღრმისეული კვლევის გარეშე. პროეტური შემოქმედება საშუალებას გვაძლევს, ერთი მხრივ, სტალინი პოლიტიკის მიღმა დავინახოთ, როგორც „ღრმა მხატვრული განცდების მქონე“ ადამიანი, რომელიც საკუთარ თავს არა მხოლოდ პოლიტიკაში ავლენდა და, მეორე მხრივ, აღვიქვათ იგი ეროვნული განწყობების მქონე პიროვნებად, რომელიც მაშინდელი საქართველოს სოციალური და პოლიტიკური გასაჭირის გამოსათქმელად პოეზიის ენას იყენებდა.

ამასთან ერთად, სტალინის პოეზიის მისი პიროვნების განდიდებისათვის გამოყენება, გარკვეული თვალსაზრისით, ლეგიტიმურ მეთოდს წარმოადგენს, რადგან მისმა ლექსებმა აღიარება საბჭოთა იმპერიის ბელადად ჩამოყალიბებამდე გაცილებით ადრე მოიპოვა. მისი ხუთი ლექსი 1895 წლის ივნის-დეკემბერში დაიბეჭდა ილია ჭავჭავაძის მიერ გამოცემულ გაზეთ "ივერიაში", მეექვსე ლექსი კი გაზეთ "კვალში" 1896 წელს. მისი რაფიელ ერისთავისათვის მიძღვნილი ლექსი პოეტის საიუბილეო კრებულში იქნა შეტანილი, ხოლო რამდენიმე წლის შემდგომ იგივე ლექსი ცნობილი ქართველი ფილოლოგისა და საზოგადო მოღვაწის მელიტონ კელენჯერიძის „ქართული სიტყვიერების საუკეთესო ნიმუშთა ქრესტომათიაში შევიდა“ (1907); ლექსი "დილა" კი იაკობ გოგებაშვილის მიერ "დედაენაში" იქნა შეტანილი. შესაბამისად, სტალინის პოეტური წარმატების მიწერა პროპაგანდისა და პიროვნების კულტისათვის შეუძლებელია.

დასავლურ აკადემიურ ლიტერატურაში ორი ტენდენცია შეიძლება იქნეს გამოვლენილი სტალინის მოზარდობის პერიოდის ლექსების ანალიზისას — მკვლევართა გარკვეული ნაწილი, რომლებიც დეტალურად იკვლევენ სტალინის ქართულ წარმომავლობას მისი ბუნებისა და პოლიტიკური მართვის სტილის გამოსარკვევად, მხოლოდ გაკვრით ეხებიან მის ლექსებს. მაგალითად ბრიტანელი ისტორიკოსი ალექს დე იონგი სტალინის თბილისის სემინარიის წლებს რომანტიკული გატაცებების პერიოდად მოიხსენიებს და საილუსტრაციოდ მოჰყავს ლექსი „დილა“, თუმცა აქვე აღნიშნავს, რომ კავშირის დანახვა მოზარდ და ზრდასრულ სტალინს შორის პრაქტიკულად შეუძლებელია (De Jonge 1987, 29). რუს ისტორიკოსს დიმიტრი ვოლკოგონოვს სტალინის ბიოგრაფიის პირველ ტომში მოჰყავს მისი ლექსის „მთვარეს“ რუსული თარგმანი იმ ფუნდამენტური ცვლილებების საილუსტრაციოდ, რომელიც განიცადა სტალინმა სემინარიის „მეოცნებე“ მოწაფეობიდან იატაკქვეშა მებრძოლ რევოლუციონერად ჩამოყალიბებამდე (Волкогонов 1998, 34). ვოლკოგონოვი წერს, რომ სტალინი მოგვიანებით არასოდეს იხსენებდა შეიარაღებულ ექსპროპრიაციებში მონაწილეობას, ბაქოში ყოფნისას მენშევიკებთან გაერთიანებისათვის მზაობასა და თავის ადრეულ ლიტერატურულ

მცდელობებს, რომელსაც ავტორი "უმწეოს" უწოდებს (იხ. იქვე 33) და მეტჯერ აღარ უბრუნდება სტალინის ლექსების საკითხს.

სტალინის ადრეული ლიტერატურული ძიების მეორე ტენდენცია კი, ამის საპირისპიროდ, მისი მოზარდობის პერიოდის ლექსებში მომავალ ტირანს ხედავს. ამგვარი ტენდენციის ავტორებს უფრო სიღრმისეული მიდგომა ახასიათებს შესწავლის საგანთან, თუმცა გარკვეულ პრობლემებს აწყდებიან, როცა ლექსებსა და გვიანდელ სტალინს შორის კავშირის საკითხის გადაწყვეტას ცდილობენ. ამ მიდგომას უფრო დეტალურად ქვემოთ განვიხილავთ.

სტალინის ლექსების საკითხის განხილვას შემდგომ მივყავართ უფრო ფართო თემამდე, რომელიც სტალინისა და პოეზიის ურთიერთობას ეხება. თუ სტალინის მმართველობის სტილით დაინტერესებულ მკვლევართათვის დასაშვებია მოზარდი იოსებ ჯუღაშვილის ლექსების უგულვებლყოფა და ამ ცვლადის ტირანის ჩამოყალიბების განტოლებიდან მოხსნა, მის ხელოვნებასთან და კერძოდ პოეზიასთან დამოკიდებულების საკითხისადმი თვალის დახუჭვა უკვე ტირანად, ან ტირანიის გზაზე ყოფნის პერიოდში შეუძლებელია. ქართულ პოსტსაბჭოთა სტალინიადაში კი ბიოგრაფიულ თემათა ერთობლიობაა მოცემული, როგორცაა, მაგალითად, „ვეფხისტყაოსნის“ თარგმნის ისტორია, უშუალოდ სტალინის მიერ ნათარგმნი „ვეფხისტყაოსნის“ 1416-ე სტროფი, თავად სტალინის მოზარდობის პერიოდის ლექსების რუსულად თარგმნის ისტორია, სტალინის გვიანდელი ლექსი. ამ თემების კომბინირებითა და (გა)დამუშავებით იქმნება სტალინის პერსონაჟის ხატი, რომელიც ბუნებრივად თავსდება ქართულ ეთნო-ნაციონალურ სიმბოლოთა კრებულში.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ლექსების წერის გარდა სტალინი სემინარიის სტუდენტად ყოფნის პერიოდში სიმღერითაც გამოირჩეოდა, რაზეც სხვადასხვა წყაროები მოწმობს. აღინიშნება მისი ნაზი ტენორი და საშემსრულებლო ნიჭი, რომელიც შესაძლებელს ხდიდა პროფესიულად განევიტარებინა ვოკალური შემსრულებლის კარიერა (იხ. Выходков 2018). თუმცა, გარკვეული მიზეზებით, სტალინის ვოკალური მონაცემებს მკვლევართა ინტერესი კიდევ უფრო ნაკლებად ეთმობა, ვიდრე მის ლექსებს. ქართველი სტალინისტებიც მხოლოდ

ეპიზოდურად ეხებიან ამ საკითხს, მაშინ როცა სტალინის ლექსები განსაკუთრებული ყურადღების ქვეშ არის მოქცეული. ამ მიზეზით სტალინის ვოკალურ უნარებს აქაც გვერდზე დავტოვებთ და ყურადღებას ძირითადად მის პოეტურ შემოქმედებაზე გავამახვილებთ. სტალინის ლექსების ანალიზის ერთ-ერთ ყველაზე ადრეულ მაგალითს რუსული და ქართული ლიტერატურის ინგლისელი მკვლევრის, დონალდ რეიფილდის სტატიაში ვპოულობთ (Rayfield 1985), რომელშიც ლექსების ავტორისეული ინგლისური თარგმანებია მოცემული და მათზე დაყრდნობით სტალინის ფსიქოლოგიური სურათის შექმნის მცდელობაა განხორციელებული. რეიფილდი მხატვრული კუთხით სტალინის ლექსებს დადებით შეფასებას აძლევს, მისი სიტყვებით ისინი „ნაადრევად წამოზრდილი, დახელოვნებული, თუმცა მაინც ცელქი“ სტროფების განცდას ტოვებენ (იქვე, 44). ამასთან ერთად, ლექსებში იკითხება სპარსული და ბიზანტიური პოეზია, რომანტიზმისა და რუსული „ხალხოსნური“ ელემენტები (იქვე). თუმცა ამ ადრეულ ლექსებშიც კი რეიფილდი მომავალ ტირანს ხედავს. წიგნში „სტალინი და მისი ჯალათები“ (Rayfield 2005) სტალინის ქართული წარმომავლობის განხილვისას რეიფილდი კიდევ ერთხელ უბრუნდება ლექსების საკითხს და ასაბუთებს, რომ მათში წარმოჩენილი სიმბოლური ხატები უკვე იძლეოდა პირქუში მოლოდინების საფუძველს (იქვე, 10.12). მაგალითად, ნიშანდობლივია მთვარის სიმბოლიკა („მთვარეს“, „როდესაც ბადრად მნათობი მთვარე“) რომელსაც რეიფილდის თქმით „ფსიქოლოგიის სხვადასხვა სკოლის წარმომადგენლები აშკარა აკვიატებად ჩათვლიან“, მით უმეტეს რომ ამ ლექსთა სიმბოლური წყობა მარტოობით, უნდობლობითა და ეჭვითაა შევსებული (იქვე).

სოსელიოს მიერ „ივერიაში“ გამოცემული ბოლო ლექსი უარყოფილი მგოსნის მწარე ხვედრის იდეას ავითარებს და ძირითად მოტივებად ხალხის უმადურობა და სასჯელად შეთავაზებული „შხამით აღსავსე ფიალა“ არის გამოყენებული. რეიფილდის თქმით, სწორედ უმადური დამოკიდებულება და მოწამვლა იყო სტალინის ძირითადი ინსტრუმენტები თავის დაქვემდებარებულებთან და მოწინააღმდეგეებთან ურთიერთობაში: „მას ეშინოდა ღალატისა და შეთქმულების მათი მხრიდანაც კი ვინც ყველაზე ახლოს

იყო მასთან, ამიტომ ხშირად პრევენციულ დარტყმებს ახორციელებდა, ან, სიტყვასიტყვით, წამლავდა მათ ვინც ყველაზე მეტ მადლიერებას მოელოდა მისგან“ (იქვე, 10.16). ზმნები, რომელსაც ახალგაზრდა იოსებ ჯულაშვილი იყენებს თავის ლექსებში, რეიფილდის შეხედულებით, „ძალადობისაკენ მიდრეკილებას აჩვენებს“ (იქვე). ხოლო ლექსების მთვარიდან და მცინვარებიდან მხრებამდე და ფიქრებამდე გადაჭიმული ვერტიკალური პერსპექტივა, რეიფილდის აზრით, ავტორის „ხასიათის მანიიდან დეპრესიამდე მანიაკურ ცვალებადობას მიუთითებს“ (იქვე).

ინგლისელი ისტორიკოსი საიმონ სებაგ მონტეფიორე რეიფილდის ინტერპრეტაციას ეყრდნობა და განავრცობს მას. წიგნში “ახალგაზრდა სტალინი” (Sebag Montefiore 2007) ავტორის მსჯელობის თანახმად, „სტალინის ახალგაზრდობის ლექსებში უკვე ჩნდება მისი დიქტატორად ყოფნის პერიოდში ლიტერატურის მიმართ დამანგრეველი აკვიატების ნიშნები“ (იქვე. 18.8) და მუდმივი ინტერესი პოეზიისადმი (იქვე). სებაგ მონტეფიორეს შეფასებით სტალინმა როგორც ყოფილმა რომანტიკოსმა პოეტმა „დაანგრია მოდერნიზმი და რომანტიზმის თავისი მრუდე ვარიანტი — სოციალისტური რეალიზმი — დააარსა“ (იქვე, 18.9).

რეიფილდისა და სებაგ მონტეფიორეს ფსიქოანალიზური მსჯელობები, უნდა ითქვას, რომ მხოლოდ პოსტ-ფაქტუმ გაკეთებული დასკვნების ღირებულებას ატარებს და აშკარას ხდის, რომ დიქტატორი სტალინის პრიზმიდან დანახული ახალგაზრდა სოსელოს ლექსების ინტერპრეტაციის სივრცე საკმაოდ შეზღუდულია. რუსი ისტორიკოსი და პუბლიცისტი იური ვისოკოვი სამართლიანად აღნიშნავს სტალინის ლექსების ამგვარი ინტერპრეტაციის უსაფუძვლობას და მას „გულუბრყვილოსა და ტენდენციურს“ (Високов 2018) უწოდებს, რადგან რეიფილდის მიერ სტალინის ლექსებში გამორჩეული სახეები და მათი ურთიერთკავშირი ზოგადად რომანტიკული პოეზიისთვისაა დამახასიათებელი და არა უშუალოდ სტალინისათვის; შესაბამისად „ასეთი ლოგიკით ყველა რომანტიკოსი პოეტი, ისევე როგორც „სოლომონის იგავთა“ ავტორი და დიდი აღმოსავლელი პოეტები, როგორც იყო,

მაგალითად ომარ ხაიამი, დეპრესიულობასა და ექვიანობაში უნდა ვამხილოთ“ (იქვე).

ამასთან ერთად, რთულია ცინიკური ტონი არ დაინახოს მკითხველმა სებაგ მონტეფიორეს ნაწერებში, როდესაც იგი სტალინის ლექსებსა და მის ვოკალურ უნარებს განიხილავს — იგი რეიფილდის ნააზრევს იმოწმებს და გულდაწყვეტით საუბრობს იმაზე, რომ სიმღერა და პოეზია ხელიდან გაშვებული ალტერნატივები იყო სტალინისათვის, რომლებითაც შესაძლებელი იქნებოდა მომავალი სისხლისღვრის თავიდან აცილება (იხ. Sebag Montefiore 2007, 18.2). როგორც ვხედავთ, ახალგაზრდა სტალინის ლექსების ანალიზი, მას შემდეგ რაც იგი ისტორიის ერთ-ერთ გამორჩეულ ტირანად ჩამოყალიბდა, ზოგიერთ შემთხვევაში ტენდენციურ ხასიათს ატარებს და უკანა რიცხვით გაკეთებულ წინასწარმეტყველებას ემსგავსება. ასეთ მსჯელობებს ჰიპოთეზური, ან, სხვანაირად რომ ვთქვათ მხატვრულ-ალტერნატიული ისტორიის სფეროში გადავყავართ, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს იმას, რომ ახალგაზრდა სტალინის ლექსების განხილვა ბევრს ვერაფერს გვეტყვის ტირანი სტალინის პიროვნებაზე.

### 1. პატრიოტული მოტივები სტალინის ლექსებში

სტალინისტების მხრიდან პოეზიაზე ყურადღების გამახვილების ძირითადი მიზეზი კი, უნდა ითქვას, ზედაპირზე დევს, კერძოდ კი, სტალინის პირველ ლექსებს პატრიოტულ-მამულიშვილური პათოსი ახასიათებს, ამ ლექსებში ისეთი აქტუალური საკითხებია გაჟღერებული როგორც ეროვნული იდენტობა და მისი სუბიექტისა (მატარებლის) და ობიექტის (სახელმწიფოს) ურთიერთდამოკიდებულება:

...აჰყავდი ტურფავ ქვეყანავ,  
ილხინე, ივერთ მხარეო,  
და შენც, ქართველო, სწავლითა  
სამშობლო გაახარეო!

*გაზ. "ივერია", 1895, 14 იანვარი, #123.*

მსგავსი მოტივები გამოყენებულია თავადი რაფიელ ერისთავის ხსოვნისადმი მიძღვნილ ლექსში, რომელშიც, ერთი მხრივ, საუბარია გლეხთა მძიმე მატერიალურ ყოფაზე, როგორც პოეტის — რაფიელ ერისთავის — მოღვაწეობისა და მისი შემოქმედების კონტექსტზე და, მეორე მხრივ, გულწრფელ გულისხმიერებაზე, რომლითაც პოეტი ხალხისგან დასაჩუქრდა თავისი ლექსებისათვის:

...როს მშრომელ გლეხთა ვაებით  
საბრალოდ აცრემლებული  
ზეცას შეჰკვნესდი, მგოსანო,  
ერისთავის თავდადებული...  
ნამგლად იხმარე ერისგან  
გრძნობით ჰაერში ძახილი:  
"ვაჟა, რაფიელ! გამრავლდეს  
მამულში შენებრი შვილი!!!

*გაზ. "ივერია", 1895, 29 ოქტომბერი, #234*

სტალინის ლექსებში საგულისხმოა არა მხოლოდ პატრიოტული დისკურსისათვის დამახასიათებელი ისეთი ტერმინების ხშირი გამოყენება, როგორიცაა "სამშობლო", "მამული", "ერი" და ა. შ. არამედ ასევე ეროვნული იდენტობისათვის ისეთი მნიშვნელოვანი სიმბოლოს გამოყენება როგორიცაა მთაწმინდა:

"კარგად იცოდე, რომ  
ერთხელ ძირს  
დაცემული, ჩაგრული  
კვლავ აღემართვის  
მთას წმინდას,  
იმედით აღტაცებული.

*"მთვარეს", გაზ. "ივერია", 1895, 11 ოქტომბერი.*

მთაწმინდის პანთეონი დღეს მნიშვნელოვან, თუმცა წინააღმდეგობრივ როლს ასრულებს როგორც ქართული ისტორიული მეხსიერების ადგილი (Chikovani 2021), თუმცა ამ სიმბოლური მნიშვნელობის კონსტრუირება გაცილებით ადრე, მე-19 საუკუნის 30-იანი წლებიდან იწყება (იხ. იქვე). უნდა ითქვას, რომ თავისი ლექსებით მოზარდი იოსებ ჯულაშვილი ქართული ეროვნული იდენტობის ავანგარდში ათავსებს საკუთარ თავს.

სტალინის ლექსების პატრიოტულ მოტივებზე ყურადღებას დასავლელი მკვლევრებიც ამახვილებენ. ისტორიკოსი და სტალინიზმის მკვლევარი ერიკ ვან რი სტალინის ლექსებზე დაყრდნობით მსჯელობს, რომ თბილისის სემინარიაში სწავლის პერიოდში იგი ქართულ ნაციონალურ მოძრაობაში იყო გაერთიანებული, რომლის იდეოლოგიასაც, სავარაუდოდ, უკვე იცნობდა ილია ჭავჭავაძის, ვაჟა ფშაველას, ალექსანდრე ყაზბეგისა და რაფიელ ერისთავის წიგნებიდან, რომელთაც იოსებ ჯულაშვილი გორის სემინარიაში სწავლის პერიოდში გაეცნო (Ree 2002, 59). ლექს „დილის“ დასასრულში ვან რი „კულტურული ნაციონალიზმის“ პროგრამას კითხულობს, რომელშიც განმანათლებლობა ერის დაბადებას უწყობს ხელს (იქვე, 60). ნაციონალისტური გზავნილები სხვა ლექსებშიც ჩნდება, რომლებზეც ზემოთ ვისაუბრეთ, თუმცა ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო „ივერიაში“ გამოქვეყნებული ბოლო ლექსია, რომელიც ბრბოს მიერ უარყოფილ და დაწყევლილ მგოსანზე მოგვითხრობს:

...მაგრამ დიდების  
მაგიერ, სად ჩანგმა  
გაიწვრიალა,  
განდევნილს ბრბომ იქ დაუდგა  
შხამით აღსავსე ფიალა...  
და უთხრეს: "შესვი,  
წყეულო, ეგ არის შენი  
ხვედრიო!  
შენი არ გვინდა



სიმართლე, არც ეგ

ციური ხმებიო!...

*გაზეთი "ივერია", # 280, ორშაბათი, 25 დეკემბერი, 1985 წ., გვ. 1*

მსგავს პესიმიზმს ვან რი მოზარდი სტალინის იდეოლოგიური ტრანსფორმაციის ჭრილში განიხილავს და ნაციონალური გზავნილის მიმართ სკეპტიციზმის განვითარებით ხსნის. ამ ლექსის შემდეგ სტალინი კიდევ ერთ, თავის ბოლო ლექსს აქვეყნებს, თუმცა არა „ივერიაში“ არამედ გაზეთ „კვალში.“ ლექსი „მოხუცი ნინიკა“ ჭარმაგი გლეხის ცხოვრებისეული გამოცდილების რომანტიზებას ახდენს და სხვა ლექსთა ფონზე შეიძლება გაგებულ იქნეს როგორც ნაციონალური იდენტობის კლასობრივით ჩანაცვლება (იხ. იქვე), მით უმეტეს რომ, გლეხობის მიმე ყოფას სოსელო სხვა ლექსშიც ეხმაურება. ასევე ნიშანდობლივია „ივერიიდან“ ჟურნალ „კვალში“ გადასვლა, რაც ილიას კულტურული ნაციონალიზმიდან მარქსისტულ-სოციალისტურ იდეებზე გადასვლის მიმანიშნებელია, ამასთან ერთად, ი. ჯუღაშვილი ფსევდონიმსაც იცვლის და „სოსელოს“ ნაცვლად ჟურნალ „კვალში“ მისი ბოლო ლექსი „სოზელის“ ფსევდონიმით ქვეყნდება.

რა თქმა უნდა, სტალინის ადრეული ინტერესი სოციალისტური იდეების, მარქსის, ენგელსისა და ლენინის ნაშრომების მიმართ არავისთვის სიახლეს არ წარმოადგენს. თუმცა, მოზარდობის წლების მცირე ეპიზოდი, როდესაც იგი გატაცებული იყო ქართული კულტურითა და ნაციონალური იდეით, რაც ილია ჭავჭავაძის „ივერიაში“ ლექსების გამოქვეყნებით დაგვირგვინდა, ძველი და ახალი სტალინისტებისათვის ერთ-ერთ პრიორიტეტულ საკითხად გვევლინება, რომელიც ინტერპრეტაციის უშრეტ წყაროს წარმოადგენს.

## **2. სტალინის პოეზია პოსტსაბჭოთა ქართულ ბეჭდვით მედიაში**

ისტორიული მიმოხილვის შემდგომ გადავდივართ უშუალოდ საკვლევი პერიოდის — პოსტსაბჭოთა საქართველოს — ლიტერატურაზე, რომელიც სტალინის პოეტურ შემოქმედებას ეძღვნება. აღნიშნული ჟანრის წიგნები სამ

კატეგორიად უნდა იქნეს დაყოფილი. პირველი კატეგორია გულისხმობს ცალკე გამოცემებსა და ჟურნალ-გაზეთების რუბრიკებს, სადაც სტალინის ლექსებია თავმოყრილი. ამ კატეგორიაში ძირითადად ბუკლეტის ზომის გამოცემებია შეგროვებული, რომლებსაც ასევე შეიძლება თან ერთვოდეს შემდგენელთა წინასიტყვაობა, სადაც საინტერესო და საგულისხმო პოზიციები და არგუმენტებია დაფიქსირებული. ბუკლეტების შემთხვევაში ინტერესის საგანია მათი რაოდენობა და ასევე ინტერნაციონალიზაციის მცდელობა, რომელიც გამოხატულია კრებულებში, სადაც ლექსები მოცემულია ორიგინალში და ასევე დართულია რუსული, ინგლისური და გერმანული თარგმანები. მეორე კატეგორიაში თავმოყრილი იქნება პოეზიის კრებულები და ანთოლოგიები, სადაც სტალინის ლექსი „დილა“ მოთავსებულია სხვა ლექსებს შორის. ეს შეიძლება იყოს საბავშვო ლექსები, ან საბავშვო სიმღერები, ან პატრიოტულ ლექსები, ან პოეზიის შედეგები. ამგვარი მრავალფეროვნება და ერთგვარი გადაუწყვეტელობა იმაზე თუ სად უნდა იქნეს მოთავსებული სტალინის „დილა“, ერთი მხრივ, თავად ამ ლექსის პოპულარობაზე მიუთითებს, მეორე მხრივ კი — ლექსის ავტორის მიმართ არსებულ წინააღმდეგობრივი დამოკიდებულების არეკვლაა.

მესამე კატეგორიაში შესულია წიგნები და თავები წიგნებიდან, რომლებიც ეხებიან სტალინის დამოკიდებულებას ენისა და პოეზიის ფენომენებთან, ან პოეტების დამოკიდებულებას უშუალოდ სტალინთან. ამ კატეგორიაში მოქცეული ტექსტები თავს უყრიან პოეტი სტალინის მითოლოგიას, რომელშიც მისი პოეტური ნიჭი და შოთა რუსთაველისა და ილია ჭავჭავაძის კულტურული მემკვიდრეობა ქართულ ეროვნულ ცნობიერებასა და ურყევ ნაციონალურ იდენტობაში ერთიანდება. ტექსტების ანალიზში პრიმორდიალური ნაციონალიზმის კონცეფცია დაგვეხმარება, რომლის დისკურსშიც პოეზია დროის მიღმა მდებარე სულიერ ფენომენად შეიძლება იქნეს განხილული, რომელიც ამავდროულად ეროვნული ერთობის მნიშვნელოვან, შეიძლება ითქვას, საკრალურ ელემენტს წარმოადგენს.

### *სტალინის ლექსების კრებულები*

როგორც ზემოთ მოცემულმა ბიბლიოგრაფიულმა კვლევამ გვიჩვენა, სტალინის გარდაცვალების შემდეგ ბეჭდვით მედიაში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა მის ორ ლექსს — „დილასა“ და „რაფიელ ერისთავს.“ 1991 წელს კი საქართველოს მწერალთა კავშირის ყოველთვიურ ლიტერატურულ ჟურნალ „განთიადში“ (#4) „ცისფერი ყანწების“ რუბრიკაში ისევ იბეჭდება „ამხანაგ ი. სტალინის ახალგაზრდობის დროინდელი ლექსები“ (გვ. 130-131). ლექსების წყაროდ მითითებულია ჟურნალ „მნათობის“ 1937 წლის #5 გამოცემა, რომელზეც ზემოთ უკვე გვქონდა საუბარი. ეს დამოწმება კიდევ ერთხელ ადასტურებს იმას, რომ სწორედ 1937 წელს გამოიცა აღნიშნული ლექსები არა ფსევდონიმებით „ი.ჯ.-შვილი“ და „სოსელო“, არამედ ავტორის რეალური სახელით.

უნდა ითქვას, რომ ჟურნალის აღნიშნული ნომერი მთლიანობაში, და სტალინის ლექსები კერძოდ, ნაჩქარევი, მოუწესრიგებელი პუბლიკაციის შთაბეჭდილებას ტოვებს, რადგან გაუგებარია რატომ იქნა სტალინის ლექსები „ცისფერი ყანწების“ რუბრიკაში მოთავსებული. გარდა სტალინის ლექსებისა ამ რუბრიკაში ასევე გამოქვეყნებულია „ქართული ჰიმნი“ (იქვე, 132) და ლიტერატურათმცოდნე ბესარიონ ჟღენტის (1903-1976) სტატია „ლიტერატურული ფრონტის იდეური სიწმინდისათვის“ (იქვე, 133-137), რომლის კავშირიც „ცისფერ ყანწებთან“ ასევე გაურკვეველია. საგულისხმოა, რომ ნომრის პირველი რუბრიკა 9 აპრილის ხოცვა-ჟლეტას ეხება, ხოლო სტალინის ლექსები და საქართველოს ჰიმნი გვერდიგვერდაა მოთავსებული. სწორედ მსგავსი, ერთი მხრივ, საფუძვლის არმქონე და, მეორე მხრივ, წინააღმდეგობრივი სიმბოლური კავშირები გვაფიქრებინებს, რომ ნომერი ნაჩქარევად იქნა გამოცემული, თუმცა სოსელოს ლექსებში ეროვნული სულისკვეთების ამოკითხვა და მათი საშუალებით სტალინის ეროვნული რეაბილიტაციის მცდელობები მალევე ჩვეულ მიდგომად იქცა, რაც შემდგომ პუბლიკაციებში კიდევ უფრო ფართოდ გაიშალა.

1992 წელ ქვეყნდება სტალინის ლექსების ორი კრებული სათაურებით

„ვარდს გაეფურჩქნა კოკორი“ და „სოსელო: ახალგაზრდა ი. ბ. სტალინის ლექსები.“ პირველი კრებულის რედაქტორის — ვალერიან ბეგიაშვილის — ბოლოსიტყვაში გარკვეული არგუმენტებია მოყვანილი კრებულში შეგროვებულ ლექსთა ავტორის — ახალგაზრდა სტალინის — დასაცავად (იხ. „ვარდს გაეფურჩქნა კოკორი“, 13-15). რედაქტორის არგუმენტები რამდენიმე ნაწილად შეიძლება იქნეს დაყოფილი 1) სტალინის პოლიტიკური მოღვაწეობის შეფასება დაუსრულებელი პროცესია, რის მიზეზიც ნაწილობრივ ის არის, რომ „მის მიმართ არავინ არ არის გულგრილი, მისდამი არ არის განურჩეველი, ინდიფერენტული დამოკიდებულება“ (იქვე, 13). 2) როგორც არ უნდა შეფასდეს სტალინის პოლიტიკური მოღვაწეობა „არავის არ აქვს უფლება, რომ ავი თვალთ შებედოს 15 წლის იოსებ ჯუღაშვილის პოეტურ შემოქმედებას“ (იქვე). 3) იოსებ ჯუღაშვილის ლექსების პირველი რედაქტორი ილია ჭავჭავაძე იყო და „ამიტომ არ გვაქვს უფლება წყალს გავატანოთ ქართული პოეზიის ის ნიმუშები, რომლებსაც... ვიზა მისცა დიდმა ილიამ“ (იქვე, 14). 4) ლექსთა მაღალი მხატვრული ღირებულება და პატრიოტული სულისკვეთება: „...ახალგაზრდა პოეტი გვევლინება დაღვინებულ შემოქმედად... იგი მსჯელობს საღად, ადამიანურად, ქართულად, ქრისტიანულად“ (იქვე). „სოსელოს ლექსები ძირითადად 16-მარცვლიანი რუსთაველისეული შაირით არის გამართული, მათთვის უცხოა ბუნდოვანება, სახეები გამჭვირვალე და ბუნებრივია“ (იქვე, 15). ამ არგუმენტთა მოკლე წარმოდგენის შემდეგ რედაქტორი თავის ბოლოსიტყვაობას დრამატულად ასრულებს და სინანულს გამოთქვამს იმის გამო, „რომ სოსელო ასცდა კარგად დაწყებულ გზას,... და საქართველომ მისი სახით დაკარგა დიდებული პოეტი და ეროვნული მოღვაწე“ (იქვე).

იმავე 1992-ში იბეჭდება მცირე ბუკლეტი სათაურით „სოსელო.“ აქ მოყვანილია „ივერიასა“ და „კვალში“ გამოქვეყნებული 6 ლექსი, ასევე „ვეფხისტყაოსნის“ 1416-ე სტროფის რუსული თარგმანი, რომელიც სტალინს მიეწერება და ლექს „მთვარეს“ რუსული თარგმანი, რომელიც აღებულია ვოლკოგონოვის წიგნიდან „სტალინი“ ტრიუმფი და ტრაგედია.“ რედაქტორის ორგვერდიან შესავალში საუბარია ილია ჭავჭავაძეზე, როგორც სტალინის

პოეტურ მფარველზე, ასევე ახალგაზრდა სტალინის ინტერესზე ქართული ლიტერატურისა და პოეზიის კლასიკოსებისადმი და მის სიყვარულზე “ვეფხისტყაოსნის” მიმართ, რომლის შესახებაც განსაკუთრებული მოწიწებით საუბრობს შალვა ნუცუბიძე (იხ. იქვე, 3-4). გაკვრითაა აღნიშნული რომ საკამათო საკითხია დარჩა თუ არა სტალინს იგივე თბილი გრძნობები საქართველოსადმი, როგორც ახალგაზრდობის წლებში ჰქონდა (იხ. იქვე 4), მაგრამ აღნიშნული პუბლიკაციის მიზანია „მკითხველმა ყოველგვარი თვალსაზრისისა და მიკერძოებული მიდგომის გარეშე მიიღოს ახალგაზრდა სტალინის ლექსები, თუნდაც ისე, როგორც დემოკრატიის პერიოდს შეეფერება“ (იქვე).

1999 წელს "იოსებ სტალინის ფენომენის შემსწავლელი საერთაშორისო სამეცნიერო-საკვლევო ცენტრი" აქვეყნებს 60 გვერდიან კრებულს, რომელშიც მოცემულია სტალინის ლექსები ორიგინალში და მათი თარგმანები რუსულ, ინგლისურ და გერმანულ ენებზე. სამგვერდიან წინათქმაში (რომელიც ასევე სამ ენაზეა გადათარგმნილი) სტალინი "გამორჩეულთა შორის გამორჩეულ" ანუ "ქარიზმატულ" პიროვნებადაა შეფასებული (იხ. იქვე, 5), რომლის პოეტური ნიჭი აღიარეს ილია ჭავჭავაძემ, მელიტონ კელენჯერიძემ და იაკობ გოგებაშვილმა. არც ვეფხისტყაოსნის 1416-ე სტროფის თარგმნის ამბავია გამოტოვებული (იხ. იქვე, 7). ხოლო რაც შეეხება სტალინის პოეტური ნიჭის მიმართ შესაძლო აზრთა სხვადასხვაობას, შესავლის ავტორის აზრით, ჭავჭავაძის, კელენჯერიძისა და გოგებაშვილის "შეფასების შემდეგ მკრეხელობაა მსჯელობის გაგრძელება" (იქვე, 7). 2001 წელს ლიტერატურულ ჟურნალ „ორბეთში“ (#3-4) იბეჭდება სტალინისადმი მიძღვნილი რუბრიკა „საუკუნის გენიოსი“ (გვ. 97-105). რუბრიკის პირველ სტატიაში „მეოცე საუკუნის უდიდესი ადამიანი“ (ბადრი დინუაშვილი, 97-98) უდავოდაა მიჩნეული აღნიშნული სტატუსის სტალინისათვის გადაცემის აუცილებლობა და განხილულია მისი პოლიტიკური მოღვაწეობის რამდენიმე კრიტიკული საკითხი, როგორებიცაა გაკულაკება, რეპრესიები, მებრძოლი ათეიზმი, ომისათვის მოუმზადებლობა და მარქსიზმისაგან გადახვევა. სტალინის დაცვის სტრატეგია კი შემდეგ არგუმენტებს ეფუძნება 1) სტალინმა აღიარა შეცდომები, 2) გარემოებები მოითხოვდა მკაცრ მეთოდებს, 3)

დამნაშავეები სხვები იყვნენ (მაგ. რეპრესიებში მონაწილეობას იღებდნენ იაგოდა, ეჟოვი და ბერია), 4) სტალინი შესაძლებლობების ფარგლებში მოქმედებდა: „ის იყო მხოლოდ ადამიანი და არა ღმერთი“ (გვ. 98). დასკვნის სახით კი ავტორი მიიჩნევს, რომ „დადგა დრო, აღსდგეს სტალინის კეთილი სახელი და დაუბრუნდეს მას დაკარგული დიდება“ (იქვე).

რუბრიკის შემდეგ ნაწილს შეადგენს რუსი ჟურნალისტის ფელიქს ჩუევის მიერ შეგროვებული ანეკდოტები, რომლებშიც ხაზი ესმევა სტალინის მკვირცხლ გონებასა და იუმორის გრძნობას (გვ. 99-102) (ტექსტის წყარო არ არის მოყვანილი). ბოლო ანეკდოტი სათაურით „ისტორიის ქარი“ ეხება ფრაზას, რომელიც სტალინს მიაწერენ და რომელშიც იგი აფასებს იმას, თუ როგორი იქნება მისი ადგილი ისტორიულ მეხსიერებაში. ეს საკითხი ქვემოთ იქნება განხილული. რუბრიკის ბოლოს მოცემულია ახალგაზრდა სტალინის ლექსები, რომლებსაც წინ ერთვის ვალერი ბეგიაშვილის ზემოთ განხილული კომენტარი სტალინის მოღვაწეობასა და მის ლექსებზე (გვ. 103-105).

ბეგიაშვილის 1992 წელსა და დინუაშვილის 2001 წელს დაბეჭდილ ტექსტებში ნიშანდობლივია ტერმინ დემოკრატიისა და სუვერენიტეტის ინსტრუმენტული გამოყენება, როდესაც აღნიშნული ფენომენები საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ განვითარებულ პოლიტიკურ პროცესებს განასახიერებენ და ამასთან ერთად, ავტორთა ცინიკური თავდასხმის ობიექტები ხდებიან. ბეგიაშვილი დემოკრატიის არგუმენტით, რომელიც „სამართლიანობასა“ და „თანასწორობასთან“ ასოცირდება სტალინის შეფასებაში სამართლიანობისაკენ მოუწოდებს მკითხველს:

არავითარი გამართლება არ ექნება პატარა სოსელოს ლექსების უგულუბელყოფას და ცოცხლად დასამარებას, მით უმეტეს, დღევანდელ ვითარებაში, როცა ყველანი ამდენს ვლადიმერ პუტინთან სამართლიანობაზე, სამართლებრივი სახელმწიფოს აშენებაზე, როცა ყველა ასე აშკარად და დაუფარავად გამოვხატავთ ჩ ალმფოთებას უკანონო რეპრესიებისადმი. რეპრესიებს რომ ვგმობთ, რატომ უნდა ვითმენდეთ სრულიად დაუსაბუთებელ რეპრესიებს მშვენიერი ქართული ლექსისადმი,... როგორც არის იოსებ

ჯულაშვილის "დილა."

(1992 ვარდს გაეფურჩენა კოკორი, 14).

ხოლო დინუაშვილის გადმოსახედიდან:

"საბჭოთა კავშირი ერთ დროს ხომ მსოფლიოში ყველაზე ძლიერი ზესახელმწიფო იყო და ახლა პოსტსაბჭოური სახელმწიფოები, ეს საცოდავი ნარჩენები საბჭოთა კავშირისა, ჩამორჩენილი, სიღატაკემდე მიყვანილი, დანგრეული "სუვერენული სახელმწიფოები" არიან დამნაშავეთა სამყაროს არნახული პარპაშით!!! მაგრამ ვის სჭირდება ასეთი მათხოვრული სუვერენიტეტი!

(ორბეთი, გვ. 97-98).

ამ ორ არგუმენტში სტალინიზმის დემოკრატიული ტრანზიციის კონტექსტში შეფასების საჭიროება ჩნდება. ბეგიაშვილის 1992 წელს დაბეჭდილ ტექსტში დემოკრატიული განვითარება, სამართლებრივ სახელმწიფოზე გადასვლა მოცემულობად აღიქმება, ხოლო დინუაშვილის 2001 წელს დაბეჭდილ ტექსტში სკეპტიციზმი ამგვარი განვითარების მიმართ დაუფარავად მჟღავნდება. მიმდინარე პოლიტიკურ-სოციალური პროცესებისადმი ასეთ სკეპტიციზმს აღწერს გოთფერდსენი 2010-11 წლებში გორში ჩატარებულ ეთნოგრაფიულ კვლევაზე დაყრდნობით (Gotfredsen 2014). გოთფერდსენი აღწერს თუ როგორ მოსდევს ტრანზიციისა და მოდერნიზაციას გარკვეული ასაკის ადამიანების გამოთიშვა მიმდინარე პროცესებისადმი, რასაც, თავის მხრივ, წარსულისადმი ნოსტალგიური განწყობა და ძველი კერპის ხელახალი აღზევება მოსდევს. ტექსტური მასალიდან შეგვიძლია დავინახოთ, თუ როგორ ვითარდება ეს პროცესი მოლოდინიდან სკეპტიციზმამდე და სკეპტიციზმიდან ნოსტალგიამდე.

### **„რეპრესირებული ლექსი“**

სტალინის ლექსთა ერთეულ გამოცემებს შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს „ი. ჯ.-შვილის“ ფსევდონიმით გამოქვეყნებულ მის პირველ ლექსს „დილა.“ პუბლიკაციები სადაც აღნიშნული ლექსი სხვა ლექსებთან ერთად

გვხვდება, ძირითადად, საბავშვო ლექსების კრებულებია, თუმცა არის გამონაკლისებიც, როდესაც „დილა“ ქართული პოეზიის შედეგებს შორის არის მოთავსებული. ამგვარი დამოკიდებულება სტალინის აღნიშნულ ლექსთან ადრევე ჩამოყალიბდა, ზემოთ უკვე ვილაპარაკეთ იმაზე რომ „დილა“, ერთი მხრივ მელიტონ კელენჯერიძის მიერ „ქართული სიტყვიერების საუკეთესო ნიმუშთა ქრესტომათიაში“ (1907) იქნა შეტანილი, მეორე მხრივ კი, — დედაენაში იაკობ გოგებაშვილის მიერ.

გარდა „დედა ენისა“ ლექს „დილის“ საბავშვო სტატუსი 1947 წელს დამატებით იქნა ხაზგასმული ყველაზე ხანგრძლივი საგამომცემლო ტრადიციის მქონე საბავშვო ჟურნალისათვის „დილის“ დარქმევით. აღნიშნული საბავშვო ჟურნალის გამოცემა 1904 წელს იწყება და 1927 წლამდე ერქვა „ნაკადული“, 1927-47 წლებში გამოიცემოდა სახელით „ოქტომბრელი“, ხოლო 1947 წლიდან 2007 წლამდე ჟურნალი გამოდიოდა სათაურით „დილა.“ 1947 წლის საბავშვო ჟურნალის პირველი გამოცემა ახალი სახელით (#9) შეიცავს ლექს „დილის“ ბოლო სტროფს გარე ყდაზე და მთლიან ლექსს შიდა ყდაზე (აქვეა დატანებული მცირე აღწერა ლექსების ივერიაში და „დილის“ დედაენაში შეტანის შესახებ). პირველ გვერდზე გამოტანილია შალვა ცხადაძის ნახატი სათაურით „ქართველის დედა“ რომელზეც ეკატერინე გელაძე და 3-4 წლის იოსებია წარმოჩენილი ქოხში, რომლის კედელზეც შოთა რუსთაველის სურათი კიდია. მეორე გვერდზე — გრიგოლ აბაშიძის ლექსი „ქართველის დედა“ რომელიც სტალინის დედას ეძღვნება. მე-3 გვერდზე დაბეჭდილია ფოტორეპროდუქცია უჩა ჯაფარიძის ნახატი რომელიც ასახავს სტალინს ჭავჭავაძესთან ჟურნალ „ივერიის“ რედაქციაში, ხოლო ქვემოთ მცირე ბიოგრაფიული მონაცემებია მოყვანილი ჭავჭავაძეზე, რომელიც მისი გარდაცვალების 40 წლის თავს ეძღვნება. მე-8-9 გვერდები კი ეძღვნება მცირე ლექსებს ქალაქ გორის შესახებ, სადაც წარმოდგენილია აბაშიძე, გალაკტიონი, გრიშაშვილი, ლეონიძე, ალიო მირცხულავა, კონსტანტინე ჭიჭინაძე და სიმონ ჩიქოვანი).

სტალინის გარდაცვალებისა და დესტალინიზაციის დასაწყისის შემდეგ ლექსები „დილა“ და „რაფიელ ერისთავს“ სოსელოს ფსევდონიმით შეიძლება



მოძიებულ იქნეს საქართველოს რეგიონულ ჟურნალ-გაზეთებში, ნომრებსა და რუბრიკებში, რომლებიც ბავშვებს,<sup>35</sup> დედაენას,<sup>36</sup> შოთა რუსთაველს,<sup>37</sup> ან რაფიელ ერისთავს<sup>38</sup> ეძღვნება. ეს უკანასკნელი მხოლოდ ორ ნომერს მოიცავს, განსაკუთრებული ყურადღება კი „დილას“ ეთმობა. მოგვიანებით ამ ლექსზე მუსიკაც იქნა შექმნილი და „საბავშვო სიმღერების“ კრებულში დაბეჭდილი (კოკელაძე 1982, 51-55). საბავშვო კრებულებში სოსელოს ფსევდონიმით აღნიშნული ლექსი პოსტსაბჭოთა პერიოდშიც არაერთგზის იბეჭდება (გეგია 1991, 30, არევაძე 2014, 15). თუმცა, მისი პოპულარობა მოზარდთა აუდიტორიით არ შემოიფარგლება.

2008 წელს გამოიცემა ლექსთა კრებული სათაურით „ეს სიმღერაა საქართველოსი: ქართული პოეზიის მცირე ანთოლოგია.“ კრებულის შემდგენელი ტარიელ ზოზრაშვილი მცირე შესავალში ძირითადად პოეტის კულტურულ ფუნქციაზე და საქართველოში პოეზიის განსაკუთრებულ როლზე საუბრობს. პირველივე წინადადებით კრებულის შემდგენელი მკითხველს ამცნობს, რომ „სიღალე და პოეტურობა გამორჩეული თვისება გახლავთ ქართველი კაცისა“ (იქვე 3) და ამ შეხედულების განსამტკიცებლად პოეტ ოვანეს თუმანიანის ფრაზასაც იმორჩებს „ყველა ქართველი პოეტია და ქართველი პოეტი — ორჯერ პოეტი[ო]“ (იქვე 4). კრებულში იოანე ზოსიმედან დაწყებული 240-მდე ქართველი პოეტის თითო ლექსია თავმოყრილი. ჩემ ინტერესს, რა თქმა უნდა, მთელი კრებულის ანალიზი არ წარმოადგენს, შემოვიფარგლებით სტალინიზმის პერიოდით, რომლის გარშემოც კრებულში შესულია ისეთი პოეტების ლექსები, როგორც იყო პაოლო იაშვილი, რომელმაც სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა მწერალთა კავშირის სახლში 1937 წლის რეპრესიების ფონზე; ტიციან ტაბიძე, რომელიც ასევე 1937 წლის რეპრესიებს შეეწირა; კოლაუ ნადირაძე,

---

<sup>35</sup> სოსელო. „დილა.“ *კოლხეთი [ცხაკაია]*, 1973 წლის 6 ოქტომბერი, #119, გვ. 4.

<sup>36</sup> სოსელო. „დილა.“ *გამარჯვება [გორი]*. 1973 წლის 27 ოქტომბერი, #129, გვ. 2; სოსელო. „დილა.“

*საქართველოს ქალი*, 1976 წელი, #9, გვ. 2; სოსელო. „დილა.“ *ლენინელი*, 1976 წლის 2 ნოემბერი, გვ. 2.

<sup>37</sup> სოსელო. „დილა.“ *ასპინძა [ასპინძა]*, 1977 წლის 29 ოქტომბერი, გვ. 2.

<sup>38</sup> სოსელო. „რ. ერისთავს.“ *ლენინელი*. 1974 წლის 10 დეკემბერი; სოსელო. „რაფიელ ერისთავს.“

*ცისკარი*, 1974 წელი, #11.

რომლის ლექსიც „25 თებერვალი“ საბჭოთა ოკუპაციის ტრაგიკული მოვლენების სიმბოლოდ გადაიქცა; და ტერენტი გრანელი, რომელიც საბჭოთა რეჟიმის მიერ შოვინისტ და მავნებელ პოეტად იქნა გამოცხადებული და მიტოვებული გარდაიცვალა ფსიქიური მდგომარეობით დამძიმებული ჯანმრთელობის გამო. ასევე კრებულის ცალკე ნაწილი სათაურით „ნოსტალგია“ (იქვე 112-133) ეთმობა პოლიტიკური ემიგრაციის პოეზიას, სადაც თავმოყრილია ლექსები სამშობლოს მონატრებასა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის თემაზე. კრებულის ერთ-ერთი სექცია, სათაურით „ჭაბუკებად რომ დარჩნენ მარად“ (იქვე 140-149) თავს უყრის რამდენიმე ლექსს, რომელთა ავტორები მეორე მსოფლიო ომში დაიღუპნენ. და ბოლოს, ზემოჩამოთვლილ ლექსებს წინ უძღვის სოსელოს „დილა“ (იქვე 47).

2010 წელს გამოიცემა მურმან ლებანიძის შედგენილი ქართული პოეზიის შედევრების სამტომეულის მე-2 ტომი, რომელშიც ზემოთ განხილული კრებულის მსგავსად თავმოყრილია პაოლო იაშვილის, ტიციან ტაბიძის, კოლაუ ნადირაძის, ნიკოლო მიწიშვილისა და ტერენტი გრანელის ლექსები. აქვეა დაბეჭდილი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის წევრის, ქაქუცა ჩოლოყაშვილის ორგანიზებული აჯანყების მონაწილისა და პოლიტიკური ემიგრანტის, შალვა ამირეჯიბის ერთი ლექსიც. აქაც, წინა კრებულის მსგავსად სოსელოს "დილა" (ლებანიძე 2010, 134) წინ უძღვის ჩამოთვლილ ავტორთა ლექსებს.

უნდა აღინიშნოს, რომ სტალინის „დილა“ თავდაპირველად „ი. ჯ.-შვილის“ ფსევდონიმით გამოიცა. ეს ფსევდონიმი მოზარდმა იოსებ ჯულაშვილმა მხოლოდ ერთხელ გამოიყენა და მისი დანარჩენი ლექსები გაზეთ „ივერიაში“ „სოსელოს“ ფსევდონიმით დაიბეჭდა. 1930-იან და 40-იან წლებში „სოსელო“ სტალინის პოეტური შემოქმედების ძირითად ფსევდონიმად იქცა. სხვა ფსევდონიმები ნახსენები აღარ არის. დესტალინიზაციისა და დამოუკიდებლობის აღდგენის პერიოდებში ეს ტრადიცია შენარჩუნებულია, მიუხედავად იმისა, რომ სოსელო და სტალინი ერთმანეთთან მჭიდროდაა ასოცირებული. აღნიშნული ლექსი საბჭოთა თუ პოსტსაბჭოთა პერიოდებში ძირითადად საბავშვო პოეზიის

სფეროში იბეჭდება, მაგრამ გამონაკლისები მიუთითებს, რომ ლექსის შეფასება, ისევე, როგორც მისი ავტორის შეფასება ქართულ საზოგადოებაში ორაზროვანია.

რით გამოირჩევა „დილა“ მოზარდი იოსებ ჯულაშვილის სხვა ლექსებისაგან? ნაწილობრივი პასუხი ამ კითხვაზე უკვე მოცემულია იოსების ადრეულ ლიტერატურულ მფარველთა შთამბეჭდავი ჯგუფის აღწერით. რთულია იპოვო სტალინისტი, რომელიც ამის შესახებ არ საუბრობს. მეორე საკითხი ლექსის ეროვნული სულისკვეთებაა, რომელიც სტალინისტთა ლოგიკით საშუალებას იძლევა, ერთმანეთისგან განცალკევდნენ სოსელო და სტალინი.

ისტორიკოსი და მწერალი თამაზ ნატროშვილი წიგნში „ახსოვდა თუ არა საქართველო“ (1994), რომელში შესული თავებიც — მხატვრული ჩანახატებია დოკუმენტალისტიკის ელემენტებით — მიზნად სტალინის რეაბილიტაციას ისახავს. პირველი თავი „დამჭნარი კოკორი“ (3-8) სწორედ სტალინის პოეტურ შემოქმედებას ეხება, ყურადღებას „დილაზე“ ამახვილებს და შესავალშივე განსაზღვრავს ლექსის მასშტაბს ჭავჭავაძისა და გოგებაშვილის ხსენებით (იხ. იქვე 3). ნატროშვილის შეფასებით სოსელოს დანარჩენი პუბლიკაციები "ურიგო ლექსები არ ყოფილა, მაგრამ მაინც ჩამოუვარდებოდნენ იმ პირველს — ნათელსა და უბრალოს, საოცრად მომხიბვლელსა და დილასავით ნათელს" \*(იქვე). ავტორი სოსელოს პოეზიას მისი ქართველობის წყალგაუვალ დადასტურებად მიიჩნევს, რის გადმოსაცემდაც მხატვრულ არგუმენტებს იყენებს. იგი წერს: „თავდაპირველად, როგორც ჭეშმარიტმა ქართველმა, პოეტობა სცადა. ...ლექსს მოუსინჯა კბილი და, როგორც ვხედავთ, საკმაოდ იღბლიანად. არც ილია ჭავჭავაძე დაუბეჭდავდა პროტექციით და არც იაკობ გოგებაშვილი..." (იქვე 5). მეორე არგუმენტი მოყვანილისაგან ორიგინალურობით გამოირჩევა სტალინიადის ფონზე — ნატროშვილს რუსი კრიტიკოსის ლევ ორუეცკისა და პოეტ არსენი ტარკოვსკის დიალოგი მოჰყავს, სადაც აღნიშნული პერსონაჟები სტალინის ლექსებს განიხილავენ და ტარკოვსკი, რომელსაც ამ ლექსების რუსულად თარგმანი ჰქონდა შესრულებული, მათ ჩვეულებრივ ჭაბუკურ ლექსებად მოიხსენიებს, მაგრამ აქვე გაკვირვებით აღნიშნავს, რომ სატრფიალო

ლექსები არ შეხვედრია (იხ. იქვე 6-7). ტარკოვსკის გაოცებას ნატროშვილი აღწვთებით სავსე პასუხს სცემს:

ჩემი აზრით, უცნაური ის კი არ გახლავთ, რომ სოსელოს სატრფიალო ლექსები არ შეუქმნია... უცნაური სწორედ ის იქნებოდა, რომ დაეწერა. ცარსკოე სელოს ლიცეისტად ხომ არ წარმოუდგენიათ თექვსმეტი წლის უპოვარი ქართველი ჭაბუკი, დამონებული და დაჩაგრული ქვეყნის შვილი?... სატრფიალო ლექსები მოსთხოვეთ სამშობლოსა და მშობელი ხალხის საკეთილდღეოდ გულანთებულ თექვსმეტი წლის ჭაბუკს! (იქვე 7).

ნატროშვილის ამ აღწვთებით სოსელოს ლექსების ანალიზში უცხო ელემენტი შემოდის — ცარსკოე სელოს ლიცეუმი მე-19 საუკუნის რუსეთის იმპერიაში პრივილეგირებული სასწავლებელი იყო კარის დიდებულთა ვაჟიშვილებისთვის, სადაც აღიზარდა, მაგალითად, პუშკინი, რომელსაც მრავლად აქვს დაწერილი სატრფიალო ლექსები. ნატროშვილი ხაზს უსვამს 16 წლის იოსებ ჯულაშვილსა და „ცარსკოე სელოს ლიცეისტს“ შორის არსებულ გადაულახავ სხვაობას, ხოლო აღწვთება დიალოგის მონაწილეების უუნარობისკენაა მიმართული ადეკვატურად შეარჩიონ ჯულაშვილის ლექსების შესაფასებელი კრიტერიუმები, რომლებიც ნატროშვილის თქმით დამონებული და დაჩაგრული ქვეყნის გასაჭირისადმი ჭაბუკის ანთებული გულია.

სტალინისტები იოსებ ჯულაშვილის შემოქმედებას თავისთავად გმირულ მოვლენად განიხილავენ, რომლის წყაროც ინდივიდუალური ნიჭია, ეს უკანასკნელი კი რაციონალურ ახსნას არ ექვემდებარება. არსადაა განხილული ახლად წარმოქმნილი პატრიოტული დისკურსის სოციალური მახასიათებლები როგორც, მაგალითად, აღმავალი სოციალური კიბის ფუნქციის შემსრულებელი ახალგაზრდა ავტორთათვის. მხოლოდ ისტორიკოსი ვახტანგ გურული აქცევს ყურადღებას ჯულაშვილის „ივერიიდან“ „კვალზე“ გადასვლის საკითხს და ამას სოსელოსა და ჭავჭავაძეს შორის იდეოლოგიური დაპირისპირებით ხსნის (2006, 64). გურული თავს არიდებს სპეკულაციებს და იოსების მიერ „ივერიაში“ მიღწეულ წარმატებას, რაც მცირე პერიოდში ხუთი ლექსის გამოქვეყნებაში გამოიხატა, ავტორის ენას მიაწერს, „რომლის დამკვიდრებისათვის ილია XIX

საუკუნის 60-იანი წლების დამდეგიდან იღვწოდა“ (იქვე). იოსების ბოლო ლექსიც „მოხუცი ნინიკა“ ენით წინა ლექსებს არ ჩამოუვარდებოდა, მაგრამ იგი არა „ივერიაში“ არამედ „კვალში“ იბეჭდება 1986 წლის 28 ივლისს (#32), ვახტანგ გურული იოსების გადასვლას სხვა იდეოლოგიურად დაპირისპირებულ ჟურნალში ლექსის იდეოლოგიურად მიუღებელი „ხალხოსნური“ თემატიკით ხსნის (იხ. იქვე). სწორედ ამ პერიოდიდან ილია „კვალის“ რედაქტორთან გიორგი წერეთელთან მწვავე პოლემიკაში ერთვება (იხ. იქვე).

### 3. პოეტი სტალინის ადრეული პოპულარიზაცია

სტალინის მიერ დაწერილ თხზულებათა კრებული 18 ტომს შეადგენს. მათ შორის გამონაკლისის სახით ისეთი სტატიაც მოიძებნება, რომლის თეორიულ სიღრმეს მისი მოწინააღმდეგეებიც კი აღიარებდნენ<sup>39</sup>. თუმცა, მხოლოდ მისმა მოზარდობის დროინდელმა ლექსებმა შეინარჩუნეს მნიშვნელობა და აქტუალობა, რომელიც საბჭოთა კავშირის დანგრევის შემდეგ ხელახალი ძალით გამოვლინდა. სტალინის ნაწერებიდან მისი სიკვდილის შემდეგ ქართველი მკითხველისათვის არაფერი აღარ დაბეჭდილა<sup>40</sup>, გარდა მისი ლექსებისა. რა თქმა უნდა, ამის თქმით სტალინის თეორიულ-იდეოლოგიური ესეებისა და მისი რომანტიკული ლექსების ურთიერთ შედარებას არ ვცდილობ, თუმცა ნაწერების შემდგომი ბედი გვიჩვენებს ავტორის ხატის ფუნდამენტურ ტრანსფორმაციას და მიგვითითებს კოლექტიური მეხსიერების იმ ადგილზე, სადაც მან დაისადგურა.

სტალინის ლექსების მიმართ ინტერესის განხილვას რაოდენობრივი პერსპექტივიდან დავიწყებთ, რომელსაც წინ მცირე ისტორიული შესავალი დაერთვება. შემდგომ გაანალიზებული იქნება სტალინის ლექსების კრებულების რაოდენობა, რაც მათი აქტუალიზაციის შესახებ შექმნის წარმოდგენას და

---

<sup>39</sup> ისტორიკოსი ბორის ილიზაროვი სტალინის სტატიის “მარქსიზმი და ნაციონალური საკითხის” განხილვისას განსაკუთრებული თეორიული სიღრმის ხაზგასასმელად ტროცკის დამოკიდებულებას იმოწმებს ამ სტატიის მიმართ “რომელიც ფლობდა ლიტერატურულ ტალანტს, და კარგად იცნობდა თავისი მეტოქის [სტალინის — კ. ლ.] ჩვეულ უდიდამო პუბლიცისტურ სტილს, თუმცა, ამის მიუხედავად, მთელი ცხოვრება გაოცებას ვერ მალავდა სტალინის ამ სტატიასთან დაკავშირებით” (Илизаров 2012, 192).

<sup>40</sup> 1921-1956 წლებში სტალინის ავტორობით გამოცემული ლიტერატურის კვლევა აჩვენებს, რომ მისი რამდენიმე ნაშრომი პერიოდულად იბეჭდებოდა ამ წლების მანძილზე.

საფუძველს მოგვცემს პუბლიკაციათა შემდგომი შინაარსობრივი ანალიზისათვის და შექმნის საფუძველს სტალინისტურ პუბლიკაციებში „პოეტი სტალინის“ საკითხის შემდგომი ანალიზისათვის.

რაც შეეხება ქართულენოვან აუდიტორიას, სტალინის ლექსები პირვანდელი გამოცემები, ისევე როგორც კრებულებში და „დედაენაში“ შესული ვარიანტები „ი.ჯ.-შვილის“, „სოსელოსა“ და „სოზელის“ ფსევდონიმებით დაიბეჭდა. მხოლოდ 1937 წელს, ანუ თავდაპირველი პუბლიკაციიდან 42 წლის შემდგომ, ლიტერატურულ-საზოგადოებრივ ჟურნალ „მნათობში“ (#5) იბეჭდება „ამხანაგ ი. სტალინის ახალგაზრდობის დროინდელი ლექსები“, რომელსაც შემდეგი კომენტარი ერთვის:

ჟურნალ „მნათობის“ რედაქცია აქვეყნებს ამხანაგ სტალინის ახალგაზრდობის დროინდელ ლექსებს, დაწერილს 1895-1896 წლებში, როდესაც ამხანაგი სტალინი [ხაზგასმები ორიგინალში — კ. ლ.] 15-16 წლის იყო. ჯერჯერობით აღმოჩენილია ექვსი ლექსი (იქვე, XXV).

უნდა ვივარაუდოთ, რომ სწორედ ამ ფურცლებზე იქნა განდობილი ქართველი მკითხველისათვის ლექსთა რეალური ავტორის სახელი. ჟურნალ „მნათობის“ აღნიშნული ნომერი ეძღვნება ილია ჭავჭავაძის დაბადების 100 წლის იუბილეს. სტალინის ლექსები მოთავსებულია ლავრენტი ბერიას ლიტერატურისადმი მიძღვნილი და პოლიტიკური მიმოხილვის ტექსტებსა და ილია ჭავჭავაძის ხსოვნისადმი მიძღვნილ სტატიებს შორის, რომელიც მისი ლექსების, ავტობიოგრაფიისა და სხვადასხვა მოღვაწეების მიერ ილიასათვის მიძღვნილი ტექსტებისაგან შედგება. სტალინის ლექსებზე მითითებულია წყაროები, თუმცა ილიასა და სოსელოს თანამშრომლობის საკითხი განვრცობილი არ არის. აღნიშნული თემა მოგვიანებით მხატვრული დამუშავების საგანი ხდება მითოლოგიურ-ჰაგიოგრაფიული გაფორმებით — 1939 წლის 20 დეკემბერს გაზეთ „კომუნისტში“ (#291, გვ. 3-4) იბეჭდება აკაკი ბელიაშვილის მოკლე მოთხრობა „პოეტის ოცნება“, სადაც ილიასა და სოსელოს მეორე შეხვედრაა აღწერილი, რომლის დროსაც ილია აქტიურად მფარველობს მოზარდ სოსელოს.

სოსელოს ლექსები ავტორის ნამდვილი სახელის მითითებით ქართულ

ბეჭდურ მედიაში მეტჯერ აღარ გვხვდება, მხოლოდ 1940-50 წლებში რამდენჯერმე იბეჭდება მისი თითო-თითო ლექსი<sup>41</sup>. რაც შეეხება ლექსების საკავშირო დონეზე პოპულარიზების საკითხს, უნდა ვივარაუდოთ, რომ ფართო საბჭოთა საზოგადოებისათვის სტალინის ლექსების შესახებ უშუალოდ მისი სიცოცხლის განმავლობაში ცნობილი არ ყოფილა<sup>42</sup>. შემონახულია ისტორია 70 წლისთავისათვის საჩუქრად მისი ლექსების რუსულად თარგმნისა და გამოქვეყნების მცდელობის შესახებ. თარგმანთა შესრულება პოეტ არსენი ტარკოვსკისათვის იქნა დავალებული 1948 წლის ბოლოსათვის. თუმცა პუბლიკაციის იდეა, მიუხედავად იმისა, რომ თავად თარგმანები დასრულებული იყო, თვით სტალინის მიერ იქნა აღკვეთილი (ნატროშვილი 1994, 6).

რაც შეეხება სტალინის ლექსების ბედს მისი სიკვდილის შემდეგ „საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის“ კატალოგის კვლევის შედეგად მოძიებულ იქნა ჟურნალ-გაზეთების 11 ნომერი 1973 წლიდან 1985 წლამდე, რომლებშიც დაიბეჭდა ლექსები „დილა“ (8-ჯერ) და ლექსი „რაფიელ ერისთავს“ (3-ჯერ). აქ აღსანიშნია ის, რომ 30-40-იან წლებში სტალინის ლექსები ძირითადად ავტორის ნამდვილი ვინაობით იბეჭდებოდა, ხოლო 70-80-იან წლებში — მხოლოდ „სოსელოს“ ფსევდონიმით. ეს გარემოება სწორედ დესტალინიზაციის კონტექსტში უნდა იქნეს აღქმული, რომლის პირობებშიც სახელი „სტალინი“ პრაქტიკულად ამოღებულ იქნა ბეჭდური მედიიდან. საინტერესოა, რომ სტალინის მოზარდობის პერიოდის საალერსო სახელი

---

<sup>41</sup> 47 სტალინი, ი. ბ. „დილა.“ *კომუნისტური აღზრდისათვის*, 1940 წლის დეკემბერი, #12. სტალინი, ი. ბ. „მთვარეს.“ *ლენინური გზით*, 1940 წლის 21 დეკემბერი, #56. სოსელო. „დილა.“ *ოქტომბრელი*, 1945 წელი #11 გვ. 1. სტალინი, ი. ბ. „რ. ერისთავს.“ *გამარჯვება [ახმეტა]*, 1950 წლის 2 დეკემბერი, #52-53.

<sup>42</sup> რუსი ისტორიკოსი და პუბლიცისტი იური ვისოკოვი თვის სტატიაში, სადაც გამოკვლეული და გაანალიზებული აქვს სტალინის ლექსების ისტორია და შესწავლის მდგომარეობა, ამტკიცებს, რომ საბჭოთა საზოგადოებისათვის ლექსების შესახებ ცნობილი 1939 წელს გახდა, როდესაც ბელადის 60 წლის იუბილესათვის გამოქვეყნდა პარტიული მუშაკის ემილიან იაროსლავსკის ბიოგრაფია „ამხანაგ სტალინის შესახებ“ სადაც ნახსენებია მისი ლექსების შესახებ და ასევე მოყვანილია სტროფები ლექსიდან „მთვარეს“ და ამავე წელს თბილისურ ჟურნალში „ზარია ვასტოკა (#37) გამოიცა ნიკოლაიშვილის სტატია „ახალგაზრდა სტალინის ლექსები“ (21 დეკემბერი) (იხ. Високов 2018). ვისოკოვის მიერ მოყვანილი წყაროები ნდობას არ იწვევს: მართალია იაროსლავსკის წიგნი „ამხანაგი სტალინის შესახებ“ ჩემთვის ხელმისაწვდომი არ იყო, თუმცა გაუგებარია რა თარგმანი გამოიყენა მან სტალინის ლექსის დაბეჭდვისას, რადგან სტალინის ლექსების რუსულად თარგმნის პირველი მცდელობა მხოლოდ 10 წლის შემდგომ განხორციელდა. რაც შეეხება „ზარია ვოსტოკაში“ გამოქვეყნებულ სტატიას აქ იგივე პრობლემას ვაწყდებით, რადგან გაზეთი რუსულენოვანია, ამასთან ერთად, გადამოწმების შემდეგ 1937 წლის 21 დეკემბრისა და თარიღით ახლოს მდებარე ნომერში ნიკოლაიშვილის სტატია მოძიებული ვერ იქნა.

## VII. პოეტი სტალინი

„სოსელო“, რომელიც მას დედამ შეარქვა და მოგვიანებით ფსევდონიმად იქნა აღებული, ისეთივე ფუნქციას ასრულებდა სტალინის სიკვდილის შემდგომ, როგორც მისი არალეგალურ-იატაკვეშა რევოლუციური საქმიანობის პერიოდის მეტსახელები. გარდა ამისა სტალინის პოეტური მოღვაწეობის შემონახვაში განსაკუთრებული როლი შეასრულა დედაენაში დაბეჭდილმა „დილამ“, რადგან სწორედ დედაენისათვის მიძღვნილ სტატიებსა და რუბრიკებში ჩნდება ეს ლექსი სოსელოს ავტორობით იგივე დედაენიდან აღებული სხვა ნაწარმოებების გვერდით.

დესტალინიზაციის პერიოდში ილიასა და სოსელოს შორის ურთიერთობის მითოლოგია ასევე სოსელოს ფსევდონიმით გადავიდა. 1957 წელს გაზეთ „სოციალისტურ სოფელში“ (#128) იბეჭდება სერგო ფაცაციათა ლექსი „სოსელო ილიასთან“:

ლამის არის ყვავილები ღიმის ელვით მოცელოს,-  
აჩქარებით მიუყვება ფილაქანებს სოსელო.

მიაქვს "დილა" და გარშემო მართლაც დილა ჰგონია;  
წუთის შემდეგ გალალეებით წინ დაუდგა გოლიათს.

წამოენთო ბუმბერაზი, წამს მოშორდა  
სავარძელს და ამბორით უპასუხა მან  
სოსელოს სალამზე.

დაჯდა, "დილა" გადაშალა, თან ღიმილად იფრქვევა;  
-ნეტა როდის გაგვითენდეს? — ჩაიძირეს ფიქრებმა...

უნდა ლექსის გაელვებით უკუნეთი მოცელოს, —  
გათენებას ღაღადებდა მზეჭაბუკი სოსელო...

ჰა, ილია, გაგვითენდა, ნიადაგ რომ ნატრობდი  
და იმ "დილას" ავტორია დღეს ამ დილის ავტორიც! (გვ. 2)

ლექსში მოცემული სურათი და სიუჟეტი, შეიძლება ითქვას, ილიასა და სოსელოს შორის არსებულ თანამშრომლობაზე საუბრის ძირითად ფორმად იქცა, რომელიც ბელიაშვილის ზემოთ მოყვანილ მოთხრობაში 1930-იანების ბოლოს



შეიქმნა. ინტერესს იწვევს ის თუ როგორ აღმოჩნდა ფაცაცისა და ლექსი დაბეჭდილი იმ დროს, როდესაც 1956 წლის მარტის ხოცვა-ჟლეტის მღელვარება ჯერ ბოლომდე ჩამცხრალი არ იყო. ერთ-ერთ შესაძლებლობად კი აქაც „სტალინის“ სახელისაგან თავის არიდება უნდა იქნეს მიჩნეული. ამ მოსაზრებას აძლიერებს ლექსისათვის დართული კომენტარი: „სოსო ჯუღაშვილის ლექსი "ილია" ილიამ თავის გაზეთ "ივერიაში" დაბეჭდა“ (იქვე). მოქმედ პირთა სახელების ამგვარი გამოყენებით სურათი ბუნდოვანი ხდება, რადგან კომენტარში არ არის ნახსენები არც სტალინი, არც იოსებ ჯუღაშვილი, არამედ — „სოსო ჯუღაშვილი.“ ამგვარი ფამილიარობა გაუგებარია, რადგან მეორე პერსონაჟი კომენტარში უბრალოდ „ილიად“ არის ნახსენები, რაც მის სტატუსს უსვამს ხაზს. ხოლო თავად ლექსში სოსო ჯუღაშვილი „სოსელოდაა“ მოხსენიებული, ხოლო ილია — „ბუმბერაზად.“

ილიასა და სოსელოს ურთიერთობის ეპიზოდი ხრუმჭოვის დესტალინიზაციის ავად თუ კარგად დასრულების შემდგომ გორბაჩოვის „საჯაროობისა“ და „გარდაქმნის“ პერიოდში სტალინის პოეტის იმიჯის აღდგენის მთავარ ინსტრუმენტად გვევლინება კიდევ ერთხელ. 1987 წელს ქვეყნდება ავთ. ცოტნიაშვილის სტატია „ილია და სოსელო“ (ყვარელი, 1987, 24 თებერვალი, გვ. 3) რომელიც მათი ურთიერთობის ზემოაღწერილ მხატვრულ სიუჟეტს იმეორებს. აღნიშნული სტატია ერთგვარ მანიშნებლის როლს ასრულებს პოეტი სტალინის მიმართ ინტერესის ხელახალი, აქამდე არნახული ძალით გაღვივების მიმართ. მომდევნო წლებში სტალინის ლექსები ერთგვარ აკვიატებად გადაიქცა, რომელიც ყველაზე მკაფიოდ სწორედ პოსტსაბჭოთა საქართველოს ბეჭდვით მედიაში გამოვლინდა.

#### 4. სტალინი და პოეზია პოსტსაბჭოთა სტალინიადში

როგორც ვხედავთ სტალინისტთა ნააზრევში პოეზიაში შეტანილი წვლილი იდუმალ-საკრალურ თვისებას იძენს, მით უმეტეს რომ, იოსებ ჯუღაშვილს ამ სფეროში თან ახლავს ეროვნულ-კულტურული გმირების ჯგუფი, რომელთა წინააღმდეგ წასვლაც მწვალებლობის ტოლფასია. წინამდებარე ქვეთავში განვიხილავთ რამდენიმე პუბლიკაციას, სადაც სტალინის პოეტური

შემოქმედების შემდგომი მითოლოგიზაცია ხორციელდება.

ეროვნული ბიბლიოთეკის საარქივო ფონდში იძებნება მცირე პუბლიკაცია სათაურით „რუსთაველიდან სტალინამდე“ (გოცირიძე 1997), რომელშიც „პიროვნების“, „მეს“, „ცნობიერების“, „გონის“, „ნიჭისა“ და კონტინენტური ფილოსოფიის სხვა ცნებების გამოყენებითა და ისეთ მოაზროვნეთა ხსენებით, როგორც იყვნენ არისტოტელე, პლატონი, დეკარტი, სპინოზა და ფროიდი, შემუშავებულია პიროვნების ერთიანობის თეორია, რომლის გახლეჩაც „შედევრის“ შექმნის მიზეზიც კი შეიძლება გახდეს.

ასეთ მსჯელობებში ავტორს მალევე შემოჰყავს რუსთაველი და სტალინი: „...განსაკუთრებული იმპერიის ნიმუშის შექმნა მხოლოდ სტალინმა შეძლო... ანტისახელმწიფოს მოდელიცა და სინამდვილევც, მხოლოდ სტალინმა გამოძერწა“ (იქვე 7). „ვეფხისტყაოსანს მხოლოდ რუსთაველი შექმნიდა და ვეფხისტყაოსანი მხოლოდ ქართულად დაიწერებოდა. სხვა ენა ვერ გაუძლებდა რუსთაველის „მე“-სა და რუსთაველის გონის აზვირთება-აბობოქრებას“ (იქვე 8). ამ სურათში რუსთაველის შემოყვანა მეტ-ნაკლებად ბუნებრივად მიიღება, რადგან, ნაშრომის თემად შედეგრის შექმნის მეტაფიზიკაა, ხოლო „ვეფხისტყაოსნის“ სტატუსი ქართულ და მსოფლიო ლიტერატურაში პოემას შედეგრებზე მსჯელობის სრულიად ლეგიტიმურ საგნად აქცევს. თუმცა ტექსტის მთავარი მოქმედი პერსონაჟი იოსებ სტალინია, რომელსაც ავტორი სხვადასხვა მხატვრული მექანიზმების გამოყენებით რუსთაველისა და სხვა ისტორიულ მოღვაწეთა გვერდზე აყენებს.

სტალინზე თხრობა შემდეგი ფორმით მიმდინარეობს — ავტორს ჩანახატების სახით მოჰყავს ეპიზოდები მისი ბიოგრაფიიდან და პოლიტიკური მოღვაწეობიდან და თითოეულ მათგანს რუსთაველისეულ აფორიზმს უსადაგებს. პირველი ეპიზოდი შალვა ნუცუბიძესთან შეხვედრა და მისთვის „ვეფხისტყაოსნის“ 1416-ე სტროფის თავისი თარგმანის შეთავაზებაა (იქვე 30-31). ამ მცირე ეპიზოდში პოეტსა და სტალინს შორის ურთიერთობა შემდეგი ტიპის განმარტებებითაა გაფორმებული: სტროფის გაცნობის შემდეგ ნუცუბიძე ეუბნება სტალინს —

გთხოვ, ჩემი ნათარგმნი თქვენი თარგმნილი სტროფით შეცვალოთ.

სტალინს ჩაეღიმა და რუსთაველს იტყვის "ვპოვე წამალი გულისა, აქამდის დადაგულისა."

რუსთაველთან მიდის ნუცუბიძეც "ვარდი შექმნილა ზაფრანად, აქ ია შეიკონების."

ახლა სტალინი და ნუცუბიძე რუსთაველს ამბობენ გონში:

"ხამს მოყვარე მოყვრისათვის თავი ჭირსა არ დამრიდად,

გული მისცეს გულისათვის, სიყვარული გზად და ხიდად." (იქვე, 31).

შემდგომ გოცირიძე იოსებ ჯულაშვილის ქართველ მენშევიკებთან თანამშრომლობის წარუმატებელ ეპიზოდს ეხება, როდესაც იგი გარიცხულ იქნა როგორც "გამოუსწორებელი ინტრიგანი." გოცირიძის თქმით ამ ეპიზოდში "სოსოს რუსთაველი აგონდება: "ავსა კარგად ვერვინ შეცვლის, თავსა ახლად ვერვინ იშობს" (იქვე 32). ხოლო ჯულაშვილის ექსპროპრიაციულ საქმიანობაზე საუბრისას, გოცირიძე ნოე ჟორდანიას აღწერას ეყრდნობა, რომლის მიხედვითაც ნამარცვ თანხას იგი ბოლშევიკთა ხაზინაში აგზავნიდა და თავისთვის არაფერს ინახავდა. ჯულაშვილის ასეთ მიდგომას გოცირიძე ისევ რუსთაველით ხსნის რომელიც სოსოს ეუბნება "სჯობს სახელისა მოხვეჭა, ყოველსა მოსახვეჭელსა" (იქვე 33).

განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა სტალინის მიერ ეროვნული ენების დაცვის გადაწყვეტილებას, რომელსაც იგი ხალხთა ასიმილაციის წარუმატებელი პოლიტიკის ისტორიული მაგალითებით ხსნიდა. გოცირიძე ამ ეპიზოდს შემდეგნაირად ამკობს: "სტალინი სიტყვას ამბობს და რუსთაველი აგონდება: "განგებასა ვერვინ შესცვლის, არ-საქმნელი არ იქმნების" (იქვე 35).

სტალინის ქართველობას გოცირიძე ისეთი ეთნიკური ელემენტებით ხსნის, როგორცაა ტრადიციების პატივისცემა: "სტალინი მაგარ სასმელებს არ ეტანებოდა, სვამდა მხოლოდ მშრალ ქართულ ღვინოს" (იქვე 34); "ი. სტალინი საქართველოს მზეს, საქართველოს მიწას და წინაპართა ძვლებს, ქართული ღვინით შეიტკბობს და ქართულ ღვინოში უყურებს დედას, საქართველოში

მყოფს" (იქვე 58). განსაკუთრებული როლი ენიჭება ენას: "სოსელომ ქართულად წარმოთქვა პირველად "დედა, "მამა", ქართულად აჟღერტულდა, ქართული ანბანი ისწავლა ჯერ და პირველად ქართულ მწერლობას დაეწაფა" (იქვე 35). გოცირიძე პიროვნების კულტის, მისივე სიტყვებით — „გალმერთების“ საკითხსაც ეხება. მოჰყავს გიორგი ლეონიძის ლექსი "სტალინს" (იხ. იქვე 36-38), რომელიც 1936 წელს კრემლში, ქართული დელეგაციის მიღების დროს იქნა წაკითხული, რის მოსმენაზეც, გოცირიძეს თქმით, "დიდ სტალინს რუსთაველი ახსენდება: "მართლად იტყვის მოციქული: შიში შეიქმს სიყვარულსა" და კიდევ: "გველსა ხვრელით ამოიყვანს ენა ტკბილად მოუბარი" (იქვე 39).

იოანე ზოსიმესა და ნიკო მარზე მცირე გადახვევით ავტორი ქართული ენისა და ანბანის განსაკუთრებულობაზე მსჯელობს (იხ. იქვე 37-41) და ბოლოს სტალინსაც ამატებს, რომელმაც "იცის, ქართული ენა მსოფლიო ენაა და რუსთაველი აგონდება: "კოკასა შიგან რაცა დგას, იგივე წარმოდინდება" (იქვე 41).

გოცირიძე სტალინის ტრაგიკულ ფიგურას ქმნის, რომლის პიროვნებაც გახლეჩილია ოთხი ძირითადი მიზეზის გამო: 1) იგი შორსაა საკუთარი ენისაგან 1921 წელს ანკეტის შევსებისას მშობლიურ ენად რუსული მიუთითა); 2) იგი შორსაა დედისაგან, 3) მეუღლემ თვითმკვლელობის გზით დატოვა იგი. ამ უკანასკნელზე ავტორის თქმით სტალინს ისევ რუსთაველი ახსენდება "სცდების და სცდების სიკვდილსა ვინ არ მოელის წამისად" (იქვე 51); მეოთხე მიზეზი კი მარტოობა იყო, რომელიც ხალხის მხრიდან მისი გალმერთებით იყო გამოწვეული: "იესო ქრისტე ჯვარცმის შემდეგ გალმერთდა და ვეღარ მიდიოდა ხალხთან. ი. სტალინი სიცოცხლეში გაალმერთეს და ხალხთან მისვლა იმიტომ უჭირს ი. სტალინს" (იქვე 56). გოცირიძის ამგვარი ფორმით თხრობა აპოთეოზით სრულდება:

ცოცხალი ხილვით სტალინი პეტრე იბერს, იოანე ზოსიმესა და რუსთაველს უყურებს. მეხუთე მეთაე, მეთორმეტე, მეოცე საუკუნეები ერთდებიან, მთლიანდებიან და ჯულაშვილის წინაპარი სიკეთეს უწონებს სტალინს. (იქვე, 64).

კულმინაციური დასასრული თავს უყრის ქართული ენის გარშემო არსებულ კულტურულ გმირთა ჯგუფს, რომელთა შორისაც სტალინი ღირსეულ ადგილს იკავებს თავისი გაორებისა და გახლეჩილობის მიუხედავად, რომელიც ავტორის არგუმენტაციით სწორედ მისი გენიალური ბუნების გამოვლენის ერთადერთი გზა იყო. რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“ საკრალურ ტექსტად, ადამიანის შინაგანი სამყაროს ინტერპრეტაციის ინსტრუმენტად არის წარმოჩენილი, რომლის შეგონებებიცა და ეთიკური სწავლება ავტორის მტკიცებით სტალინის მიერ წმინდა ტექსტთა სტატუსში იყო აყვანილი. ამგვარი კავშირების დადგენით გოცირიძისეული სტალინი ქართულ ეროვნულ გმირთა პანთეონის სრულუფლებიანი წევრი ხდება.

გოცირიძის ზემოთ განხილულ ტექსტში სტალინის *ქართველობა* პრიმორდიალური, ზედროული კულტურული ელემენტებით წარმოჩინდება, რომელთა შორისაც განსაკუთრებული ადგილი ქართულ ენას უჭირავს. „ვეფხისტყაოსანი“ კი ქართული ენის არა უბრალოდ ფუძემდებლურ ნიმუშად, არამედ საკრალურ ტექსტადაა წარმოდგენილი, რომელიც ინდივიდის ცხოვრების განმარტების უნარს ანიჭებს და რომელსაც გულმოდგინედ მისდევს იოსებ სტალინი. ქვემოთ კი განხილული იქნება ნაშრომი სადაც სტალინისადმი ზემოთ განხილული მიდგომა ამოტრიალებულია და სტალინი თავად ხდება თავისი თანამედროვე ქართველი პოეტის შემოქმედების მიზეზი და მთავარი პერსონაჟი.

2009 წელს ქვეყნდება ამირან გოდერძიშვილის წიგნის სათაურით „იეთიმ გურჯი იოსებ სტალინის მეგობარი (საუკუნის საიდუმლო)“, სადაც ავტორი ამტკიცებს, რომ პოეტის სატრფიალო ლექსები სინამდვილეში შეფარვით წყრომასა და წყენას გამოხატავს და მათი რეალური ადრესატი იოსებ სტალინია. მართალია წიგნის უმეტესი ნაწილი იეთიმ გურჯის ბიოგრაფიისა და პოეზიის განხილვას ეხება, თუმცა სტალინის პერიოდის საბჭოთა სისტემა და თავად სტალინი, პირველი როგორც გურჯის შემოქმედების კონტექსტი, ხოლო მეორე როგორც მისი ლექსების მთავარი პერსონაჟი, წიგნის თანაფარდოვანი საკითხებია.

ავტორს შემდეგი არგუმენტები მოჰყავს თავისი მოსაზრების დასასაბუთებლად:

მართალია იეთიმ გურჯისა და სოსო ჯუღაშვილის ნაცნობობის დამადასტურებელი არანაირი დოკუმენტი არ მოიპოვება, მაგრამ ჯარიდან გამოქცეული და ხელისუფლებისაგან დევნილი იეთიმი თავს სავარაუდოდ სოციალ-დემოკრატიულ პარტიას შეაფარებდა, რაც მუშებსა და გლეხებისთვის მიძღვნილ ლექსებშიც შეიძლება იქნეს ამოკითხული (იხ. იქვე 6-7);

მთავარ მტკიცებულებას კი ავტორის აზრით თავად იეთიმის ლექსებია, „სადაც დაკვირვებული მკვლევარი იპოვის მათი ურთიერთობის რეალურ სურათს“ (იქვე 26). მაგალითად, იეთიმის ლექსებში გამოყენებული მიმართვები როგორცაა „ამხანაგო“, „მოჩვენება პლანეტაზე“, „მოჩვენება სცენაზე“, „ფოლადი, რკინა“, „შევარდენი“ ავტორის აზრით სწორედ სტალინს შეესაბამება.

ტოტალიტარული რეჟიმის პირობებში სტალინისადმი საკუთარი წყრომის გამოხატვის უსაფრთხო გზა სატრფიალო ლექსების ფორმა იყო, რომელს ამოფარებული იეთიმი "გულიდან იღებდა თავის დარდას და სევდას" (იქვე 16); ხოლო კომუნისტური წყობის დამყარებამდე კი "სოციალ-დემოკრატიული პარტიის პროგრამა და წესდება ითვალისწინებდა იდეურ მოწინააღმდეგეთა ფიზიკურ მოსპობას" (იქვე 18), "იეთიმ-გურჯმა ალეგორიული ფორმა დიდი წარმატებით გამიყენა და ცენზურამ ვერაფერი გაუგო" (იქვე 19).

იეთიმ გურჯის მძიმე მატერიალური მდგომარეობა და სიმართლვე, ასევე კომუნისტური რეჟიმის მხრიდან დაუფასებლობა აშკარად ჩნდება მის ლექსებში, რომლებიც გიორგი ლეონიძის სახელობის ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმშია შემონახული. შესაბამისად, მგოსნის ასეთ მდგომარეობას თუ გავითვალისწინებთ გოდერძიშვილის მტკიცებით რთული წარმოსადგენია, რომ მისი რეალური მოტივები სასიყვარულო ტრფობა ყოფილიყო (იქ. იქვე 24-25).

ამავე ფონდში ავტორის მიერ მოძიებულ იქნა იეთიმის სტალინისადმი მიძღვნილი ლექსი სახელად „სტალინს“, რომელიც პირველად სწორედ აღნიშნულ პუბლიკაციაში იბეჭდება. ლექსში სტალინი პირველი პირით საუბრობს თავის ძლევამოსილებასა და სისასტიკეზე. ბოლო სტროფში კი

იეთიმსაც ახსენებს იმ ფორმით რომელშიც იეთიმი საკუთარ თავზე სატრფიალო ლექსებშიც მოიხსენიებს:

— აქ შემომხედე  
თვალეში, — ბევრ ბრმას  
ვერ გავაგებინე. იეთიმ-  
გურჯმა რო შემხედა,  
კალამი დავაგდებინე.  
(იქვე, 31).

ცალკეა განხილული ფრაზა „შენ ჩამაგდე საიათნოვას დღეშია“ იეთიმის ლექსიდან. საიათნოვასთან ხაზგასმულ მსგავსებას გოდერძიშვილი შემდეგნაირად ხსნის: საიათნოვა ერეკლე მეორის კარის აშული და მასთან დაახლოებული პირი იყო, თუმცა უცნობი მიზეზების გამო მგოსანმა დაკარგა მეფის კეთილგანწყობა და გაძევებულ იქნა სამეფო კარიდან, რაზეც საიათნოვა წერს 'ნეტავ არ გაგვგდე, კარგად გეცემე,... ამ ისტორიის მოყვანის შემდეგ გოდერძიშვილი ასკვნის: „ასევე იეთიმ-გურჯი იყო სტალინის თანამებრძოლი, მეგობარ, ასევე ჩვენთვის უცნობი მიზეზების გამო, სტალინი იეთიმს შემოსწყრა და გაერიდა“ (იქვე, 45).

გოდერძიშვილს ერთ-ერთ არგუმენტად თავისი პირადი გამოცდილება მოჰყავს სტალინის გასაკრიტიკებლად ლექსის ალეგორიული ფორმის გამოყენების შესახებ. ერთ-ერთი ასეთი ავტორი გოდერძიშვილის მამაც ყოფილა, რომელიც არტელში მომუშავე ხელოსანი იყო და რეჟიმის პოლიტიკით უკმაყოფილო ალეგორიული ლექსებით გამოხატავდა სათქმელს. თუმცა, აქ საინტერესო ის არის, რომ მამისაგან განსხვავებით თავად გოდერძიშვილი სტალინურ პოზიციაზე დგას და ცდილობს ერთმანეთს შეუთავსოს, ერთი მხრივ, ტირანი სტალინის ხატი, რომლის ქვეშაც აზრის გამოთქმაც კი სახიფათო იყო და, მეორე მხრივ, დიადი ლიდერის სურათი, რომელიც საკუთარი პირადი ინტერესების უკანა პლანზე გადატანით მშრომელი ხალხის ბედნიერი მომავლისათვის იღვწოდა „თავისი ადამიანური შესაძლებლობების ფასად“ (იქვე 77).

ზემოთ განხილული ორი პუბლიკაცია სიმბოლოთა კოდირების ურთიერთსაპირისპირო მოდელზეა აგებული. გოცირიძის წიგნში თხრობა სტალინის პერსპექტივიდან ხორციელდება რომელიც ქართული ტრადიციების, ენისა და რუსთაველისაკენ ილტვის, ხოლო გოდერძიშვილი ეყრდნობა იეთიმ-გურჯის პოზიციას, რომელიც გულნატკენია სტალინისაგან, რასაც მეტაფორული გზით თავის სატრფიალო პოეზიით გამოხატავს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ განხილულ ტექსტებში მოცემულ სიმბოლოებსა და პერსონაჟებს შორის მოცემული კავშირები, წარმოდგენილი არგუმენტების მიუხედავად, ძირითადად, ავტორთა რწმენას ეფუძნება. პერსონაჟებს შორის არ არსებობს დასაბუთებას დაქვემდებარებული კავშირები არც სივრცეში (იეთიმ-გურჯი და სტალინი), ან არც სივრცეში და არც დროში (რუსთაველი და სტალინი). რა თქმა უნდა, მათ შორის კავშირის კატეგორიული გამორიცხვა შეუძლებელია, რადგან ეს კავშირი არა უბრალოდ ისტორიული კვლევის, არამედ ამასთან ერთად, ინტერპრეტაციის საგანს წარმოადგენს. ავტორთა ინტერპრეტაციები კი „დახურული ტექსტის“ ფორმითაა წარმოდგენილი, რომელიც მკითხველს მცირე საშუალებას უტოვებს ტექსტის შემდგომი ინტერპრეტაციისათვის<sup>43</sup> გარდა იმისა, რომ გადმოცემულ მოსაზრებას დაეთანხმოს ან არ დაეთანხმოს.

აქვე უნდა მოვიყვანოთ ისტორიული პერსპექტივიდან უფრო მჭიდრო კავშირები ილია ჭავჭავაძეს, იაკობ გოგებაშვილსა და იოსებ სტალინს შორის. თუმცა აქაც კრიტიკის საგანი ის გარემოება ხდება, რომ ეს კავშირები ეფუძნება სოსელოსა და სტალინის იგივეობას, რაც, რა თქმა უნდა, ბიოლოგიური თვალსაზრისით ეჭვს არ იწვევს, მაგრამ აქვე უგულებელყოფს პიროვნების განვითარებასა და არჩევანის მნიშვნელობას სოციო-კულტურულ კონტექსტში.

---

<sup>43</sup> უმბერტო ეკო ტექსტური კომუნიკაციის მცდელობებს ორ ფორმად ყოფს: "ღია ტექსტი" და "დახურული ტექსტი." "ღია ტექსტი" "ისეთი სინტაქტურ-სემანტიკურ-პრაგმატიკული სტრუქტურაა, რომლის შექმნისას გათვალისწინებულია მისი ინტერპრეტაციის გზები" (Eco 1979, 3).



## VIII. ტრავმა სტალინისტურ ლიტერატურაში

### 1. სტალინის წარმომავლობა: უხერხული საკითხი

კულტურული ტრავმის კონსტრუირების პირველი ნაბიჯები საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკაში 1980-იანი წლების მეორე ნახევარში იწყება. ტრავმული დისკურსის დამუშავების ძირითად მედიუმად ბეჭდვითი, პერიოდული მედია გვევლინება. თავად ტრავმა კი 1956 წლის 9 მარტის მოვლენების აღდგენა, ანალიზსა და საზრისის გამოტანას ცდილობს.

1988 წლის აპრილში იბეჭდება ორი საგაზეთო სტატია, ერთ-ერთი მათგანი ეძღვნება 1956 წლის მარტის მოვლენებს (ბუაჩიძე 1988), ხოლო მეორე ისტორიის გადააზრებაზე საუბრობს, რომელიც „საჯაროობის“ პირობებში გახდა შესაძლებელი და ამ კონტექსტში 1956 წლის მარტის ხოცვა-ჟლეტის შესახებ მსჯელობს (სურგულაძე 1988). კოლექტიური მეხსიერების თვალსაზრისით მნიშვნელოვანია განსხვავებული სახელები, რომლებსაც ეს ორი ავტორი ირჩევს 1956 წლის მოვლენების აღსანიშნად. ასე მაგალითად ფილოლოგი თენგიზ ბუაჩიძე თავის სტატიას შემდეგნაირად ასათაურებს "1956 წლის მარტის ტრაგედია" (1988); ხოლო ისტორიკოსი აკაკი სურგულაძე იმავე მოვლენებს "1956 წლის 9 მარტის ტრაგედიად" მოიხსენიებს (1988).

მსგავსი სხვაობა ერთი შეხვედით მცირე და არაფრისმთქმელია, მაგრამ ამ პერიოდის სტატიებზე თვალის გადავლება ნათელს ხდის, ავტორთა ისეთ კოლექტიურ მოტივთა არსებობას, როგორცაა, ერთი მხრივ, ფატალური პროცესების სურათის აღდგენა, მსხვერპლთა მოხსენიება და მოვლენებიდან საზრისის გამოტანა (ვრცელ ისტორიულ კონტექსტში ჩასმა), ხოლო, მეორე მხრივ, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს არსებულ პოლიტიკურ ვითარებაში ტაბუირებულ საკითხებზე ღიად საუბრის შესაძლებლობა და მოსაუბრის სოციალური როლის შეფასება; ამ მოტივებს შორის კი სისხლიანი მოვლენებისათვის სახელის დარქმევა ასევე მნიშვნელოვან როლს ასრულებს და

კოლექტიური ტრაგედიის კონსტრუირების მცდელობაზე მიგვითითებს.

1956 წლის მარტის მოვლენები, რა თქმა უნდა, სტალინის სახელთანაა დაკავშირებული, მაგრამ კონსტრუირების საწყის ეტაპზევე სტალინის უკანა პლანზე გადატანა და ქართული ეროვნული დამოუკიდებლობის წინ წამოწევა ხდება<sup>44</sup>. სწორედ ამ პერიოდში ბეჭდურ მედიაში პარალელურად სხვა ტრავმის კონსტრუირებაც მიმდინარეობს, რომლის ძირითადი ფოკუსი უშუალოდ სტალინია.

1988 წლის აპრილში ჟურნალ „კრიტიკაში“ (#4) ქვეყნდება ფილოლოგ ელბერდ ბატიაშვილის პოლემიკური სტატია „კიდევ ერთი „წყევლა-კრულვიანი საკითხავი“. სტატია ივანე ჯავახიშვილის გამოუქვეყნებელი კვლევის „ხალხთა ბელადის გვარის სადაურობისათვის“ მიმოხილვით იწყება, შესაბამისად სტატიის ძირითად თემად სტალინის ეთნიკური კუთვნილებაა დასმული. ბატიაშვილი ჯავახიშვილის პანეგირიკულ ტონს აკრიტიკებს, რომელიც მეცნიერს არ შეშვენის, რაზე პასუხისმგებლობასაც სტალინიზმის ტერორს აკისრებს, თუმცა შემდგომ მსჯელობა ბრალდებების სტალინისათვის აცილების გზით გრძელდება და შემდეგი არგუმენტია დამუშავებული — დაუშვებელი 30-იანი წლების ტრაგედიის ერთპიროვნულად სტალინისთვის დაბრალება, რადგან ეს მოვლენები უფრო საყოველთაო, სახალხო ხასიათის იყო, რაც კოლექტიურ და არა ინდივიდუალურ პასუხისმგებლობას გულისხმობს (იხ. იქვე, გვ. 60-2). რაც შეეხება უშუალოდ სტალინს, ბატიაშვილი კოლექტიური მეხსიერების დინამიკის კანონების თავისეულ ინტერპრეტაციას იძლევა, რომლის მიხედვითაც 1) ხალხის ხსოვნას შემთხვევითი ადამიანი ვერ შემორჩება, "დიდ ისტორიულ არენაზე გამოსულ პიროვნებას ინდივიდუალურ თვისებათა მთელი კომპლექსი უნდა ჰქონდეს იდეალურ შესატყვისობაში" (გვ. 62), 2) "...დიდ ისტორიულ პიროვნებათა აბსოლუტურ უმრავლესობას, ნებით თუ უნებლიედ, ყოველთვის თან სდევს

---

<sup>44</sup> ტრავმული ნარატივის მსგავსი შინაარსის კონსტრუირება თვითმხილველთა მონათხრობიდან არის შესაძლებელი (იხ. Avalishvili 2016). გარდა ამისა, მსგავსი ვერსია კოლექტიური მეხსიერების რაოდენობრივი კვლევიტაც დასტურდება: „მასწავლებლების 46% და დანარჩენი რესპონდენტების 36.9% მიიჩნევენ, რომ 1956 წლის 9 მარტი იყო სტალინის დაცვისკენ მიმართული პროტესტი, რომელიც დამოუკიდებლობის მოთხოვნაში გადაიზარდა; ამას ემატება მასწავლებლების 22% და დანარჩენი რესპონდენტების 20%, ვინც თვლის, რომ 9 მარტი იყო ქართველი ხალხის ეროვნული ღირსების დაცვა..." (ჩიქოვანი, და სხვ. 2022, 61).

სისხლი და ცრემლი" (იქვე), რაც მათი შეფასების არაერთგვაროვნების მიზეზი ხდება და 3) "რაც ხანი გადის წყევლა კრულვა კლებულობს, დიდების შარავანდედი კი, პირიქით, მატულობს"(იქვე). ამ მსჯელობათა შეჯამებისათვის ავტორი წერს:

როგორც ჩანს, ისტორიული ასპარეზი ფატალური ბედისწერით თვითონ თხოულობს სისხლიან სცენებს. ადამიანები კი სიკვდილის შვილები ვართ და მერე თანდათანობით ვივიწყებთ ხოლმე წინა თაობათა სისხლიან დრამებს. ახლა ვილა უხსენებს ბერძნებს წყევლა-კრულვით რა სისხლის ფასად დაუჯდათ მაკედონელი, ანდა ფრანგებს — ნაპოლეონი თუ რობესპიერი, ინგლისელებს — კრომველი თუ ველინგტონი, რუსებს — ივანე მრისხანე თუ პეტრე დიდი? (იქვე, 63).

ამ მსჯელობებში ბატიაშვილი სტალინის სახელის ხსენებას თავს არიდებს, ბოლო არგუმენტი კი ის არის, რომ მკვდარ ადამიანზე თავდასხმა არავაჟკაცურია (იქვე). სტატიის ბოლო ნაწილში კი ავტორი ისევ სტალინის გვარის წარმომავლობის საკითხს უბრუნდება.

ის თუ როგორ ხდება ორი თემის — სტალინის აპოლოგიისა და მისი ქართული გვარისა და წარმომავლობის — ურთიერთგადაკვეთა გასაგები ხდება რევაზ მიშველადის 1989 წელს გამოქვეყნებულ მოთხრობაში „მთავარი დანაშაული, ანუ სტალინი საიქიოში“ (*დროშის ბიბლიოთეკა* #1). აღნიშნულ ნოველაში სწორედ ეროვნული იდენტობაა გამოყვანილი სტალინისადმი მიმართული კრიტიკის ძირითად მიზეზად. აღნიშნული ტექსტის მხატვრული ფორმა, რა თქმა უნდა, არ გვაძლევს მისი ისტორიული კრიტიკის საშუალებას, მიუხედავად იმისა, რომ ნოველაში სტალინის მიერ საკუთარი თავის დასაცავად წარმოდგენილი არგუმენტები ისტორიულ მოვლენათა თავისებურ ინტერპრეტაციას ეფუძნება. თუმცა ნოველის ფინალი სწორედ მთავარი პერსონაჟის, ანუ თვითონ სტალინის მიერ გაკეთებული დასკვნაა, რომ მისი მთავარი დანაშაული მისი ქართველობაა (იხ. იქვე, 25). ამასთან ერთად, ნოველის ბოლო სურათი ხრუმჩოვს პაროდიული ფორმით წარმოადგენს — იგი ცალ ხელში გასაბერი ბუმბით და მეორეში — სიმინდის დიდი ტაროთი ჩაივლის ქუჩაზე (იხ. იქვე).

მიშველადის ნოველაში საგულისხმოა საიქიოს გარემოს აღწერა, სადაც მოქმედება ვითარდება. მიშველადის აღწერით საიქიო სამთავრობო აგარაკს ჰგავს,

სადაც იმათ ათავსებენ ვისი ერთმნიშვნელოვნად ჯოჯოხეთში ან სამოთხეში განაწილება შეუძლებელია. ამასთან ერთად საიქიო 1953 წელს შეიქმნა და დიდი ხნის მანძილზე მისი ერთადერთი ბინადარი სტალინი იყო. მხოლოდ სტალინის სახლია ღობით შემოსაზღვრული, მიუხედავად იმისა, რომ საიქიოს წესებით ეს აკრძალულია, თუმცა როცა ღმერთმა ამის შესახებ შეიტყო „სტალინის ჯიუტი ხასიათი იცოდა რა... ხელი ჩაიქნია — სხვა არაფერი მოიმოქმედოსო და ჰქონდეს ის ღობე, რაკი ასე ძალიან უნდაო, რა ვქნა ახლავ“ (იქვე, 14). სტალინი ახალმოსულთან საუბარს იწყებს და იმის გაგებაზე, რომ ზემოთ, ანუ ცოცხალთა სამყაროში მას აკრიტიკებენ, ერთი მხრივ, სიხარულს გამოხატავს „ეს იმას ნიშნავს, რომ ბევრს ვაინტერესებ, ვახსოვარ, ანგარიშს მიწევინ“ (16), მეორე მხრივ კი, გაცხარებულ დავაში ებმება საკუთარი თავის დასაცავად, რომელშიც საკუთარი ქმედებების გასამართლებლად „მდაბიო წარმომავლობის“ არგუმენტსაც კი იყენებს და ამტკიცებს, რომ ხელისუფლების სათავეში მოხვედრისას არც ფსიქოლოგიურად იყო ამისათვის მზად და არც წინაპრულ-ოჯახური ტრადიცია უწყობდა ხელს (18). შემდგომ კი, როგორც უკვე ვახსენეთ, ქართველობის არგუმენტიც შემოდის, რაც ერთგვარი კომპლექსის ფორმით არის მოცემული.

1990 წელს ქვეყნდება მწერლის შოთა როყვას იუმორისტული კრებული სათაურით „რომელ ეროვნებას ეკუთვნოდა სტალინი“. პირველი მოთხრობა სტალინის ქართული წარმომავლობის გარშემოა აგებული, ამასთან ერთად, გამეორებულია მიშველადის ნოველის მოტივი, აქაც სტალინის პერსონაჟი თავად მსჯელობს და იცავს თავის ქართულ წარმომავლობას. როყვას მოთხრობა ორი ნაწილისაგან შედგება, პირველში მოთხრობილია მთავარი გმირის, თვით ავტორის ურთიერთობის მცირე ეპიზოდები სადაც იგი სომხებთან აკრიტიკებს მოსაზრებებს, რომ სტალინი სომეხი ანდრონიკის შვილი იყო, ხოლო რუსებთან — მოსაზრებას, რომ სტალინი რუსი მოგზაურისა და მკვლევრის, პრევეალსკის შვილი იყო და რომ ჯუღაშვილი ოსური წარმოშობის გვარია, და ამტკიცებს, რომ სტალინის ნამდვილი გვარი ეგნატაშვილია, რომ „სტალინი იყო სუფთა ქართველი, რომ თხუთმეტი წლის ოსი ვერ დაწერდა ქართულად "ვარდს გაეფურჩქნა კოკორი, გადახვეოდა იასა". რომ მისი ენა, კულტურა, სტილი ქართულია" (იქვე, 5).

მოთხრობის მეორე ნაწილი კი გარეგნულად რეალისტურ სიზმარს აღწერს, თუ როგორ იძახებენ ავტორს კრემლში შეხვედრაზე, რომელსაც სტალინი უძღვება და რომელზეც მიწვეულნი არიან ლიტერატურის მოღვაწეები, პოლიტბიუროს წევრები და სამხედრო მაღალჩინოსნები. ავტორი სტალინის მაგიდაზე ამჩნევს წიგნებს სათაურებით: „ომი“, „სტალინი თვითმხილველის თვალით“, „ბიჭები არბატიდან“ და „ტრიუმფი და ტრაგედია“. სწორედ 1980-იანების კრიტიკული ლიტერატურის მიმოხილვას ეძღვნება შეხვედრა, რომელზეც ავტორი მოხვდა. სტალინი ჯერ თავს იცავს მოსაზრებისგან, რომ იგი ომს მოუმზადებელი შეხვდა, შემდეგ კი — ტროცკის წინააღმდეგ ბრძოლაში გამოვლენილ ანტისემიტიზმსა და 1937 წელს დადვრილი სისხლის ბრალდებებისგან. თავის მართლების პროცესში მას თავგამოდებით მხარს უჭერენ პოლიტბიუროს წევრები ხრუმჩოვი და მიქოიანი, თუმცა თვითონ სტალინი კეთილგანწყობას ავლენს მხოლოდ მწერლების შოლოხოვისა და ერენბურგის, ასევე მარშალ ჟუკოვის მიმართ, რომელთა წიგნებს იგი მაღალ შეფასებას აძლევს. საბოლოოდ გადაწყდა კრიტიკულ პუბლიკაციათა, მათ შორის ხრუმჩოვისა და მიქოიანის ავტორობით შედგენილი ტექსტების, მოგროვება და დაწვა, რის განხორციელებაზეც პასუხისმგებლობა თავად ხრუმჩოვმა და მიქოიანმა აიღეს.

ბოლოს კი სტალინი მთავარ გმირს უბრუნდება, „მოლაყბეს“ უწოდებს მას და ტუქსავს, საიდან იცი მამაჩემის ვინაობაო. თუმცა, შემდგომ საუბარი სერიოზულ ტონს იძენს და სტალინი საქართველოდან გაჟღერებულ ბრალდებებზე აღშფოთებული საუბრობს, „...სტალინი ნერვიულობდა, როგორც ჩანს, ქართველებისაგან ლანძღვა გინებას მტკივნეულად განიცდიდა: 1921 წელს საქართველოში ჯარის შესვლა პოლიტბიუროს გადაწყვეტილება იყო და ამას საქართველო თავიდან მაინც ვერ აირიდებდა, მე რა შუაში ვარო და, ამასთან ერთად, ილიას მკვლელობაც კი მე დამაბრალებს, მიუხედავად იმისა, რომ ამ დროს ბაქოს ციხეში ვიჯექიო (იხ. იქვე 17).

ამ მოთხრობაში ასევე ჩნდება კომპლექსის მოტივი, რომელიც სტალინის მამის ვინაობას უკავშირდება. ავტორი, იგივე მთავარი გმირი, ერთი მხრივ, ამტკიცებს სტალინის ნამდვილი გვარი ეგნატაშვილი იყო, რითაც მისი

ქართველობა უტყუარად დასტურდება, მაგრამ აქვე უხერხულობას გრძნობს, რადგან ნებით თუ უნებლიედ შეურაცხყოფას აყენებს სტალინის დედას (6). ამგვარი ფორმით კიდევ ერთხელ სტალინის წარმომავლობის კომპლექსია გადმოცემული.

## 2. სტალინი და საქართველო

შემდგომ პუბლიკაციებში სტალინის წარმომავლობა და მისი ქართველობის უტყუარობის მტკიცება მეორე პლანზე გადადის და პრიორიტეტული ხდება იმის დემონსტრირება, რომ სტალინი არა უბრალოდ ეთნიკურად, არამედ, ამასთან ერთად, ცნობიერებითაც ქართველი იყო. ზემოთ უკვე განვიხილეთ ის, თუ როგორ გამოიყენება სტალინის ლექსები მისი ქართველად რეპრეზენტირებისათვის. თუმცა, გარდა ამისა, ერთ-ერთი ყველაზე ხშირი საკითხი და თემატიკა, რომელსაც სტალინისტურ ლიტერატურაში ვხვდებით, სტალინის საქართველოსადმი დამოკიდებულებას ეხება. აღნიშნული თემატიკა ფართოდაა განხილული შემდეგ პუბლიკაციებში:

ნატროშვილი, თამაზ — *ახსოვდა თუ არა საქართველო*. 1994.

სურგულაძე, აბელ — *დიახ, სტალინს ახსოვდა საქართველო*. 1996.

ზაქარიაძე, ნოდარ — *სტალინი და საქართველო*. 1997

ზაუტაშვილი, გელა (რედ.) — *გაფრინდი შავო მერცხალო*. 2000.

ტაკიძე, არჩილ — *იოსებ სტალინი*. 2013.

კოპალეიშვილი, ტიტე — *ფიქრები სტალინზე და საქართველოზე*. 2015.

ონიანი, გრიგოლ — *სტალინი. წაკითხული, განცდილი, გაგონილი*. 2016.

მჭედლიშვილი, ანზორ — *იოსებ სტალინი და საქართველო*. 2021.

თამაზ ნატროშვილის სტატიათა კრებული სათაურს აძლევს სტალინისა და საქართველოს ურთიერთობის თემატიკას (1994). კრებულის ერთ-ერთი თავი “ახსოვდა თუ არა საქართველო...” (107-122) გრიგოლ რობაქიძის “სტალინის ჰოროსკოპში” მოცემული ეპიზოდის კრიტიკით იწყება, სადაც სტალინის დასახასიათებლად პრეისტორიული ხვლიკის გაქვავებული თავია გამოყენებული,

რომელსაც საქართველოდან მხოლოდ ესღა შემორჩა: “საცივისა და კახური ღვინის გემო, მრავალჟამიერის ჰანგი და ქართული გინება: მაგათი დედა კი ვატირე” (იქვე, 109). ნატროშვილი რობაქიძის ასეთ შეფასებას “ყბადაღებული და დაგმობილი “ქართული ფენომენით” ხსნის, რომელიც გადმოიცემა ანდაზით “შინაურ მღვდელს შენდობა არა აქვს” (108) და სტალინის ქართველობის დადასტურებისათვის მსახიობ აკაკი ვასაძის მოგონებებზე აგებს შემდგომ მსჯელობას: 1946 წელს ქართველი მსახიობები კანდიდ ჩარკვიანთან ერთად სტალინს სოჭის აგარაკზე სტუმრობდნენ ორი დღის განმავლობაში. აკაკი ვასაძის მოგონებების სტალინის ეპიზოდი 1990 წელს გამოქვეყნდა სადაც გადმოცემულია დადებითი შთაბეჭდილებები, რომელიც დატოვა სტალინმა ავტორზე. თუმცა, უნდა ითქვას, ვასაძის მოგონებები ძირითადად სუფრის გარშემო ტრიალებს. მაგალითად, აღწერილია სტალინის საქართველოსადმი მიძღვნილი სადღეგრძელო, სტუმართა წარმომავლობის მიხედვით შერჩეული ქართული ღვინო, ლექსის წარმოთქმა სუფრასთან, სიმღერის — გაფრინდი შავო მერცხალო — წამოწყება სუფრასთან და ა. შ. ყველა ეპიზოდის აღწერას ნატროშვილი ასრულებს რიტორიკული კითხვით “ეს არის საცივისა და კახური ღვინის გემო?” და რატომღაც ვერ ხვდება, რომ სწორედ ამაზე მიუთითებდა გრიგოლ რობაქიძე.

სათაური „ახსოვდა თუ არა საქართველო“ სტალინს ასევე გამოყენებულ იქნა სხვა ავტორის, ახელ სურგულაძის მიერ, რომელმაც სათაურის ფორმულირება არა კითხვით, არამედ პასუხით განახორციელა თავის მონოგრაფიაში „დიახ, სტალინს ახსოვდა საქართველო“ (1996). მცირე ნაშრომში (120 გვერდი) სურგულაძე ცდილობს პასუხი გასცეს სტალინის “ანტიქართველობაში” დარწმუნებულ მოაზროვნეებს და აჩვენოს, რომ „მაშინაც კი, როცა გამარჯვებულის როლში მსოფლიო ოლიმპზე იდგა, სტალინი თავს ქართველად გრძნობდა“ (იქვე, 8). პუბლიკაციაში თავმოყრილია სტალინის საქართველოსთან და ქართველებთან ურთიერთობის ეპიზოდები. რა თქმა უნდა, განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა მის ლექსებს და ილიასთან ურთიერთობას, ვეფხისტყაოსნის თარგმნის ამბავი და ასევე ქართველ ისტორიკოსებთან (სოჭი ოქტომბერი, 1945) და მსახიობებთან (სოჭი ოქტომბერი, 1946) შეხვედრები, სადაც სტალინი საქართველოსადმი თავის

„ყურადღებასა და მზრუნველობას ავლენს“ (იხ. იქვე, 80).

1997 წელს გამოიცემა ნოდარ ზაქარიაძის სქელტანიანი მონოგრაფია „სტალინი და საქართველო“, რომელშიც სტალინურ ნარატივთა თავმოყრის გარდა განხილულია სტალინის ბავშვობა, გორისა და თბილისის სემინარიაში სწავლის ეპიზოდები და რევოლუციამდელი იატაკქვეშა მოღვაწეობა ამიერკავკასიაში. ცალკე თავი ეძღვნება მის ოჯახს, მშობლებს და გვარის წარმომავლობას. სადაც ავტორი ამტკიცებს, რომ იგი ჯუღაშვილების ოჯახის მესამე ვაჟიშვილი და ეროვნებით ქართველი იყო და რომ მას არასოდეს უთქვამს რომ მისი მშობლიური ენა რუსული იყო. მესამე თავი საბჭოთა პერიოდში საქართველოს სოციო-ეკონომიკურ აღორძინებასა და იმ მძიმე მემკვიდრეობას ეხება რომლითაც საქართველო შევიდა საბჭოთა შემადგენლობაში. მეოთხე თავი ქართველი მოღვაწეების სტალინთან შეხვედრების ეპიზოდებს ეძღვნება, სადაც ყველაზე დიდი ადგილი სტალინის ქართული კულტურისადმი დამოკიდებულებას ეთმობა.

ზაქარიაძე ერთ ქვეთავს რეპრესიების საკითხსაც უთმობს (271-289), რომელშიც ფარულად სტალინისტურ პოზიციას იკავებს და ამტკიცებს, რომ მიუღებელია მოსაზრება, რომ გასამართლებულთა უმეტესი ნაწილი უდანაშაულონი იყვნენ და ამის სადემონსტრაციოდ მოჰყავს საქართველოს სახალხო არტისტის, გრიგოლ კოსტავასა და ფილოსოფოს სოსო სალარიძის შემთხვევები, რომლებიც საჯაროდ აღიარებდნენ, რომ სამართლიანად იყვნენ მსჯავრდადებულნი ანტისახელმწიფოებრივ საქმიანობაში (იხ. იქვე, 277). თუმცა ყველაზე საინტერესო არგუმენტი სტალინის ქართულ წარმომავლობას ეხება. ზაქარიაძის თქმით სტალინიზმის პერიოდის რეპრესიების კრიტიკა, რომელიც მხოლოდ კანონდამრღვევთა წინააღმდეგ მიმართული სამართლებრივი პროცედურები იყო, იმის შედეგია, რომ „ველიკორუსულმა შოვინიზმმა ჩრდილოვანი ეკონომიკის წარმომადგენლებთან ერთად ანგარიში გაუსწორეს გარდაცვალების შემდეგ სტალინს მისი ქართველობისათვის“ (იქვე, 279). მაშინ როდესაც „...რუსი ან რუსი ებრაელი ყოფილიყო... ი. ბ. სტალინი კაცობრიობისათვის იგივე დიდ პიროვნებად დარჩებოდა, როგორც ეს მის



სიცოცხლეში იყო აღიარებული“ (იქვე).

როგორც ვხედავთ, განხილულ პუბლიკაციებში ქართველობა ძირითად მიზეზადაა მოყვანილი რომლითაც სტალინის კრიტიკა, მისი სახელის შელახვა შეიძლება იქნეს ახსნილი. აქვე სტალინისტი ავტორები არ იშურებენ ძალისხმევას სტალინის ქართველობის უტყუარობის დასამტკიცებლად, რაც, როგორც ჩანს, საბჭოთა სივრცისათვის დამახასიათებელი ელემენტია, სადაც სტალინის წარმომავლობის სხვადასხვა ვერსიის კულტივირება ხდებოდა. სტალინის „ქართველობის დანაშაული“, ზოგადად ქართველობას აქცევს დანაშაულად. ამაზე პასუხის გასაცემად სტალინისტი ავტორები სწორედ მის ქართველობაზე წერენ და მისი სახელის რეაბილიტაციას ცდილობენ. ეს ტრავმასთან გამკლავების ერთგვარ სტრატეგიად შეგვიძლია მივიჩნიოთ, რომელსაც წინ უსწრებს ტრავმის კონსტრუირება. თუმცა, ზემოთ ჩამოთვლილ ავტორთა მცდელობა ტრავმად წარმოაჩინონ სტალინის ქართველობა პოსტსაბჭოთა საქართველოში კონტექსტიდან ამოვარდნილი ჩანს, რადგან საბჭოთა კავშირის დაშლასთან ერთად თანდათანობით ტრანსფორმირდა კულტურული სივრცე, რომელშიც სტალინის ქართველობისათვის შესაძლებელი იყო მნიშვნელობის მინიჭება.

გარდა ამისა, სტალინური ტრავმის ბოლომდე გასაშლელად არ არის საკმარისი იმის მიმოხილვა თუ როგორ კონსტრუირდება სტალინის საქართველოსთან ურთიერთობის ნარატივი. ასევე საჭიროა ქართული საზოგადოების სტალინის მიმართ დამოკიდებულების კონსტრუქტის გაანალიზება, კერძოდ კი, საუბარია 1956 წლის 9 მარტის ხოცვა-ჟლეტაზე, როგორც გარდამტეხ მოვლენაზე საქართველოში სტალინური განწყობების კუთხით.

### **3. მარტის სისხლიანი მოვლენები (1956): ამნეზია და ჰიპერმნეზია**

მიშველადის ნოველაში გაჟღერებული მოტივი — ქართველობა როგორც დანაშაული — 1956 წლის მარტის მოვლენების ტრავმული გამოცდილების დისკურსის დეტალურ ანალიზს მოითხოვს. აქ ნათლად ჩნდება ხრუშჩოვის მიერ მე-20 ყრილობაზე წაკითხული საიდუმლო მოხსენებით ინიცირებული

დესტალინიზაციის პოლიტიკის არაერთგვაროვანი შედეგები ქართულ საზოგადოებაში. რუსი ისტორიკოსი მარია ზეზინა ორმაგი შოკის ტერმინით მოიხსენიებს 1953 და 1956 წლებში განვითარებულ მოვლენებს, როდესაც საბჭოთა საზოგადოებამ ჯერ „ერთა მამის“ დაკარგვა განიცადა, რომელიც სოციალიზმის მშენებლობის, ომში გამარჯვებისა და საბჭოთა სახელმწიფოს ძალმოსილების სიმბოლო იყო, ხოლო შემდგომ სტალინის დანაშაულთა მხილებით მასობრივი ცნობიერების თვალწინ ახალი რეალობა დადგა, რომელიც ჩვეულ წესრიგს ანგრევდა (Зезина 1995). ზეზინას თქმით მოვლენების თვითმხილველთა მოგონებების მიხედვით ხალხის რეაქცია სტალინის დანაშაულთა მხილებაზე არაერთგვაროვანი იყო და გულწრფელი, ღრმა მწუხარებიდან ფარულ ზეიმამდე ვარირებდა (იქვე, 121). ზოგისთვის საიდუმლო მოხსენების შინაარსი ცრუ წარმოდგენებისა და მითური მიზნებისაგან განთავისუფლების დასაწყისი იყო, სხვებისათვის — დიდი ხნის ნანატრი შურისძიება, მაგრამ საზოგადოების გარკვეული ნაწილი არ აღმოჩნდა მზად, მიეღო სტალინის კრიტიკა, რომელიც მათი ღირებულებების სისტემას ამსხვრევდა (იქვე). დესტალინიზაციის უარყოფის რეაქციამ ყველაზე მწვავედ თავი საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკაში იჩინა, და თუ სხვა მოკავშირე რესპუბლიკების განხილვისას ორმაგი შოკის შესახებ შეიძლება საუბარი, ქართული საზოგადოების შემთხვევაში შოკურ მოვლენებს სამმაგი გამოვლინება ჰქონდა. მესამე, ყველაზე უფრო მძიმე შოკური მოვლენა თბილისში 1956 წლის მარტის საპროტესტო აქციის დაშლა იყო, რომლის ტრავმის კონსტრუირება მხოლოდ 80-იანების ბოლოს გახდა შესაძლებელი.

9 მარტის ხოცვა-ჟლეტის კონსტრუირებას ბეჭდვით დისკურსში, — იქნება ეს საგაზეთო სტატიები, მოგონებები, თუ მონოგრაფიები, — ერთგვარი ჰიპერმნეზია ახასიათებს, რომელიც 1989 წლის 9 აპრილის მოვლენების შემდგომ იწყებს მუშაობას და სისხლიან მოვლენათა ისტორიული პარალელების მოძიება-დაკავშირების მექანიზმით მოქმედებს. 1989 წლის აპრილის ბოლოს — სისხლიანი მოვლენებიდან რამდენიმე კვირაში — ქვეყნდება ფილოლოგ ნოდარ გრიგალაშვილის სტატია „სამწუხარო პარალელები“, რომლის ძირითადი ნაწილიც 1905 წლის 22 ოქტომბერს თბილისში, გოლოვინის გამზირზე ჟანდარმების მიერ

მშვიდობიანი მანიფესტაციის დარბევის აღწერას ეძღვნება. შესავალ ნაწილში კი მოცემულია ფართო ისტორიული კონტექსტი, რომელშიც ამგვარი ძალადობა უნდა იქნეს გაგებული. კონტექსტს კრავს მანიფესტაციების დარბევის შემდეგი სამი შემთხვევა: 1905 წლის 9 იანვარი, პეტერბურგი (წითელი პარასკევი); 1956 წლის 9 მარტი, თბილისი; და 1989 წლის 9 აპრილი, თბილისი (გრიგალაშვილი 1989, 5).

ანალოგიური ისტორიული კონტექსტი არის მოყვანილი იმავე წლის 18 მაისს დაბეჭდილ პუბლიცისტურ წერილში სადაც 1905 წლის 9 იანვარი „სისხლიან კვირად“ არის მოხსენიებული, 1956 წლის 9 მარტი „შემზარავ ტრაგედიადა“, ხოლო 1989 წლის 9 აპრილი — „თავზარდამცემ ხოცვა-ჟლეტად“. სტატიის სათაურია „მაშინ ვერ დავიტირეთ“ და 56 წლის მარტის მოვლენების მსხვერპლთა ხსოვნას ეხება (ეცადაშვილი 1989).

მოგვიანებით ქართულ ისტორიულ დისკურსში სისხლიან მოვლენათა კასკადს 9 რიცხვში მომხდარი კიდევ ერთი ხოცვა-ჟლეტა შეემატა. ისტორიკოსი ალექსანდრე დაუშვილი თავის ნაწერებში 1956 წლის მარტის მოვლენების თხრობისას სიმბოლურ პარალელს ავლებს 1902 წლის 9 მარტს ბათუმში, როთშილდისა და მანთაშევის ქარხნების მუშების მიტინგთან, რომლის ორგანიზატორიც იოსებ ჯულაშვილი იყო და რომლის დარბევასაც 15 მუშის სიცოცხლე შეეწირა (Берия 1948, 32). დაუშვილი 9 მარტის რიცხვების ამ დამთხვევას, — რომელთა დროსაც ქართველებმა პირველად და შემდგომ უკანასკნელად დაღვარეს სისხლი სტალინისათვის — „ნიმანდობლივად“, „ფატალურად“ (2008, 453) და „სიმბოლურად“ (2016, 508) მიიჩნევს.

განხილული პუბლიკაციები 9 რიცხვთან დაკავშირებულ ტრაგიკულ მოვლენათა ჩაკეტილი ციკლის კონსტრუირების პროცესს გვიჩვენებს, რომლის ფონზეც საინტერესოა ის თუ რას წერენ, როგორ ეხმაურებიან 1956 წლის 9 მარტის მოვლენებს უშუალოდ სტალინისტები, რომელთათვისაც ეს საკითხი განსაკუთრებული ინტერესის საგანი უნდა იყოს. თუმცა, როგორი გასაკვირიც არ უნდა იყოს, აქ ბევრი არაფერია სათქმელი. თუ ძირითად მედია და აკადემიურ დისკურსებში ამ ტრაგიკული მოვლენის განხილვის ფორმა ჰიპერმწიხიად

## VIII. ტრავმა სტალინისტურ ლიტერატურაში

შეგვიძლია მოვიხსენიოთ, სტალინისტთა მხრიდან საქმე გვაქვს ამნეზიასთან.

სტალინისტთა ტექსტებში, ანუ 80-მდე ავტორის 100-მდე პუბლიკაციაში, 1956 წლის 9 მარტის სისხლიან მოვლენებზე საუბარი მხოლოდ სამ ადგილას იქნა მოძიებული: 1) გრიგოლ ონიანი ერთ თავს უთმობს მოვლენების აღწერას თვითმხილველისა და აქტიური მონაწილის პერსპექტივიდან (2016, 229-2360). მოვლენათა მის მიერ მოთხრობილი თანმიმდევრობა 1956 წლის 4-10 მარტის ზოგად სურათს შეესაბამება. 2) ვახტანგ გოგუაძე — 2 გვერდს უთმობს საკითხს (2007, 2-3), რომელზეც 27 მოკლულის სახელია მოყვანილი. 3) და ალექსანდრე ახატნელი ასევე 2 გვერდს უთმობს მარტის მოვლენებს (2021, 80, 100-101) და მიიჩნევს, რომ სტალინი მხოლოდ ფორმა იყო, შინაარსი კი ნაციონალისტური და დაღუპულთათვის საკადრისი პატივის მიგების აუცილებლობაზე საუბრობს (80).

სტალინისტთა ამგვარი დუმილი კი იმაზე, თუ რა მსხვერპლი გაიღო ქართულმა საზოგადოებამ სტალინის სახელის დასაცავად, ეპიზოდის ტრავმულობით შეიძლება იქნეს ახსნილი, რომელზე საუბარიც, ძირითადად, ირიბად მიმდინარეობს და სტალინის ქართველობის კომპლექსსა და ტრავმაში ვლინდება.

## IX. აპოკრიფები: სტალინისა და სტალინზე

წინამდებარე თავში განვიხილავთ სტალინისტური მითშემოქმედების ფორმას, რომელიც სტალინს, ან სხვა ისტორიულ ფიგურას რაიმე ისეთ სიტყვებს მიაწერს, რომელზეც, ერთი მხრივ, დანამდვილებით ვერ ვიტყვით, რომ სიმართლეა, ან, მეორე მხრივ, დანამდვილებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ სიცრუეა. ამგვარი სიტყვები აპოკრიფად იქნება მოხსენიებული და მათ გამოსავლენად ბიბლიოგრაფიული კვლევის მეთოდს გამოვიყენებ, რომლის მიზანიც ფრაზათა პირველწყაროს გამოვლინება იქნება.

### 1. სტალინის აპოკრიფები

მიშველამის ნოველა „სტალინი საიქიოში (1989) იწყება ეპიგრაფით:

აი მოვკვდები და პოლიტბიუროში თუ მთავრობაში ერთმანეთს პატარა ბიჭებივით დაერევით. ჩვენს საერთო შეცდომებში მთავარ დამნაშავეს დაუწყებთ ძებნას. დიახ, ბევრი შეცდომა და სიძნელენი გვქონდა. ვიცი, ყველაფერში მე დამადანაშაულებთ და ჩემს სამარეს ნაგვით დაფარავთ. მაგრამ არაუშავს, ისტორიის ქარი დროთა განმავლობაში გაფანტავს იმ ნაგავს. (გვ. 11).

მოცემული სიტყვები სტალინს მიეწერება და სტალინური ლიტერატურის ერთ-ერთი ყველაზე ხშირი ელემენტია, რომლის საშუალებითაც მისი თანამედროვეობაში გადმოტანა და დრამატულ პერსონაჟად წარმოჩენა ხორციელდება, რომელიც თავად აცნობიერებდა საკუთარი პოლიტიკური მოღვაწეობის წინააღმდეგობრივ ბუნებას და მზად იყო საკუთარი თავი და რეპუტაცია მსხვერპლად გაეღო საქმის წარმატებისათვის, რომელიც მხოლოდ მომავალში დაუფასდებოდა.

ეს სიტყვები სტალინს წინასწარმეტყველურ უნარებს ანიჭებს, რადგან დღეს მისი სახელის გარშემო მიმდინარე დავა, დესტალინიზაციის ტალღები,

მისივე მეტაფორა რომ გამოვიყენოთ, სიკვდილის შემდეგ საფლავზე ნაგვის გროვის დაყრას შეიძლება შევადაროთ. უფრო მეტიც, ეს სიტყვები მის მოწამებრივ ბუნებაზე მეტყველებს, რადგან საქმისათვის თავის, საკუთარი რეპუტაციის შეწირვის მზაობა ვლინდება. თუმცა, ეს მხოლოდ დროებითი მსხვერპლია, იმ გაგებით, რომ მას იმედი აქვს “სიმართლე” ადრე თუ გვიან გაირკვევა. მოყვანილი სიტყვები სტალინისტებს უფლებას აძლევს მისი სახელით ისაუბრონ და ამგვარად რეალურ სამყაროში გადმოიტანონ სტალინური დრამის ფინალი. თუმცა, თავდაპირველად პასუხი უნდა გაეცეს კითხვას: მართლა თქვა სტალინმა ეს სიტყვები, თუ არა?

მითითებას, რომელსაც მიშველაძე ურთავს ეპიგრაფს, ამ სიტყვების ყველაზე ადრეულ ნაბეჭდ წყარომდე მივყავართ. ის გვხვდება რუსი მწერლის ივან სტადნიუკის რომანში "მოსკოვი 41-42", რომლის რამდენიმე თავი 1988 წელს ლიტერატურულ ჟურნალ "Советский Воин"-ის (საბჭოთა მეომარი) 5-8 ნომრებში დაიბეჭდა. სტალინი ამ სიტყვებს ერთ-ერთი თავის ბოლოში წარმოთქვამს, რომელიც სამამულო ომის ადრეული ეტაპების წარუმატებლობათა და ომის წინა პერიოდის გადაწყვეტილებების კრიტიკას ეძღვნება. სცენა კრემლის კაბინეტში სტალინის, ბერიასა და მოლოტოვის შეხვედრას აღწერს და სტალინის მხრიდან ბერიას დატუქსვით იწყება, რომელსაც დაზვერვის არადამაკმაყოფილებელი ეფექტურობა და ომისათვის მოუმზადებლობა ედება ბრალად. ამის შემდეგ მონუსხული სტალინი დამამშვიდებელ წვეთებს ისხამს ჭიქაში, ხელს გულზე იდებს და ამბობს:

მე მოვკვდები ოდესმე და თქვენ პოლიტბიუროსა და მთავრობაში პატარა ბიჭებივით დაიწყებთ კინკლაობას. ძეხნას დაუწყებთ ვინმეს, ვისაც ჩვენს საერთო შეცდომებს დააბრალებთ... დიახ, ბევრი შეცდომა იყო, ბევრი სირთულე. დამნაშავე მხოლოდ მე აღმოვჩნდები და ჩემს საფლავზე ნაგვის გროვას დაყრიტ... მაგრამ არა უშავს... არა უშავს, ისტორიის ქარი გაფანტავს ნაგავს დროსთან ერთად. (Стаднюк 1988, 19).

ამ სიტყვების მხატვრულ ტექსტში პირველი პუბლიკაციის შემდეგ, იგივე

სიტყვები შემოკლებული ფორმით გვხვდება 1991 წელს დაბეჭდილ წიგნში „140 საუბარი მოლოტოვთან: ფ. ჩუევის დღიურიდან“ (Чуев). წიგნის ავტორი — საბჭოთა მწერალი და პოეტი ფელიქს ჩუევი — შესავალში აცნობებს მკითხველს, რომ ის რეგულარულად ხვდებოდა მოლოტოვს მისი ცხოვრების ბოლო 17 წლის განმავლობაში, რამაც ავტორს საშუალება მისცა შეენარჩუნებინა მასთან 140 საუბრის ჩანაწერი (იხ. იქვე, 1). ერთ-ერთ ასეთ საუბარში მოლოტოვს ეკითხებიან ბერიას როლზე სტალინის სიკვდილში, რაზეც ის საუბრობს მის შემზარავ დამოკიდებულებაზე მომაკვდავი სტალინის მიმართ და ბოლოს აკეთებს შენიშვნას:

როგორც მახსოვს, ომის დროს თავად სტალინმა თქვა: "მე ვიცი, რომ სიკვდილის შემდეგ ჩემს საფლავზე ნაგვის გროვას დაყრიან, მაგრამ ისტორიის ქარი ადრე თუ გვიან მას უმოწყალოდ გაფანტავს! (იქვე 320).

ამ კონკრეტული დიალოგის ჩანაწერს ორი თარიღი აქვს — 24.08.1971 და 09.06.1976. შესავალში ავტორი განმარტავს, რომ ზოგიერთი დიალოგი ორმაგი თარიღით არის მოცემული, რადგან გარკვეულ საკითხებს ავტორი „5, 10 ან 15 წლის“ გასვლის შემდეგ უბრუნდებოდა (იქვე, 2). ამის გამო შეუძლებელია განვსაზღვროთ ზუსტად რომელ წელს იქნა ჩაწერილი ეს ფრაზა.

წიგნის შესავალში ჩუევი ჩამოთვლის "ნათელი პიროვნებების" სახელებს — პოლიტიკის, მეცნიერებისა და სამხედრო მოღვაწეებს, რომლებსაც შეხვედრია და ინტერვიუ ჩაუწერია. ამ სიაში პირველი დგას მე-2 მსოფლიო ომის დროს ავიაციის მთავარი მარშალის, ალექსანდრე გოლოვანოვის სახელი (იხ. იქვე, 2). სწორედ გოლოვანოვისგან მომდინარეობს შემდეგი და ბოლო ჩვენება, რომელიც ამტკიცებს სტალინისთვის მიწერილი სიტყვების ავთენტურობას. 2008 წელს გამოქვეყნებულ თავის მოგონებებში, სახელწოდებით „შორი ბომბარდირება“, ავტორი დეტალურად აღწერს ომის გამოცდილებას და განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს სტალინთან ურთიერთობის ეპიზოდებს, რომელსაც „უფროსად“ (Главный) მოიხსენიებს თავის ნაწერებში (Голованов). თავში, სადაც ის ზედმიწევნით აღწერს სტალინის საჰაერო ტრანსპორტირების ორგანიზებას მოკავშირეების კონფერენციაზე ბაქოდან თეირანში და უკან, გოლოვანოვი ასევე

იხსენებს, როგორ დაიბარა იგი სტალინმა თავის აგარაკზე. სტალინი თავის კაბინეტში მარტო იყო, ხალათი ეცვა, თავს ცუდად გრძნობდა და საკუთარ თავზე ლაპარაკობდა:

ვიცი როცა ცოცხალი აღარ ვიქნები ნაგვის არა ერთ ურნას დამაყრიან თავზე... მაგრამ დარწმუნებული ვარ ისტორიის ქარი ყველაფერს გაფანტავს (გოლოვანოვი 2008, 387).

გოლოვანოვის მოგონებების თანახმად, ამ სიტყვების წარმოთქმის შემდეგ სტალინი ოპტიმისტურად საუბრობს მომავალზე, რომელშიც იგი მსოფლიოს ჩაგრულ ხალხთათვის თავისუფლებისა და სამართლიანობის პირობა და იმედი ხდება. ამრიგად, მის გარკვეულწილად დამთრგუნველ საწყის სიტყვებს პოზიტიური დასასრული ეძლევა (იხ. იქვე, 388).

მოცემული გამოთქმა ასევე პოპულარულია ინტერნეტ სივრცეში. გარდა აშკარა სტალინურ-კომუნისტური სიმჰათიების ვებსაიტებისა, იგი ასევე გვხვდება ვებსაიტებზე, სადაც ინახება ცნობილი ადამიანების ციტატები ([quotes.youdictionary.com](http://quotes.youdictionary.com); [tvtropes.org](http://tvtropes.org), [wikiquote.org](http://wikiquote.org)). აქაც ეს ფრაზა მოცემულია როგორც ავთენტური და მის წყაროდ (თუ წყარო საერთოდ არის მითითებული) ჩუევის მოლოტოვთან ჩაწერილი ინტერვიუა დასახელებული ([wikiquote.org](http://wikiquote.org)).

თუმცა, ზემოთ მოცემული ბიბლიოგრაფიული კვლევა ფრაზის ავთენტურობაში დაეჭვების უფრო მეტ მიზეზს იძლევა, ვიდრე მის სანდოობაში გვარწმუნებს. მოლოტოვის მოგონება ძალიან მცირე დეტალებს იძლევა გოლოვანოვის მოგონებებთან შესადარებლად. მაშინ როცა, გოლოვანოვი ზედმეტად მჭევრმეტყველია დეტალების აღწერაში, რომელთაგან ზოგიერთი იმეორებს სტალინის მხატვრული ტექსტიდან აღებული ვერსიის დეტალებს (მაგ. სტალინი თავს კარგად არ გრძნობდა) და ეწინააღმდეგება სხვებს (სტალინის სიტყვების ეს საერთო ტონი ოპტიმისტური იყო). უფრო მეტიც, სამივე ტექსტი, რომელიც სტალინის მიერ აღნიშნული ფრაზის შესახებ საუბრობს სხვადასხვა ჟანრს ეკუთვნის (მხატვრული ლიტერატურა, ინტერვიუ და ავტობიოგრაფია). გარდა ამისა, სამივე მათგანში სიტყვები წარმოითქმის სხვადასხვა გარემოში



(თათბირზე, პირად საუბარში). დაბოლოს, აღნიშნული ფრაზა თავდაპირველად მხატვრული ვერსიით ქვეყნდება (Стаднюк 1988), შემდეგ ინტერვიუ მოლოტოვთან (1991) და ბოლოს გოლოვანოვის მემუარები, რომელიც ამტკიცებს, რომ სწორედ მისი თანდასწრებით წარმოთქვა სტალინმა ეს ფრაზა (2008).

გამოჩენილი ადამიანების ფრთიან გამონათქვამთა ციტირება, ზოგადად, რიტორიკის, ავტორიტეტის მოპოვების, ან საკუთარი ნათქვამისათვის ესთეტიკურობის მიცემის უძველესი ინსტრუმენტია, რომელსაც, რა თქმა უნდა, ყალბი ციტატების გამოგონებაც ახლავს თან. 1989 წელს ამერიკელი ისტორიკოსები პოლ ბოლერი და ჯონ ჯორჯი გამოსცემენ წიგნს, სადაც გამოჩენილ პოლიტიკოსთა, მეცნიერთა, ხელოვანთა და სახელმწიფო მოღვაწეთა 200-მდე ციტატაა თავმოყრილი, რომლებიც მათ არასოდეს უთქვამთ (Boller and George 1989). გაანალიზებულია ის თუ რა მოტივებით წარმოიქმნა ეს ტყუილი ციტატები და რა რიტორიკულ ფუნქციას ასრულებდნენ ისინი თავდაპირველად.

ავტორთა თქმით ანტიკურ საბერძნეთსა და რომში ციტატების მოშველიება, რასაც აქტიურად მიმართავდნენ მაგ. პლატონი და ციცერონი, რაიმე შეხედულების ილუსტრირებისათვის, დეკორირებისათვის გამოიყენებოდა. დღეს კი ციტატების მოხმობა პოლემიკურ ფუნქციას ასრულებს და საჯაროდ წარმოთქმული სიტყვის ერთ-ერთ აუცილებელ ელემენტად გადაიქცა მიუხედავად ორატორის პროფესიისა (იხ. იქვე, i). წიგნში მოთავსებულია ლენინის, სტალინის, ბერიასა და ხრუშჩოვის ტყუილი ციტატებიც. სტალინის შემთხვევაში მოყვანილია 4 ციტატა, რომლებიც მას შეცდომით მიეწერება, თუმცა, როგორც ავტორები აღნიშნავენ ზოგიერთი მათგანი სტალინს შეეძლო მართლა ეთქვა თავისი ბუნებიდან გამომდინარე, მაგალითად როგორიცაა გამოთქმები *ომლეთს კვერცხების გატების გარეშე ვერ მოაშხადებ* და *კეთილი სიტყვები ბოროტი ქმედებების ნიღაბია*. თუმცა, რაც შეეხება გამოთქმას, რომელსაც აქ განვიხილავთ რთული წარმოსადგენია, რომ ხალხთა ბელადსა და ნახევარღმერთ სტალინს საკუთარი საფლავის ნაგვით გავსების შესახებ ელაპარაკა.

## 2. სტალინის აპოკრიფული ლექსი

გამოთქმებთან ერთად, რომლებითაც სტალინის პერსონაჟის დრამატიზება ხდება, ერთ-ერთ უახლეს ელემენტად წარმოდგენილია მისი ბოლო ლექსი სათაურით „მორჩილი“ (Послушник). ზემოთ უკვე განვიხილეთ დეტალურად ის, თუ როგორ ხდება სტალინის ახალგაზრდობის ლექსების, ასევე ილია ჭავჭავაძისა და „ვეფხისტყაოსნის“ მიმართ დამოკიდებულების გამოყენება მისი ქართული განწყობების ხაზგასასმელად, რაც იქამდეც კი მიდის, რომ, ერთი მხრივ, სტალინის მთელი ცხოვრების „ვეფხისტყაოსნით“ ინტერპრეტირება ხდება, მეორე მხრივ კი, იეთიმ გურჯის მთელი შემოქმედების — სტალინით ახსნა. თუმცა, სტალინის ადრეული პოეტური გატაცების მცირე ეპიზოდი შემდგომ განვითარებას პოულობს.

სტალინის ლექსების პირველი საერთო გამოცემა ჟურნალ „მნათობში“ (1937, #5) იუწყება: „ჯერჯერობით აღმოჩენილია მხოლოდ ექვსი ლექსი“ (გვ. XXV). ნიშანდობლივია სტალინის ლექსთა რაოდენობის ღია საკითხად დატოვება, რადგან 2002 წელს მისი კიდევ ერთი ლექსი გამომზეურდა, რომელიც თითქოსდა 1949 წელს დაიწერა და გარდაცვალების შემდგომ მის არქივში იქნა მოძიებული<sup>45</sup>. ლექსი „მორჩილი“ თავდაპირველად მხოლოდ რუსულ თარგმანში არის მოცემული და არანაირი წყარო არ იძიება, რომელიც მის ავთენტურობას, ანუ სტალინის ავტორობას დაადასტურებდა.

თუმცა, მიუხედავად ამისა, ქართულ ლიტერატურულ სივრცეში სტალინის ბოლო ლექსი ლიტერატურათმცოდნე ლევან ბერძენიშვილის პუბლიცისტური სტატიის მეშვეობით შემოდის (ბერძენიშვილი 2019)<sup>46</sup>. სტატიაში ბერძენიშვილი კრიტიკულ პოზიციას იკავებს სტალინის ლიტერატურული მოღვაწეობის მიმართ და მის ლექსებს ირონიით განიხილავს.

---

<sup>45</sup> აღნიშნული ლექსი პირველად დაიბეჭდა კრებულში „Легион "Белой Смерти" (Ставицкий 2002). კრებული ეძღვნება რუსეთის იმპერიასა და საბჭოთა კავშირში სადაზვერვო სამსახურების დაფუძნებისა და განვითარების ისტორიას და შეიცავს თავს, რომელიც, მთავარი თემისაგან გადახვევით, სტალინის პოეზიას ეხება (Котюков 2002). რუსი ისტორიკოსის იური ვისოკოვის შეხედულებით მოცემული ლექსი პასუხს სცემს ზოგიერთი რუსი ისტორიკოსის ტენდენციას სტალინი კონტრევოლუციონერად წარმოაჩინოს, რომელიც მიზნად რუსეთის იმპერიის აღდგენას ისახავდა (Высоков 2018, 9).

<sup>46</sup> აღნიშნული სტატია ერთი წლით ადრე გამოქვეყნდა ჟურნალ „ლიბერალის“ ვებგვერდზე (2018).

ამტკიცებს, რომ სტალინი ვერ შეძლებდა ხელოვან ადამიანად ჩამოყალიბებას თავისი პათოლოგიური ბუნების გამო, თუმცა აქვე ხაზს უსვამს მის მუდმივ ინტერესს ლიტერატურის მიმართ, რის საბუთადაც სტალინის უკანასკნელი, რუსულ ენაზე გავრცელებული ლექსი მოჰყავს, და გარკვეულ სტროფებს ციტირებს კიდევ სტატიაში (იხ. იქვე, 68). თუმცა, უცნაურია, რომ ამგვარი კრიტიკული დამოკიდებულების მიუხედავად ბერძენიშვილს წუთითაც არ შეაქვს ეჭვი ლექსის ავთენტურობაში. აქ ლექსს სრულად მოვიყვან:

Поговорим о вечности с тобою: Конечно, я во многом виноват!  
Но кто-то правил и моей судьбою, Я ощущал тот вездесущий взгляд.  
Он не давал ни сна мне, ни покоя,  
Он жил во мне и правил свыше мной.  
И я, как раб вселенного настроя, Железной волей управлял страной.  
Кем был мой тайный, высший повелитель? Чего хотел он, управляя мной?  
Я словно раб, судья и исполнитель — Был всем над этой нищею страной.  
И было все тогда непостижимо:  
Откуда брались силы, воля, власть.  
Моя душа, как колесо машины,  
Переминала миллионов страсть.  
И лишь потом, весною, в 45-м, Он прошептал мне тихо на ушко:  
«Ты был моим послушником, солдатом И твой покой уже недалеко!

*(Стаднюк 1988, 74).*

ლექსი პოპულარულია რუსულენოვან ინტერნეტ სივრცეში Yandex.ru საძიებო სისტემაში 'Сталин, стихи' დამატებით საძიებო ვარიანტად მომხმარებელს სთავაზობს ფრაზას 'стихи Сталина, найденные после его смерти в его архиве' (სტალინის ლექსი, ნაპოვნი სიკვდილის შემდეგ მის არქივში). ლექსი ასევე ქართულ ინტერნეტ სივრცეშიც პოპულარულია, რამდენიმე საიტი ქართულ ვარიანტსაც გვთავაზობს, რომელსაც ქვემოთ მოვიყვან:

მარადიულზე ვისაუბროთ, მოდი,  
მართლაცდა: ეს უდაოა, ბევრ რამეში ვარ  
დამნაშავე!  
მაგრამ ვიღაცა ბედისწერას ჩემსას მართავდა,  
ის მზერა მდევდა ყოვლისმჭვრეტი, ვგრძნობდი

## IX. აპოკრიფები: სტალინისა და სტალინზე

ამას მე. არ მასვენებდა, არ მაძინებდა იგი  
არასდროს,  
ჩემში ცოცხლობდა, თან მაღლიდან მმართავდა  
ფიცით, მე, როგორც მონა სამყაროთა განწყობის, ამ  
დროს ფოლადის ნებით მივუძღოდი ქვეყანას,  
ვიცი.

ვინ იყო ჩემი იდუმალი ზე-მბრძანებელი,

რისი თქმა სურდა ჩემი მართვით, ვერას  
ვადგენდი, მე, როგორც, მონა, მოსამართლე,  
შემსრულებელი – ამ ლატაკ ქვეყნის  
ყველაფერსაც წარმოვადგენდი. და  
სინამდვილე იყო ისე მიუწვდომელი,  
საიდან მქონდა ძალა, ნება, ძალაუფლება,  
მანქანის ბორბალს ჰგავდა სული ჩემი,  
რომელიც თელავდა ვნებებს მილიონთა,  
ჰქონდა უფლება\*.

და მხოლოდ შემდეგ, გაზაფხულზე 45–ის,

მან ჩამჭურჭულა ეს სიტყვები იდუმალ არსის:

„შენ ჯარისკაცი, თან მორჩილი იყავი  
ჩემი, და დასვენებაც შენი, უკვე, შორს  
აღარ არის.

*მთარგმნელი: მზია თვალაბეიშვილი, იხ.*

<http://urakparaki.com/?m=4&ID=103414> <https://www.aura.ge/103-sabavshvo/534-ioseb-jughashvili-stalini--leqsebi.html>

ქართულ ინტერნეტ სივრცეში ასევე იძებნება მეორე ვარიანტიც, რომელიც  
ლექსის ორიგინალად არის წარმოჩენილი:

მხსნელო უფალო, საწადელი თუკი გამანდე  
თუკი საწუთროს მე მორჩილი — შენში  
მომანდობ, თუ არჩევანი შენ ჩემს ბედზე  
დადე ფორანზე შენგან იმედი —  
შემოქმედად უნდა მომმადლო. არ  
დაგცდენია სამდურავი შენ ჯვარზე  
დაღლილს და გაუძელი ბოროტების მახეს

ტიალსაც,

შენ ჭირთა თმენით დაამცირე მსახვრალი ბადე  
და გაძარცული დაუტოვე ეშმაკს მზირალსაც.

ჟამი მიმწუხრის წასასვლელად უნდობლად

მიხმობს და მხოლოდ შენში მივენდობი — ჩემს

ბედს გამრიგედ, თუკი ეს ზეცაც ხვალინდელი

დილას მე მითმობს

ჩემს ნამოქმედარს შენ მოგანდობ — ვით დღეს ხვალინდელს.

*იხ. <https://intermedia.ge/სტატია/112398-იოსებ-სტალინის-გამონათქვამები/89/>*

ლექსი „ისტორიის ქარის“ გამონათქვამის მსგავსად სტალინის ცოდვებზე და მონანიების სურვილზე საუბრობს. ლეგენდის თანახმად ორივე მათგანი 1940-იანების ბოლოს წარმოიქმნება. აღნიშნულ პერიოდს რუსი ისტორიკოსი და ფილოლოგი ევგენი დობრენკო სტალინიზმის ზენიტად და რუსეთისა და საბჭოთა კავშირის ისტორიულ ტრიუმფად მოიხსენიებს (Добрენко 2020, 9-10), როდესაც პირველად მრავალი ათწლეულის მანძილზე „სიმშვიდემ“, „ჰარმონიამ“ და „უკონფლიქტობამ“ დაისადგურა. ასეთი თვისებების გამო ეს პერიოდი სოვეტოლოგიაში დღემდე ყველაზე ნაკლებად შესწავლილია (იხ. იქვე). შეიძლება წარმოვიდგინოთ, რომ ასეთ გარემოში სტალინმა თავისი ძველი ჰობი — ლექსების წერა — გაიხსენა, თუმცა, ისევ უნდა გავიმეორო, რთული დასაჯერებელია, რომ დიდების ზენიტში მყოფმა „ხალხთა ბელადმა“ და „ნახევარღმერთმა“ არა უბრალოდ საკუთარ შეცდომებსა და დანაშაულებზე დაიწყო ფიქრი, არამედ თავი „მორჩილად“ მოიხსენია, რომელიც საკუთარი სიკვდილის მოახლოებას აპათიურად ელის.

სტალინის რუსულ ენაზე მოპოვებული ლექსი და მისი ორი ქართული ვარიანტი მითის (გა)დამუშავების მაგალითს გვაძლევს. იგი კარგად დამუშავებულ ნარატივს ეფუძნება, რომელიც ნახევრად ისტორიულია (სტალინს გამოქვეყნებული აქვს ლექსები „ივერიაში“) და ნახევრად მხატვრული (სტალინს ილია ჭავჭავაძე და აკაკი წერეთელი მაღალ შეფასებებს აძლევდნენ) და ცდილობს

მათი ავტორიტეტის გამოყენებით პოეტი სტალინის ნარატივი შემდგომ განავითაროს, და იგი დავით აღმაშენებლის მსგავს ღრმა, თვით-რეფლექსიასა და სინანულზე ორიენტირებულ ხელმძღვანელად წარმოადგინოს.

### 3. აპოკრიფები სტალინზე

სტალინისადმი პოზიტიური დამოკიდებულების გასაღვივებლად ერთ-ერთი ყველაზე ხშირად გამოყენებული ტაქტიკა, რიტორიკული ინსტრუმენტი გამოჩენილი უცხოელი პიროვნებების ციტატების მოყვანაა, რომლებშიც სტალინის თვისებებია განდიდებული. უცხოელი პიროვნებები ამ შემთხვევაში ერთი მხრივ, ობიექტურობის მოთხოვნილებას აკმაყოფილებენ, მეორე მხრივ კი, ხაზი ესმება იმას, რომ ოპონენტებიც კი აფასებდნენ სტალინს, რაც უფრო მეტ ეფექტს უნდა ახდენდეს მკითხველზე. თუმცა ისევ პასუხი უნდა გაეცეს კითხვას — მართლა შეამკეს თუ არა გამოჩენილმა პიროვნებებმა სტალინი კომპლიმენტებით თუ არასოდეს უთქვამთ სიტყვები, რომლებსაც სტალინისტები მიაწერენ? მართალია გამოჩენილ უცხოელ პიროვნებათა სია რომლებსაც სტალინის მიმართ რეალურად უთქვამთ, ან მიაწერენ დითირამებს საკმაოდ გრძელია<sup>47</sup>, თუმცა აქ შემოვიფარგლებით უინსტონ ჩერჩილსა და მათ ძედუნისათვის მიწერილი სიტყვების განხილვით, რომლებიც განსაკუთრებით ხშირად ხდებიან სტალინისტთა ყურადღების ცენტრში.

ზემოთ უკვე გვქონდა საუბარი წიგნ „გორელებში“ (1999) უინსტონ ჩერჩილის გაერთიანებული სამეფოს პარლამენტში 1959 წლის 18 დეკემბერს წარმოთქმული მოხსენების შესახებ, რომელიც სტალინის დაბადების 80 წლისთავს ეძღვნება (გვ. 375-6). მოხსენება სტალინის პიროვნულ თვისებებზეა აგებული და ყველაფერთან ერთად არც მისი იუმორის გრძნობაა გამოტოვებული.

---

<sup>47</sup> ერთ-ერთი ყველაზე სრული და სანდო სია სტალინისადმი გაკეთებული დითირამების ეკუთვნის იტალიელ სტალინისტს ისტორიკოსს დომინიკო ლოსურდოს, რომელიც აღწერს განსხვავებულ იდეოლოგიურ პოზიციაზე მდგომი ფილოსოფოსების (მაგ. ისაკ დოიჩერი, ჰანა არენდტი, ბენედეტო კროჩე, არნოლდ ტოინბი) პოზიტიურ შეფასებას სტალინის მიერ გაწეული ღვაწლისა ნაცისტური გერმანიის დამარცხებაში (Losurdo 2020, 1-10).

ჩერჩილი მას ხოტბას ასხამს როგორც უძლეველ და მოქნილ, დაუცხრომელი ენერჯისა და ნებისყოფის, მკაცრ, ფიცხ და დაუნდობელ ადამიანს. ამასთან ერთად, ჩერჩილი არც საკუთარი თავის დამდაბლებას ერიდება სტალინის სიდიადის წარმოსაჩენად და ამბობს:

„მე... დავამთავრე ოქსფორდის უნივერსიტეტი... ვიყავი 11 დიდი ქვეყნის დიპლომატიური მოლაპარაკების მეთაური, [თუმცა] ვერაფერი გავაწყვე დიდ დიპლომატიურ ბრძოლაში იმ გიმნაზიადამთავრებულ ი. ბ. სტალინთან“. (იქვე).

მოყვანილი სიტყვის ავთენტურობის გადასამოწმებლად თავდაპირველად საჭირო იქნება ტექსტის გარედან განხილვა, ანუ აღწერილი გარემოებების — თარიღისა და ადგილის — შემოწმება. თემთა პალატაში წარმოთქმული სიტყვების ინტერნეტ არქივი გვიჩვენებს, ერთი, რომ უინსტონ ჩერჩილს გადადგომის, ანუ 1955 წლის შემდეგ სიტყვა აღარ წარმოუთქვამს პარლამენტში და, მეორე, რომ 1959 წლის 18 დეკემბრიდან მომდევნო წლის 21 იანვრამდე გაერთიანებული სამეფოს პარლამენტში სხდომები არ ჩატარებულა ( Hansard, UK Parliament 1959). გამომდინარე აქედან, ჩერჩილის სტალინისადმი განსაკუთრებული, გულითადი დამოკიდებულების ნარატივი მხოლოდ მითად შეიძლება იქნეს მიჩნეული, რომელიც ჩერჩილის სხვადასხვა სიტყვათა კონტექსტიდან ამოგლეჯილი ეპიზოდების კომპილაციას წარმოადგენს მხოლოდ.

სიკვდილის შემდგომ ჩერჩილის სტალინისადმი გამოთქმულმა თუ მისდამი მიწერილმა დითირამებებმა უკვე მიიპყრეს მკვლევართა ყურადღება. „მითების დეტექტორის“ ვებ პლატფორმაზე გამოქვეყნებულ მცირე სტატიაში (Iagorashvili 2021) მოყვანილია ამერიკელი ისტორიკოსის და ჩერჩილზე რამდენიმე წიგნის ავტორის რიჩარდ ლონგუორთის სიტყვები, რომ სტალინის სიკვდილზე ჩერჩილს „არანაირი მწუხარება არ გამოუხატავს. ჩერჩილის დოკუმენტები არანაირ ცნობას არ შეიცავს აღნიშნულ საკითხზე“ (Longworth 2021). თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ჩერჩილის მიერ სტალინისადმი სიმპათიების ქონის ნარატივი სრულად უსაფუძვლო არ არის. ამერიკელ დიპლომატს ავერელ ჰარიმანს თავის ავტობიოგრაფიულ ნაწარმოებში

მოყვანილი აქვს ეპიზოდი ჩერჩილის მიერ საკუთარ 69-ე დაბადების დღეზე (აღინიშნა 1943 წლის 30 ნოემბერს თეირანში კონფერენციის მსვლელობისას) წარმოთქმული სადღეგრძელოს შესახებ, რომელშიც იუბილარი პატივს მიაგებს რუზველტს და შემდგომ სტალინს (იხ. Harriman and Abel 1975, 276). ეს უკანასკნელი სადღეგრძელოში „დიდ სტალინად“ (Stalin the Great) არის მოხსენიებული და რუსეთის იმპერიის სხვა დიდ ლიდერებთანაა შედარებული. მაგრამ, ლიტერატურაში, სადაც მოკავშირეთა სამივე კონფერენციის მოლაპარაკებების აურაა აღწერილი, ხაზია გასმული, რომ ხუმრობები და კომპლიმენტები საუბრის ჩვეული ნაწილი იყო გარემოში, რომელშიც ურთიერთუნდობლობა ჭარბად იყო წარმოდგენილი (იხ. Roberts 2008, 273-4). შესაბამისად, ამგვარი კომპლიმენტები დიპლომატიის ელემენტად უნდა იქნეს მიჩნეული და არა გულწრფელ მოწიწებად.

უინსტონ ჩერჩილის მსგავსად მათ ძედუნის გამონათქვამები ასევე ხშირად გამოიყენება სტალინისადმი მისი პოზიტიური დამოკიდებულების ხაზგასასმელად. სტალინისტების მხრიდან ხშირია დამოწმება იმისა თუ რა ახლო, მეგობრული ურთიერთობები არსებობდა სტალინსა და მათ ძედუნს შორის და როგორ გლოვობდა ეს უკანასკნელი სტალინის გარდაცვალებას. თუმცა, აქ განვიხილავთ მხოლოდ ერთ გამოთქმას, რომელიც მათ ძედუნს მიეწერება და რომელიც შეგვიძლია სტალინის ქართველობის ტრავმის კონტექსტში განვიხილოთ.

ზურაბ ქუთათელაძის კრებულში "ქართული გენი უცხოტომელთა სამსახურში", (2020) სტალინის მოკლე დახასიათებას წინ უძღვის ასეთი ეპიზოდი:

„სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე მათ ძედუნს პეკინში ახლდნენ ამერიკელი ჟურნალისტები და მისგან ინტერვიუ აიღეს. ერთ-ერთი ჟურნალისტის შეკითხვაზე: "იქნება თუ არა თქვენი გარდაცვალების შემდეგ მათს პიროვნების კულტის კრიტიკა ჩინეთში?" მათ ძედუნის პასუხი ერთობ მოკლე და ლაკონური იყო: "არ იქნება, ჩინელები მე არ გამაკრიტიკებენ, რადგან მე ჩინელი ვარ". მათ ყველა მიახვედრა, რომ "ველიკორუსმა" ნაციონალისტებმა ვერ აიტანეს ქართველი სტალინი, რომელიც 30 წელი ხელმძღვანელობდა საბჭოთა კავშირს“



(იქვე, 154).

მოყვანილი ეპიზოდის მეორე ნაწილში ავტორი ნაციონალისტური მოტივებით ხსნის სიკვდილის შემდგომ სტალინის სახელის შეურაცხყოფას. თუმცა, აქ პირველ რიგში ყურადღებას მივაქცევთ მათ ძედუნის მხრიდან ამგვარი კომენტარის გაკეთების ფაქტობრივ მხარეს. უცხოელი, კერძოდ კი ამერიკელი ავტორების მიერ მათ ძედუნთან სტალინის სიკვდილის შემდგომ ჩაწერილ ინტერვიუებს შორის ანა ლუის სტრონგის სამი<sup>48</sup> და ედგარ სნოუს<sup>49</sup> ერთი საუბარი შეგვიძლია მოვიძიოთ. ამ უკანასკნელის სტატიაში შეიძლება ვიპოვოთ ეპიზოდი სადაც მათ პიროვნების კულტზე საუბრობს. სნოუს გაკეთებულ კომენტარზე, რომ საბჭოთა კავშირში ჩინეთს პიროვნების კულტის გამო აკრიტიკებენ, მათ პასუხს სცემს, რომ ჩინეთში მართლაც შესაძლებელია გარკვეული დოზით პიროვნების კულტიც არსებობდეს, ხოლო რაც შეეხება საბჭოთა კავშირს აქ პიროვნების კულტის ცენტრში სტალინი იყო, მაშინ როდესაც ხრუმჩოვს საერთოდ არ ჰქონდა არანაირი კულტი (იხ. Snow 1965). აქვე მათ სვამს კითხვას — იქნებ ხრუმჩოვის დაცემის მიზეზი სწორედ ეს იყო (იქვე). ამ ეპიზოდში გასათვალისწინებელი ორი რამაა, (1) ჟურნალისტი პიროვნების კულტზე საუბარს ირიბი გზით იწყებს, მაშინ როდესაც ქუთათელაძის ვერსიაში ჟურნალისტი მათ ძედუნს პირდაპირ მათს კულტზე, როგორც შემდგარ ფაქტზე, უსვამს კითხვას, რაც ძნელი წარმოსადგენია. და (2) მართალია მათს პიროვნების კულტზე საუბრისას აქცენტი საბჭოთა კავშირზე გადააქვს და აქ განხორციელებული პოლიტიკური მოვლენების ასახვად იყენებს, მაგრამ მის მსჯელობებში ეთნიკური საკითხი არსად ჩნდება.

უნდა აღინიშნოს, რომ ზურაბ ქუთათელაძის 4 გვერდიანი ტექსტი (2020) კრიტიკულად უდგება სტალინის პიროვნებას. აქ მკითხველი შეხვდება შემდეგი ტიპის შეფასებებს: „ეს რეჟიმი [კომუნისტური — კ. ლ.] იყო ფაშიზმის

---

<sup>48</sup> ამერიკელ ჟურნალისტსა და მწერალს ანა ლუის სტრონგს თავმჯდომარე მათ ძედუნთან ჩაწერილი აქვს სამი ინტერვიუ 1959 წლის ადრეულ მარტში, 1964 წლის 17 იანვარსა და 1965 წლის 24 ნოემბერს (Strong and Keyssar 1985, 491).

<sup>49</sup> ედგარ სნოუ ასევე ერთ-ერთი ბოლო ამერიკელი ჟურნალისტი იყო რომელმაც ჩაწერა ინტერვიუ თავმჯდომარე მათ ძედუნთან 1965 წლის 9 იანვარს (Snow 1965).

## IX. აპოკრიფები: სტალინისა და სტალინზე

ანალოგიური: ეს ორი სისტემა ეფუძნებოდა ტოტალურ სიცრუეს...“ (იქვე, 155) და "სტალინმა საქართველო მსხვერპლად შესწირა რუსეთს" (იქვე, 156). ხოლო ის, რომ ასეთ კრიტიკას წინ უსწრებს მათ ძედუნის გამოგონილი სიტყვები, რომელიც პიროვნების კულტის კრიტიკას ეთნიკური წარმომავლობით ხსნის, მიუთითებს, რომ სტალინის ქართველობის ტრავმა იმაზე ფართოდაა გავრცელებული, ვიდრე სტალინისტთა ჯგუფი, რომელიც თავის მხრივაც არც თუ ისე მცირეა.

## დასკვნა

ქართული პოსტსაბჭოთა სტალინისტური ლიტერატურის და მისი საზრისული ველის კვლევისთვის აქ კონტექსტად ნაციონალური იდეოლოგია და ლუსტრაციის გარშემო მიმდინარე საზოგადოებრივი დისკუსია შეირჩა. დასასრულს საჭიროა კიდევ ერთხელ დავუბრუნდეთ კონტექსტის ამ საკითხს. ლუსტრაციის ფართო საზოგადოებრივმა დისკურსმა, როგორც ვნახეთ, ეფექტი ვერ იქონია საკითხის უშუალოდ სამართლებრივ მხარეზე. დროის გასვლასთან ერთად კი მისი აქტუალობის, საჭიროების დროც იწურება. რაც შეეხება ნაციონალურ იდეოლოგიას, „საქართველოს დიდი ათეულის“ ჩავარდნილმა ტელემოუმ აჩვენა, რომ საზოგადოებას არ აღმოაჩნდა უნარი, საკუთარი ეროვნული გმირებისათვის მასშტაბური, საერთო-სახალხო მონაწილეობით პატივი მიეგო. ამის ძირითად მიზეზადაც ურთიერთუნდობლობა შეგვიძლია დავასახელოთ („ბრბო ღირსეულ არჩევანს ვერ გააკეთებს“, ან „შეურაცხყოფა არ მივაყენოთ წმინდანებს“).

კოლექტიური ტრავმის კვლევის ჩარჩოში საზოგადოების უუნარობა, მიაღწიოს კონსენსუსს ფუნდამენტური საკითხების ირგვლივ, რომლებიც, მაგალითად, სამართლიანობის აღდგენას ეხება, ტრავმული გამოცდილების სიმპტომად შეიძლება იქნეს შეფასებული. საქართველოს პარლამენტში 1997 წელს გაჟღერებული მოსაზრება ლუსტრაციის პათოგენურობის შესახებ, მოწოდებული იყო საზოგადოება მისგან მომავალი საფრთხეების შესახებ გაეფრთხილებინა და დაერწმუნებინა მსმენელი იმაში, რომ კანონპროექტი უფრო მეტი ზიანის მომტანი იქნებოდა, ვიდრე სარგებლისა. ნიშანდობლივია, რომ ეს არგუმენტი ფიზიკური ტრავმის, კერძოდ კი, „ძველი ჭრილობების გახსნის“ მეტაფორის მეშვეობით გამოითქვა. „თავისუფლების ქარტიის“ ლუსტრაციის ნაწილის ჩავარდნის შემდეგ კი სამართლიანობის აღდგენის საკითხი თვითდინების რეჟიმში გადავიდა და, როგორც მედია-დისკურსის ჩემი ანალიზი აჩვენებს, თანდათანობით აქტუალობა დაკარგა.

რაც შეეხება ნაციონალურ იდეოლოგიას, ტელეშოუ “დიდი ათეულის” შეწყვეტის შემდეგ ქართულ ეროვნულ გმირთა პოპულარიზების საკითხმა ბეჭდურ მედიაში გადაინაცვლა, თუმცა სტალინის ფიგურამ აქაც *უხერხული წარსულის* სიმბოლად განაგრძო არსებობა. ჩემს კვლევაში სწორედ სტალინის ტრავმატული სიმბოლოს რეპრეზენტაციის ფორმები იქნა გამოკვლეული და ნაჩვენები ის თუ, როგორ ხდება სტალინის სიმბოლოს ნორმალიზება, მისი მოთავსებით სხვა ეროვნულ გმირთა გვერდით. დამატებითი ბიბლიოგრაფიული კვლევის ფარგლებში მოძიებულ იქნა კრებულები, სადაც სტალინის ლექსები სტალინიზმის მსხვერპლ პოეტთა ლექსების გვერდითაა დაბეჭდილი. კვლევის ძირითად მასალას კი სტალინისტური ლიტერატურა წარმოადგენდა, რომელიც სტალინს მითოლოგიზების გზით მსოფლიო სახელის მქონე, ყველაზე დიდ ქართველად წარმოაჩენს.

სტალინის დანაშაულთა ნორმალიზაციაზე ორიენტირებული ამგვარი სოციო-კულტურული პროცესები, ერთი შეხედვით, პერვერსიულ, პათოლოგიურ ხასიათს ატარებს, თუმცა როგორც ზემოთ განხორციელებული ანალიზი გვიჩვენებს, სტალინისტები თავად სტალინს წარმოაჩენენ მსხვერპლად. მაგალითად, 2003 წელს გამოიცა წიგნი სათაურით: „არც იოსებ სტალინი იყო რუსი, არც ნოე ჟორდანიანი იყო ფრანგი, არც ზვიად გამსახურდია იყო ჩეჩენი. სამივენი ბედკრული საქართველოს შვილები არიან“ (წურწუმია). წიგნში ამ სამი პიროვნების, ანუ შეუთავსებელთა დაახლოების მცდელობაა მოცემული, რაც, ერთი მხრივ, უხერხული წარსულის მოთვნიერებად შეიძლება იქნეს აღქმული, თუმცა საკითხავია, დასაშვებია თუ არა ისტორიულ გარემოებებზე ამგვარი მანიპულაციების ჩატარება, რაც, შესაძლოა კიდევ უფრო მძიმე შედეგების მომტანი იყოს საზოგადოებისათვის.

აშკარაა, რომ მსხვერპლად არა სტალინი, არამედ საზოგადოება უნდა იქნეს განხილული, რომელსაც საბჭოთა „ჩაკეტილი საზოგადოების“ პირობებში არ მიეცა დესტალინიზაციის დასრულებისა და პიროვნების კულტისგან გათავისუფლების საშუალება. 1956 წლის თებერვლის „საიდუმლო მოხსენების“ წაკითხვისა და თბილისის მარტის სისხლიანი მოვლენების შემდეგ

ნახევარზომებით წარმართულმა დესტალინიზაციამ სტალინი განდევნილ კერპად გადააქცია, რომელიც თავის დროს ელოდა დასაბრუნებლად.

1980-იანი წლების ბოლოდან მოყოლებული „საჯაროობის“ პოლიტიკის გარემოში სტალინი წინააღმდეგობრივ ფიგურად ბრუნდება. ის არის არამზადა და გენიოსი, ტირანი და გმირი, მკვლელი და პოეტი, მტარვალი და მსხვერპლი, რუსი და ქართველი. უშუალოდ სტალინისტური სტრატეგია, როგორც კვლევაში გამოვლინდა, სტალინის ფიგურის ტრავმის სუბიექტად ქცევა და მის ქართულ ნაციონალურ გმირთა პანთეონში მოთავსებაა ნატურალიზაციის, იგივე ნორმალიზაციის გზით. სამწუხაროდ, სათუთა მსგავსმა მიდგომამ სტალინიზმის ტრავმის გადალახვა შესაძლებელი გახადოს, რადგან ეს საკითხი დაკავშირებულია საბჭოთა წარსულის გააზრებასთან, რომელიც, თავის მხრივ, ისტორიულ კვლევას უნდა ეფუძნებოდეს. სტალინისტთა ტექსტებში კი, როგორც კვლევაშია ნაჩვენები, აქტიურად გამოიყენება ფაბრიკაციისა და ფალსიფიკაციის ხერხები, რაც, ისტორიული მეთოდის საპირისპიროდ, სტალინიზმზე ობიექტური სურათის შექმნის ნაცვლად სტალინის პიროვნების მითოლოგიზებას ახორციელებს.

ხაზი მინდა გავუსვა იმას, რომ ჩემი მხრიდან სტალინისტ ავტორთა მიერ ფალსიფიკაცია-ფაბრიკაციის გამოყენებაზე საუბარი არ გულისხმობს მათდამი ბრალდების წაყენებას, რადგან არ მაქვს საფუძველი ვამტკიცო, მათ ქმედებათა გაცნობიერებული ბუნების შესახებ. კვლევაში ვსაუბრობ ქართულ სოციო-კულტურულ სივრცეში გამჟღავნებული ტრავმული სიმპტომების შესახებ, რომელთა რიგსაც მიეკუთვნება, სწორედ, სტალინისადმი პოზიტიური დამოკიდებულებაც.

სტალინისტ ავტორთა ტექსტებში მოცემული არგუმენტები და სასურველის რეალურად წარმოჩენის გამუდმებული მცდელობა *კოგნიტიურ დისონანსად* შეიძლება შეფასდეს (Festinger 1968). ეს ფენომენი ექსპერიმენტულად დასაბუთებული არაცნობიერი მექანიზმია, რომელიც ინდივიდს უხერხულ წინააღმდეგობათა დაძლევაში ეხმარება. თუ რეალობა არ შეესაბამება მოლოდინებს, ფრუსტრაციის ასარიდებლად, ადამიანი ცვლის თავის

მოლოდინებს. უსარგებლო ხდება სასარგებლო, მოსაბეზრებელი ხდება თავშესაქცევი, უმნიშვნელო ხდება მნიშვნელოვანი და მიუღებელი ხდება მისაღები (განგებ ვირჩევ ამგვარ არაერთმნიშვნელოვან ფორმულირებებს ღირებულებათა ურთიერთ შექცევადობის გამოსაკვეთად); ისევე როგორც, სტალინის შემთხვევაში: არამზადა ხდება გენიოსი, ტირანი — გმირი, მკვლელი — პოეტი, მტარვალი — მსხვერპლი, ხოლო რუსი — ქართველი.

*კოგნიტიური დისონანსის* კლასიკური თეორია თავდაპირველად ყოფით გარემოში ჩატარებული ექსპერიმენტების საფუძველზე იქნა დამუშავებული. სტალინისტ ავტორთა შემთხვევაში კი მოწმე ვართ იმისა, თუ როგორ ხდება ამ თავდაცვითი მექანიზმის ტრანსპოზიცია სოციო-კულტურული რიგის ფენომენზე<sup>50</sup>, რასაც, კვლევაში გამოვლენილ სიმპტომებს თუ გავითვალისწინებთ, ნათელი ხდება, რომ არცთუ უწყინარი ხასიათი აქვს. ამ მექანიზმის აქტივაცია უძლურების გამოვლენაა, მას ადამიანის ცნობიერება მაშინ მიმართავს, როდესაც რეალობაზე გავლენის მოხდენა არ ძალუძს და ჩიხურ მდგომარეობაშია. ყოფით პირობებში ეს მექანიზმი შეიძლება ინდივიდს პრობლემასთან გამკლავების შედარებით ეკონომიურ გზას სთავაზობდეს, მაგრამ ჯგუფის, საზოგადოებისა და, მით უმეტეს, კულტურის შემთხვევაში, ამგვარი მიდგომა, როგორც კვლევამ გვაჩვენა, მხოლოდ ტრავმის გადამალვას ემსახურება და მასთან გამკლავებას კიდევ უფრო რთულ ამოცანად აქცევს.

---

<sup>50</sup> „კოგნიტიური დისონანსის“ ინდივიდუალურიდან კულტურულ სივრცეში გადატანისათვის იხ. Cooper, Joel. 2007. *Cognitive Dissonance: Fifty Years of a Classic Theory*. London, SAGE Publications, (Chapter 7).

## ბიბლიოგრაფია

- Alexander, Jeffrey C., ed. 2004. *Cultural Trauma and Collective Identity*. Berkeley, Calif: University of California Press.
- . 2012. *Trauma: a Social Theory*. Cambridge, UK ; Malden, MA: Polity.
